მერაბ კალანდაძე

# XX–XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტაციის ევოლუცია

თბილისი
2023

*წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ის მიზნად ისახავს გააშუქოს ქართული ისტორიოგრაფიის ერთი საინტერესო მონაკვეთი – XX საუკუნე და XXI საუკუნის დასაწყისი. განვიხილავთ მის ავკარგიანობას და შევეცდებით შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მოტივები.*

*წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ისტორიკოსების და საერთოდ ისტორიის პრობლემებით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.*

**რედაქტორი** გურამ ყორანაშვილი

**რეცენზენტები:** ვაჟა თვალავაძე
ვაჟა ჩოჩია

ISBN 978-9941-31-737-8

© მერაბ კალანდაძე. 2023

*ვუძღვნი ჩემს ყველაზე დიდ სიხარულს და*
*სიყვარულს პატარა სანდროს*

*სამხრეთ აფრიკის სტენბოსის უნივერსიტეტის შესასვლელში*
*გამოკრულ აბრაზე არის შემდეგი წარწერა:*
*„ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო*
*ატომური ბომბი ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება.*
*ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და*
*თვალის დახუჭვა, როდესაც სტუდენტი გამოცდაზე იტყუება;*
*ასეთი ექიმის ხელში პაციენტი იღუპება;*
*ასეთი ინჟინრის ხელში შენობები ინგრევა;*
*ასეთი ეკონომისტის და ბუღალტერის ხელში იკარგება ფული.*
*ასეთი მოსამართლის, იურისტის ხელში იკარგება სამართალი.*
*განათლების კრახი, ერის კრახია!“**

# შესავალი

წიგნი ამ სიტყვებით, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ დაგვიწყია. აქ, ვფიქრობთ, ძალიან კარგად არის გაცნობიერებული განათლების სისტემის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში და მისი შეუფასებლობა. ჩვენი აზრით, დიდი შეცდომა იქნებოდა. სასურველია, თუ ამას გავითვალისწინებთ და შევეცდებით მდგომარეობის გამოსწორებას არა სიტყვით, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ საქმით. ეს აზრი მსჭვალავს მთელ წიგნს.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს თვალი გაადევნოს ქართული ისტორიოგრაფიის ევოლუციას ხანგრძლივი ისტორიული მონაკვეთის მანძილზე. XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. საქმე გვაქვს ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საინტერესო მონაკვეთთან, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დრამატულ ხასიათს ატარებს და თავისი კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ

* ალნიშნული პრობლემისაკენ შემობრუნება ამ სიტყვებმა გადაგვაწყვეტინა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ ჩემს რძალს ქ-ნ მზია თათარაშვილს, რომელმაც ინტერნეტიდან მოგვაწოდა ეს საინტერესო ინფორმაცია.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

ამ ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მის განვითარებას განაპირობებდა არა ის სიახლეები და ნოვაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში XX საუკუნეში, არამედ პოლიტიკური კატაკლიზმები. ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენის გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ, აქ ძევს. ამ პოლიტიკური კატაკლიზმების ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად შეფასება ძნელი იქნება და მეტად სწორხაზოვნად მიგვაჩნია. ეს ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და აღნიშნული საკითხის რეალისტურ სურათს ვერ გვიხატავს. არის შემთხვევები. როდესაც პოლიტიკური კატაკლიზმები ხელს უწყობს ისტორიული მეცნიერების წინსვლას, განვითარებას. ასეთად მიგვაჩნია, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და 90-იან წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლა, არის მეორე შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური კატაკლიზმები პირიქით უარფოფითად მოქმედებს ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. ასეთად მიგვაჩნია 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოება. სხვათა შორის, მან სულაც არ შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში ისეთი დადებითი როლი, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია გვიმტკიცებდა.

ეს წიგნი წარმოადგენს „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილში წამოჭრილი პრობლემების ლოგიკურ გაგრძელებას. ამჯერად ჩვენ ვცადეთ ცოტა განსხვავებული აქცენტები დაგვესვა და ამ პრობლემის გაშუქებისათვის უფრო ფართოდ და ღრმად შეგვეხედა. ზოგიერთი პრინციპული საკითხი ცოტა სხვა რაკურსით დაგვენახა. ყურადღება გავამახვილეთ იმაზე თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ დააღწიოს თავი იმ რთულ ვითარებას, რომელშიც დღეს აღმოჩნდა. ამ კუთხით აღნიშნული საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. უნდა ითქვას რომ წინა წიგნში ეს საკითხი პერიფერიულ თემას წარმოადგენდა და უახლოესი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ზნეობრივი ატ-

მოსფეროს ჩრდილში აღმოჩნდა. მეორეხარისხოვანი ფუნქცია იტვირთა. ახლა ეს თემა წინ წამოვწიეთ და მთავარ ყურადღებას მივაპყრობთ. ეს ნაშრომი მცირე სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ. მან სულ სხვა ფუნქცია შეიძინა და ახლა ჩვენს მსჯელობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. წამყვან თემად იქცა. ვცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვეღრმავებინა ამ პრობლემისადმი მიდგომა. ჩვენი აზრით, ერთგვარ სიახლედ ამ თემატიკისადმი უფრო რადიკალური მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე საყურადღებო ფაქტორად ის შეიძლება დავასახელოთ, რომ ზოგიერთი საინტერესო დოკუმენტის შემოტანისგან რატომღაც მაშინ თავი შევიკავეთ, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ამან რაღაცა უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინა და გადავწყვიტეთ ეს მასალა შემოგვეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. შეიძლება ესეც რაღაც პატარა სიახლეს წარმოადგენდეს. ეს წიგნი არაა „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილის უბრალო გადამღერება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ან მისი მეორე შევსებული, შესწორებული გამოცემა. ასეთი ვერსიაც შეიძლება წამოიჭრას. ამიტომ, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა თუ ამ წიგნს ცალკე ნაშრომად აღვიქვამდით, რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელების მცდელობას წარმოადგენს და მასში მცირე სიახლის შეტანას ცდილობს. ყურადღებას მიაპყრობს განსხვავებულ რაკურსებს. პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში ზოგიერთი ახალი დოკუმენტური მასალა, რომელიც კიდევ უფრო მეტ შუქს ფენს, განსახილველ თემებს. ისე როგორც წინა ნაშრომს, მასაც გამოარჩევს პოლემისტური ტონი, რომელსაც კონკრეტული მიზანი აქვს, გააბათილოს ამ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა, რომელიც უნდა ითქვას, რომ მეტად ცალმხრივი და ტენდენციური იყო, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძალზე ხისტად მიგვაჩნია, ძირშივე მცდარია და რაც ყველაზე მთავარია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება საბჭოთა მიდგომის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა. ეს არ იყო შემთხვევითი და მათი გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატებების უსაშველოდ გაბუქვა.

დღეს ასეთი აპოლოგეტური ტონი მოძველებულია, ყავლი გაუ-
ვიდა, ისტორიის განვლილი ეტაპია. ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. საბჭოთა წარმოდგენა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ამას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნდა. ამან საშუალება მოგვცა სულ სხვა აქცენტები დაგვესვა. სულ სხვა ღირებულებებზე გაგვემახვილებინა ყურადღება და ამ დარგის განვითარების სულ სხვა და, ჩვენი აზრით, გაცილებით რეალისტური სურათი დაგვედო.

ყურადღებას მივაპყრობთ სამ გარემოებას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის ამ სფეროში ცხადია, პირველ ყოვლისა, იგულისხმება მსოფლიო ისტორია 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში ამ დარგის ისტორიიდან ელიმინირებული, ამოღებული იქნა, გაქრა, გაუჩინარდა. თითქოს და არც კი არსებობდა. მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოსდა ამ დარგს საქართველოს გასაბჭოებამდე ისტორია არ გააჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კიდევ ერთი ყველაზე დიდი საბჭოთა მითი. მითებს რეალობა ამსხვრევს. ფიგურალური გამოთქმა, რომ გამოვიყენოთ „ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან კი არ ასოცირდება“. მეორეც ერთი ვცადეთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაბალანსებული შეფასება, გვინდოდა თავიდან აგვეცილებინა როგორც მისი აპოლიგეტური შეფასება, როგორც ეს იყო საბჭოთა წლებში, ისე მისი შეუფასებლობა, როგორც ეს იგრძნობა პოსტსაბჭოთა პერიოდში და მესამეც დიდი ადგილი დაუთმეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ავკარგიანობაზე მსჯელობას. ეს თემა ისტორიოგრაფიაში შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად, იყო გაშუქებული და ეს წიგნი ამ ვაკუუმის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ამ წიგნმა კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა დარგის ისტორიის განსხვავებულად წა-

კითხვის საქმეში. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორად, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მიუხედავად თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული მდგომარეობისა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, უნდა ითქვას, რომ ვაიუშველებელი არც არაფერი გვჭირს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ, არსებული პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მას ორი ასპექტი გააჩნია. პოლიტიკური და წმინდა აკადემიური. თუ იქნება პოლიტიკური ნება, მდგომარეობა თანდათან, ნელნელა, დალაგდება როგორც ქვეყანაში, ისე მათ შორის, ცხადია, მეცნიერებაში და განათლების სისტემაში. წმინდა აკადემიური კუთხიდან ჩვენ ამ საკითხს ოპტიმისტურად უყურებთ, მაგრამ კარგად გვესმის, რომ პირველის გარეშე მეორე არ მოხდება. ეს ილუზიაა, რაც შეეხება პირველს, იქნება თუ არა პოლიტიკური ნება, სიმართლე გითხრათ ამას ცოტა სკეპტიკურად უყურებთ. ამის თქმა გვიჭირს, დიდი იმედი არ გვაქვს, რადგანაც ამის წინაპირობას, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ. ის, პირველ ყოვლისა, ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს შექმნასთან უნდა ასოცირდებოდეს. ამის გაკეთება, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

წინამდებარე ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ნაშრომის ყველაზე უფრო წონად მონაკვეთს, რა თქმა უნდა, მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს. აქ ვცადეთ გაგვეშუქებინა სამი საინტერესო და აქტუალური საკითხი: ქართული ისტორიოგრაფია XX საუკუნის პირველ წლებში. (1900-1921). საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია (1921-1991) და პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიოგრაფია. 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც დაიშლა საბჭოთა კავშირი, დღემდე.

მეორე ნაწილს განსხვავებული რაკურსი გააჩნია და მიზნად ისახავს გამოარკვიოს ის ფაქტორები, რომელიც ხელს შეუშლის დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარე-

ბის დალაგებას, ის დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ზნეობრივი მდგომარეობის გამოძახილია. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. პირველი ნაწილისაგან განსხვავებით ყურადღებას იპყრობს მისი ჟანრობრივი მრავალფეროვნება. მეცნიერულ კვლევასთან ერთად ის მოგონებების ფორმას იძენს და პოლიტიკური პამფლეტის ელფერი დაკრავს. მას ლაიტმოტივად გასდევს საბჭოთა რეალობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მე ვიტყოდი სიძულვილი, ზიზღი და პოსტსაბჭოთა პერიოდისადმი კრიტიკული განწყობილება, რომელიც ამ პრობლემების სრულყოფის, დახვეწის, სურვილითაა გაჯერებული.

ჩვენ გაგვაჩნია აღნიშნული საკითხის საკუთარი ვერსია. რა თქმა უნდა, მას არ აქვს უკანასკნელი ჭეშმარიტების პრეტენზია და მეცნიერული პაექრობის საგანი შეიძლება გახდეს. ჩვენთვის გაცილებით უფრო მისაღები უნდა ჩანდეს XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტერ ჰეილის მიდგომა. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. აქ ყველაზე უფრო კარგადაა დანახული ისტორიული პროცესის შემეცნება. ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის არსი. ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის ჰუგო შუხარტის თქმით „მხოლოდ განსხვავებული აზრების ურთიერთჭიდილში მიაბიჯებს მეცნიერება წინ“.

საბჭოთა ისტორიოგრაფია საპირისპირო პრინციპებს ქადაგებდა. მისი მთავარი არქიტექტორი, ბუნებრივია, პროლეტარიატის დიდი ბელადი სტალინი იყო. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო იდევნებოდა, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. იწყებოდა ხელების გადაგრეხის ესოდენ ნაცნობი სურათი. მზად იყვნენ ის ჩაექოლათ. ეს იყო ჩიხური გზა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება ამის ლოგიკური შედეგი იყო. ევროპული მიდგომა პერსპექტიულია. მეორე კი უპერსპექტივოა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩამოიშალა. კრიზისმა კი ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აქვე

უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი მსჯელობაში პრიორიტეტული იქნება მსოფლიოს ისტორია, საქართველოს ისტორია და ისტორიოგრაფია. დანარჩენი დარგები, ცილდება ჩვენს კომპეტენციის საზღვრებს და ამაზე უფრო კვალიფიციურად ამ სფეროს სპეციალისტები იმსჯელებენ, თუმცა არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ამ დარგშიც ანალოგიურ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე და მისი აპოლოგეტური შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული უნდა იყოს. ცხადია, ვერც ეს დარგები ვერ აუვლიდა გვერდს კრიზისს, რადგან პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ დარგების პერსტექტივებზე და პრობლემებზე, ალბათ, გულწრფელად ისაუბრებენ კომპეტენტური სპეციალტები.

დიდი იმედი გვქონდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეცნიერებასა და განათლების სისტემაში შექმნილი ვითარება გამოსწორდებოდა, მკვეთრად შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, მაგრამ სინამდვილეში ამის მსგავსი არც არაფერი ყოფილა, სასურველი შესაძლებლად გვესახებოდა. ეს წიგნი ამ იმედგაცრუებით გამოწვეული გულისტკივილითაა გაჯერებული.

შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს, რომ ვამუქებთ საქმის რეალურ ვითარებას და მეტად პესიმისტიურად ვართ განწყობილი ერთი შეხედვით ეს შეიძლება მართლაც ასე ჩანდეს, გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, მაგრამ სინამდვილე სულაც არ გახლავთ ასეთი სწორხაზოვანი, მარტივი, როგორც ეს ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. რეალობა გაცილებით უფრო რთულია. ჩვენ ამ სიტუაციას გაცილებოთ ოპტიმალურად ვუყურებთ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მიგვაჩნია, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი ნამდვილად არის, მაგრამ ის იქნება ძალიან რთული. ადვილი გზით სიარული სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და ასე ამ რთულ ვითარებას თავს ვერ დავაღწევთ. ასეთია ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია. თავდაპირველად საქმე უნდა დავალაგოთ სახელმწიფოში და შემდეგ ცალკეულ სფეროებში, მათ შორის, ცხადია, მეცნიერებაში და განათლებაში. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ალტერნატივა არ აქვს.

ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის იყო ორიენტირებული ევროპულ რეალიებზე. ასეა დღესაც, მაგრამ, მთავარი განსხვავება, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, აქცენტი კეთდება არა ევროპული ისტორიოგრაფიის ხვალინდელ დღეზე, როგორც ეს წინათ იყო, არამედ გუშინდელზე. ქართული ისტორიოგრაფიის ამგვარი ევოლუცია, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. წიგნში გატარებულია ასეთი აზრი. ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის იყო ორიენტირებული ევროპულ ღირებულებებზე, მაგრამ ამას ყოველთვის უშლიდა ხელს პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელიც გავლენას ახდენდა მის წინსვლა-განვითარებაზე, პროგრესზე. ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს მთელს წიგნს და მის სათაურშია ჩადებული.

ამ თემაზე ხშირად მსჯელობენ იმის მიხედვით თუ როგორი უნდათ, რომ იყოს ის და არა იმის მიხედვით თუ როგორია ის სინამდვილეში. სასურველი ეჩვენებათ შესაძლებელად. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

ჩვენ ვცადეთ ეს პრობლემა სხვადასხვა რაკურსით წარმოგვეჩინა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა, და აქტუალურად მიგვაჩნია. შეიძლება ამან გამოიწვია განმეორებები. რაც უმთავრესად, საერთო სიტუაციის გამოძახილია, მთელის შემადგენელი ნაწილია.

# კარი პირველი

# ქართული ისტორიოგრაფია
# გუშინ, დღეს, ხვალ

## თავი პირველი

### ქართული ისტორიოგრაფიის
### ერთი საინტერესო მონაკვეთი

მსოფლიო ისტორიის შესწავლის ქართული კონტექსტი ყოველთვის მომგებიანი იქნება და ნაყოფიერად მიგვაჩნია. საქართველოში ისტორიის შესწავლას ორი მთავარი ასპექტი გააჩნია. საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის შესწავლა. ამჯერად პრიორიტეტული მსოფლიო ისტორია იქნება, მაგრამ უყურადღებოდ არც საქართველოს ისტორიას დავტოვებთ და შეძლებისდაგვარად შევეცდებით გავაშუქოთ ეს მხარე. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ამ რაკურსით საკითხის გაშუქების დროს სამეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე, ხოლო მსოფლიო ისტორია რაღაცნაირად ჩრდილში რჩებოდა, პერიფერიულ თემას წარმოაგდენდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და წინ წამოგვეწია ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის პრობლემატიკის შესწავლის საკითხი, შევეცადეთ გაგვეფართოებინა კვლევის არეალი.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და თავისი გარკვეული ტრადიცია

გააჩნია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა იყოს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებებისადმი სკეპტიკური განწყობილების საფუძველს, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავთ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის შედეგები, კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის ნებისმიერ პატარა სახელმწიფოს შედეგებს.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას ორი მხარე გააჩნია, რომელსაც პირობით პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი შეიძლება უწოდოთ. პირველი ითვალისწინებდა მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციას, ხოლო მეორე კი მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, უფრო პრიორიტეტულად მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაცია უნდა დავსახოთ. მას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მნიშვნელობა აქვს და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას ქართველმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ქართული ისტორიოგრაფიის პოზიტიურ მხარედ გვევლინება. ამ მასალის შეუფასებლობა, ჩვენი აზრით, მართებული არ იქნებოდა. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც ჩვენი სამშობლო საქართველოა, ასეთი ფუფუნების უფლება არ გააჩნია. პროგრამა მინიმუმის შესრულება ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, დათა მიქელაძე და სხვები. ამ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის მნიშვნელობის დაკნინება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

როგორც უკვე ითქვა, მეორე ასპექტი დაკავშირებულია მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან, შესწავლას-

თან. ეს არის პროგრამა მაქსიმუმი. ის შედარებითა უფრო რთული. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები შედარებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. ეს არცაა გასაკვირი და, უმთავრესად, იმ სიძნელებთანაა დაკავშირებული, რომელიც მსოფლიოს ისტორიის მეცნიერულ კვლევასთან უნდა ასოცირდებოდეს. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ ბედნიერ გამონაკლისად საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლა, შეიძლება მივიჩნიოთ. ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება და დიდი აღიარება ხვდა წილად, მაშინდელი გადასახედიდან საკავშირო, ხოლო დღევანდელიდან კი საერთაშორისო. ეს არ იყო პატარა საქმე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს და გასაკეთებელი კიდევ ბევრია. განსაკუთრებით ნაყოფიერად მიგვაჩნია უახლესი ისტორიის პრობლემების დამუშავება. ეს შედარებით ხელუხლებელი თემებია და წარმატების შანსი დიდია.

ვაჯამებთ, რა ყოველივე ზემოთქმულს ასეთ დასკვნასთან მივყავართ. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მიგვაჩნია. ეს იმით გამოიხატება, რომ ის მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევა-ძიების ნაზავია. ეს ცხადია, ძალიან კარგია და ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ყოველგვარი სკეფსისი სრულიად უადგილოა და საქართველოში ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

* * *

თავდაპირველად მიზანშეწონილი იქნებოდა განვსაზღვროთ ამ მონაკვეთის ქრონოლოგიური ჩარჩოები. მის ათვლის წერტილად პირობით აღებული უნდა იქნას ამ საუკუნის დასაწყისი – 1900 წელი, ხოლო დასასრულად კი, რა თქმა უნდა, 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოება, რომელმაც XX საუკუნის ქართული ის-

ტორიოგრაფიის განვითარებას თავისი კვალი, უპირატესად მაინც ნეგატიური, დაამჩნია. აქედან მოყოლებული ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებამ სულ სხვა მიმართულება, ხასიათი, შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. საქართველოს გასაბჭოება ასოცირდება სწორი გზიდან გადახვევასთან, რომელსაც პლუსებზე მეტი მინუსები გააჩნდა.

ალბათ, ინტერესს მოკლებულა არ იქნება სულ ორიოდე სიტყვით, ძალიან მოკლედ, შევეხოთ საკითხის პერიოდიზაციას. იკვეთება საინტერესო სურათი, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და პოლიტიკური ელფერი დაკრავს. შეიძლება არსებობდეს ორი ვარიანტი, ვერსია. პირველი შეიძლება ეს იყოს ერთი პერიოდი. ქართული ისტორიოგრაფია XX საუკუნის პირველ წლებში (1900-1921). ის პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. მათ შორის მნიშვნელოვანი მიჯნა, რა თქმა უნდა, არის 1918 წელი. ამა წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების უვერტურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საკითხის შიდაპერიოდიზაცია. ერთი ქვეპერიოდია 1918 წლამდე, ხოლო მეორე 1918 წლის შემდეგ. მეორე ვერსიის მიხედვით, ის შეიძლოება პირობით დაიყოს ორ პერიოდად. 1. ქართული ისტორიოგრაფია 1900-1918 წლებში და 2. ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ საკითხის პერიოდიზაციამ მცირე ტრანსფორმაცია განიცადა. განსხვავება პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და ნიუანსობრივია. ორივე ვარიანტს გააჩნია არსებობის უფლება. მოდით შევჯერდეთ უფრო მარტივ ვარიანტზე. ერთ პერიოდად დაყოფაზე. რომელიც ორი ქვეპერიოდისაგან შედგება.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფია თავიდან გვაქვს გასააზრებელი. რა თქმა უნდა, ამ ნაშრომს ამის გაკეთების პრეტენზია არ გააჩნია. ყველაზე უკეთ შემთხვევაში, თუ ესეც ხმამაღალი ნათქვამი არ გამოგვივა, ის ამ საკითხის

დასმად შეიძლება იქნას მოაზრებული.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის პირველ ნაბიჯს ცოტათი უცნაური ბედი ხვდა წილად, რაც, უწინარესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ის ნებსით თუ უნებლიეთ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ჩრდილში აღმოჩნდა. წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებზე აპელირება. უზომოდ განადიდებდნენ, ხოტბას ასხამდნენ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებებს და მის განვითარებას შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოაჩენდნენ. ეს არც იყო გასაკვირი. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისზე, როგორც ამას ხაზს უსვამს ევროპული ისტორიოგრაფია, ცხადია, გაგონებაც არ სურდათ. რეალობა სულ სხვა იყო, რომელიც საბჭოთა ისტორიკოსების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. სასურველს შესაძლებლად წარმოაჩენდნენ.

საბჭოთა ისტორიოგრაფია გასაბჭოებამდელ ქართული ისტორიოგრაფიას ძალზედ ტენდენციურად წარმოაჩენდა და მუქ საღებავებს არ იშურებდა მის მიმართ. წინამორბედების წვლილისადმი ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია.

საბჭოთა მოდგმის მთავარი თეზა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება გასაბჭოებამდე თითქოს არასწორი გზით ხდებოდა და 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მან სწორი მეცნიერული ხასიათი შეიძინა. სასურველი შესაძლებლად ესახებოდათ. დღეს ამგვარი მიდგომა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ჩვენს წინაშე წამოიჭრება მთელი რიგი პრინციპული საკითხები, რომლებიც საბჭოთა წლებში სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი და დღეს უკვე სულ სხვა და შედარებით უფრო რეალისტურ გადაწყვეტას მოითხოვს. უწინარესად, ბუნე-

ბრივია, წამოიჭრება მთავარი საკითხი. სად და როდის ჩამორჩა XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება ევროპულ გზას? როდის გადაუხვია ისტორიული მეცნიერების მაგისტრალური ხაზიდან და რატომ? დღეს ამ საკითხზე პასუხი ადვილია და ზედაპირზე ძევს, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ასე არ იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ კითხვებზე პასუხს ამაოდ, დაუწყებთ ძიებას. ის უბრალოდ არც კი დასმულა. ეს დაარღვევდა იდეალურ გარემოს. მას ეს თემა ამ კუთხით არ აინტერესებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ და ხაზს უსვამდნენ მის არნახულ პროგრესს. რომელ ჩამორჩენაზეა ლაპარაკი? ამაზე ხმის ამოღებას მაშინ, ცხადია, ვერავინ გაბედავდა და ამას ვერც ვერავის მოთხოვდი. იყო წინსვლის, პროგრესის, ილუზია. რეალობა სულ სხვაგვარი იყო, მაგრამ იმ წლებში, ცხადია, კადრში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. მასში გარკვეული კორექტივები შეგვეტანა და კიდევ უფრო დაგვეზუსტებინა. ჩვენს მთავარ ამოცანად დავსახეთ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, განსხვავებული მიდგომის არსი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

თუ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას, ძირითადად ის სიახლეები და ნოვაციები განსაზღვრავდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასასწყისის ისტორიოგრაფიაში. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, სულ სხვა მიმართულება მიიღო და, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ისტორიული მეცნიერება აცდა აკადემიურ ჩარჩოებს და ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული გახდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნებაა. ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. სახელმწიფო აქტიურად ერევა მეცნიერების საქმიანობაში და ცდილობს ძალით მოახვიოს ისტორიკოსს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მეცნიერებაზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლის უგულებელყოფა ძალზე მიამიტური, პრიმიტიულია და ჭეშმარიტებისაგან მეტად შორსაა. პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერ-

ტაციის ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟი, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია, უნდა იყოს. (1.2.). ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. მაშინ როდესაც ევროპული ისტორიოგრაფია სწრაფად ვითარდებოდა, გიგანტურ ნაბიჯებს დგამს წინ, თვალუწვდენელ სიმაღლეებს აღწევს. დიდი პროგრესი განიცადა. (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს ეხება ნეოკანტიანელებს და „ანალების" სკოლას. მათი გავლენის გამოძახილი ქართული ისტორიოგრაფიაში ან არ იგრძნობა ანდაც მინიმალური შეიძლება იყოს). XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, სულ სხვა გზით მიდის. ერთ ადგილს ტკეპნის და ძალიან ჩამორჩა. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების გამოძახილია. საბჭოთა პერიოდში მას, რა თქმა უნდა, სულ სხვა დატვირთვა ენიჭებოდა და საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლასთან ასოცირდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ყველაფერი თავდაყირა იქნა დაყენებული. მათ შორის. მთავარი განსხვავება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ევროპული ისტორიოგრაფიის წინსვლას განსაზღვრავდა მეცნიერული სიახლეები და ნოვაციები და მასში თავისუფალი აზროვნების ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, პლურალიზმის, გამოძახილი უნდა დავინახოთ. არავითარი ქაოსს ევროპულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, ცხადია, ადგილი არ ჰქონდა. ეს ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას და გადაჭარბებული იყო. სასურველი შესაძლებლად ეჩვენებოდათ. სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ის ძალაზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. მის განვითარებას განსაზღვრავდა პოლიტიკური კატაკლიზმები. მისი ჩამორჩენის გასაღები, სწორედ, აქ ძევს (3.8-22).

* * *

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის დასაწყისის, ქართული ისტორიოგრაფია, 1900-1921 წლები, მისი განვითარების ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი იყო, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში მოექცა. ნათქვამი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეეხება 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილ წვლილს. საბჭოთა წლებში, ეს თემა კადრში ვერ ხვდებოდა. ისტორიული ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიაში კარგი არაფერი გაკეთებულა. ამგვარი იყო პოლიტიკური ნება. ეს იყო კიდევ ერთი ხერხი საბჭოთა რეალობის განდიდების საქმეში. წინამორბედების წვლილის გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა სინამდვილის იდეალიზაცია. ეს იყო კიდევ ერთი საბჭოთა მითი, რომელიც ჩამოიშალა და დღეს უკვე გაკოტრებულია. სინამდვილე სულ სხვაგვარი იყო. ქართული ისტორიოგრაფია სტაგნაციას, ჩავარდნას, კი არ განიცდიდა, არამედ ვითარდება, პროგრესირებს. მათ შორის, ცხადია, მოიაზრება განათლების სისტემა. (4. 5) ეს კი ხელს არ აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეკალივით ესობოდა თვალში და გულს უკლავდა. აქედან იღებს სათავეს წინამორბედების წვლილისადმი ხისტი დამოკიდებულება, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ამ თემისადმი საბჭოთა მიდგომა გადასინჯვას საჭიროებს და სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ რეალურად საქმე იმაზე გაცილებით უფრო კარგად იყო, ვიდრე ამას საბჭოთა წლების გვიხატავდნენ. ამ გზით აპირებდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატებების გაბუქვას. მისი განვითარების არარეალისტურ ვითარებას გვიხატავდნენ. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების სურათი გამრუდებული იქნა.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, სწორი, ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. პრიორიტეტული იყო თავისუფლად აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდომასთან. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ მონაკვეთის ნეგატიური შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ მონაკვეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აპოლოგეტური შეფასებით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს სულ სხვა უკიდურესობა იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია, ჭეშმარიტება, როგორც წესი სადღაც შუაში ძევს, მაგრამ მისი მოძებნა სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო ხაზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. ეს საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გამოკვეთო როგორც შუქი ისე ჩრდილი. შევეცადოთ შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფია, უმთავრესად, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, ახერხებს ევროპული ისტორიოგრაფიის დონეს მიაღწიოს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. ეს უკვე პოზიტივისტური ისტორიოგრაფია იყო, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა და ამის დაუნახაობა გამართებული არ უნდა ჩანდეს. ამ პერიოდის დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის საუკეთესო ნიმუშია. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის რიგებს შეიძლება მივაკუთნოთ დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, სერგო ავალიანი, სერგო გორგაძე, ალექსანდრე წერეთელი. ერთი სიტყვით, ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს

იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, იდიალური ვითარება არ სუფევდა. იყო პრობლემები, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობა მიმდინარეობდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ დროის იმ მცირე მონაკვეთში ყველაფრის გადაჭრა, ცხადია, ვერ მოასწრეს. ეს მათი ბრალი არ იყო. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ჩვენ, პირველ ყოვლისა, აქცენტს გავაკეთებთ მსოფლიო ისტორიაზე. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არაა და მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ჩვენ ამ დარგის სპეციალისტი გახლავართ. აქ ყურადღებას მივიპყრობთ, ჩვენი აზრით, ერთ საინტერესო გარემოებას, რომელიც სასურველი იქნება კადრს მიღმა არ დარჩეს. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ 1918 წლის შემდეგ საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ვარდნა ისეთი თვალშისაცემი არ ყოფილა, როგორც ეს მოხდვა მსოფლიო ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ მათ თავისი საქმიანობის დაწყება სრულიად ცარიელ ნიადაგზე მოუხდათ. ეს კი ადვილი საქმე არ იყო და მათ მრავალი სიძნელის გადალახვა საკუთარი ძალებით უხდებოდათ. საქართველოს ისტორიაში ასე არ ყოფილა. მათ დაწყებული საქმე გააგრძელეს, თავიდან კი არ დაუწყიათ. ეს უფრო ადვილი იყო. ამიტომ პრიორიტეტულად, სწორედ, მსოფლიო ისტორიაზე აქცენტის გაკეთება მივიჩნიეთ. ამგვარი ნაბიჯი გამართლებული უნდა ჩანდეს. მას ქართული კონტექსტი გააჩნია, სიახლეს წარმოადგენს და ამ პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. როგორც პროფ. ბორის პორშნევი იტყოდა „ქალწულობრივ თემას" წარმოადგენს. ამან საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა მთელი რიგი საინტერესო დასკვნები, რომელიც მიზნად ისახავს გააბათილოს ამ საკითხში საბჭოთა წარმოდგენები. აქედან ჩვენი ნაშრომისათვის დამახასიათებელი პოლემისტური ტონი, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუნენტირებულად, უგულებელყოს საბჭოთა წარმოდგენა. საბჭოთა პერიოდში აღნიშნულ თემაზე კრინტს არ

ძრავდნენ, დუმილით უვლიდნენ გვერდს. ის კადრში ვერ ხვდებოდა, რაც, აღნიშნული საკითხის, ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ დარგის განვითარების სულ სხვა, ჩვენი აზრით, უფრო რეალისტური სურათი დავდეთ.

***

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას თავისი ტრადიცია გააჩნია. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მიდგომა მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ეს უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ის ცდილობს ერთმანეთს შეუხამოს საკითხის მეცნიერული კვლევა და პოპულარიზაცია, შეიძლება ითქვას, რომ ამ რთულ ამოცანას მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. რაც მის წარმატებად მიგვაჩნია.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის დაწყება 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დაგვიანებულად მიგვაჩნია. საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არ გააჩნია, ძირშივე მცდარია, მეტად ხისტად მიგვაჩნია და რაც, ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ის ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. საბჭოთა წარმოდგენა დღეს უკვე მოძველებული, გაკოტრებულია, ჩამოიშალა, ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. გადასინჯვას, სერიოზული კორექტივების შეტანას, მოითხოვს.

მოსაზრება თითქოს იმ ხანებში ამ მიმართულებით საქართველოში პოზიციური არაფერი კეთდებოდა არ შეეფერება სინამდვილეს და კიდევ ერთი საბჭოთა მითია. მითებს რეალობა ამსხვრევს. (6). როგორც დავინახეთ საქართველოში ამ დარგის განვითარებას თავისი ტრადიცია გააჩნია და XIX საუკუნიდან, შეიძლება უფრო ადრეც, იღებს სათავეს. საქართველოს გასაბჭოებამდე ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი ამ დაინტერესების პი-

კად, კულმანიციად, მიგვაჩნია. საბჭოთა წლებში ის ამ დარგის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული, იქნა. თითქოს არც არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. ჩვენ ვცადეთ აღნიშნული დარგის განვითარების საქმეში ამ მონაკვეთის რეანიმაცია, რეაბილიტაცია და დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დავდეთ. ვიდრე ეს ადრე იყო. ის ამ საკითხზე გაცილებით უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მიგვაჩნია (6.82.7.543-544). გამოდის, რომ ამ საქმესთან 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებას არანაირი კავშირი არ ჰქონია. ეს გულს უკლავდა და ეკალივით ესობოდა თვალში ბოლშევიკებს და ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე წაეშალათ ქართველი ხალხის ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. გაბითურებულები დარჩნენ, სრული ფიასკო განიცადეს. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“ „სამართალმა პური ჭამა“, აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყო. (6). ვფიქრობთ ურიგო არ იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, თვალი გადავავლოთ 1918 წლამდე საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციას. ეს საინტერესოა. ასეთი ნაბიჯი გამართლებული უნდა ჩანდეს. მას დღემდე არავინ შეხებია. 1918 წლამდე საქართველოში მსოფლიოს ისტორიის პოპოპულარიზაცია თავისებურ ხასიათს ატარებდა და ეს იმით გამოიხატებოიდა, რომ უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც საქართველოში ყოველთვის სარგებლობდა დიდი პოპულარობით და აქტუალური გახლდათ, და სოციალურ პრობლემატიკაზე, რაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა, და მასში XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური გარემოს გამოძახილი შეიძლება დავინახოთ. პოლიტიკური ისტორიისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება ამ

დაინტერესების აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. მნიშვნელოვანწი-
ლად ამით აიხსნება, რომ გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობა ჩრდილში აღმოჩნდა. კადრის მიღმა დარჩა.

1918-1921 წლები საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში. მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უწინარესად, მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში იქნა დაფიქსირებული. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უგლებელყოფა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, უმართებულო იქნებოდა.

ის რომ ამ მონაკვეთმა მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოში მოასწრო თავისი კვალის დატოვება, ჩვენი აზრით, არაფრით არ აკნინებს არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერებას. საქმე გვაქვს პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობასთან. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მეტის გაკეთება მათ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, უბრალოდ ველარ მოასწრეს. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს ვერ გააკეთეს. პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოახერხეს, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრეს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, რომ მათი კვალი იმაზე მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე მათ სინამდვილეში ხელეწიფებოდათ. მრავალი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. მათი

მდიდარი პოტენციალი, ბოლომდე გამოყენებული არ ყოფილა. თუ არა ეს გარემოება ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა და ეს არ გახლავთ მარტო ლიტონი სიტყვები. ისინი იძულებული იყვნენ გადაეხვიათ არჩეული კურსიდან და XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა, რომელზე მუშაობის დაწყებაც მათ მოასწრეს. საფიქრელი იყო რომ მას მოყვებოდა გაგრძელება. ის სამ საფეხურად წარმოგვიდგენია. არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებს მოყვებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მათი ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად, მესამე საფეხურად კი, მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა გვევლინება. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მათი ამ ჩანაფიქრის განხორციელება, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, უბრალოდ ველარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ წამოწყებამ დაუსრულებელი სახე მიიღო და უწინარესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში მოასწრო კვალის დაფიქსირება. როგორც უკვე ითქვა, ეს არანაირად არ აკნინებს ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ წვლილს.

განსხვავებული მიდგომა ამ თემაზე გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიყალიბებს და საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ მთელი რიგი საინტერესო დასკვნები, რომლის მთავარ პოსტულატად ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური

რეჟიმის ძალიხმევით, დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. განსხვავებული მიდგომის ელემენტები გვხვდება ჩვენს შრომებში, მაგრამ ახლა ის კიდევ უფრო დავაზუსტეთ, ვსრულვყავით და ვცადეთ საბოლოო სახე მიგვეცა (3.6.8.9.10.11.12.13).

განსხვავებული მიდგომის მთავარ წყაროდ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება. ჩვენ ვცადეთ ამ საკითხისათვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა. ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებული ჩანდა და საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საბჭოთა წარმოდგენის რევიზია. სულ სხვა უფრო რეალისტური სურათი დავდოთ, ვიდრე იქამდე იყო. (14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27)

უწინარესად, საჭიროა შევიმუშავოთ სწორი კრიტერიუმი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება ამ პრობლემის სწორედ შეფასებაში, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიამ, უმთავრესად, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, ვერ მოახერხა და ამ დარგის განვითარების ადეკვატური სურათი ვერ დადო. დღეს ეს მოძველებულია. სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. დავიწყოთ იმით, რომ აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ეს იყო მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია. ეს სახელმძღვანელოები ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალიანებდა და დაეხმარებოდა მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. მთავარი, სწორედ ეს უნდა იყოს. ამ ინფორმაციის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა

მდგომარეობდეს. ამ მასალისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილოა. აქვე უნდა დავძინოთ რომ ამ სახელმძღვანელოების დღევანდელი გადასახედიდად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის სავსებით აკმაყოფილებდა XX საუკუნის პირველი წლების ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ეს იყო სწორედ, მთავარი. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და ითვალისწინებს საბჭოთა წარმოდგენის რევიზიას. მისი მთავარი დებულებები ასე გამოიყურება:

1. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას იმაზე ცოტა ადრე დაიწყო ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მოსაზრება, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ დარგში პოზიტიური არაფერი ხდებოდა სინამდვილეს არ შეეფერება და მთავარი საბჭოთა მითია. ეს მონაკვეთი საბჭოთა წლებში ჩრდილში აღმოჩნდა. მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა, ხოლო ეს სახელმძღვანელოები უკვე არავის აღარ ახსოვდა, ტაბუდადებულ თემად იქცა და მას ტრადიციულად დუმილით უვლიდნენ გვერდს (28. 29. 30).

ჩვენი აზრით, ეს წლები საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ, (ცოტა სხვა ვითარება შეიძლება გვქონდეს ახალ ისტორიასთან მიმართებაში). იმ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომის მთავარ კვინტესენციად, დედაზრად, ამ სფეროში 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია გვევლინება. ჩვენ დაუბრუნეთ მას ამ დარგის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი და აღვადგინეთ სამართლიანობა.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში ამ დარგის აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რეს-

პუბლიკაში. დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიწვიეს ამ დარგის სპეციალისტები სიმონ ავალიანი და გრიგოლ ნათაძე. გადაიდგა პირველი ნაბიჯი მსოფლიო ისტორიის მეცნიერული სწავლების გზაზე (31. 32). დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე სერიოზული წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე და ამისი შეუფასებლობა, როგორც ეს შეინიშნებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ სიახლეების და ნოვაციების მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. საქმე გვაქვს ამ დაინტერესების წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება ამ დარგის ჩამოყალიბების, განვითარების, წინაპირობა საქართველოში. ეს ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. სწორედ, ეს განსაზღვრავს ამ მონაკვეთის მნიშვნელობას.

2. კიდევ ერთი საბჭოთა მითი იმსხვრევა, როგორც ირკვევა, ამ დარგში თავისი საქმიანობა ქართულ ისტორიოგრაფიას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს ნულიდან, ცარიელ ნიადაგზე კი არ დაუწყია, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა წლებში, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდა, რომლის გვერდის ავლას, საბჭოთა პერიოდში საგულდაგულოდ ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრებულია, სრული კრახი განიცადა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. გამოდის, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე ამ კუთხით რაღაც კეთდებოდა და ამის მიჩქმალვას სულ ტყუილად ცდილობდნენ. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და

ამ პრობლემის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ამან საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა საინტერესო დასკვენები, რომელიც განსხვავებული მიდგომის მთავარ პოსტულატად, თეზად, გვექცია.

3. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი, ფაქტობრივად, იგნორირებული იქნა, სრულიად მიივიწყეს. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. სინამდვილეში სხვა სურათი იკვეთება. რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. ეს საკითხი საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ამ პრობლემის პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში არსებობს ერთი თავისებურება, განსხვავება, რომლიც გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა და ამ თემის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საქმე ეხება იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიასა და ახალ ისტორიის შესწავლას შორის. ამ უკანასკნელს, გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და უფრო მდიდარი ტრადიცია აქვს. ეს არცაა გასკვირი. ახალი ისტორიის პრობლემები ყოველთვის აქტუალური იყო და დიდ ინტერესს იწვევდა, ვიდრე წინა ეპოქები. მას არ გააჩნდა ისეთი ხანგრძლივი წინა ისტორია, როგორც საქართველოში ახალ ისტორიის შესწავლას. ის უფრო ხანმოკლე პერიოდს მოიცავს.

საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. რაც კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული.

1. ძველი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების შეს–წავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუ-ბლიკაში.

2. ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).

3. ძველი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების ისტო-რიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრა-ფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშა-ლა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია.

როგორც უკვე ითქვა, გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტო-რიას გააჩნია საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ამ თემატიკას აქტუალურობით უნდა ყო-ფილიყო განპირობებული.

შეიძლება იყოს რამდენიმე ვერსია. ვფიქრობთ, საინტერე-სო სურათი იკვეთება. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია.

**პირველი ვერსია.** საქართველოში ახალი ისტორიის თემატიკით დაინტერესება, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, პირობით, ორ პე-რიოდად შეიძლება გაიყოს. 1. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება, XIX საუკუნის დასაწყისიდან, შეიძლე-ბა კიდევ უფრო ადრე – 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოე-ბამდე. თავის მხრივ ეს პერიოდი კიდევ შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. მათ შორის მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს XIX საუკუნის 60-იან წლები, როდესაც გაჩნდა ქართული პერიო-დული პრესა, ჟურნალ-გაზეთები, რომელსაც სულ ცოტა ხანში გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და 1918 წელი უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს და-მოუკიდებლობის გამოცხადება. ეს პატარა მონაკვეთი საქართვე-ლოს გასაბჭოებამდე ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესე-ბის კულმინაციად, პიკად, შეიძლება იქნას მოაზრებული.

2. საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე. პოლიტიკური ნიშ-ნის მიხედით ის ორ ნაწილადაა გაყოფილი. 1. ახალი ისტო-

რიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხის შიდა პერიოდიზაციაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან მასზე წვრილად ვისაუბრეთ შემდგომ მონაკვეთში. (1921-1991) და მეორე პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ის იწყება XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

ასეთი სურათი მივიღეთ, მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოს გასაბჭოებამდე XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წლიდან დღემდე.

**მეორე ვერსია.** საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს. ისტორიული მონაკვეთი XIX საუკუნის დასაწყისიდან, შეიძლება კიდევ უფრო ადრე, 1918 წლამდე. ჩვენი აზრით, ამ საკითხებით დაინტერესების წინაისტორიად, შესავლად, უვერტიურად, შეიძლება მივიჩნიოთ. 1. ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებას საქართველოში 1918-1921 წლებში. 2. ახალი ისტორიის საკითხების შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. 1921-1991 წლები. 3. ახალი ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 1990-იანი წლებიდან, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. (საკითხის შიდაპერიოდიზაციაზე ვრცლად შევჩერდებით მესამე თავში).

**მესამე ვერსია.** შეიძლება ის პირობით ოთხ პერიოდად დაიყო. XIX-XX საუკუნის პირველი წლები ამ თემატიკით დაინტერესების შესავლად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ პირველ პერიოდად. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება 1800-1918 წლებში. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად, რა თქმა უნდა, გვევლინება XIX საუკუნის 60-იანი წლები. დანარჩენი სამი პერიოდი უცვლელი რჩება და მას აღარ გავიმეორებთ.

**მეოთხე ვერსია.** შეიძლება პირველი მონაკვეთის კიდევ უფრო დავშალოთ და მაშინ ხუთ პერიოდად დაყოფასთან გვექნება საქმე. ის ასეთ სახეს მიიღებს. 1. XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-იან წლებამდე და 2. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე.

დანარჩენი სამი პერიოდი უცვლელი რჩება და მის გამეორებას აზრი არ აქვს. ამ მონაკვეთმა, უპირატესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ამ დარგის წინსვლა, განვითარებაში, მეტად მოკრძალებული კვალი დატოვა და ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებლი დარჩათ. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. ის განუხორციელებელ ჩანაფიქრებთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე განხორციელებულთან. პირველი უფრო მეტია მეორეზე. მიუხედავად ექსტრემალური ვითარებისა, დროის სიმწირისა, ფაქტობრივად ცაიტნოტისა, უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პოზიტიური კვალის დატოვება მაინც მოასწრო. ეს ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. ის, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა და თანდათანობით დავიწყებას ეძლეოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. განსხვავებული მიდგომის მთავარი თეზა ამ სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, დავისახეთ. ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. სწორ აქცენტებს სვამდა. სწორ არჩევანს აკეთებდა, ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს სახელმძღვანელოები როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა.

მიმდინარეობდა მუშაობა მის სრულყოფაზე, დახვეწაზე. მაგრამ ეს პროცესი, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი და დაუსრულებელი დარჩა. ეს არ გახლავთ დასრულებული სახელმძღვანელოები. ჩვენი აზრით, ისინი სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებოდნენ, რომ დაცლოდათ ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. ამაში ერთი წუთითაც კი არ გვეპარება ეჭვი.

5. ჩვენი აზრით, გასაბჭოებამდე საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის კულმინაციად 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები უნდა დავსახოთ. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და მისი წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სწორი მეცნიერული გზით გაგრძელდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ მოხდა. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული გზიდან და მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. აი, ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. იკვეთება მსოფლიოს ისტორიის კარდინალური საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და კარგად იკითხება. ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

6. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ, ამ სფეროში თავისი საქმიანობა მათ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობით დაიწყეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელსაც წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დატვირთვა გააჩნდა. მსოფლიოს ისტორიის კვალიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე სკოლაში

მისი სწავლება შეუძლებელი იქნებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სახელმძღვანელოებმა საშუალება მისცა ქართულ სკოლას თავიდან აეცილებინა კოლაფსი, რომლის რეალობა ნამდვილად არსებობდა ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ამ დარგში თავისი საქმიანობა მათ საძირკველიდან დაიწყეს და ყურადღება სკოლას მიაპყრეს. მათ სურთ ამ დარგის შენებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ. ეს იყო სწორი მიდგომა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ უკვე, ცნობილ მიზეზთა გამო, დაწყებილი საქმის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრეს.

აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა, რომ შევიქმნათ სასურველი იქნება გავითვალისწინოთ არა მარტო ის რისი გაკეთებაც მოასწრეს. ეს ძალიან ცოტაა, არამედ ისიც რისი გაკეთებაც განზარახული ჰქონდათ. მაგრამ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, მეტის გაკეთება უბრალოდ ვერ მოასწრეს. ეს ამ საკითხის უფრო ადეკვატურ სურათს ჩამოგვიყალიბებდა. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო და ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. პირველი ნაბიჯი სწორად გადადგეს. კარგად გათვალეს. ეს არ იყო პატარა საქმე.

7. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიხატავდნენ, მან საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია, განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად წარმოგვიდგენია. ის სამ ფაზას მოიცავს. თავდაპირველად, მსოფლიოს ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ხასიათს ატარებდა და, უპირატესად აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ის 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრა-

ტიული გარემოს გამოძახილი უნდა იყოს. ეს ერთი. მეორე ის, ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. როგორც პირველი მცდელობა ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა, ამიტომ აქ როგორც აპოლოგეტური ტონი, ის შეუფასებლობა, სრულიად უადგილოა, ზედმეტი იქნება. სასურველია დაბალანსებული მიდგომა.

მკვეთრ მეტამორფოზს აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს, ამიერიდან მსოფლიო ისტორიის შესწავლამ და პოპულარიზაციამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება ამის ლოგიკური გაგრძელება იყო. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

ახალ მკვეთრს შემობრუნებას ადგილი აქვს 90-იან წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, პირველ ყოვლისა, ცდილობს გათავისუფლდეს, თავი დააღწიოს, ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსიტულ-ლენინური იდეოლოგიას. გაწმინდოს მსოფლიო ისტორია მარქსისტული შტამპების და სტერეოტიპებისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ცდილობს დაუბრუნდეს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები. ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. ეს სწორი არ იქნება, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია.

8. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა და გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა წარმოდგენა. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას.

ა) საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საქართველოს გასაბჭოე-

ბის შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ გაცილებოთ უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა, მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისებრივი წინგადადგმული ნაბიჯი იყო და იმ ვაკუუმის შევსების პირველ მცდელობას წარმოადგენს, რომელიც მაშინ ამ სფეროში არსებობდა.

ბ) საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებას ადგილი აქვს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ ეგონათ, არამედ ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ასეთია განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი კომპონენტი.

9. საქართველოს სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლების პირველი პრეცედენტი იქნება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა ხანაში. არამედ შედარებით ოდნავ უფრო ადრე. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა იმ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ჩვენ თვალწინ კიდევ ერთი საბჭოთა მითი ჩამოიშალა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მცირე წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. მსოფლიო ისტორიის სწავლება მიმდინარეობდა მშობლიურ ენაზე. ეს გახლავთ რეალობა, რომლის გვერდის ავლა აღნიშნულ თემაზე სრულყოფილ ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. საქმე გვაქვს მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციის პირველ მცდელობასთან, რომელმაც უმთავრესად, სკოლის სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. უფრო მეტის გაკეთება უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. ეს იყო რეალობა.

10. და ბოლოს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ აქტუალურ თემას. მარად უკვდავ საკითხს. მსოფლიო ისტორიის ქართული ტერმინოლოგიის დადგენას. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. მის გამორკვევას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა მითი. მითებს რეალობა ამსხვრევს, ის კი ასეთია. როგორც ირკვევა, ამ დარგის ტერმინოლოგიის შექმნის პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა, არა 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ხანაში, არამედ ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრეტიულ რესპუბლიკაში.

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად, იმ პერიოდში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა იქნას მოაზრებული. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. ბევრმა ტერმინმა შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა. ზოგმაც კი, პირიქით. მტკიცედ დაიკავა ადგილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია. ამავე დროს სახელმძღვანელოებში შეინიშნება რუსული სახელწოდების და სახელების გამოყენება, რომელიც, ყოველთვის მთლად დამაჯარებელი როდია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს რუსული სახელმძღვანელოების გამოძახილია. (6 45-48, 82-88).

როგორც ხედავთ, ეს სახელმძღვანელოები XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია, რომელსაც ღირსებები უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილოა. ის სავსებით აკმაყოფილებდა ამ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. მისთვის დამახასიათებელი, ემპირიზმით, ფაქტოგრაფიით, ისტორია აღწერით, პოლიტიკური ისტორიის თხრობით. სოციალ-ეკონომიკური ისტორია და კულტურა კი გაშუქებულია შედარებით მკრთალად, სუსტად.

* * *

წინამდებარე ნაშრომის ამ მონაკვეთის მთავარ კვინტესენციად, დედააზრად, საქართველო მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში 1918-1921 წლებში საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია გვევლინება. ამ წლებში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებს მივიწყების სქელი მტვერი გადავწმინდეთ და დღის სინათლეზე გამოვიტანეთ, არსებობის უფლება დაუბრუნეთ. ფაქტობრივად, პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში მეტის გაკეთება იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. მიუხედავად ამ სირთულეებისა აღნიშნულმა მონაკვეთმა უნდა ითქვას, რომ მაინც მოასწრო თავისი პოზიტიური კვალის დაფიქსირება ქართულ ისტორიოგრაფიაში და მისი ელიმინირება, ამოღება, ამ სფეროს წარსულიდან დაუშვებლად მიგვაჩნია. ის ამ პრობლემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ის რომ მან მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოში მოასწრო დაფიქსირება, ჩვენი აზრით, არავითარ ჩრდილს არ აყენებს და არანაირად არ აკნინებს ამ მონაკვეთის მნიშვნელობას.

ჩვენი აზრით, სასკოლო სახელმძღვანელოების მნიშვნელობის შეუფასებლობა სწორი არ იქნება. მას გააჩნია მეცნიერული დატვირთვა. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ამ მონაკვეთის და სახელმძღვანელოს მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ასეთი ფუფუნების უფლება არ გაგვაჩნია, პირიქით, ყველაფერი ამას თვალისჩინივით ჭირდება მოფრთხილება. მით უმეტეს მაშინ როდესაც სხვა უფრო ვრცელი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ასეთი დამოკიდებულება გაცილებით უფრო რეალისტური გვეჩვენება, ვიდრე პესიმიზმი და სკეპტიციზი.

როგორც პირველი მცდელობა ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა, მაგრამ მთავარი ეს არ უნდა

იყოს. ეს მოგვარებადი გახლდათ. მას დრო ჭირდება. სამწუხაროდ, ის კი არა იყო. მათი მთავარი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა. რუსულ სახელმძღვანელოებზე აქცენტის გააკეთება, ჩვენი აზრით, არანაირი ჩრდილს არ აყენებს ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი გახლდათ. ამ შემთხვევაში მათ არც ისე ფართო არჩევანი ჰქონდათ. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება, ამ საკითხისადმი მათი მიდგომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ეს ცოტა იმაზე მეტია, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი თარგმანი. მათ ეს სახელმძღვანლოები იმიტომ მოეწონათ, რომ ის საკმაოდ ახლოს იდგა მათ შეხედულებასთან. ის მათი აზრების რუპორად გვევლინება. ჩვენ ამ საკითხს ასე ვხედავთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სახელმძღვანელოებში საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, უპირატესად, აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ, ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა აპოლოგეტური მიდგომით ჩავანაცვლება უმართებული იქნებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ქართულ სკოლას საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა ამ სფეროში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალაბათობაც არსებობდა, ვფიქრობთ. ეს პატარა საქმე არ იყო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის კარდინალური საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს ვფიქრობთ საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ასეთ ოპტიმისტურ ნოტაზე უნდა დავასრულოთ ამ მონაკვეთზე და ამ სახელმძღვანელოზე მსჯელობა.

## ლიტერატურა


1. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004.
2. M. Kalandadze: Uschangi Sidamonidze – ein opfer des fotalataren Regimes - Georgia, 25. 2005.
3. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.
4. დ. ჭუმბურიძე, განათლება. 1918-1921 წლები, თბ., 2000.
5. ნ. სონღულაშვილი, საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბ,. 2022.
6. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ., 2021.
7. მ. კალანდაძე, საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიმპლომატია, წელიწდეული, 19, 2021.
8. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
9. მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
10. მ. კალანდაძე, ქართული მედიავისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
11. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
12. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
13. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2021.
14. დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურა, თბ., 2016.
15. გრ. ნათაძე, პირველყოფილი კულტურა, თბ., 1920.
16. თ. ჭუმბურიძე, პირველყოფილი კულტურა, პირველი კლასის კურსი. გადმოკეთებული დ. კუდრიავსკის წიგნიდან, ქუთაისი 1919.

17. დ. უზნაძე, ძველი ისტორია. წიგნი 1. ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, თბ., 1919. დ. უზნაძე, ძველი ისტორია, წიგნი 2. რომი, ქუთაისი, 1920.
18. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია. ნაწილი პირველი, ძველი ისტორია, თბ., 1920.
19. ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეთა ისტორია, ქუთაისი, 1919.
20. ა. ვულფიუსი, საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.
21. ივ. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია, თბ., 1920.
22. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე, საშუალო საუკუნეები, თბ., 1920.
23. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი (XV-XVIIსს), თბ., 1920, მეორე ნაწილი (XVIII-XIX სს), თბ., 1919.
24. ს. ავალიანი, ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწილი პირველი (XVI-XVIIIსს) თბ., 1920. ს. ავალიანი, ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწილი მეორე (XIX-XXსს), თბ., 1920.
25. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
26. ე. ლავისი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1918.
27. ა. ვულფიუსი, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, ქუთაისი, 1918.
28. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1904-1917 წლებში. თბ., 1978. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი კადრში ვერ ხვდება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი. აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს საკითხი საბჭოთა წლებში ტაბუდადებული თემა იყო და მასზე არაფერი იწერებოდა.
29. გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.

30. ი. ტაბაღუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ნაკვეთი მესამე, თბ., 1983.
31. გრ. ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, პირადი საქმე, ფონდი 1. ნაწერი, 1. შესანახი ერთეული 1926, ნუსხა 293.
32. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.

# თავი მეორე

## საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებით იწყება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ახალი პერიოდი. საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც გრძელდებოდა 1991 წლის დეკემბრამდე, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. ეს პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად და ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ისტორიული ჭეშმარიტება მიტანილი იქნა პოლიტიკური ნების სამსხვერპლოზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარი დამახასიათებელი თვისებას წარმოადგენს წარსულისადმი პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული მიდგომა. ასეთი გახლავთ პოლიტიკური ნება. ისტორია პოლიტიკისა და იდეოლოგიის მოახლედ გვევლინება. „პარტიულ პრინციპს" შეეწირა წარსულის ობიექტური შეფასება. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო. ამგვარი მიდგომის მთავარ ტონისმომცემად, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გვევლინება. ის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ფალსიფიკატორი იყო. აღსანიშნავია, რომ ყველაფერი რასაც სტალინის ხელში შეეხო გამრუდებული, გაყალბებული, იყო.

ისტორიკოსის ობიექტურობის მთავარ კრიტერიუმად იქცა „პარტიულობის პრინციპი". ისტორიას ისე აშუქებდნენ როგორც მოეპრიანებოდათ. მისი წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს. ისინი ცდილობდნენ ისტორია როგორმე ჩატენონ საზოგადოების ხუთ ფორმაციად დაყოფის სქემაში. მოარგონ ფარმაციულ პრინციპს.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ასეთი ნაბიჯი სრულიად გამართლებული უნდა ჩანდეს და ის საკმაოდ რელიეფურ წარმოდგენას გვიყალიბებს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობაზე, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ხვდა წილად. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ცხადია, შემთხვევათი არაა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გამოძახილია, მისი გაგრძელებაა. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა.

ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს საქართველოს გასაბჭოებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში მისი პოზიტიური მნიშვნელობის გადაფასება. ამჯერად მას სულ სხვა დატვირთვა ენიჭება, რომელიც ადრე კადრში ვერ ხვდებოდა. ამან განაპირობა ამ თემისადმი სულ სხვაგვარი დამოკიდებულება. დომინანტად პოლემისტური ტონი გვევლინება. მან ჩაანაცვლა აპოლოგეტური მიდგომა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი, საბჭოთა წლებში. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიის გადაფასების მცდელობასთან. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს.

მოკლედ გადავავლოთ თვალი საკითხის ისტორიოგრაფიას. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ეს ერთი უკიდურესობა იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მუქ ფერებში წარმოჩენა, მიწასთან გასწორება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ორივე მიდგომა მიუღებელია. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“. ფაქტობრივად, აქ საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან. ის ორ პერიოდად იყოფა. პირველი მიდგომა ძალუმად იგრძნობა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ხოლო მეორე შეინიშნება პოსტსაბჭოთა პერიოდში. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალედო ხაზის მოძიება სულაც არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მსაჯულები საბჭოთა ისტორიოგრაფიის

შეფასებისას სუბიექტურები არიან. ზოგს ნოსტალგია მოეძალება. ზოგს კი პირიქით. უფრო უარყოფითი ემოციები დაძლევს. წინამდებარე ნაშრომი ამ ოქროს შუაგულის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება (1, 8-22. 2).

***

მოკლედ გადავავლოთ თვალი საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების განვლილ გზას, საკვანძო მომენტებს. საკითხის პერიოდიზაციას. ის პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ამ პერიოდის შიდა პერიოდიზაციასთან, რაც თავისთავად ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შიგნით მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ჩანს 30-იანი წლების შუა ხანები, როდესაც დაიწყო ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. საკითხისადმი ვიწროდოგმატური მარქსისტულ-ლენინური მიდგომა სტალინის მიერ გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბჟუტავი შუქი დიდი ხნით ჩაქრა. ამიტომ ეს მონაკვეთი, 1921 წლიდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებში ივანე ჯავახიშვილის და გრიგოლ ნათაძეს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა (3. 50-51. 4, 301. 5. 27). ეს არის საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების პირველი ქვეპერიოდი.

30-იანი წლების შუა ხანებიდან იწყება, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველაზე უფრო მძიმე და ძნელი პერიოდი. სტალინური ხანა. განსხვავებული აზრი სრულიად მიუღებელი, იგნორირებული, იყო. საკითხისადმი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხად-

და ერთად ერთ სწორ მეცნიერულ თვალსაზრისად. ფაქტობრივად, აქედან იწყება საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მეორე ქვეპერიოდი. ის გაგრძელდა 50-იანი წლების შუა ხანებამდე, როდესაც აღესრულა სტალინი. სტალინის შეხე-დულებები დაედო საფუძვლად მსოფლიო ისტორიის სწავლებას, მეცნიერულ კვლევას, შესწავლას, პოპულარიზაციას (6). სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ სწორედ, საბჭოთა ისტორიო-გრაფიის წიაღში იშვა პოკროვსკის თეზისი „ისტორია პოლიტიკის გაგრძელებაა“. ამჯერადაც ის სტალინის რუპორი იყო. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიცირებას, სტალინიზაციას. სტალინმა კი არ განავითარა მარქსიზმი, არამედ მოახდინა მისი ვულგარიზაცია, 20-30-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფართოდ ფეხმოკიდებული. მ. პოკროვსკის „სავაჭრო კაპიტალიზ-მის“ თეორია ამის მკაფიო გამოძახილი იყო. ვიწროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიამ, მისი ყველაზე უფრო ოდიოზური ფორმით, დოგმატურ-ორთო-დოქსული, საბჭოურ-ბოლშევიკური, ლენინურ-სტალინური ინტერ-პრეტაციით, ვერაფერი სიკეთე ვერ მოუტანა ისტორიულ მეცნიე-რებას და წინ კი არ წასწია, როგორც ამას სტალინურ წლებში იძახდნენ და სხვაგვარად ვერც იტყოდნენ, არამედ გამოიწვია შეფერხება, ჩავარდნა, სტაგნაცია.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1936 წლის 23 მარტს – 2 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო სესია, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადე-მიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილ პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. მას მეცნიერებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა და ეს იყო ბინძური პოლიტიკური ანგარიშსწორება, რომლის ზურგს უკან იდგა პარანოიკის ოდიოზური ფიგურა. არსებითად, ეს იყო პარანოიკის მიერ მეცნიერების მოთვინიერების მცდელობა. აბა ახლა მოდი და თქვი, რომ თითქოს საბჭოთა წლებში სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმეში. ეტყობა, ჯერ კიდევ შემორჩნენ ასეთი გულუბრყვილოები. შეიძლება ითქვას, რომ ამ დისკუსიამ ქართული ისტორიოგრაფიას არავითარი სიკეთე არ მოუტანა და დიდი ხნით შეაფერხა მისი წინსვლა განვითარება. (7. 8. 9. 10. 11).

„საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში ჩატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგანაც შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა, არსებითად და ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან“ (12. 78). „დისკუსიის შედეგად მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის მოთვინიერება – მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, გაუფერულება. (მეთოდოლოგიური თვალსაზრისით)“. (13. 118). პარანოიკის გარდაცვალებით, 50-იანი წლების დასაწყისში სრულდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მეორე ქვეპერიოდი. სტალინური ხანა.

იწყება მესამე ქვეპერიოდი, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ორი ნაწილი გააჩნია. პირველი ნიკიტა ხრუშჩოვის სახელთან ასოცირდება „დათმობის ხანა“. მეორე კი ლეონიდ ბრეჟნევის „უძრაობის პერიოდი“. ის დასრულდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც აღესრულა საბჭოთა კავშირი.

ამ თემაზე ლაპარაკს, რა თქმა უნდა, აქ დავასრულებდით და დაუსვამდით წერტილს, რომ არა ერთი გარემოება, რომელსაც როგორც გვგონია, თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და, ჩვენი აზრით, იმ არასახარბიელო მემკვიდრეობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია, რომელიც წილად ხვდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას. ამ საკითხის წაყრუება გამართლებული არ იქნებოდა და ჩვენთვის საინტერესო თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

დავიწყოთ იმით, რომ სასტიკად ცდება ის ვინც ფიქრობს, რომ უსამართლობა წარსულ ჩაბარდა. ისტორიის განვლილი ეტაპია. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი შორეული ექო დღესაც გაისმის და თავის გავლენას ახდენს, კვალს

ტოვებს, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე. ხშირ შემთხვევაში არა დადებითს.

ერთი იდეოლოგიის მონოპოლიას დადებითი არც არაფერი მოყოლია და ფართო ასპარეზი შეუქმნა ადვილი გზით სიარულის მოყვარულებს. მათი ერთი ნაწილი თავის მთავარ ამოცანას ხედავდა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულების ილუსტრაციაში. ისინი დოგმატიკოსები იყვნენ. მეორე ნაწილი გაცილებით უფრო შორს წავიდა და იწერებოდა, უპირატესად, იმ მომენტში არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე გათვლილი „მეცნიერული გამოკვლევები“ მთელი ამ სიტუაციის კომიზმი, სწორედ, იმაში მდგომარეობდა, რომ როგორც კი შეიცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია, ეს შრომები მიუღებელი ხდებოდა. არავის ჭირდებოდა და უბრალოდ მაკულატურად გადაიქცეოდა. უხსენებელის პერიოდში ხოტბას ასხამდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ ბელადს და ილაშქრებდნენ ოპოზიციის წინააღმდეგ. მკვეთრად შეიცვალა ვითარება მისი სიკვდილის შემდეგ, ხელი მიყვეს უხსენებელის აუგად მოხსენიებას, ლანძღვა-გინებას და ნ. ხრუშჩოვის განდიდებას. ამ თვალსაზრისით, არც არაფერი შეცვლილა ლ. ბრეჟნევის მმათველობის დროს. მხოლოდ ადრესატი შეიცვალა. ახლა ლ. ბრეჟნევს აქებდნენ და მის წინამორბედს მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში ახსენებდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა უნდა ითქვას, რომ, ჩვენი აზრით, არის ერთი პოზიტიური მომენტი, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს შრომები შეიძლება მივიჩნიოთ ნიმუშებად, თუ როგორ არ უნდა დაიწეროს ისტორიული ნაშრომი, სუსტი ნაშრომის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. სუსტ ნაშრომზეც შეიძლება დაიწეროს კარგი გამოკვლევა და პირიქით. გაჩნდა მთელი რიგი ახალი დარგები, როგორიც იყო პარტიის ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი. პირველი მიზნად ისახავდა პარტიის პოლიტიკურ აპოლოგიას და არსებულ პოლიტიკური კონუნქტურის პირობებში ამას წარმატებით ახორციელებდა. მეორის ამოცანა კი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის განდიდება იყო. დღეს ორივე ეს დარგია გაქრა მეცნიერების რადარებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდთან შედარებით მკვეთრად დაეცა მეცნიერული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმი, ამას აქვს მნიშვნელობა და მასზე თვალს ვერ დავხუჭავთ. ეს კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა და აღნიშნული საკითხის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. მიდგომა იყო მარტივი, პრიმიტიული, ნაშრომი, რომელიც უხვად იყო დახუნძლული ციტატებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებიდან და საკუთარი აზრი არსად ჭაჭანებდა, ადვილად გადიოდა ფონს. იყო საპირისპირო შემთხვევებიც, რომელიც დადებითად ძნელი იქნებოდა აღვიქვათ. თუ ვინმეს უჩნდებოდა, და იყო ისეთი შემთხვევები, არაშაბლონური, ორგინალური, მოსაზრებები, მას აუცილებლად ექნებოდა პრობლემები და ეს უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ იწყებოდა ხელების გადაგრეხის ესოდენ ნაცნობი სურათი. მოთხოვნილება იყო არა მოაზროვნე ისტორიკოსებზე, არამედ შტამპის მოყვარულებზე. (14, 220). თუ ვინმე გაბედავდა და კვლავ გავმეორდით იყო ასეთი შემთხვევები, არატრაფარეტულად მიუდგებოდა საკითხს, უმალ მზად იყვნენ ჩაექოლათ. ისინიც წინააღმდეგობას უწევდნენ. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშად პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი მიგვაჩნია. საქმე ის გახლდათ, რომ უშანგი სიდამონიძემ გაბედა და არასტანდარტულად, არატრაფარეტულად, გააშუქა საქართველოს უახლესი ისტორიის რიგი საკვანძო საკითხები. (12). ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა გაბედა და ხაზი გაუსვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტის პროგრესულ ისტორიულ მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია საგულდაგულოდ უვლიდა გვერდს და ცდილობდა მისი ისტორიული მნიშვნელობა მიეჩქმალა. საბჭოთა იდეოლოგების თვალში ეს ნამდვილი მკრეხელობა იყო (15) და შედეგმაც არ დააყოვნა. ეს ფაქტი საინტერესოა და საშუალებას გვაძლევს გავაბათილოთ ევროპულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი თითქოს „საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის პირობებში არ იწერებოდა რაიმე სერიოზული

ნაშრომი, გარდა ჩვეულებრივი სტანდარტული გამოკვლევებისა“. სინამდვილეში საქმე სულაც არ იყო, ისე მარტივად, როგორც შორიდან ჩანდა (16.17).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა. არის ამის სხვა მაგალითები. 1972 წლის შემოდგომაზე საკავშირო პრესაში, კერძოდ კი „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა, შემდგომში გარდაქმნას ეპოქის მთავარი არქიტექტორის ა. იაკოვლევის სტატია საკმაოდ მყვირალა სათაურით „ანტიისტორიზმის წინააღმდეგ“. სტატიის ავტორი ხმას იმაღლებს ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის წინააღმდეგ, მათ შორის ვისაც მისი რისხვა დაატყდა თავს იყო ახალგაზრდა ისტორიკოსი დოცენტი როინ მეტრეველი. ოპონენტის გალიზიანების ობიექტი აღმოჩნდა მისი ნაშრომი „თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურულ საქართველოში“ რუსულ ენაზე და ასე შეიქმნა ხელმისაწვდომი ა. იაკოვლევისთვის. ეს არის ორთოდოქსულ-მარქსისტული პოზიციებიდან კრიტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, რომელიც დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. რუსი ისტორიკოსის თვალში ნაშრომის ღირსება ნაკლად არის გადაქცეული. რას ვიზამთ „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“. ქართველი მკვლევარის ნაშრომში ფასეულია, არატრაფარეტულადაა გაშუქებული საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ერთი საინტერესო საკითხი „თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში“. აქ ისეთი ანტისაბჭოური, ანტიმარქსისტული არც არაფერი ყოფილა, რომელსაც შეიძლება განერისხებანა რუსი ისტორიკოსი. თუმცა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შაბლონის, ერთგვაროვნების, ფონზე გამონაკლისს ნამდვილად წარმოადგენდა, რასაც, ეტყობა, გაუბრაზებია რუსი მკვლევარი. ამგვარი მიდგომა პროფ. მ. ბახტინის სოლიდური გამოკვლევის „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეების და რენესანსის ხალხური კულტურა“, (18) წყალობით საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველად იკიდებდა ფეხს და სიახლეს წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, ამ ძიებების გამოძახილი გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. როინ მეტრეველის ეს ნაშრომი ამის კარგი ნიმუშია. აქ აქცენტი კეთდებოდა კულტურა და ისტორია, მენტალობა, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცხო ხილია და მიუღებელი იყო. ა. იაკოვლევს, ეტყობა, კარგად ვერ გაუგია ეს სიახლეები და ის არაკონსტრუქციული კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებია. ამგვარი კრიტიკა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, რაც უცხო არ იყო საბჭოთა კრიტიკისათვის და ადვილი გზით სიარულის ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ა. იაკოვლევის ნაშრომი გახლავთ იმის საუკეთესო ნიმუში თუ რა მარტივი სქემით იწერებოდა ისტორიოგრაფიული ნაშრომი. ის რაც ახლოს არის მარქსიზმთან, ცხადია, ძალიან კარგია. ხოლო ის რაც შეიძლება არ შეესატყვისებოდეს მარქსიზმს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და მიუღებელია.

დღეს ეს ყველაფერი, ცხადია, ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მაშინ ეს ნამდვილად არ იყო ასე. ბატონ უშანგი სიდამონიძეს გაუუქმეს ღირსეულ მეცნიერულ პაექრობაში მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო, ხოლო ბატონი როინი უმალ ჩამოაქვეითეს და ქართულ ენციკლოპედიაში გადაიყვანეს. ეს ერთ-ერთი მოტივი იყო. ამას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. რომლის განსჯა ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას.

რა თქმა უნდა, ეს იყო ყველაზე რეზონანსული საქმეები. არის სხვა შემთხვევებიც, რომელსაც ასეთი აჟიოტაჟი არ მოყოლია, მაგრამ იყო. განსხვავებულ აზრს არავის პატიობდნენ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფ. ალექსანდრე ბენდიანიშვილის შრომები, სადაც XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები დანახულია, არა საბჭოთა, პრორუსული პოზიციებიდან, არამედ პატრიოტული, ქართული თვალსაზრისით. ეს გახლავთ მისი სოლიდური მონოგრაფია. „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“. ნუთუ კიდევ არიან ნეტარნი, რომელთაც ჯერავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ერეოდა მეცნიერების საქმიანობაში. ფაქტები საპირისპიროს ლაპარაკობენ. თუმცა, ეტყობა, მათ ეს სულაც არ ანაღვლებთ.

საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის, კერძოდ კი, მედიევისტიკის ფონზე პროფ. არონ გურევიჩის მეცნიერული მემკვიდრეობა ერთ-ერთ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ის სულ სხვა გზით წავიდა. მან უარი თქვა ისტორიული მოვლენების გაშუქების ფორმაციულ პრინციპზე, მონისტურ მიდგომაზე, კლასობრივ ხედვაზე, რაც მეტად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. მის ყურადღების ცენტრში დგას სერიოზული მეცნიერული პრობლემა კულტურა და ისტორია. მენტალობა, რომლის მიმართაც საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდ ხნის განმავლობაში ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ანდაც კადრში ვერ ხვდებოდა. ამგვარი განსხვავებული მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და იმ სიახლეებთან ასოცირდებოდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის ისტორიულ მეცნიერებაში და პირველი რიგში, რა თქმა უნდა, უკავშირდებოდა „ანალების" სკოლის ისტორიკოსების მეცნიერულ კვლევას. ეს არ იყო ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი აღფრთოვანებული, აპოლოგეტური, დამოკიდებულება. ასეთი მიდგომა სწორი არ უნდა იყოს და ნაკლებად ნაყოფიერი იქნებოდა. ეს არაა ბრმა მიბაძვა ევროპული ისტორიული მეცნიერების მიღწევების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დანერგვის. მიმბაძველობა მისთვის სრულიად უცხოა და ამ შემთხვევაში ადვილი გზით სიარული იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ და მიუღებელი უნდა ჩანდეს. საქმე გვაქვს ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი შემოქმედებითი მიდგომის მცდელობასთან, როდესაც ის ცდილობს კრიტიკულად გაიაზროს ის პროცესები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთის საისტორიო მეცნიერაბაში და მხოლოდ ასეთი კრიტიკული განხილვის შემდეგ ცდილობს მის დანერგვას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ეს სიახლეები ძალიან გავდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას და საბჭოთა ისტორიოგრაფიის რეაქციამ არ დააყოვნა. შეიძლება ითქვას, რომ პროფ. არონ გურევიჩის შრომებს თავს დაატყდა არაკონსტრუქციული მარქსისტული კრიტიკის ნიაღვარი. თუ ამ კრიტიკას მარქსისტულ გარს შემოვაცლით, მაშინ ხელში რეალური არც არაფერი შეგვრჩება. ამიტომ დღეს ეს კრიტიკა უკვე კარგა გვარიანად მოძველებულია, ყავლი

გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ის მხოლოდ ღიმილის მომგვრელია და მეტი არაფერი. იყო ასეთი დრო. ასეთი ფრონტალური შეტევა სავსებით მართლზომიერი იყო და სურთ ამ სიახლეების და ნოვაციების მნიშვნელობა დააკნინონ, რომელიც გვხვდება პროფ. არონ გურევიჩის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდენ პროფ. ევგენია გუტნოვა და პროფ. ალექსანდრე ჩისტოზვონოვი. მათ ყველაფერი თავდაყირა დააყენეს და ცდილობნენ, რომ ისტორიკოსი, რომელიც ნორმალურ პოლიტიკურ გარემოში, საბჭოთა მედიევისტიკის ლიდერად იქნებოდა მოაზრებული, პირიქით, მის აუტსაიდერად წარმოეჩინათ. საქმე გვაქვს ისტორიკოსის უაღრესად ცალმხრივი, ტენდენციური შეფასების მცდელობასთან. ღირსება ნაკლად იქნას წარმოჩენილი. სასურველი შესაძლებლად ესახებოდათ. რეალობა სულ სხვაგვარი იყო. დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

პროფ. არონ გურევიჩმა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველმა სრულიად განსხვავებულად შეხედა ადრეული შუა საუკუნეების აგრარულ ყოფას და სულ განსხვავებული აქცენტები დასვა. წმინდა, ნივთიერი, მატერიალური მდგომარეობა კი არ ედო საფუძვლად სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობას გარდამავალ პერიოდში და შუა საუკუნეების დასაწყისში, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ პირადი კავშირები, უშუალო დაქვემდებარება, კომენდაცია. რასაც მოყვებოდა მიწათმოქმედებითი ურთიერთობები, გერმანელი ისტორიკოსის ჰალბანა-ბლიუმენშტოკის თქმით „მიწა კვებავს ადამიანს, მაგრამ არ ამდიდრებს მას“. საზოგადოებრივი ურთიერთობები, უპირატესად, პირად ხასიათს ატარებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, აქ ის ცდილობს კიდევ უფრო მეტად განავითაროს, განავრცოს ფრანგი ისტორიკოსების ჟაკ ჟოფრუა ფლაკის და მარკ ბლოკის შეხედულებები. რა თქმა უნდა, ეს არ წარმოადგენდა ევროპელი ისტორიკოსების შეხედულებების უბრალო გადამღერებას, როგორც ამას ოპონენტები საყვედურობდნენ. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროფ. ევგენია გუტნოვა. პროფ. არონ გურევიჩის წიგნები საბჭოთა ის-

ტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. (14. 19. 20. 21. 22. 23. 24.25) ამის აღიარებას დრო დაჭირდა. დღეს ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონი წარსულს ჩაბარდა. პოზიტიური მიდგომა გახდა დომინანტი (26.27).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკა პროფ. არონ გურევიჩის საინტერესო გამოკვლევებზე აქცენტს არ აკეთებდა და მას დუმილით უვლიდა გვერდს. ეს შრომები ჩვენთვის სტუდენტებისათვის, ფაქტობრივად სრულიად უცნობი რჩებოდა. ამ შრომებს არავინ არ გვისახელებდა, მიგვითითებდა. საბჭოთა მედიევისტიკის ერთი საინტერესო მიმართულება კადრში ვერ ხვდებოდა. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ვითარება უკეთესობისაკენ არც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში შეცვლილა. მართალია, პროფ. არონ გურევიჩის შრომებზე აპელირება შეინიშნება, მაგრამ, ჩვენი აზრით ის, უმთავრესად, პალიატიურ, ზედაპირულ, ხასიათს ატარებს და თვისებრივი, ხარიხობრივი, დატვირთვა არ გააჩნია. ეს იმით გამოიხატება, რომ შუა საუკუნეების აქტუალური პრობლემების გაშუქების დროს ეს არ იგრძნობა და პრიორიტეტულად კვლავ საკითხისადმი დოგმატური მიდგომა გვევლინება. (28). ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და შუა საუკუნეების ისტორიის კარდინალური საკითხების განხილვის დროს პროფ. არონ გურევიჩის კვალს გავყოლოდით და ამ თემატიკას სულ სხვანაირად შევხედეთ. ვცადეთ გაგვეთავალისუფლებინა ის ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსიზმისაგან. (3. 68. 5. 77. 29. 77. 30. 347). საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკა ამ საკითხში თავდაპირველად სწორი გზით მიდიოდა, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფ. გრ. ნათაძის შრომები (31,32). მაგრამ შემდგომში ქართული მედიევისტიკა იძულებული იყო გადაეხვია არჩეული კურსისათვის. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. 30-იანი წლების შუა ხანებში ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბჟუტავი სხივი დიდი ხნით ჩაქრა. (3. 45-81).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა იდეოლოგიის ათვისება სულაც არ ატარებდა ისეთ ტრიუმფალურ ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია გვიხატავდა.

ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად „სტალინიზმის პირველი მსხვერპლი ფილოსოფია იყო“. ეს მოსაზრება, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ ის გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ სტალინმა ერთიანი ფრონტით შეუტია ჰუმანიტარულ დარგებს და ერთი რომელიმე მათგანის გამოყოფა ცალკე, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, გამართლებული არ უნდა იყოს. ჩვენ მაინც მეტად ფრთხილად უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ სტალინის პირველი მსხვერპლი ისტორია უნდა იყოს ანდა ისტორია და ფილოსოფია ერთდროულად. (4. 302).

ჰუმანიტარული დარგები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი შექსპირისეული „ყოფნა არ ყოფნის“ პრობლემის წინაშე იდგნენ. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიუღებლობის ალტერნატივა ამ დარგების ლიკვიდაცია გახლდათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ ისტორიის თეორიული დარგები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფოლოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიიდან ოდნავი გადახრაც კი სასტიკად ისჯებოდა, პირდაპირ მკრეხელობად აღიქმებოდა და ეს ნაშრომი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამიტომ რეგრესი, სტაგნაცია, აქ უფრო თვალშისაცემი ჩანდა, ვიდრე ემპირიული, ფაქტობრივი, ისტორიის, გაშუქების დროს. აქ განძრევის მინიმალური შანსი მაინც არსებობდა.

საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომები იწერებოდა მეტად პრიმიტიული სქემის მიხედვით, ძალზე შაბლონურად, ის რაც ახლოს იყო მარქსიზმთან ძალიან კარგია და მისაღები ჩანს, ხოლო ის რაც შორდებოდა მარქსიზმს, ცხადია,

ძალიან ცუდია და მიუღებელია. ძალზედ მომგებიანი იყო ისტორიული შრომები სათაურით: „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა“. ეს შრომები ადვილად გამოდიოდა, მკაცრ ცენზურას არ გადიოდა, მაგრამ დიდი მეცნიერული სიღრმით არ გამოირჩეოდა. კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა. უხსენებელის დროს საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მიდიოდა. შემდგომში ის ჩაანაცვლა მორალურმა, უსისხლო ტერორმა, რომელიც, რა თქმა უნდა, პირველს ჯობდა და ამ ფონზე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ასეთი ნაშრომი ხდებოდა საყოველთაო განკიცხვის საგანი და ყველაზე უარსესს შემთხვევაში სამსახურიდან შეიძლება დაეთხოვეთ. ეს, ცხადია, ძალიან ცუდია, მაგრამ მის უარესს მაინც ჯობდა. ისტორიის ფილოსოფია და ისტორიის მეთოდოლოგია ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ფაქტობრივად სულს ღაფავდა. ის ჩაანაცვლა ორთოდოქსულ-ბოლშევიკურმა, სტალინური ტიპის, ისტორიულმა მატერიალიზმმა, ისტორიკოსის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა ისტორიული მატერიალიზმის დებულებების ილუსტრაციაში.

ემპირიის, ფაქტოლოგიის, სფეროში დაწერილი გამოკვლევების მკაცრად განსჯა მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. დიდი არჩევანი არ არსებობდა ან უნდა შეგუებოდი ამ ვითარებას ან სხვა გზა უნდა აგერჩია. ახალი უფრი ნეიტრალური პროფესია მოგეძებნა. არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. ქართველმა ისტორიკოსებმა ჩათრევას ჩაყოლა არჩიეს და ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. იმ ექსტრემალურ ვითარებაში ეს სწორი ნაბიჯი იყო. ისინი ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებდნენ. მარქსისტული აპკში ახვევდნენ. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწომილად არ მიგვაჩნია. ეს ამ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი პრაგმატული, პრაქტიკული, გამოსავალი ჩანდა, რომელმაც დარგი გადაარჩინა დაღუპვას, რისი დიდი ალბათობა არსებობდა. თუ არა ეს კომპრომისი ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე მსოფლიო ისტორიაში გაგვაჩნდა. მაშინ ამ გზით ძალიან

ბევრი მიდიოდა და მათი გამტყუნება ძნელია, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური უნდა იყო.

იყო ამ რთული სიტუაციიდან კიდევ ერთი გამოსავალი, ცხადია, მხედველობაში გვაქვს შინაგანი ემიგრაცია. საქართველოში მოღვაწე ისტორიკოსის ნიკოლოზ დუბროვსკის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია. თუ საქართველოს გასაბჭოებამდე ის შედარებით ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა, გასაბჭოების შემდეგ მან შეწყვიტა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ფაქტობრივად, მეტი აღარაფერი დაწერა. შინაგან ემიგრაციაში წავიდა, რაც არსებითად ხარაკირის ტოლფასი იყო. მისი სულიერი ტრაგედია, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ეს იყო ერთი გზა, (3.5-21). არის მეორე გზაც ისინი ირჩევენ ვიწრო სპეცილობას, ამუშავებენ კონკრეტულ თემატიკას, ყოველგვარი ფართო განზოგადების გარეშე. რადგან განზოგადების შემთხვევაში თავიდან ვერ აიცილებდი ერთი გაბატონებული იდეოლოგიის მონოპოლიას.

რა თქმა უნდა, მარქსიზმი არ გახლავთ ხელწამოსაკრავი მოძღვრება, მაგრამ მისი აპოლოგეტური შეფასება, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტაციად გამოცხადება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მას როგორც ნებისმიერ სხვა მოძღვრებას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. „მისი ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ შესანიშნავად აკრიტიკებს თავისუფალი მეწარმეობის და საბაზრო ეკონომიკის სუსტ მხარეებს. ეს ეხება აგრეთვე მარქსიზმის მიდგომას საზოგადოებისადმი, როგორც ერთიანი სისტემისადმი და მის მიერ მითითებულ ისტორიის განვითარების მთელ რიგ მამოძრავებელ ძალებს. რას გვთავაზობს ამის სანაცვლოდ მარქსიზმი? ის პრაქტიკულად ავითარებს სოციალისტური თანამშრომლობის და გეგმიანი ეკონომიკის იდეას. ეს კი, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, კიდევ ერთი მავნე უტოპია იყო. რომელიც დაგვირგვინდა ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნით და მისი სავალალო შედეგებით“.

„სერიოზულად მოიკოჭლებს მარქსიზმის ისტორიის ფილოსოფია. დღეს უკვე მოძველებულია მარქსისტული მოძღვრება სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების, ისტორიის მონისტური

პრინციპის, ისტორიული პრობლემებისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომა. ბაზისის და ზედნაშენის ურთიერთმიმართება. არ გაამართლა არც ახალ საწარმოო ურთიერთობებზე მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გზით გადასვლის იდეამ. პროლეტარიატის გაღატაკებაზე აპელირება მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებამდე იყო დამაჯერებელი და არ შეესატყვისებოდა XX საუკუნის რეალიებს. მარქსიზმი ცხოვრებას მოწყდა და ფიასკო განიცადა". (14. 102-103) აი ამ გაკოტრებულ მარქსიზმს, ისიც მისი ყველაზე უფრო უარესი ფორმით, საბჭოურ ბოლშევიკური, სტალინური ინტერპრეტაციით, გვიჩიჩინებდნენ დიდი ხნის განმავლობაში.

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესზე აპელირება აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მეტად პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. მოუსმინოთ აკად. დავით ჩხიკვიშვილი „ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ და მას ბევრი თვალსაჩინო მიღწევა აქვს" (33.5). ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე ეს ნამდვილად ასეა და ამაზე არც არავინ დაობს, აქცენტების სწორი დასმა ასე წარმოგვიდგენია. ამგვარ აპოლოგეტურ მიდგომას მკვეთრად გამოკვეთილი კონიუნქტურული ელფერი დაკრავს. დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ბუნებრივია, გააჩნია, თავისი პლუსები და მინუსები და ამიტომ მისი ქება-დიდება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს. ვიყოთ ადეკვატურები. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ამ პრობლემისადმი ხისტი მიდგომა ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. მეტად მკაცრად მიგვაჩნია ისტორიკოსის გია ჯოხაძის მოსაზრება. „შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია აღარც განვითარებულა" (34.18) ეს სულ სხვა უკიდურესობაა. ამგვარი დამოკიდებულება ძალზე სწორხაზოვნად, ცალმხრივად, მიგვაჩნია.

სინამდვილე არ იყო ასეთი მარტივი. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ადვილი საქმე არ იქნება. მხოლოდ ვარდისფერი და მუქი საღებავები საკმარისი არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე დიდი ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია წინ წავიდა, განვითარდა, შეინარჩუნა ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის სიმაღლე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, მეტი წინ აღარ წასულა. მისი ევროპული განვითარება აქ შეჩერდა. ჩვენი ღრმა რწმენით, თუ არა პოლიტიკური მოვლენები, ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული გზით განვითარება გაგრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით, ეს, ჩვენი აზრით, დიდი ივანე ჯავახიშვილის გზის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. იწერება მრავალი კონკრეტული გამოკვლევა, რომელიც იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია და მისი უგულებელყოფა. ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. ეს მედლის ერთი მხარეა. მას გააჩნია მეორე მხარე. ახლა მას მოდი ამ კუთხის შევხედოთ განზოგადოების, ინტერპრეტაციის, თვალსაზრისით პოზიტივზე აქცენტირება ძალზე ძნელი იქნებოდა. ქართული ისტორიოგრაფია იძულებულია ხარკი მოუხადოს, ანგარიში გაუწიოს, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნება. ასე გვესახება ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შუქჩრდილები და მისი გამომწვევი მოტივები. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, მთავარი განსხვავება ევროპულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით, სწორად, ამაში მდგომარეობს. ჩამორჩენის გასაღები, ვფიქრობთ აქ უნდა ვეძიოთ.

ერთ შემთხვევაში ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე, რაც ივანე ჯავახიშვილის საქმის გაგრძელებად შეიძლება იქნას მოაზრებული. პოზიტივისტური ისტორიოგრაფია ერთ ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამას კი ივანე ჯავახიშვილის გზის გაგრძელება ძნელია უწოდოთ. (1. 17-18).

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისა, შეიძლება ითქვას, რომ რაღაც პოზიტივი მაინც იყო და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, ცხადია, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ისევე ძალაში რჩება და ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი დადებითი მხარეა, მაგრამ, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, როგორც აქ, ისე სხვაგან, მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსიტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ისტორიას არ ეხერხება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყევართ. საბოლოო ჯამში საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. გარკვეული პოზიტივი იყო. იწერებოდა საინტერესო კონკრეტული გამოკვლევები და ამის უგულებელყოფა ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ". ამ შრომებს ეპოქისათვის ნიშანდობლივი კონიუნქტურული გადახრების მიუხედავად, ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე შენარჩუნებული იქნა ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეა. მაგრამ მან განიცადა ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის მავნე რადიაცია. ეს იმით გამოიხატა, რომ

პოზიტივისტური ისტორიოგრაფია მარქსისტულ-ლენინური აპკ-ში იქნა გახვეული. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიული მეცნიერება პოზიტივიზმის და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჰიბრიდს წარმოადგენს. მათი შერწყმა, შეხამების, მცდელობად გვევლინება. მათ შორის იმაზე უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს, ვიდრე ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე მან შეინარჩუნა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე, მაგრამ იძულებული იყო მოეცა მისი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია. პრობლემის არჩევა არის მეცნიერული და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. მისი გადაწყვეტა კი მარქსისტულია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე ისინი პოზიტივისტები არიან. ცენტრში აყენებენ ისტორიული ფაქტის აღწერა-თხრობას, (35) ხოლო პოზიტივისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფართო განზოგადოებას ფრთხილად ეკიდებიან და სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, ისინი ფაქტების ინტერპრეტაციას სულაც არ ერიდებიან და ცდილობენ ეს ფაქტები ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინიური პოზიციებიდან გააშუქონ და საკითხის მარქსისტული-ლენინური ინტერპრეტაციას გვთავაზობენ. ეს იყო პოზიტივისტური ისტორიოგრაფია მისი ყველაზე ცუდი ფორმით, ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციით. ასე თავისებურად იქნა აღქმული საბჭოთა რეალობაში პოზიტივისტური ისტორიოგრაფია. ეს იყო ევროპული ღირებულების ცალხრივი გააზრების საუკეთესო ნიმუში.

ქართული ისტორიოგრაფია პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღვარზე შეჩერდა. როგორც ვნახეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ პოზიტივისტური მიმართულება მარქსისტულ სამოსში გამოაწყო. ამის იქით ის არ წასულა. ეს იყო ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღე. ამის შემდეგ ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესების და სიახლეების მიმართ საბჭოთა ისტორიოგრაფია ძალზე ნიჰილისტურად იყო განწყობილი, ინდიფერენტულად ეკიდებოდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მას ან დუმილით უვლიდა გვერდს, ანდაც, რაც კიდევ,

უფრო უარესი იყო, თუ ეხებოდა მას უკიდურესად უარყოფითად ეკიდებოდა, რომელიც ამ საკითხებზე ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ვერ გვეხმარებოდა. ნათქვამი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეეხება ნეოკანტიანელების მოძღვრებას (36. 37. 38. 39). და „ანალების" სკოლის ისტორიკოსების საქმიანობას (40. 41).

ნეოკანტიანელებზე თუ იწერებოდა რაიმე, მხოლოდ უარყოფითი, ნეგატიური. მათ ეპისტემოლოგიური ძიებებში, სერიოზული ჩაღრმავებაზე მასში გარკვევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ნეოკანტიანელები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდ ხნის განმავლობაში პერსონა ნონგრანტად რჩებოდნენ, ხოლო მათი შრომები მხოლოდ უარყოფით ასპექტში მოიხსენებოდა. საკითხისადმი ასეთი ნეგატიური დამოკიდებილება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და კანტის და მისი მიმდევრებისადმი კ. მარქსის უარყოფითი დამოკიდებულების გამოძახილია, ლოგიკური გაგრძელებაა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, როდესაც პროფ. ალექსანდრე ნეუსიხინი შეეცადა შედარებით უფრო ობიექტურად გაეშუქებინა ეს თემა და დაეახლოებინა მარქსი და მაქს ვებერი, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ძირშივე იქნა აღკვეთილი და პირდაპირ ოსტრაკიზმა მოუწყვეს. (42.478-497). ყველაფერი ეს ძალიან ადვილი გასაგებია და, უმთავრესად, იმით იყო განპირობებული, რომ ნეოკანტიანელების ეპისტემოლოგიური ძიებები ძალზედ შორს იყო მარქსიზმისაგან და არ შეესატყვისებოდა მის ისტორიის ფილოსოფიას. კარლ მარქსი, ჰეგელის მსგავსად, პანლოგიზმის მიმდევარი გახლდათ და მხარს უჭერდა წარსულის უპრობლემო აღქმას, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ ნეოკანტიანელები (4. 144-164).

სავსებით ვეთანხმებით პროფ. არონ გურევიჩს რომ „საბჭოთა ისტორიკოსების თვალში მარქსისტულ-ჰეგელიანურმა მიდგომამ საბედისწეროდ დაფარა მეორე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი მეთოდოლოგიური მიმართულება XX საუკუნის ისტორიულ მეცნიერებაში" (43.24). აქ, რა თქმა უნდა, საუბარია ნეოკანტიანელების ეპისტემოლოგიურ ძიებებზე. ვფიქრობთ, ამის

გამოძახილთან უნდა გვქონდეს საქმე, XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ეს შეიძლება ითქვას აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიულ შეხედულებებზე, როგორც საქართველოს გასაბჭოებამდე, ისე მის მერე. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ წარსულის უპრებლემო აღქმის მომხრედ უნდა იქნას მოაზრებული თვით, დიდი ივანე ჯავახიშვილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ის მხარს უჭერდა ჰეგელის პონლოგიზმს. ეს ტენდენცია, ვფიქრობთ, შეინიშნება პროფ. გურამ ყორანაშვილის შემოქმედებაში.

გაცილებით უფრო პოზიტიური იყო „ანალების" სკოლის ისტორიკოსების მიმართ საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი. საქმე ისაა, რომ ნეოკანტიანელებისგან განსხვავებით, საბჭოთა ისტორიოგრაფია „ანალების" სკოლას აღიქვამდე, როგორც მარქსიზმთან უფრო ახლოს მდგომ მიმდინარეობას, ვიდრე ნეოკანტიანელებს და ამიტომ განსხვავებით ნეოკანტინელებისა მათ მიმართ გაცილებით უფრო მეტად კეთილგანწყობილი ჩანდა. ამაში არის ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი და მაინც მიუხედავად ამისა ამგვარი ხედვა საკამათო შეიძლება იყოს. „ანალების" სკოლის წარმომადგენლების და, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მარკ ბლოკის დაინტერესება სოციალ-ეკონომიკური ისტორიით, არამც და არამც არ უნდა ასოცირდებოდეს მარქსიზმთან, რადგან ამ შემთხვევაში მათ საწყისი პოსტულატები გააჩნდათ სრულიად განსხვავებული (44). თავად საბჭოთა ისტორიოგრაფია აღიარებდა, რომ ფრანგი ისტორკოსებისათვის და მათ შორის მარკ ბლოკისათვის, აბსოლუტურად მიუღებელი იყო მარქსიტული მოძღვრება სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მარქსისტული კონცეფციის მთავარ ამოსავალ წერტილს. ეს პრინციპული განსხვავებაა, რომელზეც თვალის დახუჭვა არ ეგების და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. უეჭველად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ანალების" სკოლის ისტორიკოსები არ იზიარებდნენ ისტორიის მონისტური მიდგომის პრინციპს. ისინი მხარს უჭერდნენ ისტორიის პლურალისტურ ახსნას. ფრანგმა ისტორი-

კოსმა ჟაკ ლე გოფმა გამოთქვა მეტად ფრთხილი ვარაუდი, რომ „მარქსიზმთან დაპირისპირება, შეიძლება იყო „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სისუსტე“. საბჭოთა ისტორიოგრაფია კიდევ უფრო კატეგორიული იყო და აცხადებდა „არა შეიძლება არამედ უეჭველად“. ასეთი კატეგორიული ტონი, ცხადია, მიუღებელია და ძალზე დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ის მეტად ხისტი უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საინტერესოა ფრანგი ისტორიკოსის ჟ. გლენისონის მოსაზრება, რომ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები „თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს იღებდნენ, არა კარლ მარქსისაგან, არამედ ფრანსუა სიმინისაგან“. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ გერმანელ ისტორიკოს გერჰარდ რიტერს, თითქოსდა „ანალების“ სკოლა მარქსიზმით იყო დაავადებული“. აქ მკაფიოდ მოჩანს „ანალების“ სკოლისადმი მისი უკიდურესი უარყოფითი დამოკიდებულება. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. და ბოლოს კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც დამახასიათებელია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის აკად. ალექსანდრე ნაროჩნიცკის თქმით „მარკ ბლოკის წიგნის რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა“ (14, 177). პირიქით, უფრო სწორი იქნებოდა. ეს იყო იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ერთ-ერთი ნათელი სხივი. ეს, უდაოდ, სწორი ნაბიჯი იყო. (4. 188-232). განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ საკითხებზე საბჭოთა პერიოდში ქართულ ენაზე თითქმის არაფერი დაწერილა. ამ ფონზე ერთგვარ გამონაკლისად გვევლინება პროფ. ედუარდ კოდუას წიგნი „ისტორიის ფილოსოფია“ (45). და პროფ. გივი კილურაძის წიგნი „ახალი ისტორია“ (46) რომლის პირველი ნაწილი სულ მთლიანად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს.

არის კრიზისის სხვა მიზეზი და მასზეც უნდა ითქვას. დავიწყოთ იქიდან, რომ საარქივო მასალა დიდი ნაწილი მკვლევართათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ეს, ცხადია, შესამჩნევად აფერხებდა კვლევის პროცესს. ართულებდა ამა თუ იმ ეპოქის ადეკვატური ისტორიის შექმნას. ამას ემატებოდა ისიც, რომ მთელი რიგი

თემები ტაბუდადებული იყო. მეტად გაძნელებული იყო უახლე-სი საზღვარგარეთული ლიტერატურით სარგებლობა. ფაქტობრი-ვად, არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში ძალიან შეზღუდიული იყო. საერთაშორისო კონტაქტები. საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. არადა ასეთი კონტაქტები საჭიროა და ხელს უწყობს ისტორიკოსის მეცნიერული ზრდის პროცესს. ქართველი ისტორი-კოსების დიდი ნაწილი მსოფლიო ისტორიოგრაფიისაგან მოწყვე-ტილი აღმოჩნდა. დღეს ეს მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა და ეს, ცხადია, კარგია, წინგადადგმული ნაბიჯია.

ქართული ისტორიოგრაფია საბჭოთა წლებში საკუთარ წვენ-ში იხარშებოდა და პოზიტივისტური და მარქსისტული ისტო-რიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს ვერ გაცდა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული ისტორიოგრაფია ჩამორჩა, ფეხი ველარ აუწყო საერთაშორისო სტანდარტებს და მისი განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა პოზიტივისტურ და ვიწრო-დოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ისტორიული მეცნიერების ხვალინდელი დღეა კი არ არის, არამედ გუშინდელი. ერთი იდეო-ლოგიის მონოპოლია ხელს კი არ უწყობს ისტორიული მეცნიე-რების წინსვლას, პროგრესს, არამედ აფერხებს მას. ასეთი იყო რეალობა, რომლის არც შელამაზებულად, ვარდისფერებში წარ-მოჩენა და არც გამუქება სასურველი არ უნდა იყო. ჭეშმარიტე-ბა, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს.

50-იანი წლების დასაწყისში, უხსენებელის გარდაცვალების შემდეგ, დასრულდა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიო-გრაფიის მეორე ქვეპერიოდი. „სტალინური ხანა“, რომელიც წმინდა თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან უფერული იყო. ამის შემდგომ იწყება მესამე ქვეპერიოდი, რო-მელიც დასრულდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაი-შალა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ არსებობა შეწყვიტა. ის წარსულს ჩაბარდა. მესამე ქვეპერიოდი, პოლი-ტიკური ნიშნის მიხედვით, ორი ეტაპისაგან შედგება „დათბობის

ხანა“, რომლისათვისაც ნიშანდობლივია „იდეური დაბნეულობა“ და „უძრაობის პერიოდი“.

თავდაპირველად იგრძნობოდა გარკვეული გამოცოცხლება, რაც, უწინარესად, იმით გამოხატებოდა, რომ აშკარად შესამჩნევი გახდა თეორიული საკითხებისადმი დაინტერესება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და „სტალინური ხანის“ შემდეგ გარკვეული წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მაგრამ ის ზედაპირულ ხასიათს ატარებს და უმთავრესად, შეეხებოდა ყველაზე უფრო ოდიოზურ სტალინურ დოგმებს. ასე მაგალითად უხსენებელის თეზისს ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის დროს „მონათა რევოლუციას“ შესახებ, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა ისტორიულ რეალობასთან და უბრალოდ თითიდან გამოწოვილი არგუმენტი გახლავთ (47). ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მარქსიზმის ვულგარიზაციის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. უხსენებელმა კარლ მარქსის თეზისი, რომლიც შეესტყვისებოდა შუა საუკუნეებიდან ახალი ისტორიაზე რევოლუციური გზით გადასვლას, სცადა ხელოვნურად გაევრცელებინა მთელს მსოფლიო ისტორიაზე. ამ მცდელობამ სრული კრახი განიცადა ავთენტური მარქსიზმიდან ძალზე შორს იყო. შემდგომი მონაკვეთის „უძრაობის ხანის“ დროს ამ ენთუზიაზმა თანდათან იკლო და გასრულდა. ლეონიდ ბრეჟნევის დროს ხელისუფლება უკვე აღარ იყო ისეთი ძლევამოსილი როგორც სულ ცოტა ხნის წინ, სტალინურ ხანაში, მაგრამ ზიანის მიყენება შეეძლო და თუ ხელსაყრელი შანსი მიეცემოდა. ამას ხელიდან არ გაუშვებდა. სტალინისტური რეჟიმი შორს არ წასულა. ამ პერიოდში სისტემის მარაზმი ფანტასტიკურ მასშტაბებს იღებს. ამ მარაზმის გამოძახილს, ბუნებრივია, ისტორიოგრაფიაშიც ვხედავთ. ის ერთ ადგილზე ტკეპნის და წინ არ მიდის, აღარ ვითარდება. რეპრესიების ფორმა შეიცვალა. ფიზიკური ტერორი, რომელიც იყო უხსენებელის დროს, ადგილს უთმობს მორალურ, უსისხლო, ტერორს, სამსახურობრივ დევნას, შევიწროებას. მრავალრიცხოვან მორალურ ტრავმებს, ადამიანური ღირსების შებღალვას. ეს, ცხადია, არავის არ აღელვებდა. მათი სიფილისტიკი ბელადი ამბობდა, რომ „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი“.

მას მხარს უბამდა მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი პარანოიკი „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“, „უძრაობის ხანაში“ ეს ცოტა ლიბერალური ფორმით ხორციელდებოდა. შინაარსი იგივე იყო. ადამიანის უფლებები ფეხქვეშ იყო გათელილი. ყველაფერი ეს ძალიან შორს იყო ცივილიზებული სახელმწიფოს პრინციპებისაგან. „ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორი და ყველა მათგანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით, მათ რიცხვს განეკუთნება. სიცოცხლე, თავისუფლება, და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. (48. 217). „ბოროტების იმპერია“ სულ სხვა იყო. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საბოლოო ჯამში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური, სასიკვდილო, ხასიათი შეიძინა. საბჭოთა ისტორიოგრაფია თავისი პლუსებით და კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი მინუსებით, წარსულს ჩაბარდა.

„საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის უცხო იყო ჯანსაღი ძალების კავშირი, შემოქმედებითი ურთიერთობები. ეს შინაგანი გათიშულობა, უუნარობა, გაერთიანდნენ წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც მგონი, წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საქმეში...... მთავარია შემოქმედებითი შეჯიბრი, ჰუმანიტარებს შორის მჭიდრო კონტაქტები“, (14. 173). დასძენს პროფ. არონ გურევიჩი. ვფიქრობთ, ამგვარი ამოცნების წინაშე დგანან დღეს ქართველი ჰუმანიტარები. მცირე კომანტარით შემოვიფარგლებით. აქ ცნობილ მეცნიერს, ცხადია, მხედველობაში აქვს ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერების წინსვლას. პროგრესს და არა მოჩვენებითი კონკურენტუნარიანი გარემო, როგორც ეს ხდება თანამედროვე საქართველოში, რომელსაც მხოლოდ წინსვლის ილუზია შეუძლია შექმნას. (1. 82-139).

საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება უარყოფითია. რაც, უპირატესად, იმითაა განპირობებული, რომ, ჩრდილი უფრო მეტია, ვიდრე შუქი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია. ყავლი გაუვიდა. ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის უსაშველო ლანძღვა-გინება, აუგად მოხსენიება, მოთხრა და მიწასთან გასწორება ცხადია, არ ღირს, საქმის რეალური ვითარებას ამუქებს, ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. რომელიც, სხვათა შორის, ზოგჯერ წამოყოფს თავს პოსტსაბჭოთა წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. როგორც უკვე ითქვა, წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო გზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. იყო დადებითი, რომელზეც თვალს ვერ დავხუჭავთ. ამავე დროს იყო ბევრი პრობლემები, მაგრამ „წყალს ბავშვს ნუ გადავაყოლებთ". ეს სწორი არ იქნება. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე, მაგრამ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. საბჭოთა ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ნაზავთან, ჰიბრიდთან. აქვე დავძენთ იმასაც, რომ მათ შორის მსგავსება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. კიდევ ერთი საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა. ეს იყო ისტორიული მეცნიერების არა ხვალინდელი, არამედ გუშინდელი დღე. ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. უკან გზა პოზიტივიზმის და მარქსიზმისაკენ აღარ არსებობს. ეს კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს.

***

მაშ ასე, ჩვენ ვცადეთ შეგვემუშავებინა ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა. მისთვის სულ სხვა კუთხით შეგვეხედა. მოგვეძებნა საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თავი დაგვეღწია მოჯადოებული წრისათვის. თავიდან აგვეცილებინა ამ საკითხისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულება ანდაც მისი შეუფასებლობა და ამ საკითხის უფრო ობიექტური სურათი დაგვედო, ვიდრე ეს აქამდე იყო. შევეცადეთ საინტერესო დასკვნები გაგვეკეთებინა.

დავიწყოთ იმით, რომ ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება ყოველთვის იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული, რომლის მთავარ ტონისმიმცემად, რა თქმა უნდა, სტალინი გვევლინება. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მან საძირკველი ჩაუყარა აღნიშნული საკითხისადმი არამეცნიერულ მიდგომას. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული თემის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს გაცილებით უფრო რეალისტურად შევხედოთ ამ რთულ პრობლემას, რისი დეფიციტი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ნამდვილად შესამჩნევი იყო.

ჩვენი ღრმა რწმენით, საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე. ეს ცხადია, ძალიან კარგია და მის პლუსს წარმოადგენს. ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის. ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე, რომელიც, უპირატესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ამ პროცესმა ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამიერიდან განვითარებას განსაზღვრავდა არა ის ნოვაციები და სიახლეები, რომელიც ხდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ პოლი-

ტიკური ქარტეხილები, რომლის დეფიციტს საბჭოთა რეალობა ნამდვილად არ განიცდიდა. მთავარი განსხვავება საბჭოთა და ევროპულ ისტორიოგრაფიას შორის, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი პრობლემა ეს გახლავთ. ის პოლიტიკური ხასიათის იყო და არა აკადემიური. სწორედ, სტალინის ძალისხმევით, სახელმწიფო აქტიურად ერევა მეცნიერებაში და ცდილობს ძალით მოახვიოს თავს მეცნიერს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. მას არჩევანის საშუალებას არ უტოვებს. წარსულისადმი მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ისტორიული რეალობა ეწირებოდა, ვიწრო პარტიულ ინტერესებს. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ძვირფასი აღმოჩნდა სტალინისათვის, ვიდრე წარსულის ობიექტური სურათი. ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. ცარიელი ფრაზები იყო.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა. სხვა მიმართულება მიიღო. მას საფუძვლად ედო არა წმინდა აკადემიური მოტივები, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორი. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ვერ გაცდა პოზიტივისტური და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებს და, ჩვენი აზრით, მის საზღვარზე მოუწია შეჩერება. მეტი წინ აღარ წასულა. საბჭოთა ისტორიოგრაფია არის ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოქცეული პოზიტივისტური ისტორიოგრაფია. მათ შორის იმაზე გაცილებით უფრო მეტი კავშირი არსებობს, ვიდრე აქამდე ეგონათ. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელმა ვიწრო ემპირიზმმა, შიშველმა ფაქტოლოგიამ, ისტორია თხრობამ, უპრობლემო ისტორიამ, მარქსისტული ინტერპრეტაცია შეიძინა. სტალინმა პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას შეუხამა.

ასეთი იყო რეალობა, რომელიც ბუნებრივია, საბჭოთა წლებში ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებო-

და. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა პერიოდის იდილურ ვითარებას ხატავდნენ და აქცენტს აკეთებდნენ მის მიღწევებზე, ხოლო პრობლემებზე დუმილს ამჯობინებდნენ. რეალობა კი სულ სხვა იყო. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას პლუსებზე მეტი ნაკლი გააჩნდა და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, უწინარესად, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულების გამოძახილს ვხედავთ. რაც, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სტალინის დამსახურებაა.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენდა ძველი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჰიბრიდს. მეტი ის წინ აღარ წასულა, არ განვითარდა. ყველაფერი ეს ისტორიული მეცნიერების წარსულთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე ხვალინდელ დღესთან. ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა იყურებოდეს და არა უკან. ეს მისი მთავარი მინუსი იყო. როგორ შეიძლება დავაღწიოთ თავი ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქისტულ-ლენინური იდეოლოგიის, რომელსაც ავთენტურ მარქსიზმთან არაფერი საერთო არა აქვს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეს. ეს საუბარი ცალკე თემაა და მასზე წვრილად შევჩერდებით ამ წიგნის შემდეგ მონაკვეთში.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ისტორიოგრაფიის განსხვავებულ შეფასებას. მეტი დამაჯერებლობისათვის, კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს. დავიწყოთ პოზიტივით. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი. ეს საკმაოდ თვალშისაცემი უნდა იყოს და ამის უგულებელყოფა, ცხადია, არ ივარგებს. საინტერესოა მათ შრომებში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, ახალი წყაროები და გამოვლენილი საარქივო დოკუმენტები, რომლის ერთი ნაწილი მათ პირველად შემოიტანეს სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს სიახლე იყო, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და ამ

მასალის გამოყენება გამორიცხულად არ მოგვაჩნია. დღეს მას, ცხადია, სულ სხვა ინტერპრეტაცია გაუკეთდება.

ისტორიკოსები ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციიდან აშუქებდნენ, მარქსიტულ აპკში ახვევდნენ. მაშინ ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს არცაა გასაკვირი და იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. საქმე გვაქვს საკითხის წმინდა პრაგმატულ, პრაქტიკულ, გადაწყვეტასთან. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა გამართლებული არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ფართო არჩევანის საშუალება არ იყო. ქართველმა ისტორიკოსებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს, არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. მათ ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მიდგომა, მათი პოზიციის ერთ-ერთი მთავარი ღირსებად მიგვაჩნია. ისინი შეეცადნენ არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური. რაღაცა გამოვიდა. ამგვარი გამოსავალი, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ გახლავთ განპირობებული. ის ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია. მას გააჩნია თავისი დადებითი მხარეები. ჯერ ერთი ამან გადაარჩინა დარგი დაღუპვისაგან. რისი დიდი ალბათობაც არსებობდა და მეორე თუ არა ეს კომპრომისი მაშინ მშობლიურ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია. მიუხედავად, საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი კონიუნქტურული გადახრებისა, ამ შრომებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. თუ მას მარქისტული გარემოს ჩამოვაცლით, მასში ღირებული მაინც რჩება და სწორედ ეს უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ ვერავითარი ნიჰილიზმის საფუძველს ვერ ვხედავთ. ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო ადეკვატური იქნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პოზიტივი მხოლოდ ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, სფეროთი არ შემოიფარგლება. საკითხისადმი

მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, არსად არ წასულა, არ გამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, აქაც და სხვაგანაც, მან საბჭოთა წლებში ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწრო-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. მას მოჰყვა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა მოიაზრებოდა, როგორც ერთადერთი სწორი მეცნიერული თვალსაზრისი. სტალინის ძალისხმევით საბჭოთა ისტორიოგრაფიას გაუჩნდა ისტორიული ჭეშმარიტების მონოპოლიზირების პრეტენზია. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური, სასიკვდილო, ხასიათი შეიძინა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო წარსულისადმი მრავალვარიანტული მიდგომა. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო. იდევნებოდა, ითრგუნებოდა, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. სახელმწიფო ცდილობს ჩაერიოს მეცნიერების საქმიანობაში და ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. აი, სწორედ, ეს იყო ყველაზე უფრო მიუღებელი. ამიტომ მოსაზრება, რომ საბჭოთა პერიოდში თითქოს სახელმწიფო არ ერეოდა ისტორიკოსის საქმიანობაში კიდევ ერთი ილუზიაა, რომელიც რეალური ფაქტებით არ დასტურდება. პირიქით. სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. იყო მოაზროვნე ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი, რომელიც ცდილობს არ შეეგუოს ამ ვითარებას და წინააღმდეგობას უწევდა. იწყებოდა ხელების გადაგრეხის ესოდენ ნაცნობი სურათი. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერს პროფ. არონ გურევიჩი წარმოადგენდა. სულიერი ატმოსფერო იყო ძალიან მძიმე. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ისტორიკოსე-

ბი იძულებული იყვნენ ელაპარაკათ ერთი და წერდნენ სულ სხვას. მათი პიროვნული ტრაგედია, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ჩრდილი აშკარად დომინირებდა შუქზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარი ნაკლი სწორედ ამაში მდგომარეობდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ისტოროკოსს, ეს სწორი არ იქნება, არამედ ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელმაც არჩევანი არ დაუტოვა ისტორიკოსს. ყველაზე უფრო მთავარი წაართვა თავისუფალი აზროვნების უფლება. ასეთი მძიმეა ისტორიკოსის ხვედრი ტოტალიტარული სახელწიფოს პირობებში.

ასე დაუახლოვდა ამ თემის განხილვა კიდევ ერთ დიდ და სერიოზულ პრობლემას. მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის დროს. საბჭოთა პერიოდში ამ თემაზე, ცხადია, კრინტს არვინ ძრავდნენ და დუმილით უვლიდა გვერდს. ჩვენ ვცადეთ გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი და ამ თემას საგანგებო ყურადღება მივაქციეთ. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვენით. (3. 16,17).

ჩვენ გაგვაჩნია აღნიშნული საკითხის საკუთარი ვერსია. ეს ცხადია, ძალიან კარგია. მთავარია, სწორედ, ეს უნდა იყოს. მას არ აქვს ჭეშარიტების უკანასკნელი ინსტანციის პრეტენზია, რადგან კარგად გვესმის, რომ ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ჩვენთვის უფრო მისაღებია სულ სხვა პრინციპი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უცხო და მიუღებელი იყო. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა." აქ ყველაზე უფრო კარგადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის საპირისპირო იყო.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებისათვის მწვანე შუქის ანთების პირველი ფაზა იყო. დაიწყო უკანსვლა. თამასამ აშკარად დაიწია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაინც საკმაოდ მაღალ დონეზე დარჩა. ამას აქვს მნიშვნელობა, შემდგომ პერიოდში ვარდნა კი არ შეჩერებულა, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, არამედ გაგრძელდა და კიდევ უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა. საბჭოთა სკოლა იყო ერთი ისტორიო-

გრაფიული მიმდინარეობა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. მისი მთავარი თავისებურება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ღირსებებზე უფრო მეტი ნაკლი გააჩნია. ასე გვესახებოდა ჩვენ ეს აქტუალური თემა. თეორიული, წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება მისი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. საბჭოთა ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან, რომელსაც პლუსებზე მეტი მინუსები გააჩნია.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას საკმაოდ არასახარბიელო მემკვიდრეობა ხვდა წილად, ერთის მხრივ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის, ხოლო მეორეს მხრივ კი, ერთი, ვიწროდგომატურად გაგებული, მარქისტულ-ლენინური იდეოლოგიის სახით.

## ლიტერატურა


1. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილები მეორე, თბ., 2019.
2. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიოს ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII საფაკულტეტო კონფერენცია თბ., 2015.
3. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
4. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილები პირველი, თბ., 2011.
5. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
6. მ. კალანდაძე, სტალინური იდეოლოგიის მცდარი შეხედულებები მსოფლიოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. მსოფლიო ისტორიის კათედრა., XII სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 2019.
7. „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471 აღწერა 19, საქმე 4 და 5.
8. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტრები, დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბ., 2004.
9. ვ. გურული, ჯვარცმულთა უკვდავება და ჯვარცმელთა სირცხვილი, თბ., 2011.
10. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999.
11. დ. ცინცაძე, ეს ჩვენი ისტორია, თბ., 2003.

12. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლიციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, (1917-1921) თბ., 1970.
13. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი პირველი, თბ., 1994.
14. А. Гуревич, История историка, М., 2004.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8. თბ., 1980.
16. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004.
17. M. Kalandadze: Usangi Sidamonize – ein Opfer. des totalitazen Regimes, Georgica, 28. 2005.
18. М. Бахтин, творчество Фрамеда Рабле и народная культура среднивековая и Ренессанса, М. 1965.
19. А. Гуревич, Проблемы генезиса феодализма, М., 1970.
20. А. Гуревич, история и сага, М., 1972.
21. А. Гуревич, походы викингов, М., 1966.
22. А. Гуревич, Норвежское общество в ранее средневековье, М., 1977.
23. А. Гуревич, категория средневековой культуры 2-е изд. М., 1984.
24. А. Гуревич, Культура и общество средневековой европы глазами современников, М., 1989.
25. А. Гуревич, Средневековый мир: культура безмолвствующего большинства, М., 1990.
26. Культура и история (ответы д.и.н. проф. А. Я. Гуревича на вопросы редакции журнала), Новая и новейшая история, №1. 1991.
27. В. Хачатурян, Мир глазами средневекового человека (по исследованиям А. Я. Гуревича), Преподавание истории в школе, №4. 1994.
28. შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, თბ., 2004.
29. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
30. მ. კალანდაძე, მარკ ბლოკის „ფეოდალური საზოგადოება“,

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2. 2007.
31. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926.
32. გრ. ნათაძე, ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI. თბ., 1925.
33. დ. ჩხიკვიშვილი, მთავარი რადაქტორისგან, ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 1. თბ., 1979.
34. გ. ჯოხაძე, Terra Historia, თბ., 2015.
35. Ш. Ланглуа, Ш. Сеньобос, Введение в изучение истории, СПБ., 1899.
36. Г. Рикерт, Философия истории, СПБ., 1908. В. Вилдельбанд, Прелюдии, СПБ., 1904.
37. М. Вебер, Избранные произведения. М., 1989.
38. Эд. Маиер, Теоретические и методологические вопросы истории, М., 1911.
39. А. Лапо-Данилевский, Методология истории, М., 1913.
40. М. Блок, Апология истории, М., 1986.
41. Л. Февр, Бои за историю, М., 1990.
42. А. Неусыхин, Эмпирическая социология Макса Вебера и логика исторической науки, В кн. Проблемы Европеиского Феодализма, М., 1974.
43. А. Гуревич, О кризисе современной исторической науки, Вопросы истории, №2-3. 1991.
44. М. Блок, Феодальное общество, М., 2003.
45. ედ. კოდუა, ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966.
46. გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
47. ი. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1938. ეს აზრი არის გატარებული მის სხვა შრომებში.
48. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, წიგნი პირველი, მ. მამფორიას და გ. კიღურაძის რედაქციით, თბ., 1979.

# თავი მესამე

## ევროპული დონე შენარჩუნდა, მაგრამ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის წარსულია და არა ხვალინდელი დღე

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ვფიქ-რობთ, შემთხვევითი არაა. ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და იმ არასახარბიელო მემკვიდრეობის გამოძახილია, რომელიც მას ერგო. ერთის მხრივ ვიწროდოგმატურად გაგებული მარქ-სისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან და მეორე მხრივ პოზიტი-ვისტური ისტორიოგრაფიისაგან. მათ შორის მჭიდრო გენეტიკუ-რი კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. რო-მელიმე მათგანის შეუფასებლობა დაუშვებელია და ამ საკითხზე ცალმხრივ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს.

წინა მონაკვეთში როდესაც განვიხილეთ: საბჭოთა ისტორიო-გრაფია ხაზი გაუსვით, რომ ის წარმოადგენს ერთი ვიწროგ-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჰიბრიდს. საბჭოთა ისტორიო-გრაფიამ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებე-ლი ვიწრო ემპირიზმი, შიშველი ფაქტოლოგია, ისტორია თხრობა, უპრობლემო ისტორია, მარქსისტულ აპკში გაახვია და მას სა-სურველი ინტერპრეტაცია გაუკეთა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა კრიზისი არ ნიშნავს მხოლოდ უარყოფითს, ნეგატიურს, კატასტროფას და ასეთი ხედვა უწინარესად, საბჭოთა რეალობის გამოძახილს წარ-მოადგენს. როდესაც ძალიან უყვარდათ საუბარი „ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიის კრიზისზე". „სხვის თვალში ბეწვს ეძებდნენ და

საკუთარში კი დირეს ვერ ხედავდნენ“. მას მხოლოდ უარყოფით კონტექსტი არ გააჩნია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფია ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ჩამოიშალა. ქართული ისტორიოგრაფია ნებსით თუ უნებლიეთ ძველი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენის ქვეშ მოექცა. ეს იყო ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღე და არა ხვალინდელი. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერგო ქართულ ისტორიოგრაფიას, მხოლოდ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიასთან როდი ასოცირდება, არამედ, მჭიდრო გენეტიკური კავშირშია პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიასთან. ფრიად ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან თავდახსნილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ამან გამოიწვია უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი. ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავთ.

სიტყვა კრიზისი გაცილებით უფრო ტევადია და იმაზე ფართო მცნებაა, ვიდრე ეს საბჭოთა გადასახედიდან შეიძლება მოჩანდა. მთავარ ამოსავალ პოსტულატად შეიძლება დავისახოთ, ის ისტორიული მეცნიერების პროგრესს უწყობდა ხელს, თუ პირიქით, განაპირობებდა რეგრესს, სტაგნაციას. როდესაც ერთხელ სახელმოხვეჭილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ფერნან ბროდელმა ყური მოკრა თავისი კოლეგების წუხილს ისტორიული მეცნიერების კრიზისზე მშვიდად აღნიშნა: „კრიზისი არის მეცნიერების ნორმალური მდგომარეობა. მეცნიერება, რომელიც არ განიცდის კრიზისს იმყოფება სტაგნაციის მდგომარეობაში“. (1. 35). საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის საუკეთესო ნიმუში იყო.

***

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისის ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ძალზე ძნელი იქნებოდა. ამ თემაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. აქ მხოლოდ ერთი ფერი საკმარისი არ იქნება. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარების გაცილებით უფრო უკეთესი პერსპექტივა გააჩნია, ვიდრე ეს იყო საბჭოთა წლებში. პირველ ყოვლისა, ის აღარაა საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი, მან აღიდგინა დამოუკიდებლობა, მას ცალკე დამოუკიდებლად შეუძლია ფუნქციონირება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯია.

ქართული ისტორიოგრაფიის მორიგი მკვეთრი მეტამორფოზი, სახეცვლილება, კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული და ამჯერად აშკარად პროგრესული ელფერი გააჩნია. ძველი უნდა ჩაანაცვლოს ახლით. ეს, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნება და საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესია. მას მოყვა ორი სიახლე. ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა, დასრულდა. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია, შესაძლებელი გახდა ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, ისტორიის მონისტური პრინციპი წარსულს ჩაბარდა. დღეს ქართული ისტორიოგრაფია არანაირი იდეოლოგიურ და პოლიტიკურ წნეხს, აღარ განიცდის, როგორც ეს იყო არცთუ ისე შორეულ წარსულში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მართალია ძალიან მოკრძალებულად, მაგრამ მაინც იკაფავს გზას ახალი პროგრესული ტენდენციები, ნოვაციები. ეს საინტერესოა, და, ჩვენი აზრით, „ზრდის კრიზისის“ სიმპტომებად შეიძლება მოვიაზროთ და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ხვალინ-

დელი დღე, სწორედ, ამ სიახლეებს ეკუთვნის. ყველაფერი ეს ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა და დადებით განწყობილებას წარმოშობს.

ზეიმამდე მაინც შორს ვართ. ძველი ინერციით აქა-იქ კვლავ გვხვდება ძველი მარქსისტული კლიშეები: „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“. „ბურჟუაზიული დემოკრატია“. „ბურჟუაზიული კულტურა“. ეს გახლავთ საკითხისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომა, რომელიც ძალზე ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ყურში ტერმინი „ბურჟუაზიული რევოლუცია“, რომლის ერთ-ერთი დამარსებელიც იყო სტალინი. ევროპულ ისტორიკოსებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ეს ტერმინი და სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ის აკნინებს ევროპული რევოლუციების ისტორიულ მნიშვნელობას, რაც, სხვათა შორის ეწადა, სტალინს. რაც უფრო სწრაფად გავთავისუფლდებით ამგვარი სტერეოტიპებისაგან მით უფრო უკეთესი იქნება. ეს ქართული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა. წარსულია. ქართული ისტორიოგრაფია კი არ უნდა ჩამორჩეს, წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. უკან ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაკენ ნებისმიერი ფორმით დაბრუნების მცდელობა დაუშვებელია და მიუღებელად მიგვაჩნია. ამ რაკურსით პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვევსო ეს ვაკუუმი, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიაში გაგვაჩნია და ამ თემას საგანგებო ყურადღება მივაპყარით.

ვერ ვიტყვით, თითქოს ქართული ისტორიოგრაფია არ ცდილობდეს გამონახოს გამოსავალი ამ რთული ვითარებიდან. სინამდვილეში ეს ასე არაა. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. მაგრამ ამ გამოსავალის მოძიების პროცესში, როგორც ჩვენ გვგონია, შეიძლება შეიმჩნევა გარკვეული ცალმხრიობა. ეს იმით გამოიხატება, რომ ამ საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ფაქტორის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს.

ახლა გადავიდეთ საკითხის ისტორიოგრაფიაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემაზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. ეს თემა ნამდვილად არ გახლავთ ქართველი ისტორიკოსების ყურადღებით განებივრებული. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებისადმი ქართული ისტორისკოსების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს და მასში, პირველ ყოვლისა, დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების გამოძახილი უნდა დავინახოთ და, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ქართველი ისტორიკოსების დიდი ნაწილი რატომღაც, თავს იკავებს რთული პრობლემების დამუშავებისაგან და ადვილი საკითხების შესწავლას ანიჭებს უპირატესობას.

საგანგებოდ ამ საკითხს ეხება პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნი „ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები". (2) ეს არ გახლავთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის აპოლოგია და არც უარყოფითი შეფასება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს ვინმეს. ავტორი ცდილობს საშუალედო ხაზის გამოძებნას. ესაა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. სხვათა შორის, ეს არის ჩადებული წიგნის სათაურში „ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები". პერსპექტივები მარტო წინსვლასთან ან პროგრესთან როდი ასოცირდება. აქ იგულისხმება პრობლემები. ასეთი გაგება მეტად სწორხაზოვანი იქნებოდა. ეს იყო სწორი ნაბიჯი. წიგნში გულწრფელად არის საუბარი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილ რთულ ვითარებაზე და ხაზგასმულია მისი ძლიერი დ სუსტი მხარეები. ეს ყველაფერი, ცხადია, ძალიან კარგია და წიგნის დადებით მხარეს წარმოადგეს.

ამ საინტერესო ნაშრომთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება:

1. უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა ნაშრომის მოცულობამ. ის ძალიან პატარაა. სულ 38 გვერდია. ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს და პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა მას უფრო მეტი ყურადღება და ადგილი დათმობოდა.

2. ნაშრომის არქიტექტონიკის, სტრუქტურის, შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა ნაშრომის მონაკვეთებად დაყოფა, ეს მკითხველს გაუადვილებდა მთავარ სათქმელის აღქმას.

3. ამ რთული ვითარებიდან გამოსავლის მოძიების მცდელობა, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ის, ჩვენი აზრით, ცალმხრივ ხასიათს იძენს და ეს იმით გამოიხატება, რომ სათანადოდ არაა ხაზგასმული, ამ საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გადალახვის მნიშვნელობა.

კონკრეტულად ამ პრობლემას არ ეხება, მაგრამ ყურადღებას იპყრობს აკად. როინ მეტრეველის ორი საინტერესო ნაშრომი „გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები“.(3). და „ისტორიული ცოდნის, ისტორიის შემეცნების საკითხები“. (4). ეს ორი ნაშრომი თეორიულ საკითხებს შეეხება. ქართველი ისტორიკოსები წინათ და ახლაც თეორიული საკითხებისადმი, ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ეპისტემოლოგია, ისტორიის შემეცნება, გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ. აკად. როინ მეტრეველის ეს ორი საინტერესო ნაშრომი ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ის, სწორედ, თეორიულ ხასიათს ატარებს და ისტორიის თეორიულ პრობლემებს წამოწევს წინ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საუბარია გლობალიზაციის პროცესში ისტორიოგრაფიის ისტორიული მეცნიერების ჩართულობაზე. საკითხი არის საინტერესო და მისი წინ წამოწევა აქტუალურად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა ამ კონტექსტში ქართული ისტორიოგრაფიის უფრო ფართოდ ჩართვა, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს აშკარად ცილდება ერთი ჩვეულებრივი სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებს და მას, ალბათ, ერთი დიდი მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას.

ამ პრობლემაზე არის საუბარი ჩვენს წიგნის „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“. (5) მეორე ნაწილში. ჩვენ ვცადეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარება განგვეხილა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი

ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ძალიან ძნელი იქნება. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუა უნდა ვეძებოთ. ეს ნაშრომი ამ საშუალედო გზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია, რომელსაც, ბუნებრივია, ექნება, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს გახლავთ ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ეს მსჯელობა მეცნიერული განსჯის საგანი უნდა გახდეს.

ამ თემასთან შეხების წერტილები გააჩნია პროფ. კოტე ანთაძის და ჩვენ ერთობლივ ნაშრომს „კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა". (6). სხვათა შორის, ნაშრომის სათაურიდან კარგად ჩანს მისი ძირითადი პათოსი. აქ გატარებულია ის აზრი, რომ პრიორეტული უნდა გახდეს არა შრომების რაოდენობა, როგორც ეს დღესაა, არამედ ხარისხი. სხვაგვარად ამ რთული ვითარებისათვის თავის დაღწევა ძალიან გაგვიჭირდება. იოლი გზით სიარულის მოტრფიალეებს მწვანე შუქი არ უნდა მიეცეს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა და სამწუხაროა, რომ მასზე ლაპარაკი გვიხდება. ეს გახლავთ ჩვენი რეალობა, რომლის არც, შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნება.

ამრიგად, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გამოიძებნოს გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან, მაგრამ მთელი ეს პროცესი, ჩვენი აზრით, ცალმხრივ ხასიათს იძენს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მნიშვნელობის გაცნობიერებასთან უნდა ასოცირდებოდეს. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას კარგად აქვს გათავისებული კრიზისისაგან თავის დაღწევის საქმეში ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისგან გათავისუფლების მნიშვნელობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ეს, უდავოდ, გახლავთ ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, მაგრამ, არის ამის გამომწვევი სხვა მიზეზები, რომლის გვერდის ავლა

ალნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. უბრალოდ, იმის თქმას ვაპირებთ, რომ ამ საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა ჩრდილში რჩება და კადრში ვერ ხვდება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრობლემა წინ წამოვწიეთ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინირი იდეოლოგიის და პოზოტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეში ტრიალებს და ცდილობს მის გადალახვას. (5).

დასასრულს დავძენთ, რომ ამ პრობლემაზე ჩვენი შეხედულების ფორმულირებაზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფ. არონ გურევიჩის მრავალრიცხოვანმა შრომებმა. ეს არცაა გასაკვირი. ისტორიის თეორიული საკითხების გაშუქების დროს რუსი ისტორკოსებიდან ყველაზე უფრო სწორი გზით, როგორც გვგონია, სწორედ, ის მიდიოდა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ეს გავლენა სწორხაზოვნად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ეს არ იქნება სწორი. ეს არ გახლავთ პროფ. არონ გურევიჩის შრომების უბრალო გადამღერება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ეს ზედაპირზე ძევს „აისბერგის ზედა, ხილული ნაწილია. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ ამ საკითხს სხვაგვარად მივდგომოდით და ქართულ რეალობასთან შესატყვისობაში მოგვეყვანა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ის რაც ახლოს იყო ქართულ რეალობასთან და მასალები ჩანდა ავიღეთ და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში, ხოლო ის რაც, ჩვენი აზრით, არ შეესატყვისებოდა ჩვენს რეალობას, კადრში ვერ მოხვდა. განსხვავებას ქართული კონტექსტი გააჩნია და ეს სიახლეს წარმოადგენდა. მაინც, მიუხედავად ამის არის ერთი განსხვავება, რომელიც ვფიქრობთ, პრინციპულ ხასიათს ატარებს და აქვს მნიშვნელობა. ამის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. მართალია, ის ნიუანსობრივ დატვირთვას ატარებს, მაგრამ პრინციპული ხასიათი გააჩნია და შეეხება ერთ მეტად აქტუალურ თემას. საბჭოთა ისტორიოგრაფიას. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ეს

განსხვავება ყველაზე უფრო რელიეფურად მჟღავნდება საბჭოთა ისტორიოგრაფიასთან მიმართებაში და პატარა ქვეყნის სინდრომია. ამიტომ არ შეიძლება მათი შედარება და ჩვენ არც ვაპირებთ ამის გაკეთებას. ჩვენი მიზანი სულ სხვაა. პროფ. არონ გურევიჩის დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი მკვეთრად, ნეგატიურია. ჩვენი მიდგომა განსხვავებულია და მას ქართული კონსტექსტი გააჩნია. ის შეიძლება მივიჩნიოთ უფრო ლიბერალურად. ეს იყო სწორი გზიდან გადახვევა. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება რუსული ისტორიოგრაფიის ფონზე გაცილებით უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე ქართულის. ეს ადვილი გასაგებია, რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში გაცილებით უფრო მდიდარი ტრადიციები გააჩნდა, ვიდრე გასაბჭორებამდე ქართულ ისტორიოგრაფიას. აქ აისახა რეალური ვითარება. საქმე გვაქვს პატარა ქვეყნის სინდრომთან. განსხვავება ნეგატიური დამოკიდებულების ფორმაშია. ერთ შემთხვევაში ის საკმაოდ მკაცრია, ხოლო მეორეში შედარებით ლიბერალურია. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და კონკრეტული სიტუაციითაა განპირობებული.

ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიას მსოფლიო ისტორიის შესწავლის გაცილებით უფრო უკეთესი პირობები და მდიდარი ტრადიციები გააჩნდა, ვიდრე გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიას. პირველი ორიენტირებული იყო მსოფლიოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე, კვლევაზე, მეორე კი პირიქით. აქცენტს აკეთებდა მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციაზე. როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, მის წინაშე იდგა კულტურტრეგერული მისია, რომელიც, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს, ცხადია ძალიან კარგია, და წარმატებად მიგვაჩნია. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. აქ სკეპტიკური დამოკიდებულება სრულიად უადგილოა და მსოფლიო ისტორიის გაშუქების საკითხში ქარ-

თული ისტორიოგრაფიის წვლილზე ადეკვატურ წარმოადგენას ვერ გვიყალიბებს. უნდა ითქვას, რომ ამ მდიდარი ტრადიციის ფონზე ვარდნა რუსულ ისტორიოგრაფიაში გაცილებით უფრო შესამჩნევი ჩანდა, ვიდრე ქართულში. განსხვავება ფორმაშია და არა შინაარსში. ვარდნის სიმაღლე არის მკვეთრად განსხვავებული და თვალშისაცემია. პატარა საქართველო დიდი რუსეთის იმპერიის პერიფერია იყო. სულ სხვა რეალობა გვაქვს საქართველოში. ასეთი დიდი განსხვავება შეიძლება ითქვას, რომ ქართულ რეალობაში არ შეიმჩნევა. პირველი ნაბიჯები სწორედ გადადგა, მაგრამ შემდეგ მისი განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელი იქნებოდა, რომ მივიჩნიოთ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ვარდნა იყო, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე შედარებით უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში. რეგრესის ორივე შემთხვევაში იყო, მაგრამ განსხვავება მის ხასიათშია. აქ საუბარია, იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ვარდნა მოხდა გაცილებით უფრო მაღალი სიმაღლიდან, ხოლო მეორეში კი შედარებით საშუალოდან. ამან განაპირობა განსხვავებული მიდგომა. ერთ შემთხვევაში მკაცრი, რაც სავსებით გამართლებული იყო, ხოლო მეორეში კი შედარებით ლიბერალური, ზომიერად მკაცრი. მას ქართული კონტექსტი ედო საფუძვლად. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს გახლდათ დიდ და პატარა ქვეყანას შორის არსებული განსხვავების გამოძახილი. ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ მათ შედარებას. ეს მართლზომიერი არ იქნებოდა. ეს არ გახლავთ ჩვენი მიზანი, ჩვენი ამოცანა სულ სხვა იყო, ხაზი გაგვესვა თუ რამ გამოიწვია ეს განსხვავება.

***

ახლა საუბარი გვექნება საკითხის პერიოდიზაციაზე. ამ კუთხით ეს თემა გაშუქებული არ ყოფილა და ამიტომ გადავწყვიტეთ მისი წინ წამოწევა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესების მესამე

პერიოდი. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ათვლა იწყება XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და ის დღესაც გრძელდება. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. რა ეტაპები განვლო მან? ის პირობით ორ მონაკვეთად იყოფა. მათ შორის ნიშანსვეტად, რა თქმა უნდა, 2006 წელს განხორციელებული რეფორმა გვევლინება. პირველი მონაკვეთი იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და გრძელდება 2006 წლამდე, როდესაც დაიწყო განათლების და მეცნიერების სისტემაში რეფორმა და მეორე მონაკვეთი იწყება 2006 წლიდან განათლების რეფორმიდან და დღემდე გრძელდება. ე. ი. რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, რომ აქედან შეიძლება დავიწყოთ XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ისტორია (5. 12).

ორი საუკუნის მიჯნაზე ქართული მეცნიერების წარსულის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის 2006 წლის რეფორმას. მან ღრმა კვალი დატოვა მეცნიერების, ამ შემთხვევაში კი ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. პოზიტივთან ერთად იყო ნეგატივიც. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ ნეგატივი ფარავდა დადებითს.

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, რომ რეფორმის გატარება საჭირო და აუცილებელი იყო. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. საბჭოთა განათლების და მეცნიერების სისტემა, უეჭველია, საჭიროებდა გარდაქმნას. ამის წინააღმდეგ არც არავინ ყოფილა. მთავარი იყო თუ რა ფორმით განხორციელდებოდა ეს ცვლილებები. რეფორმა, ცხადია, ითვალისწინებდა საბჭოთა პერიოდში არსებული სისტემის გაუმჯობესებას, წინსვლას. ვიმედოვნებდით, რომ ის შეეცდებოდა იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რომელიც გააჩნდა საბჭოთა სისტემას. პირველ ყოვლისა, ეს იყო კორუფცია, ნეპოტიზმი, პროტექცია, რომლითაც დაავადებული იყო საბჭოთა განათლება და მეცნიერება. მოსალოდნელი იყო, რომ ის რაც საბჭოთა სისტემის დადებითი მხარე

იყო უცვლელი დარჩებოდა და მას ხელს არავინ ახლებდა. ხოლო ის რაც მისი მინუსები გახლდათ მის გამოსწორებას შეეცდებოდნენ. ეს სწორი ნაბიჯი იყო. რეფორმა უნდა ყოფილიყო რევოლუციური და ევოლუციური ტენდენციების შერწყმის, შეხამების, მცდელობა. რა მოხდა სინამდვილეში? რეალობა სულ სხვაგვარი იყო და ჩვენი მოლოდინი პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ, არ გამართლდა. რეფორმა რევოლუციური ხასიათი შეიძინა. ძველი დაანგრიეს, ხოლო მასზე უკეთესი ვერც ვერაფერი შექმნეს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს რეფორმას დადებითი მხარეები არ გააჩნდა. რა თქმა უნდა, იყო დადებითი მომენტები და ამის უარყოფა სწორი არ იქნება, მაგრამ უარყოფითიც ბევრია და ხშირად ფარავს დადებითს. დავიწყოთ პოზიტივით. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია მეცნიერების გაწმენდა იმ ვაიმეცნიერებისაგან, მეცნიერი-საქმოსნებისაგან, რომლებმაც, საბჭოთა წლებში ასე ფართოდ მოიკიდეს ფეხი მეცნიერებაში და რის თაობაზეც ჯერ კიდევ 70-იანი წლებში წუხდა პროფ. გივი კილურაძე. (7. 8.11). მათი მეცნიერული მემკვიდრეობა ან სულაც არ გააჩნდათ, ანდაც ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ის ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებოდა მათ საკანდიდატო დისერტაციასა და ამ თემაზე გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომში. მათი საქმიანობა ასოცირდებოდა არა მეცნიერულ კვლევასთან, არამედ პროტექციასთან. კორუფციასთან. ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლად არქეოლოგიის კათედრის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ავთანდილ (ამფისა) წერეთელი მიგვაჩნია. (5. 56-58). „რადგან ულირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა“. ეს საბჭოთა ხელისუფლების ძალიან კარგად ეხერხებოდა. აქ მას ბადალი არ ყავდა.

რეფორმის კიდევ, ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს მისაღები გამოცდების გატანა და მისი ჩატარება საგამოცდო ცენტრში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, ამ კარგ წამოწყებას მოდით ნუ გავაუფასურებთ, რისი დიდი ალბათობა ნამდვილად არსებობს და ამის წაყრუება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მოსწავლის ცოდნის შეფასების კრიტერიუმი დასახვეწია. სასურველი იქნებოდა მისი გამკაცრება.

ცოდნის მოთხოვნის დონემ ძალზე დაბლა დაიწია. თამასა მეტად დაბალ ნიშნულზე დაეშვა. მას მოსწავლე, ეტყობა, ძალიან ადვილად ძლევს. ეს განაპირობებს დაბალ დონეს. სუსტი სტუდენტების დომინანტს, სახელმწიფო ფულს იღებს, სუსტი სტუდენტი დიპლომს და ავსებს სუსტი სპეციალიტების რიგებს. ამის დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. ხარისხიანი განათლება მხოლოდ ლამაზ ილუზიად რჩება. ეს მარტო ცარიელი სიტყვებია. სიტყვა და საქმე არ შეესატყვისება ერთმანეთს. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გახლავთ და მასში პირველ ყოვლისა, ძველი ბოლშევიკური მენტალიტეტის გამოძახილს ვხედავთ. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ, წარსული, როგორც გვგონია. ეს გახლავთ ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით.

კიდევ ერთი დადებით მომენტს წარმოადგენს გამოცდების საგამოცდო ცენტრში ჩაბარება, სტუდენტებს უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდათ. შედარებით იკლო პროტექციამაც. სასურველი იქნებოდა ეს კარგი წამოწყება არ გავაუფასუროთ.

ასაკობრივი დევნა რეფორმის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ამან გამოიწვია თაობათა შორის წყვეტა. მთელი რიგი დარგები „ყოფნა არყოფნის" საკითხის წინაშე დააყენა. მათი მომავალი საპერსპექტივო განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. უნივერსიტეტიდან და მეცნიერებიდან მოკვეთილი აღმოჩდნენ შესანიშნავი მეცნიერები: პროფ. გრანი ქავთარია, პროფ. გივი გამრეკელი, პროფ. გურამ კუტალია, პროფ. ნოდარ კიკვაძე, პროფ. ვაჟა თვალავაძე, პროფ. გივი ბოლოთაშვილი. ეს მსოფლიო ისტორიაში. მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს ისტორიამ. საყვარელ საქმეს ჩამოაშორეს პროფ. ნოდარ ასათიანი, პროფ. გივი ჯამბურია, პროფ. ნათელა ვაჩნაძე, პროფ. დავით ნინიძე, პროფ. სოსო ჭანტურიშვილი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ევროპის ნებისმიერ სამეცნიერო ცენტრში და უნივერსიტეტის პირდაპირ ხელისგულზე ატარებდნენ. ჩვენ კი რა ვქენით, ისე ადვილად შეველიეთ თითქოს არც არაფერი. უმადურობით გული ვატკინეთ. ნებსით თუ უნებლიეთ მახსენდება რუსი მწერლის მიხეილ

ბულგაკოვის სიტყვები. „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო, კარგად შესრულებული სამუშაოსათვის“. ისინი, ვფიქრობთ, უფრო უკეთეს მოპყრობას იმსახურებდნენ.

კიდევ ერთი ნონსენსი, გაუგებრობა. ცოტა ხნის შემდეგ მათი ერთი ნაწილი ისევ დააბრუნეს უნივერსიტეტში, მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით. ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ ისინი ჭირდებოდა უნივერსიტეტს ასე ადვილად რატომ გაუშვეს. საკადრო საკითხების გადაწყვეტის დროს მეტი დაფიქრება იყო საჭირო. გაუთვლელი ნაბიჯების უკან დგას არამარტო პიროვნული ტრაგედია, არამედ ზარალდება საერთო საქმე. ეს დაუშვებელია, მაგრამ ეს არავის არ ანაღვლებს. ასეთი გულგრილობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მასში, უწინარესად, ძველი ინერციით საქართველოში არსებული განუკითხაობის გამოძახილი უნდა დავინახოთ.

***

90-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარ წარმატებად მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა მიგვაჩნია. ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისიგან განწმენდის გზაზე. იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს სახელმძღვანელოები მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ამ საქმის მთავარი ინიციატორი და სულისჩამდგმელი პროფ. კონსტანტინე (კოტე) ანთაძე იყო. (9.28). ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურებაა. ეს სახელმძღვანელოები როგორც პირველი მცდელობა, ცხადია, სრულყოფილი ვერ იქნებოდა, მიმდინარეობდა ამ მხრივ მუშაობა (10.11).

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მსგავსად. ამ სფეროში თავისი საქმიანობა მათ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან

დაიწყეს. ეს ნაბიჯი გამართლებული იყო. ისინი ახლის შენებას საძირკველიდან შეუდგენენ. უწინარესად, ყურადღება მიაპყრეს მსოფლიო ისტორიის სწავლებას. ნორმალური, კვალიფიცირებული, სახელმძღვანელოების გარეშე სკოლაში მსოფლიო ისტორიის მაღალ დონეზე სწავლება ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. პირველი ნაბიჯები კარგად გათვალეს, სწორედ გადადეს, სწორი ვექტორი დასახეს. დასაწყისი შეიძლება ითქვას ნამდვილად არ იყოურიგო. ეს მათი წარმატება გახლდათ. ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ უეცრად ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. არადა ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ეს ასე გვეჩვენება.

ქართულ სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლებამ 2006 წლის რეფორმის შემდეგ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. საქმე უნდა გვქონდეს სწორი გზიდან გადახვევასთან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სახელმძღვანელოებში აქცენტი გადატანილი იქნა საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომიდან, მიმბაძველობაზე. განმარტება იყო მარტივი. ასე ევროპაში. ევროპაში ასე კია, მაგრამ ამისათვის ჩვენ ვართ კი მზად? ეს საკითხი ნაკლებად აღელვებდათ. ჩვენი აზრით, სკოლაში ისტორიის სწავლება აცდა სწორ გზას. ისტორიის ცოდნის დონე უწინდელთან შედარებით კიდევ უფრო დაბლა დაეცა. ოფიციალური დაწესებულებებს ტრადიციულად სირაქლემას პოზიცია უკავიათ. თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ. სპეციალიტები სხვაგვარად ფიქრობდნენ. მაგრამ რად გინდა. გისმენს ვინმე. ქარავანი მიდის. (12.13.47-48. 14.106). დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება, პირველ ყოვლისა სკოლიდან იღებს სათავეს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ სახელმძღვანელოებს ნაკლი გაცილებით უფრო მეტი გააჩნიათ, ვიდრე ღირსებები. ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას. უკვე ნათქვამს კიდევ დავამატებთ. ა) უწინარესად, კარგად უნდა მოფიქრება იმას თუ როგორ შეუთავსოთ ერთმანეთს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის

ერთად სწავლება. საჭიროა ოპტიმალური გზის გამონახვა. აქ მიმბაძველობა დაუშვებელი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სინამდვილეში და 2006 წლამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ავად თუ კარგად ეს საკითხი მოგვარებული ჩანდა. ბ) შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ თითქოს არანაირი ყურადღება არ ექცევა მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებს. მას აქვს მნიშვნელობა და საბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებში და რეფორმამდე სასკოლო სახელმძღვანელოებში სავსებით სამართლიანად ექცევა ჯეროვანი ყურადღება. გ) ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნა მოსწავლისათვის პრიორიტეტული არაა. ეს მას, ინტერესს გაუღვიძებს. პირველ ყოვლისა, მოსწავლემ კარგად უნდა იცოდეს ფაქტობრივი მასალა. ეს აუცილებელია. რა ხდება სინამდვილეში? დღეს მოსწავლე კარგად არ ფლობს ფაქტობრივ მასალას. ამ შემთხვევაში რომელ ანალიზზეა საუბარი. ეს კიდევ ერთი ლამაზი ილუზიაა. თვალებში ნაცრის შეყრაა. დ) არის კიდევ ერთი აქტუალური თემა, რომლის გვერდის ავლა არ შეიძლება. ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა თუ სკოლაში გავივლით თეორიულ საკითხებს პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას, მაშინ უნივერსიტეტში რა უნდა ვისწავლოთ? ხომ არ აქვს ადგილი წყვეტას საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტს შორის? რაც, სხვათა შორის, არ შეინიშნებოდა არც საბჭოთა პერიოდში და არც 2006 წლის რეფორმამდე. ეს საკითხი ავად თუ კარგად დაბალანსებული იყო. ხომ არ შევაჯავრებთ მოსწავლეებს ისტორიას? ვშიშობთ, რომ ამ რაკურსით ისტორია მოწაფეებს ნაკლებად დააინტერესებდათ. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, რომ „ბავშვმა რომ იცოდეს ისტორია ამისათვის აუცილებელი არაა ფაქტების დაზეპირება“. თუ ბავშვმა ფაქტი არ იცის მან არ იცის ისტორია. ეს ელემენატრული ჭეშმარიტებაა და ამაზე საუბარი არ უნდა გვჭირდებოდეს. სამწუხაროდ გვჭირდება. ეს არის ჩვენი რეალობა, რომელსაც ვერსად ვერ გავექცევით. ფაქტი ისტორიის პურია. ასეთ აბსურდულ განცხადებებს თვით ბოლშევიკებიც არ აკეთებდნენ. განათლების საკითხი მათ დიდად არ ანაღვლებდათ, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. დღეს ლაპარაკობენ.

ეს არის განსხვავება. აქ ჩვენ ამოვიკითხეთ მინიშნება იმაზე ბავშვებო ნუ ისწავლით ისტორიას. თუ ვცდები ძალიან კარგი. ასე კარგი ისტოროკოსი არ გაიზრდება. ახალი ყაიდის ისტორიკოსზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ამგვარად, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დღეს ისტორიის სწავლება სკოლაში სერიოზული კრიზისს განიცდის, რაც იმითაა განპირობებული, რომ სასურველი იქნებოდა უფრო უკეთესი სასკოლო სახელმძღვანელოები რომ გვქონდეს. ამის ლოგიკური შედეგია, რომ ბავშვმა ისტორია ცუდად იცის. ისტორიულმა განათლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან. საქმე გვაქვს უკუსვლის პროგრესთან. ამიტომაა, რომ უნივერსიტეტში სუსტი კადრები მოდის.

როგორც ხშირად აღნიშნავენ, განათლების საშუალო დონე საბჭოთა პერიოდში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დღეს. პირველ რიგში უნდა მივხედოთ სკოლას. მდგომარეობა დამაფიქრებელია და საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება. მხოლოდ ლაპარაკი და სხვისი მიბაძვა არაფრის მომტანი არაა. ჯერჯერობით კი რაიმე პოზიტიური ძვრები არ ჩანს და მოლოდინის რეჟიმში გვიხდება ყოფნა. თუ სკოლას არ მივხედეთ, ისე უმაღლეს განათლება და, მეცნიერებას არაფერი არ ეშველება. აქ გაგრძლდება სუსტი კადრების მოდინება და საერთო დონე არ ამაღლდება. შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, რომ მდგომარეობას ვამუქებ, მაგრამ ეს ასე არაა. გასამუქებელი არც არაფერია. მდგომარეობა კრიტიკულია. თუ დროზე არ უშველეთ საქმეს კვალიფიცირებული კადრების დეფიციტის წინაშე აღმოვჩნდებით. ამის პირველი სიმპტომები დღეს უკვე შესამჩნევია და ამის წაყრუება, სირაქლემის პოზიციის დაკავება, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. SOS! (11. 47-48).

უნივერსიტეტში არსებული პრობლემები, პირველ ყოვლისა, სკოლაში შექმნილი ვითარების გამოძახილია და მის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. განათლების სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოდით სხვას მაინც მოუსმინოთ. ამის შეუფასებლობა დაუშვებელია. მასზე დიდადაა დამოკიდებული ერის მომავალი და სახელმწიფოს სვე-ბედი. თუ ჩემი არ გჯერათ სხვას მაინც

მოუსმინოთ. აი რას ვკითხულობთ სამხრეთ აფრიკის სტენბოსის უნივერისტეტის შესასვლელში გამოკრულ აბრაზე:

**„ნებისმიერი ერის გასანადგურებლად, არ არის საჭირო ატომური ბომბი ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება. ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა, როდესაც სტუდენტი გამოცდაზე იტყუება. ასეთი ექიმის ხელში პაციენტები იღუპებიან. ასეთი ინჟინერის ხელში სახლები ინგრევა, ასეთი ეკონომისტების და ბუღალტერების ხელში იფლანგება ფული, ასეთი იურისტის ან მოსამართლის ხელში იკარგება სამართლიანობა. განათლების კრახი ეს არის ერის კრახი“. ნათქვამს ჩვენის მხრივ დავამატებდით ასეთი ისტორიკოსის ხელში არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ დაიკარგოს ქვეყნის ტერიტორიები. მოდით ნუ ვიზამთ ამას. დავფიქრდეთ რა გვინდა? საით მივდივართ? სკოლაში ისტორიის მაღალ დონეზე სწავლების გარეშე ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა განვითარებას ამაოდ დაუწყებთ ლოდინს. ეს არ მოხდება.**

სწავლა სტრესია და ამისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულება დაუშვებელი იქნება, ხელს აძლევს სუსტ კადრებს, რომლის დეფიციტსაც დღეს საქართჲველოს, სხვათა შორის, ნამდვილად არ განიცდის.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ბევრი კარგი და საინტერესო გამოკვლევა იწერება, რომელიც უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია, რაც პოსტსაბოთა პერიოდის ქართული ისტორიგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს აღმავლობა, ჩვენი აზრით, უპირატესად, სიფართოვესთან უნდა ასოცირდებოდეს და არა სიღრმესთან. ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, ფარგლებს არ ცილდება და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. აქცენტი კეთდება ისტორია თხრობაზე, აღწერაზე, უპრობლემო ისტორიაზე. ისტორია შემგროვებლითი მეცნიერებაა. ეს კი ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. განვლილი ეტაპია, მისი წარსულია. ამგვარი მდგომარეობა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და აქ

აისახა სავსებით რეალური ვითარება. ისტორიის ერთი ვიწრო-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა-გან გათავისუფლების შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენის ქვეშ აღმოვჩნდე-ბით. ამიტომ კრიზისისგან დაძლევის საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მნიშვნელობის შეუფასებლობა მიზანშეწონი-ლად არ მიგვაჩნია.

ეს პროცესი ცალმხრივ ხასიათს შეიძენს და გამოსავალის მოძიებას გაართულებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლე-ბა იყოს. პერსპექტივებთან ერთად არსებობს პრობლემები და ამის დაუნახაობა არ შეიძლება.

ვერ ვიტყვით, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ის-ტორიოგრაფია არ ცდილობს გამოძებნოს ამ რთულ ვითარებიდან გამოსავალი. სინამდვილეში ეს ასე არაა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დადებითი მხარეა. მაგრამ გამოსავალის ძიება, როგორც ჩვენ გვგონია, ცალმხრივ ხასიათს იძენს. ეს იმით გამოიხატება, რომ უმთავრესად, პრიორიტეტულია ერთი ვიწროდოგმატურად გაგე-ბული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დაძლე-ვა, ხოლო პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრობლემა ჩრდილ-ში აღმოჩნდა და კადრს მიღმა რჩება.

***

დღეს ქართული ისტორიოგრაფია შეიძლება ითქვას, რომ სე-რიოზული გამოწვევების წინაშე დგას. უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რამდენად აქვს მას გაცნობიერებული ეს ახალი რეალობა? და რამდენად არის ქართული ისტორიოგრაფია მზად ასეთი მკვეთრი ცვლილებებისთვის, გარდაქმნებისათვის? ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით ამ ორ კითხვაზე პასუხის გაცემას. რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამის გაკე-თება ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ გა-

დაგვედგა ეს ნაბიჯი. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია, ხედვა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. კარგად გვესმის, რომ ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ არ ვაპირებთ ამ გზით წასვლას. ჩვენთვის უფრო მახლობელი და მისაღები ჩანს სულ სხვა პრინციპი, რომელიც საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიისათვის სავსებით უცხო და მიუღებელი იყო. საბჭოთა რეალობის შემდეგ ეს სიახლეა, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

თემა არის საინტერესო და აქტუალური და ქართველ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს და მეცნიერული განსჯის საგანი გახდება. ის „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე წიგნში წამოჭრილი პრობლემის ლოგიკური გაგრძელებაა და მის შემდგომ დაზუსტებას, კიდევ უფრო სრულყოფას, შესაძლოა, გაღრმავებასაც ისახავს მიზნად.

თუ ადრე ქართული ისტორიოგრაფია საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი იყო და ცდილობდა მისთვის ფეხი აეწყო დღეს ვითარება მკვეთრად არის შეცვლილი. ძველი წარსულს ჩაბარდა. ახლა სწორება კეთდება საერთაშორისო სტანდარტებზე და ქართულ ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი ხდება. ვითარება კიდევ უფრო რთული შეიქმნა. ახლა ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს, უფრო ზუსტად მოიპოვოს, მსოფლიოს ისტორიული მეცნიერების კონტექსტში. ის გლობალიზაციის პროცესში უნდა ჩაერთოს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე და მას საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო დაჭირდება. ეს მტკივნეული პროცესი იქნება. ამიტომ უსამართლო მოპყრობა, რასაც ასე ძალიან ვიყავით მიჩვეული, საბჭოთა ხანაში, აქ არ გამოდგება. ამ საქმეში მთავარი სამართლიანობის პრინციპი უნდა გახდეს. სხვაგვარად ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესს ამაოდ დაუწყებთ ცდას. ეს რეალობაში არ მოხდება, მხოლოდ პროგრესის ილუზია იქნება. ვითარება არაა მარტივი. ძველი ღირებულებები, ცხადია, აქ უკვე აღარ გამოდგება, აქ სულ

სხვა ფასეულობები მოქმედებს. მარტო ამ ფასეულობებისაკენ ლტოლვა, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. არა გვგონია. რომ ეს მისია ქართულ ისტო-რიოგრაფიას სათანადოდ ჰქონდეს გათავისებული. ის საკუთარ ნაჭუჭში არის ჩაკეტილი და ერთ ადგილზე ტკეპნის. პოზიტი-ვისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიის ჩარჩოებს ვერ გასცდა.

ვერ ვიტყვით, თითქოს პოზიტიური არაფერი არ ხდება და მხოლოდ ნეგატივია დომინანტი. სინამდვიელში ეს მთლად ასე არაა. პრობლემებთან ერთად იგრძნობა დადებითი ცვლილებე-ბიც, რომლის უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნე-ბა. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ გამხდარა პრიორიტეტული და ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც არის და ეს, ცხადია, ძალიან კარგია, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრა-ფიის, უდავო, პლუსია. უწინარესად, ასეთად გვესახება საზღვარ-გარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრთან მჭიდრო კონტაქტები, თანამშრომლობა, რაზეც საბჭოთა წლებში ოცნებაც კი არ შე-გვეძლო. სასურველი იქნებოდა თუ ეს კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს შეიძენს. ეს მხოლოდ წაადგე-ბა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ წინსვლა, განვითარებას. განაპირობებს ახალი იდეების შემოტანას ქართულ ისტორიოგრა-ფიაში, რომლის დეფიციტსაც ის ასე მწვავედ განიცდის.

ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფია ასეთი რადიკა-ლური ცვლილებებისათვის, ყოველ შემთხვევაში ჯერ, მზად არ არის, ამას ესაჭიროება თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები. ახალი ყაიდის ისტორიკოსი. მის მომზადება კი სკოლიდან უნდა დაიწყოს და უნივერისტეტში უნდა გაგრძელდეს. დღეს მარტო ფაქტების კარგად ცოდნა საკმარისი არაა. თუ რა ტიპის ისტო-რიკოსეზეა დღეს მოთხოვნილება ეს ძალიან კარგად გამოხატა XX საუკუნის ცნობილმა ინგლისელმა ისტორკოსმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჰუგო ტრევორ-როპერმა. „პროფე-სიონალი ისტორიკოსები, რომლებიც დაობენ XVIII საუკუნის ევრო-პის, რომელიღაც პატარა სამეფო კარის კრიზისის ირგვლივ ან იმის თაობაზე თუ როგორია ქარგვის სტილი ქალთა მონასტერში,

ვერ პასუხობენ საერთო საკითხებს, ადამიანები აღარ უჯერებენ მათ და ეძებენ ისეთ ისტორიკოსს, რომელსაც ძალუძს ამაღლდეს წვრილმანთა მაღლა და იპოვონ საერთო მნიშვნელობა, მასალის ამ საოცრად დიდ გროვაში". (15.18). ისტორიკოსთა ახალი თაობის აღზრდის კრიტერიუმად, სწორედ, ეს პრინციპი უნდა დავსახოთ. მთელი ძალისხმევა როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში, სწორედ, აქეთკენ უნდა წარვმართოთ. ისტორიის ცოდნა უფრო ხარისხიანი უნდა გავხადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლას ამაოდ დაუწყებთ ლოდინს. ეს არ მოხდება, იქნება მხოლოდ განვითარების მირაჟი და სხვა მეტი არაფერი.

როგორც ჩვენ გვგონია, ეს შეიძლება იყოს კრიზისის ერთი ფაზა, როდესაც, უპირატესად, აქცენტი კეთდება არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე, არამედ რაოდენობრივზე. სასურველი იქნებოდა თუ ამას მოყვება მეორე ფაზა, რომლისათვისაც ნიშანდობლივი იქნება მკვეთრი ნახტომი, რომელსაც მოყვება რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი, ჩვენი აზრით, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და დროში საკმაოდ გაიწელა. არავინ იცის თუ როდის დასრულდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია მნიშვნელოვან გზაგასაყარზე დგას. სერიოზული არჩევანის გაკეთება მოუწევს. ეს არ იქნება ადვილი საქმე. როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ძველი ინერციით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემები გვაქვს დაგროვილი, რომლის გადაჭრის გარეშე, კრიზისი დაძლევა ძალიან გაძნელდება. ეს, უწინარესად, იმით გამოიხატება, რომ ძალზე არასახარბიელო მემკვიდრეობა გვხდა წილად. კრიზისის დასაძლევად მარტო ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან თავის დახსნა საკმარისი არ იქნება. ეს მხოლოდ ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია, დასაწყისია. აქ შეჩერება არ შეიძლება, ეს გზა უნდა გაგრძელდეს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავი უნდა დააღწიოს მარქსისტულ-ლენინური და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეს, რომელშიც ნებსით თუ უნებლიეთ აღმოჩნდება მოქცეული საქართველო გასაბჭოების შემდეგ.

როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენს ერთი ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ნაზავს. ისტორიას მარქსიზმისაგან, რომ გაწმენდ. რეალურად ხელში პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგრჩება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსიზმ-ლენინური იდეოლოგიის დაძლევა გაცილებით უფრო წარმატებით და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის. ამ მიმართულებით რაიმე პროგრესი ქართულ ისტორიოგრაფიამ ძნელია დაიტრაბახოს. სინამდვილეში ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დაძლევა, გაცილებით ადვილი გამოდგა, ვიდრე პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის. ეს არის რეალობა. ამიტომ კრიზისის დაძლევის საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ფაქტორის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. სხვაგვარად კრიზისულ სიტუაციას თავს ვერ დავაღწევთ, ვერ გადავლახავთ. მიუხედავად არსებული პრობლემებისა უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია მაინც ცდილობს გამონახოს ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი, ეძებს თავის დაღწევის გზებს. სურს სწორ გზაზე დაბრუნება, სწორი არჩევანის გაკეთება, სწორი აქცენტები დასვას. ეს მისასალმებლად მიგვაჩნია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

ვერ ვიტყვით თითქოსდა ამ მიმართულებით უახლესი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დადებითი არაფერი ხდება. ეს სინამდვილეში ასე არაა. პირველ ყოვლისა, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობისაგან, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაუტოვა. უარი თქვას ისტორიული მოვლენებისადმი მონისტურ მიდგომაზე. ფორმაციულ პრინციპებზე. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაფეტიშებაზე. წარსულის კლასობრივ ხედვაზე. ამ მიმართულებით გადაგდმული პირველ ნაბიჯად მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპი, მარქსიზმისაგან თავისუფალი, მსოფლიო ისტორიის პირველი სასკოლო სახელმძღვანელოები მიგვაჩნია. პირველი

ნაბიჯი კარგად გათვალეს. სწორედ გადადგეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ეს მათი წარმატება იყო. (10).

ამ კარგი ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაიწერა სახელმძღვანელოები გერმანიის და საფრანგეთის ისტორიაში და ერთ-ერთი პირველი იყო სახელმძღვანელო ინგლისის ისტორიაში. (16). ის გაგრძელდა საკვლევ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, ქართულმა ისტორიოგრაფიამ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველმა თუ ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის თაობაზე. (17. 18. 19). ეს სერიოზული სიახლე იყო, რომელსაც ვერავინ ვერ აუვლის გვერდს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ საშურ საქმეს სათავეში ჩაუდგა პროფ. კოტე ანთაძე. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში საძირკველი ჩაუყარა ახალ მძლავრ ანტისტალინისტურ მიმართულებას, რაც საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ თვისებრივი, ხარისხობრივი, წინგადაგმული ნაბიჯი იყო. (9). სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს ჯგუფი 2006 წლის რეფორმის შემდეგ, ფაქტობრივად. დაშალეს თუმცა ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

ჩვენი აზრით, ახალი ტიპის სახელმძღვანელოები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: პირველი ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დაგმობას ცდილობს რადიკალური ფორმა შეძინოს. მეორე. ის უფრო ლიბერალური ფორმით მიმდინარეობს. ეს იმით გამოიხატება, რომ სიახლეებთან ერთად ისევ გადავაწყდებით ძველი ინერციით შემორჩენილ მარქსისტულ-ლენინური სტეროტიპების და შტამპების გამოძახილს. მესამე კი უფრო მკვეთრად გამოკვეთილი ისტორიული რეტროს სურნელი დაკრავს და უფრო წინ კი არ იყურება, არამედ უკან და მარქსისტულ-ლენინური დოგმებითაა გაჯერებული.

ანტიკურ ისტორიაში პროფ. ალექსანდრე წერეთელის სახელმძღვანელოების შემდეგ, რომელიც დღეს უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, დღის წესრიგში დადგა ახალი სახელმძღვანელობის დაწერა. ამ რთულ

მისიას ხელი მოკიდა პროფ. გრანი ქავთარიამ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი ორი სახელმძღვანელო: „ძველი საბერძნეთი“, (20), რომელიც გამოვიდა 2005 წელს და „რომის ისტორია“, რომელიც გამოვიდა ორ წიგნად: პირველმა ნაწილმა დღის სინათლე 2016 წელს იხილა, ხოლო მეორემ კი 2020 წელს, (21). სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კვლავ ძველი სახელმძღვანელო გვაქვს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში. მას განახლება ესაჭიროება.

ახლა გადავიდეთ შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლაზე. დღეს, რა თქმა უნდა, პროფ. გიორგი ტივაძის სახელმძღვანელო უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. სასურველი იყო მისი განახლება. 2004 წელს პროფ. გურამ კუტალიას რედაქციით გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის. ახალი სახელმძღვანელო, ცხადია, ძალიან კარგია და ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ რამდენად წარმატებით შეძლო ძველის ჩანაცვლება ეს ძნელი სათქმელია. ჩვენი აზრით, მას ძველ სახელმძღვანელოსთან უფრო მეტი შეხების წერტილები გააჩნია, ვიდრე განსხვავება. პროფ. გიორგი ტივაძის სახელმძღვანელოს შემდეგ ის წინგადაგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მარქსიზმის გავლენა ბოლომდე დაძლეული არაა და ჯერ ისევ ძალუმად იგრძნობა. შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის მცდელობა ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია (22).

დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა პროფ. არონ გურევიჩის გულისტკივილს. „ყმაწვილებო ის რასაც თქვენ ისმენთ ლექციებზე და კითხულობთ სახელმძღვანელოებში რეალურად არ არის ის შუა საუკუნეები, რომელზეც საუბრობს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ეს არის გაღარიბებული, გაუფერულებული ადამიანისაგან დაცლილი კასტრირებული უდიდესი ისტორიული ეპოქა ათასი წლის მანძილზე. (53.295).

საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს პროფ. ვაჟა თვალავაძის „ახალი ისტორიის“ სახელმძღ-

ვანელო, რომელიც 1998 და 1999 წელს ორ ნაწილად გამოვიდა, თუმცა გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც რჩება. მას გადამუშავება ესაჭიროება. რაც მას უცდია 2006 წელს, მაგრამ შემდგომში ეს აღარ გაუკეთებია, რადგან 2006 წლის რეფორმის შემდეგ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. (23).

ამ ხარვეზის შევსების კიდევ ერთ მცდლეობას წარმოადგენს პროფ. მურმან პაპაშვილის რედაქციით გამოსული სახელმძღვანელო XVI საუკუნის ისტორია. თავდაპირველად, ის ჩაფიქრებული იყო როგორც შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს, მეორე ნაწილი, მაგრამ შემდგომში, უმთავრესად, პროფ. თეიმურაზ პაპასქირის და ამ სტრიქონების ავტორის დაჟინებული მოთხოვნით შეცვალეს სათაური. ბოლოს ამ ვარიანტზე შეჯერდნენ. (24).

ამ ხარვეზის შევსების კიდევ ერთ მცდელობასთან გვაქვს საქმე ისტორიკოს დავით ლომსაძის სახელმძღვანელოში „ევროპირ და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“ (25), მაგრამ მას წარმატებული ძნელი იქნებოდა უწოდოთ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ აქ საკმაოდ ჭარბადაა ძველი მარქსისტული შტამპები. ასეთად, პირველ ყოვლისა მიგვაჩნია ახალი ისტორიის პერიოდიზაცია. ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საკამათო ჩანს. ჩვენი აზრით, უბრალოდ უხერხულია პირველი იმპერიის და ბურბონთა რესტავრაციის გაერთიანება.

რა თქმა უნდა, მისასალმებლად მიგვაჩნია ამ საქმეში პერიფერიების ჩართულობა. აქ, ცხადია, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს სულ ახლა ხანს 2021 წელს ბათუმში ისტორიკოს ხათუნა დიასამიძის სახელმძღვანელო „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“ (26) ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ვაკუუმის შევსების ნებისმიერ მცდელობას პოზიტიური დატვირთვა გააჩნია და მისასალმებლად მიგვაჩნია, მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება და ამას გვერდს ვერ აუვლით. ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოს სტრუქტურის, არქეტექტინიკის, შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, გამორიცხული არ უნდა იყოს. ის ძალიან ზოგადად გვეჩვენება. მეტია კონკრეტიკა ხომ არ იქნება უფრო სასურველი? სახელმძღ-

ვანელოს დაწყება ესპანეთის ისტორიით ცოტათი მოულოდნელად, უხერხულად, მიგვაჩნია. ცოტა უცნაური გვეჩვენება ახალი ისტორიის პერიოდიზაცია. თითქოს ის უარყოფს ამ საკითხის მარქსისტულ პერიოდიზაციას. მიუთითებს ამ შრომებსაც, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე როდია. ის ახალ ისტორიას არ იწყებს ინგლისის რევოლუციით. ეს ძალიან კარგი, მაგრამ, XVII საუკუნის დასაწყისიდან ახალი ისტორიის დაწყება გაგვიკვირდა და, ჩვენი აზრით. მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. „საფრანგეთის ისტორიის, კულტურის და გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს ავტორი ჩვენთან ერთად არის პროფ. კოტე ანთაძე. ეს, ეტყობა, პატივცემულ მკვლევარს უნებლიეთ გამორჩა. მიგვაჩნია, რომ გამოყენებული ლიტერატურის სია ხელოვნურადაა გაბერილი. აქ შეხვდებით ისეთი დასახელების შრომებს, რომელსაც ახალ ისტორიასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია და უახლესი ეპოქის კუთვნილებაა. ასეთია მაგალითად პროფ. თეიმურაზ პაპასქირის სახელმძღვანელო. არის სხვა მაგალითებიც, მაგრამ მასზე ახლა აღარ შევჩერდებით. სასურველი იქნებოდა თუ სახელმძღვანელო ორ ნაწილად გაკეთდებოდა. ეს საშუალებას მისცემდა მას ცალკეული მონაკვეთები შინაარსობრივად კიდევ უფრო გაემდიდრებინა, რაც სახელმძღვანელოს მეტ სოლიდურ სახეს შესძენდა.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის კიდევ ერთი მცდელობას წარმოადგენს პროფ. ტარიელ ჭიღვარიას და ჯ. კუბლაშვილის სახელმძღვანელო, რომელიც გამოვიდა ქუთაისში 1998 წელს. ის მოგვითხრობს ახალი ისტორიის ერთ საინტერესო მონაკვეთზე 1815 წლიდან 1870 წლამდე. (27).

რა თქმა უნდა, გადამუშავებას საჭიროებს უახლესი ისტორიის სახელმძღვანელო. საბჭოთა წლებში გამოსული სახელმძღვანელო, ცხადია, დღეს უკვე აღარ გამოდგება, შესაცვლელი იყო, მოძველდა, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. დღის წესრიგში იდგა ახალი სახელმძღვანელოს დაწერა. ამ საშური საქმის ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად და ინიციატორად პროფ. თეიმურაზ პაპასქირი მოგვევლინა. სახელმძღვანელოს პირველი მონაკვეთი გამოვიდა 2009 წელს „ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945“

(28). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ისტორიკოს ელენე (ლიკა) მეძმარიაშვილმა. აქ საუბარია XX საუკუნის ისტორიაზე. ეს გახლავთ უახლესი ისტორია (29). განსხვავება სათაურშია. შინაარსი არ იცვლება. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯია. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება უახლესი ისტორიის პერიოდიზაციას. სახელმძღვანელოში უარყოფილია ამ პერიოდის ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია, როდესაც უახლესი ისტორიის ათვლის წერტილად მიიჩნეოდა 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, რომელიც სულაც არ იყო რევოლუცია, როგორც ამას სტალინი და მისი კვალდაკვალ საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნავდა. საქმე გვაქვს ერთ ჩვეულებრივ სახელმწიფო გადატრიალებასთან, როგორც ამას ხაზს უსვამს ევროპული და ამერიკული ისტორიოგრაფია და რომლის ისტორიული მნიშვნელობის გადაჭარბება, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩადიოდა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

პროფ. თეიმურაზ პაპასქირი თავის სახელმძღვანელოში უახლეს ეპოქას იწყებს 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებით, რომელსაც გაცილებით უფრო ფართო და დიდი რეზონანსი ჰქონდა, ვიდრე 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას, რომელიც ჩრდილში, საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძალისხმევით, აღმოჩნდა მოქცეული პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი. ეს შეუსაბამობა გასწორდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

საიდან შეიძლება დავიწყოთ XX საუკუნის ისტორიის თხრობა. იკვეთება სამი ვერსია. XX საუკუნის ისტორიის გადმოცემა შეიძლება დავიწყოთ იქიდან საიდანაც იწყება თვითონ ამ საუკუნის ისტორია. ეს ერთი ვერსიაა და მას ყავს თავისი მომხრეები. სწორედ ასე იქცევა ისტორიკოსი ელენე (ლიკა) მეძმარიაშვილი, თავის სახელმძღვანელოში. ის ამ საუკუნის ისტორიის თხრობას იწყებს 1900 წელს, როდესაც დაიწყო ახალი საუკუნე. შეიძლება იყოს სხვა ვერსია. XX საუკუნის ისტორია შეიძლება დავიწყოთ 1898 წელს ესპანეთის და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ომით, რომელიც, როგორც ისტორიკოსები

აღნიშნავენ, პირველი მსოფლიო ომის უვერტიურად გაისმა. მესამე ვერსია შეიძლება იყოს 1914 წელი, პირველი მსოფლიო იმ დაწყება. შეიძლება უახლესი ისტორიის დაწყება 1918 წელს, როდესაც დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, თუმცა პირველ მსოფლიო ომის დაწყება უფრო მისაღები უნდა ჩანდეს. პირადად ჩვენ ახალ და უახლეს ისტორიას შორის მიჯნად წარმოგვიდგენია XX საუკუნის დასაწყისი 1914 წელი, როდესაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ალბათ, უპრიანი იქნებოდა ეს თარიღი ავიღოთ XX საუკუნის ისტორიის დასაწყისად. ეს ჩვენი პოზიციაა.

საბჭოთა სახელმძღვანელოებში ძალუმად იგრძნობოდა იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის პოლიტიკის, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკის, შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა. ახალ სახელმძღვანელოებში ამგვარი აღფრთოვანებული ტონი ცხადია, უკვე აღარ იგრძნობა, საბჭოთა რეალობისადმი რეალისტური დამოკიდებულება ამ სახელმძღვანელოების კიდევ ერთი პლუსია.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს. მიმდინარეობს მისი გათავისუფლება ძალად თავს მოხვეული, ვიწროდოგმატურად გაგებული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატისაგან, (30. 31. 32).

ამ მიმართულებით რაღაც პოზიტიური ნამდვილად კეთდება და ეს, ცხადია, ძალიან კარგია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია, მაგრამ ეს ცოტაა. გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია და ამის უგულებელყოფა უმართებულო იქნებოდა. ფაქტობრივად, თავიდანაა დასაწერი XX საუკუნის საქართველოს ისტორია. ეს მონაკვეთის ყველაზე უფრო მეტად ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მავნე რადიაციას. მიუხედავად ყოველივე ამისა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენა ბოლომდე დაძლეული ჯერ კიდევ არაა. ძველი ინერციით ჯერ კიდევ გვხდება მარქსიტული სტერეოტიპები და შტამპები. უწინარესად ასეთად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის გაუთავებლად აპელირება „ბურჟუაზიულ რევოლუციებზე“. ეს არის ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღე, რომელსაც მომავალი არ უწერია.

(33) ამ შემთხვევაში კრიზისი მძიმე ფორმით მიმდინარეობს და, ლეტალურ, სასიკვდილო, ხასიათს იძენს. უკან ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაკენ მიბრუნების ნებისმიერი მცდელობა დაუშვებელია რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს

ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისაგან თავის დახსნის მცდელობა, ცხადია, ძალიან კარგია. ეს, უდავოდ, არის კრიზისიდან თავის დაღწევის ერთი ფაზა და ეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებითი მხარეა. მაგრამ აქ წერტილის დასმა, ჩვენი აზრით, ნაადრევი იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთია ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან ისტორიის გაწმენდის შემდეგ, ხელში პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვრჩება. თუ პირველი მისი დადებითი ასპექტია და პლუსად მიგვაჩნია. მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ის შედარებით პრობლემურად მიმდინარეობს. ამიტომ ამ საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს გახლავთ რეალობა, რომელსაც ვერსად ვერ გავექცევით. ეს გვესახება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისისაგან თავის დაღწევის რეალურ გზად. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, ისტორიის ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების შემდეგ ხელში, სწორედ, პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგრჩება და დღის წესრიგში დადგება პოზიტივიზმის თეორიულ მეთოდოლოგიური პრინციპების დაძლევა. სხვაგვარად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარება, ყოვლად წარმოუდგენლად წარმოგვიდგენია. ეს მოსაზრება ლაიტმოტივად გასდევს „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილს და ახლა ვაგრძელებთ ამ ხაზს. (5. 22-34).

ისტორიის ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გაწმენდა არ ითვალისწინებს, მხოლოდ, ემპირიულ, ფაქტობრივ, ისტორიას. ასეთი ვიწრო გაგება სწორი არ იქნება და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ,

ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. მისი დიაპაზონი ნამდვილად გაცილებით უფრო ფართოა. ის თეორიულ საკითხებს, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიულ თემატიკას მოიცავს. ევროპული, ან როგორც საბჭოთა პერიოდში ამბობდნენ „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიით“ დაინტერესება მეცნიერულ ხასიათს იძენს. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიურ გამოცდილებაზე. შუქი აშკარად ჭარბობს ჩრდილს. ეს მაშინ როდესაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირიქით იყო. ნეგატივი ჭარბობდა პოზიტივს. ეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ამ პრობლემის გაშუქებისას აქცენტების დასმა მკვეთრად შეიცვალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ყურადღებას ამახვილებენ ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე და არა კრიზისზე, როგორც ეს იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ევროპული ისტორიოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულს ჩაბარდა, რაც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას. ეს კიდევ ერთი პლუსი იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს და სწორი არ იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სასურველი იქნებოდა საკითხისადმი დაბალანსებული მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. შეინიშნება ტენდენცია იმას რასაც წინათ ლანძღავდნენ ახლა აქებენ. ასეთი სწორხაზოვანი დამოკიდებულება ხშირად აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს და ძალზე მიამიტური, პრიმიტიულია.

ეს სიახლეები და ნოვაციები, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ამავე დროს მას გააჩნია ჩრდილოვანი მხარეები, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება და ამ სფეროში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ რეალურ ვითარებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოადგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. ნებსით თუ უნებლიეთ ეი-

ფორიაში აღმოვჩნდებით, ეს კი საჭირო არაა. კვლავ გავმეორდებით. ეს ყველაფერი, ცხადია, კარგია, მაგრამ პალიატურ, ზედაპირულ, ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, უფრო მეტად რაოდენობრივ ცვლილებებს ეხება და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, გარდაქმნებს. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადაზრდის პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და დროში საკმაოდ გაიწელა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და, ჩვენი აზრით, შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ ის არ ეხება მეთოდოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებს და მათ განახლებას. (5.25-27). ამ მიმართულებით გაცილებით უფრო მეტის გაკეთება იქნება სასურველი.

იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა ყურადღება მივაპყროთ იმ ტენდენციებს, რომელსაც ადგილი აქვს ისტორიულ მეცნიერებაში, უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარება სანუგეშოდ ძნელია მივიჩნიოთ. ისტორიული აზროვნების ასეთი ანალიზი არა თუ უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ მის წინამორბედ საბჭოთა ისტორიოგრაფიას, არ ჩაუტარებია. ეს აძნელებს კრიზისის ხასიათის გაცნობიერებას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის შემეცნების, აღქმის, საკითხში ჰეგელიანურ მიდგომას ენიჭება პრიორიტეტი. ამგვარი ხედვა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მასში უწინარესად, პოზიტივისტური და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის გამოძახილი უნდა დავინახოთ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის შემეცნების სფეროში ჰეგელიანური მიდგომის მომხრედ შეიძლება იქნას მოაზრებული, (34). თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰეგელიანური მიმართულების მთავარ ტონის მომცემად პროფ. გურამ ყორანაშვილის გვევლინება. (35). ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, იმის თაობაზე, რომ ეს საკმაოდ მაღალი დონე

და ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი გავრცელებული თვალსაზრისია, რომელსაც ბევრი მომხრეები ყავდა როგორც წინათ, ისე ახლა. როგორც ჩანს, მან გამოძახილი ჰპოვა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია ძალიან კარგია და მისასალმებელია, მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მკვლევართა თვალთახედვის არეალში, დიდი ხნის განმავლობაში, ვერ ხვდებოდა და სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. ჰეგელიანურმა თვალსაზრისმა შეიძლება დაჩრდილა ქართველი ისტორიკოსები, მათ შორის, შესაძლოა, ივანე ჯავახიშვილი, თვალში, მეორე უფრო პერსპექტიული თვალსაზრისი, ნეოკანტიანელების მიდგომა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა ევროპული ისტორიოგრაფიის საქმიანობისადმი გაზრდილი ინტერესი, რაც საბჭოთა წლების შემდეგ, წინგადადგმული ნაბიჯია და მისასალებელია. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მას გააჩნია თავისი ახსნა. უმთავრესად, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დღეს ინფორმაცია, სოციალურ ქსელების წყალობით, გაცილებით უფრო ადვილი ხელმისაწვდომი შეიქმნა, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში იყო. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, ეს ძალიან კარგია. ამ პრობლემატიკით დაინტერესებული ისტორიკოსების წრე გაიზარდა, გაფართოვდა. დიდი ყურადღება ეთმობოდა „ანალების“ სკოლის საქმიანობას, რომლის მიმართ წინათ დიდი დაინტერესება არ შეიმჩნეოდა. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად პროფ. გივი კიღურაძის წიგნი „ახალი ისტორია“ გვევლინება. აქ ის გაკვრით, ძალიან მოკლედ, განიხილავს ამ საკითხს, ის ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. (15. 255-257).

ცხადია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ სულ სხვა აქცენტები დასვა, სულ სხვა პრიორიტეტები დასახა, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ წინა პლანზე წამოიწია საკითხისადმი მეცნიერულმა მიდგომამ. კრიტიკულ განმაქიქებელი ტონი ჩაანაცვლა კონსტრუქციულმა დამოკიდებულებამ. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ძალიან კარგია.

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში „ანალების“ სკოლის საქმიანობის პოპულარიზაციაში. ეს ურიგო საქმე არ გახლავთ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი დადებითი მხარეა. სოციალური ქსელების საშუალებით, ეს მასალა ადვილი ხელმისაწვდომი გახდა და შედეგმაც არ დააყოვნა. „ანალების“ სკოლის საქმიანობის პოპულარიზაციამ ფართო რეზონანსი შეიძინა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და კომპილაციას წარმოადგენს. ზედმეტი ამბიციები საჭირო არაა. უადგილოა. ეს მედლის ერთი მხარე იყო, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. მას გააჩნია მეორე მხარე, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას, ვერ შეგვიქმნის. მოდით ახლა ამ კუთხით შევხედოთ ამ საკითხს. ეიფორიულ განწყობილებას ნუ მივეცემით. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მთელი ეს დაინტერესება, უპირატესად, კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, გათვლილია რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე. ეს კი ამ დაინტერესების აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. (36. 164-188).

„ანალების“ სკოლაზე ყურადღების გამახვილება, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა წლების შემდეგ წინაგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს და საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. სიახლეები მხოლოდ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სახელს როდი უკავშირდება. არის სხვა საინტერესო მიმართულებები, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა. ერთ-ერთი მათგანს წარმოადგენენ ნეოკანტინელები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნეოკანტიენელების და მაქს ვებერის თეორიული ძიებები. მათ თავისი სიტყვა თქვეს ისტორიის ფილოსოფიაში და ისტორიის მეთოდოლოგიაში. ამ თემის წინ წამოწევა კარგი იყო და შინანრსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიას. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს

ასე არ ხდება. სასურველი იქნებოდა ამ საკითხის გაცილებით უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა. ამ ფონზე ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება სულ რამოდენიმე ნაშრომი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა. (36. 144-164. 37. 342-377. 38. 228-241). ეს მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ამ ვაკუუმს. თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიის პანორამა გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია.

როგორც ვხედავ, ვერ ვიტყვით თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდებოდეს. გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს ნამდვილად აქვს ადგილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს. გასაკეთებელი, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო მეტია. ამიტომ სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდეს. ამისათვის, კი პირველ ყოვლისა, საჭიროა, სათანადო კადრები მოვამზადოთ. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ისტორიკოსთა ახალი თაობა თეორიული საკითხების მიმართ, მცირეოდენი ბედნიერი გამონაკლისის გარდა, დიდ დაინტერესებას არ ამჟღავნებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. ეს მიმართულება დახმარებას საჭიროებს.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლის გარანტად ევროპული დისკურსის ათვისება გვესახება, მაგრამ ეს პროცესი მიმბაძველ ხასიათს კი არ უნდა ატარებდეს ეს ჩიხური გზა იქნებოდა, არამედ შემოქმედებითი უნდა იყოს. ეს გაცილებით უფრო პერსპექტიული იქნებოდა. ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი შემოქმედებითი მიდგომის საუკეთესო ნიმუშად დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება გვევლინება. ის ცდილობს აიღოს და ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგოს ყველაფერი დადებითი, რომელიც, მისი აზრით, ევროპულ ისტორიოგრაფიას გააჩნდა. საბჭოთა პერიოდში, როდესაც მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, შემოქმედებითმა მიდგომამ უკანა პლანზე გადაიწია და გზა დაუთმო ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. დღეს საქმე გვაქვს შემოქმედებითი დამოკიდებულების რეაბილიტაციის მცდელობასთან. მის ერთ-ერთ ინიციატორად აკად. როინ მეტრეველი შეიძლება მივიჩნიოთ.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ისწრაფვის თავი დააღწიოს კრიზისს. დაძლიოს იზოლაცია, რომელშიც აღმოჩნდა საბჭოთა წლებში. გათავისუფლდეს ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისაგან. „გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილი საზოგადოებრივი მდგომარეობა ისტორიკოსებს აძლევს განახლებული მეთოდოლოგიური კვლავის საშუალებას. ეს კი არის საერთოდ მეცნიერებისა და კერძოდ, ისტორიოგრაფიის XX საუკუნის სამოცდაათწლიანი საბჭოთა იდეოლოგიით განპირობებული კრიზისიდან გამოსვლის რეალურ გზას“. (3. 511).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება ეიფორიული განწყობილების საფუძველს ნაკლებად იძლევა. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება, მაგრამ პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. ვითარების მეტისმეტად გამუქება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ამ რთული სიტუაციის დრამატიზირება საჭირო არაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავერკვეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარების პლუსებსა და მინუსებში. მოგვეძებმა ოქროს შუაგული, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად. ეს საშუალებას მოგცემდა თავიდან აგვეცილებინა ორივე უკიდურესობა.

ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. არაერთი საინტერესო კონკრეტული გამოკვლევა დაიწერა, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს სიახლეები, უპირატესად, კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, უმთავრესად რაოდენობრივ ცვლილბებთანაა დაკავშირებული და არა თვისებრივ, ხარისხებრივ, ძვრებთან. ეს პროგრესის ჩრდილოვანი მხარეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველივე ეს ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ

ჩარჩოებში, რაც ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი.

მეორეს მხრივ უნდა ითქვას, რომ მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური პრინციპების განახლების თვალსაზრისით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია გაცილებით უფრო მოიკოჭლებს და ამ მიმართულებით მისი შედეგები რბილად, რომ ვთქვათ, მეტად მოკრძალებულად გამოიყურება. ამ საკითხში ქართველი ისტორიკოსების პასიურობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

კრიზისი მხოლოდ უარყოფითთან როდი ასოცირდება. შეიძლება ის მიმდინარეობდეს სხვადასხვა ფორმით. აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ის შეიძლება ატარებდეს „ზრდის კრიზისს" ფორმას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი უფრო სერიოზული ხასიათი შეიძლება მიიღოს და ლეტალური, სასიკვდილო ხასიათი შეიძინოს. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით გავერკვეთ კრიზისის რომელ ფორმასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება სულაც არ იქნება ადვილი საქმე. ასეთი სწორხაზოვანი მიდგომა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

ვერ ვიტყვით თითქოს ქართული ისტორიოგრაფია არ ცდილობს შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალის მოძიებას. ეს ასე არაა. გარკვეული პოზიტიური ძვრები, უეჭველად, მიმდინარეობს და ამაზე თვალს ვერ დახუჭავ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და, ჩვენი აზრით „ზრდის კრიზისის" წანამძღვარებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან შეიძლბა ასოცირდებოდეს. საკუთრივ „ზრდის კრიზისზე" ჩამოყალიბებული ფორმით საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ჯერ კიდევ ნაადრევი შეიძლება იყოს.

ახლა მოდით ვნახოთ თუ რა იგულისხმება „ზრდის კრიზისში". ეს ტერმინი, თუ არ ვცდებით პირველმა თუ არა ერთ-ერთმა პირველმა, გამოიყენა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟაკ ლე გოფმა. ის არ გულისხმობს მხოლოდ როდენობრივ ცვლილებებს, როგორც ეს ზედაპირზე ძევს. პირველ ყოვლისა, ის ასოცირდება „ისტორიუ-

ლი მეცნიერების ძირეულ გარდაქმნასთან. ძველი სტერეოტიპებისა და არსებული სქემების გადახედვასთან, კვლევის მეთოდების სერიოზულ ტრანსფორმაციასთან. მისი ყურადღების ცენტრში, ცხადია, დგას ისტორიკოსი. ის უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მას მოუწევს გადახედოს თავის მეთოდოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებს და ორიენტირებს". (1. 35).

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა აპელირება არ საკუთრივ „ზრდის კრიზისზე", არამედ მის წანამძღვრებზე, სიმპტომებზე, პირველ ნიშნებზე. ეს, ვფიქრობთ, უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა შედარებით უფრო რეალისტური შეიძლება ჩანდეს.

რაც შეეხება კრიზისის კიდევ ერთ ფორმას ის გაცილებით უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებს და ძველ ვიწროდგმატურად გაგებული ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნებისმიერი ფორმით რეანიმაციასთან ასოცირდება, რაც, პირდაპირ ვიტყვი, რომ მიუღებლად მიგვაჩნია. ეს ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. გვეყო რაც ჩამოვრჩით

ვფიქრობთ, კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას ამ რთულ სიტუაციიდან თავის დახსნის საქმეში კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ, უეჭველად, წარმოადგენს პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, რომლის მნიშვნელობის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეტყობა, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების მცდელობამ ქართველ ისტორიკოსების თვალში გადაფარა მეორე უფრო სერიოზული პრობლემა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელ პირველზე ნაკლებად რთული არ გამოდგა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარქსიზმისაგან გათავისუფლების შემდეგ პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვრჩება ხელში. ასეთი გახლავთ რეალობა, რომლის ვარდისფერებში, შელამაზებულად, წარმოჩენა ან გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისაგან თავის დაღწევა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ერთი ვიწროდოგმატუ-

რად გაგებული მარქსიზმ-ლენინიზმისაგან. ამიტომ კრიზისისაგან თავის დაღწევის საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის დაძლევის შეუფასებლობა, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება შეინიშნება ქართული ისტორიოგრაფიაში, მართებული არ უნდა ჩანდეს. ხომ არ იქნება კიდევ ერთი ახალი ჩიხი? კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. ვერ ვიტყვით თითქოს ქართული ისტორიოგრაფია არ ცდილობს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერი დაძლიოს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს, გასაკეთებელი გაცილებით მეტია.

აღსანიშნავია, რომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის პირველ მოკრძალებულ მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ, საბჭოთა წლებში, მაგრამ ის, ცხადია, საბჭოთა იდეოლოგიის ჩარჩოებში თავსდებოდა. ამგვარი მცდელობის ერთ-ერთი ნიმუშია პროფ. გივი კიღურაძის წიგნი „ახალი ისტორია“ (15) რომელიც წმინდა თეორიულ, ისტორიოგრაფიულ, ხასიათს ატარებს და შეეხება ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს, რომელიც არა თუ მაშინ, არამედ დღესაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაცილებით უფრო ნაკლებადაა დამუშავებული. მარქსისტული სტერეოტიპების და კლიშეების გამო მკაცრად განსჯა მიზანშეწოლი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს ნაშრომი ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა, ცხადია, სწორი არ უნდა იყოს. „ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე შეძლო ერთიან, მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართული მკითხველისთვის, ისტორიკოსი-სტუდენტებისათვის, რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლებისა და ცალკეულ ისტორიკოსთა კონცეფციებისა, რომლებიც წარმოიშვა ახალი ისტორიის შესწავლისას ევროპისა და ამერიკის ისტორიოგრაფიამ“. (8.14) ამ წიგნმა თავისი საქმე გააკეთა,

მაგრამ დღეს ის, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების დაძლევის მცდელობა, კიდევ უფრო ძალუმად შეინიშნება, მე ვიტყვი, რომ გაღრმავდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტრიოგრაფიაში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოპოვებული თავისუფალი აზროვნების გამოძახილია. გაჩნდა არჩევანის საშუალება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. განსაზღვრავს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მრავალფეროვნებას. ის ცდილობს გათავისუფლდეს პოზიტივისტებისათვის ნიშანდობლივი ვიწრო ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, უპრობლემო ისტორიის, ისტორია აღწერის, თხრობის, შემგროვებლურ ისტორიისაგან. თეორიული საკითხებით დაინტერესება ამ ბარიერის დაძლევის ერთ-ერთ გზად შეიძლება დავსახოთ. ჩვენი აზრით, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის მოკრძალებულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი შრომები. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფ. თედო დუნდუას მრავალრიცხოვანი შრომები. (39). ამ კუთხით საინტერესოა პროფ. ნათელა ვაჩნაძის (40) და მისი მოწაფის რუსუდან ლაბაძის შრომები (41). პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის საზღვრებს ცილდება პროფ. მარიამ კარბელაშვილის ნაშრომი, (42). საინტერესოა ისტორიკოს ნანა გუგუშვილის სერიოზული გამოკვლევა, (43). ემპირიზმის, ფაქტოლოგიის ჩარჩოებს ცილდება და მკვეთრად გამოკვეთილი თეორიული ხასიათი აქვს პროფ. ნინო ჩიქოვანის (44), და პროფ. მარიამ ჩხარტიშვილის (45) შრომებს. საინტერესოა ისტორიკოსს ლალი ფირცხელავას სახელმძღვანელო, რომელიც ასევე თეორიული ხასიათისაა. (46) პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის კიდევ ერთ მცდელობად, ისტორიკოს ნინო კილურაძის შრომები უნდა მივიჩნიოთ. ეს ადვილი გასაგებია და გენეტიკურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ის ცნობილი ისტორიკოსის გივი კილურაძის ქალიშვილია. ეს მისი შრომების ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. მეორე კი იმაში მდგომარეობს რომ ის ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემატიკის პოპულარიზაციის საქმეში. ეს, ცხადია, ძალიან

კარგია. ამ შრომებს შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. სამეცნიერო პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. (5. 113. 14. 105-106). მის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი კარგი საქმე. სულ ახლახანს 2023 წელს მან თარგმნა სებასტიან კოენის საინტერესო წიგნი „რა არის გლობალური ისტორია?“ როგორც ჩანს, თარგმანი უფრო კარგად გამოუდის, ვიდრე კვლევა? უცხო ენების ცოდნა მისი როგორც ისტორიკოსის პლუსია და ამ მიმართულებით მისი საქმიანობის საიმედო გარანტად გვესახება. ამ თვალსაზრისით საკმაოდ ნაყოფიერად იღწვის აკად. როინ მეტრეველის მოწაფე გია ჯოხაძე. მან ამ პრობლემატიკას რამდენიმე საგულისხმო წიგნი მიუძღვნა. (47). შეიძლება ითქვას რომ ბოლო ხანებში ახალ ამპლუაში გვევლინება საქართველოს ისტორიის კომპეტენტური მკვლევარი აკად. როინ მეტრეველი. (3.4.48.49) პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია პროფ. ფარნაოზ ლომაშვილის წიგნი „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია“ (50). ის სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ორი შეეხება ევროპულ რეალიებს. მესამე ქართული კონტექსტი გააჩნია. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების დაძლევის აუცილებლობაზე საუბარი შეინიშნება პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნებში. (35). ყველა ეს შრომები ერთნაირი მეცნიერულ მნიშვნელობის არ გახლავთ, მაგრამ ამჯერად ეს არ გვაინტერესებს. მათზე ყურადღებას ვამახვილებთ, როგორც პოზიტივიზმის დაძლევის მცდელობაზე.

ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დაძლევის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს საკითხის ფორმაციული მიდგომის ჩანაცვლება ცივილიზაციური ხედვით. ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, ისტორიკოს გივი ბოლოთაშვილის X კლასის სახელმძღვანელო „მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია“. ეს უეჭველად, არის სერიოზული სიახლე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ მისი შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, გა-

მორიცხულად არ მიგვაჩნია. ამ მხრივ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საქმე შეეხება თვით ტერმინს „ცივილიზაციას". აქ უფრო მეტი გამჭვირვალობაა საჭირო (51. 8). მეორე გარემოება კი ის არის, რომ როგორც ხშირად აღნიშნავენ ისტორიკოსები უმთავრესად აქცენტი კეთდება „კულტურულ-რელიგიურ, ეთნოცივილიზაციურ ფაქტორზე ისტორიაში. ხოლო სხვა ფაქტორები, პრაქტიკულად, კადრს მიღმა აღმოჩნდა. არ ჩანს დინამიკა ისტორიული პროცესის, ისტორიული ევოლუციის მექანიზმი. უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა და მათი ურთიერთზემოქმედება". (52.2). სასურველი იქნებოდა თუ ეს გზა გაგრძელდებოდა და ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მას გაგრძელება არ მოყოლია. 2006 წლის რეფორმის შემდეგ კი არც არავის გახსენებია. ჩვენი აზრით, ეს იყო სერიოზული შეცდომა, რომელმაც ხელი არ შეუწყო ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ წინსვლა-განვითარებას.

ახლა მოდით იმ მოცემულობიდან ამოვიდეთ რა მოხდება მაშინ თუ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია დააღწევს თავს ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება პატარა საქმე და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს. წამოიჭრება ერთი, ჩვენი აზრით, პრინციპული საკითხი, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ხვალინდელ დღესთან, მის შემდგომ წინსვლა-განვითარებასთან ასოცირდება. თემა არის საინტერესო და აქტუალური, განვითარების რა გზას აირჩევს ქართული ისტორიოგრაფია? რა გამოსავალს გამოძებნის შექმნილი რთული ვითარებიდან? აი კითხვები, რომელიც წამოიჭრება აღნიშნული საკითხის მკვლევარის წინაშე. მასზე პასუხის გაცემა, ცხადია, ადვილი საქმე არ გახლავთ, მაგრამ ამის გაკეთება საჭიროა. ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას

და ამით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ მის გადაწყვეტის საქმეში. რა თქმა უნდა, გაგვაჩნია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის საკუთარი ვერსია, მაგრამ, ცხადია, ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, რადგან კარგად ვაცნობიერებთ, რომ ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ის როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ეს საკითხი მეცნიერული პაექრობის საგანი უნდა გახდეს, ალბათ, ასე მოხდება. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ აქაც, საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და სიმართლე გითხრათ ეიფორიული განწობილების მიზეზს ვერ ვხედავთ. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი ყოველთვის არის, ამიტომ აქ სკეპტიკური განწყობა უადგილო იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს, მაგრამ მისი მოძიება სულაც არ იქნება ადვილი საქმე. ჩვენ მაინც შევეცდებით გამოვნახოთ ეს ოქროს შუაგული.

ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე გამოსავალი არის კონკრეტული სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამას აქვს მნიშვნელობა და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, ეს წინგადაგმული ნაბიჯი იქნება. სუსტ და ცუდ გამოკვლევებს მწვანე შუქი არ უნდა მიეცეს. ერთი შეხედვით თითქოს ეს არ არის ძნელი საქმე, მაგრამ რეალობა გაცილებით რთულია. აქ წამოიჭრება ერთი პრინციპული საკითხი, რამდენად ვიქნებით მენტალურად ამისათვის მზად? საბჭოთა წლებში ამ საკითხში ჩვენ მენტალიტეტმა სერიოზული დეფორმაცია განიცადა, რომელიც ძველი ინერციით ჯერ კიდევ გრძელდება და კი არ შეჩერებულა, არამედ უფრო ღრმავდება. ამ შემთხვევაში მეტი პრინციპულობა გვმართებს. შევძლებთ ამას ძალიან კარგია. ვითარება თანდათან დალაგდება, ვერ შევძლებთ და ის კიდევ უფრო გართულდება.

მეორე საკითხი და კიდევ უფრო რთული მეცნიერებასთან მჭიდრო კონტექსტშია, და ის პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სიღრმე-სიფართოვეში განვითარებას უკავშირდება. ეს კი ვერ მოხერხდება მეთოდოლოგიური და გნოსეო-

ლოგიური პრინციპების განახლების გარეშე. ამ მიმართულბით პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, უნდა ითქვას, რომ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ეს საკმარისი არ უნდა იყოს. სასურველი იქნება ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ მიმართულებით თავისი ქმედება გააქტიუროს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც სულ სხვა რა-მეა. რამდენად არის მზად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ასეთი ძირეული გარდაქმნისათვის? ჩვენ შევც-დებით შეძლებისდაგვარად უპასუხოთ ამ კითხვას. აქ საუბარი სიღრმისეული ცვლილებებზე და არა ზედაპირულ გარდაქმნებზე, როგორც ეს დღეს ხდება.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ისტორიოგრაფიის ხვალინ-დელი დღე მენტალიტეტზე ორიენტირებული კვლევებს ეკუთვნის. ამ კუთხით საკითხის გაშუქებას დიდი პერსპექტივა გააჩნია და მისი შემსწავლელი ისტორიკოსის წინაშე საინტერესო სამყაროს გადაშლის „ეს გახლავთ თვით ისტორიკოსის სამყარო, საიდანაც გამომდინარე ის აწარმოებს კვლევას და სამყაროს ხილვა იმ ეპოქაში, რომელსაც ისტორიკოსი იკვლევს. ხომ არ წარმოადგენს ამ ორივე შემეცნების კონფრონტაცია ისტორიის მთავარ მიმზიდ-ველ მხარეს“ (1. 33) დასძენს პროფ. არონ გურევიჩი.

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარეობს ისტორიის წერის საბაზისო აქსიომების რადიკალური გადასინ-ჯვა. ეს ეხება ისტორიის კვლევის საგანს, ისტორიულ ფაქტს, ისტორიულ წყაროს, მეცნიერების ადგილს, ისტორიული გა-მოკვლევის ენას. ამ პროცესში ნელ-ნელა და თანდათან უნდა ჩაებას ქართული ისტორიოგრაფია. აქ აჩქარება არ ივარგებს და არ წაადგება საქმეს. სავსებით ვეთანხმებით პროფ. არონ გურე-ვიჩს, რომ ამ თვალსაზრისით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ანთროპოლოგიური, კულტუროლოგიური და მიკროისტო-რიული დისკურსის ათვისებას. (53. 120). ეს არ იქნება ადვილი საქმე და დიდი ძალისხმევა და დრო დაჭირდება. როგორც ჩვენ გვგონია, ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება სიფართოვეში და ნაკლებად სიღრმეში. პრიორიტეტულია რაოდენობრივი და

არა თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და დროში საკმაოდ გაიწელა, რაც, ჩვენი აზრით, იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ორიენტირების განახლებას რბილად რომ ვთქვათ, შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ეს საკითხი სწორედ, ასე გვესახება. ჩვენი ღრმა რწმენით, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავი რომ დააღწიოს ამ რთულ ვითარებას, როგორც უკვე ითქვა, აუცილებლად საჭიროა თვისებრივი, ხარისხობრივი, ნახტომი. სხვაგვარად ეს ვერ განხორციელდება. შეიქმნება მხოლოდ პროგრესის ილუზია. ეიფორიულ განწყობილებას შევიქმნით. სირაქლემას მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში ყველაფერი წესრიგშია და არანაირი პრობლემები არ გვაქვს. აი ეს არის ყველაზე დიდი ილუზია.

ბუნებრივია, წარმოიჭრება ერთი პრინციპული საკითხი, რომელზე შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი. ამ კუთხით საკითხის დასმა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. რამდენად გახლავთ მზად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთი რადიკალური ცვლილებებისათვის, თვისებრივი ნახტომისათვის? რა თქმა უნდა, ჩვენ გაგვაჩნია ამ კითხვაზე პასუხი რომელიც, კარგად გვესმის, რომ საკამათო შეიძლება იყოს და მეცნიერული განსჯის საგანი გახდეს. ცხადია, ის არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ეს ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება. ეს მისი სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთი მკვეთრი ცვლილებებისათვის, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, მზად არაა. ამას სათანადო მომზადება ესაჭიროება. ასეთი პესიმისტური განწყობილება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება, უმთავრესად, ორი გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული. პირველ ყოვლისა, ეს გახლავთ ისტორიის ცოდნის დაბალი დონე როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში. აქ საუბარია საშუალო დონეზე, რომელიც,

რაც წლები გადის სულ უფრო კლებულობს და ისეთი პირი უჩანს, რომ ის კი არ შეჩერდება, არამედ გაგრძელდება. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოსდა კარგი სტუდენტები არ გვყავდეს. სინამდვილეში ეს ასე არაა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არ გვყავდეს. ისინი კიდევ უფრო ბევრი იქნებოდნენ, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა პირდაპირ კატასტროფის ტოლფასია. ალბათ, მიხედვით, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი ტოვებს ქვეყანას და ხარისხიანი განათლების მიღების იმედით საზღვარგარეთ მიდის. არსებობს იმის ალბათობა, რომ მათი დიდი ნაწილი სამშობლოში აღარ დაბრუნდეს. ის ვინც აქ დარჩა და კარგად სწავლობს აქვს სერიოზული პრობლემები საერთო განათლების საკითხში. ეს კი ისტორიკოსისთვის სერიოზული ნაკლია. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, ჟორჟ ლეფევრი თქმით, „ისტორიკოსი ერუდიციის გარეშე არ არსებობს“. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ვამუქებთ საქმის ვითარებას, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ვსაუბრობთ იმაზე რაც ჩვენი ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის ორმოცი წლის მანძილზე გვინახავს. ის კი ოპტიმიზმის საფუძველს ყველაზე ნაკლებად იძლევა. აქ ეიფორიული განწყობილება სრულიად უადგილოა. ამ სფეროში არსებული ვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

ყურადღებას მივაპყრობთ ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო საკითხს, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის აზრთასხვადასხვაობა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებული თავისუფალი აზროვნების, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, პლურალიზმის, გამოძახილს წარმოადგენს.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველმა თუ არა ერთ-ერთმა პირველმა, კატეგორიულად დაგმო მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. ქართველ ისტორიკოსთა ერთმა ჯგუფმა, რომლის თავკაცი პროფ. კოტე ანთაძე იყო, კატეგორიულად უგულებელყო მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და მხარი დაუჭირა მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ევროპულ მოდელს, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ასახელებდა XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისს. კონკრეტულად კი, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რენესანსს და რეფორმაციას. ამ სამი თარიღიდან უპირატესობა ენიჭებოდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. (17, 18, 19). ყველაფერი ეს ამ საკითხის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯს წარმოადგენს, რაც განსაზღვრავს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ავტორები მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ და კატეგორიულად გმობენ საქართველოს ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას, ფორმაციულ მიდგომას და აღადგინეს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ევროპული მოდელი, რომლის სათავეებთანაც იდგა, ყველასაგან სრულიად უმართებულოდ მივიწყებული ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი (ბარათოვი). საქართველოს შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის მიჯნად აღებული იქნა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა XV საუკუნის მიწურულს (17, 54). ეს ძალზე მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს, მაგრამ ის არ შეესატყვისება საკითხისადმი ფორმაციულ მიდგომას და ამიტომ, აღმოჩნდა კადრს მიღმა. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ სცადა გაესწორებინა ეს შეუსაბამობა, რაც, ცხადია, ძალიან კარგია და მის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს.

ეს იყო ერთი მიდგომა. არსებობდა სულ სხვა მიდგომაც. მას მხარს უჭერდა ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი, უპირატესად, მედიევისტები. მისი მთავარი ტონის მიმცემი პროფ. გივი ჟორდანია იყო. ისინი არ უარყოფდნენ მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობას, მაგრამ ეს მცდელობა, ჩვენი აზრით, უმთავრესად, ხდება სიტყვიერად და

არა საქმით. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მსოფლის ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის შეფუთვის მცდელობასთან და არა გადასინჯვასთან.

პროფ. გივი ჟორდანია არ უარყოფს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი მსჯელობის დადებითი მხარეა, მაგრამ მიზანშეწონილად არ ესახება ახალი ისტორიის დაწყება XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში, რენესანსით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით. რეფორმაციით. მას აქედან ახალი ისტორიის დაწყება ნაადრევად მიაჩნია. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკრეტულად ახალი ისტორია შეიძლება დავიწყოთ XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ხოლო მონაკვეთი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე, მას გარდამავალ ხანად ესახებოდა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მას პლუსებზე მეტი მინუსები გააჩნია.

ამ თემაზე კამათი ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. ეს არის დავა უდავო საკითხზე. ხომ არ ვართულებთ საქმის ვითარებას? ეს არაა არავითარი გარდამავალი პერიოდი. ეს არის ადრეული ახალი ისტორია, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონგრესებზე, კონფერენციებზე, უცხოურ სახელმძღვანელოებში და სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა და საკამათო არც არაფერია. ეს ერთი. მეორე. ძალიან ხანგრძლივი ხომ არ არის გარდამავალი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები? ის თითქმის სამ საუკუნეს მოიცავს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე (1492-1789). ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი გარდამავალი პერიოდის გამოყოფის, მაგრამ მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები ცოტა სხვაგვარად გვესახება. ჩვენ ძალიან ფრთხილად იმ აზრისაკენ უფრო ვიხრებით, რომ შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ ეპოქას შორის გარდამავალ ხანად აღვიქვათ ისტორიული მონაკვეთი ასწლიანი ომის დასასრულიდან

და თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებიდან, რეფორმაციის დაწყებამდე (1453-1517). მესამე. ახალი დროის ისტორიის დაწყება XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისით დაგვიანებული უნდა ჩანდეს და ძალიან ახლოსაა მსოფლიო ისტორიის სტალინურ პერიოდიზაციასთან. საქმე გვაქვს მის ერთ-ერთ ვარიაციასთან. მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის მცდელობა ნებისმიერი ფორმით, მიუღებლად მიგვაჩნია. (55).

პროფ. გივი ჟორდანიას ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს მედიევისტებმა. ისტორიკოსი აკაკი გეთიაშვილი კიდევ უფრო კატეგორიულად ცდილობს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციისადმი განსხვავებული მიდგომა. ამგვარი დამოკიდებულება ძალიან კარგად არის ჩადებული თვით მისი ნაშრომის სათაურში „რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განა უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს?“ რას გვთავაზობს ის ამის საპირწონედ? „ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების ეპოქას უნდა განსაზღვრავდეს შემდეგი ქრონოლოგიით: დასაწყისი მთელი V საუკუნე, დასასრული, დაახლოებით XVI საუკუნის ბოლო XVII საუკუნის დამდეგი (კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის გათვალისწინებით) სხვაგვარად შუა საუკუნეების ისტორიას, როგორც ერთიან ეპოქას, მთლიანობაში ვერ აღიქვამს და ვერ გაიაზრებს ვერც ფართო მკითხველი და მით უმეტეს ვერც VII კლასის მოსწავლე“. (56, 10). რატომ? მაშინ ევროპელებს ვერაფერი ვერ გაუგიათ რა შუა საუკუნეების ისტორიაში? სინამდვილეში ამის მსგავსი არც არაფერი ხდება. მთელი ეს არგუმენტაცია არის მეტად პრიმიტული, მიამიტური, პირდაპირ თითიდან გამოწოვილი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სასურველის შესაძლებლად წარმოჩენის მცდელობასთან, რაც მიუღებელია.

ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა. ცარიელ ნიადაგზე არ ალმოცენებულა და, ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ, ვფიქრობთ, კარგად იკითხება მინიშნება XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციაზე, მაგრამ ამას იგი აკეთებს ძალიან ფრთხილად, არ აკონკრეტებს,

რადგან ეს ხელს არ აძლევს და მინიშნება მარქსისტულ პერიოდიზაციაზე, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე გახდებოდა. ამიტომ ზოგად მსჯელობას ამჯობინებს. ამგვარად, განსხვავებული პერიოდიზაციის უგულებელყოფის კიდევ ერთი მცდელობა ჩავარდა და ის წარმატებულად ძნელია მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, ახალ არაფერს გვთავაზობს. (56).

ამ თემაზე თავისი შეხედულება დაფიქსირა ქართული მედიევისტიკის კიდევ ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა პროფ. გურამ კუტალიამ. მას არ მოსწონს განსხვავებული პერიოდიზაცია და სურს მისი უარყოფა. აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რას გვთავაზობს ამის ალტერატივად. აქედან იწყება პრობლემები. მას ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად XV საუკუნის დასარულის და XVI საუკუნის დასაწყისის აღება მიუღებლად მიაჩნია. მას აქედან ახალი ისტორიის დაწყება ნაადრევად ესახება და პროფ. გივი ჟორდანიას მსგავსად, მიზანშეწონილად ეჩვენება გარდამავალი პერიოდის გამოყოფა. ის გვთავაზობს საკითხის მეტად თავისებურ გადაწყვეტას, რაც იმით გამოიხატება, რომ აქცენტს აკეთებს ორმაგ ტერმინზე „გვიანდელი ფეოდალიზმი“ ანუ „ადრეული ახალი დრო“. მიგვაჩნია, რომ ამგვარი პოზიცია არის ძალზე არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი. ის ვერ გაცდა საკითხისადმი ფორმაციულ მიდგომას. რაც ქართული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი. წინ კი არ იყურება, არამედ უკან. ხომ არ ვართულებთ საქმის ვითარებას? ეგება როგორმე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ? ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. ორივე ერთად ვერ იქნება. ეს იყო ადრეული ახალი დრო, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო უშეღავათო ბრძოლა ძველს და ახალს შორის. ძველი ადვილად არ თმობს პოზიციებს, ახალი ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი მზის ქვეშ. მათ შორის მიმდინარეობს მწვავე კონკურენცია. მაგრამ ეს არ არის გვიანი შუა საუკუნეების ისტორია. ეს ადრეული ახალი დროა. მისი მთელი არგუმენტეცია არის თითიდან გამოწოვილი და ვერაფერში ვერ დაგვარწმუნა. ერთი რაც მკაფიოდ იკითხება ის გახლავთ, რომ მას XVI საუკუნე და XVII საუკუნის პირველი ნახევარი გვიანი შუა საუკუნეების ისტორიად ესახება.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის შეფუთვის კიდევ ერთ წარუმატებელ მცდელობასთან. ასე გაჩნდა ორმაგი ფორმულირება. „გვიანი შუა საუკუნეების" ან „ადრეული ახალი დრო". (22).

ამ ხანებში შუა საუკუნეების სტრუქტურების პრიორეტულობაზე აპელირება. ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი არაა. ამ მოსაზრების გასაბათილებლად, საკმარისი იქნებოდა გავიხსენოთ რამოდენიმე ეპიზოდი. ჯერ ერთი XVIსაუკუნეში ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ძალისხმევით ფეხს იკიდებს ისტორიული აზროვნების სეკულარიზაცია, ისტორიის ახსნას ეძებდნენ არა ისტორიის გარეთ, უკავშირებდნენ განგების ძალას, როგორც ეს იყო შუა საუკუნეებში, არამედ ისტორიის შიგნით. თანდათანობით გზას იკაფავს და ფეხს იკიდებს რაციონალიზმი, რომელიც სრულიად უცხო იყო შუა საუკუნეების აზროვნებისათვის, ისტორია მეტი აღარ არის ღვთისმეტყველების მსახური. ის ერთ ისტორიოგრაფიულ მიმართულებად გვევლინება. (57.58).

უნდა ითქვას, რომ ახალი დროის სიომ საკმაოდ ძალუმად დაქროლა პოლიტიკის სფეროში. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიაში ფეხს იკიდებს სიახლეები, პოლიტიკური კავშირების ძველმა რელიგიურმა ფორმამ მოჭამა დრო. ახლა მთავრი ხდება პოლიტიკური კავშირები, რომელიც ნაკარნახევი იყო ეროვნული ინტერესებით. ამ თვალსაზრისით, საგულისხმო უნდა იყოს XVII საუკუნეში ევროპის ქრისტიანული ქვეყნების, პირველ რიგში, კი ინგლისის და საფრანგეთის კონტაქტები, მაჰმადიანური თურქეთთან, რომლის მტრული ისრები, უწინარესად, ჰაბსბურგთა უნივერსალური იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ცალკეულ სახელმწიფოებს შორის ომები წარსულს ჩაბარდა. ასწლიანი ომი ამისი ნიმუში იყო. ახლა უკვე ერთმანეთს უპირისპირდება არა ცალკეული ქვეყნები, როგორც ეს იყო შუა საუკუნეებში, არამედ კოალიციები, რომლებსაც აერთიანებდათ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და არა რელიგიური, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო. ამ თვალსაზრისით

ვფიქრობთ, საინტერესოა ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის იდეა „ხანგრძლივი შუა საუკუნეების შესახებ“, რომელსაც, სხვათა შორის, სამივე ოპონენტი, რატომღაც დუმილით უვლის გვერდს და, როგორც ჩანს, არ იცნობენ. (59.60. 49).

***

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო და აქტუალური თემას, რომელშიც შევეცადეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი მდგომარეობის გამოძახილი ამოგვეკითხა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ლიდერის როლი. ის ვინც ტონს აძლევს ქვეყანაში ისტორიული მეცნიერების განვითარებას. შეიძლება ვინმემ იფიქროს განა ამას ასეთი დიდი მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ ეს ასე როდია. ამას აქვს მნიშვნელობა. ამის გარეშე ისტორიული მეცნიერების წინსვლა-განვითარება გაძნელდებოდა. ის განსაზღვრავს პროგრესს. ყველა ქვეყანას ყავს ლიდერი ან კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა ლიდერები, რომლებიც ორიენტირებული არიან სამეცნიერო კვლევის უაღესად მაღალ, სტანდარტზე და სტიმულს აძლევს მათ კოლეგებს, თავის მხრივ, შეეცადონ, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ თამასა. ასეთი ლიდერები იყვნენ ყველა ქვეყანაში, ნებისმიერ ეპოქაში და არა ერთ თაობაში.

მე-20 საუკუნის ფრანგულ და არა მარტო ფრანგულ ისტორიოგრაფიის აღიარებულ ლიდერებად, რა თქმა უნდა, გვევლინებიან „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები და პირველ რიგში კი, ცხადია, მისი დამაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი. ჩვენი აზრით, მეტად პირობითად, ისინი შეიძლება მოვიაზროთ XX საუკუნის საუკეთესო ისტორიკოსებად. ეს ჩვენი სუბიექტური აზრია. ცხადია, შეიძლება ყველამ არ გაიაზროს და საკამათო შეიქმნას. თუმცა უნდა ითქვას, რომ სიახლეები ფრანგულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ „ანალების“ სკოლასთან როდი ასოცირდება. არის სხვა მიმართულებებიც, რომლებსაც ყავთ თავიანთი ლიდერები: ეკონომიკური ისტორიის შესწავლის სფეროში ასეთი ლიდერი იყო ერნსტ ლიაბრიუსი, სოციალური ისტორიის კვლევის

სათავეში ედგა ცნობილი ისტორიკოსი როლან მუნიე. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესწავლას ტონს აძლევდნენ პიერ რენუვენი და ჟან ბატისტ დიუროზელი. ძველ პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას თავის აღიარებული ლიდერი ყავს ლუი ალფანის სახით. როგორც ვხედავთ, აქ მარტო ერთ ლიდერზე არა საუბარი. საქმე გვაქვს რამდენიმე ლიდერთან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და განსაზღვრავს ფრანგული ისტორიოგრაფიის მრავალფეროვნებას. რაც მისი ერთ-ერთი მთავარი პლუსია. ყველაფერი ეს სულაც არ მეტყველებს ფრანგულ ისტორიგრაფიაში არსებულ ქაოსზე, დაბნეულობაზე, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა. „სავსებით აშკარაა, რომ ფრანგული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე 1929 წელს ლუსიენ ფევრის და მარკ ბლოკის მიერ შექმნილმა „ანალებმა" გადამწყვეტი როლი შეასრულა. – დასძენდა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფერნან ბროდელი, „ანალების" წყალობით, ფრანგებმა 1930-1965 წლებში მსოფლიოს მისცეს... საუკეთესო ისტორიკოსები". აღნიშნავს მეორე სახელმოხვეჭილი ფრანგი ისტორიკოსი ემანუელ ლე რუა ლადიური. კიდევ ერთი ცნობილი ფრანგი ისტოროკოსი პიერ გუბერი ფიქრობს, რომ „ყველაფერი ღირებული დაწერილი იქნება „ანალების" მიერ". ეს მოსაზრებები, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, მაგრამ ისტორიულ მეცნიერებაში „ანალების" სკოლის დამსახურების გადაჭარბება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ნებსით თუ უნებლიეთ აკნინებს სხვა მიმდინარეობების მნიშვნელობას.

გერმანული ისტორიოგრაფიის აღიარებულ ლიდერად, როგორც სამართლიანად მიიჩნევენ ისტორიკოსები, ასახელებენ ლეოპოლდ ფონ რანკეს. ხშირად მან უწოდებენ „თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დამაარსებელს", შეიძლება ეს ცოტა ხმამაღლა ნათქვამი იყოს. ჩვენ უფრო დავაკონკრეტებდით ამ თემას და ვიტყოდით მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ისტორიის როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეში. როგორც ჩვენ გვგონია, რანკეს სახით, საქმე უნდა გვქონდეს XIX საუკუნის საუკეთესო ისტორიკოსთან. გერმანული

ისტრიოგრაფია უმთავრესად დადებით კონტექსტში მოიაზრება. რანკეს სახელს და მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებდა.. გერმანელი ისტორიკოსი ოტოკარ ლორენცი მას უწოდებს „ისტორიოგრაფიის მეფეს“. ვილჰელმ დილთაის აზრით, რანკე იყო „ობიექტური ისტორიის უდიდესი ოსტატი“. ჰელმოლტი მას უწოდებს „საუკეთესოებში სწორუპოვარ ისტორიკოსს“ ფრიდრიხ მაინკეს თქმით „რანკე იყო „გერმანელი ერის უდიდესი ისტორიული მოაზროვნე“ (15. 127. 65) რანკეს ობიექტურობაზე საუბარი ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ეს იყო რანკეს სურვილი. ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა. ჩვენს მიერ მრავალგზის ნახსენები ჰოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტერ ჰეილის თქმით, „რანკეს სურვილი – ისტორიის გააზრებიდან გამოერიცხა საკუთარი „მე“ – იყო „მოწიწებული მიხვედრა, „საიდუმლოების გასაღები, რომელიც მთლიანად ვერ აღებს მასში შესასვლელ კარებს“. (15. 137).

ისტორიის თეორიის, ეპისტემეოლოგიის სფეროში, ლიდერების როლში გვევლინებიან ნეოკანტიენელები. მათ სახელს უკავშირდება გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიკოსი ლოურენს სტოუნი მიიჩნევს, რომ „ორ მსოფლიოს ომს შორის მონაკვეთი, პირველ მსოფლიო ომის წინ, რამდენიმე წელთან ერთად აღმოჩნდა ერთ-ერთი საუკეთესო ჩვენს პროფესიაში“. ეს იყო ისტორიოგრაფიის „ოქროს საუკუნე“. (1.21). ძნელი მისახვედრი სულაც არაა, რომ აქ მას, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სწორედ, ნეოკანტიანელები და „ანალების“ სკოლა უნდა ყავდეს მხედველობაში. მათი დამსახურება, უწინარესად, იმაში მდგომარეობდა, რომ გაათავისუფლეს ისტორია საბუნებისმეტყველო დარგების ტირანიისაგან, რომელშიც ის აღმოჩნდა პოზიტივისტების ძალისხმევით. (62). ნეოკანტიანელებმა ძირითადი აქცენტი ონტოლოგიის სფეროდან გნოსეოლოგიაზე გადაიტანეს და ყურადღება მიაპყრეს მთელ რიგ ისეთ საკითხებს, რომელსაც მათი წინამორბედი ისტორკოსები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პოზიტივისტები, დუმილით უვლიდნენ გვერდს. „ნეოკანტიანელებს აინტერესებდათ როგორია ისტორიის შემეცნების

შესაძლებლობა, როგორია ის შემეცნებითი, ეპისტემოლოგიური, ინსტრუმენტები, რომელიც არის ადამიანის ტვინში და როგორ შეიძლება მისი რეალიზება“ (53. 109).

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ინგლისურ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ ერთი მიმართულებით შემოვიფარგლებით, ეს უფრო გამართლებული უნდა ჩანდეს. ყურადღებას შევაჩერებთ ისტორიულ ფილოსოფიაზე და ისტორიის მეთოდოლოგიაზე. ამ სფეროში ინგლისელთა თავკაცად რობინ ჯორჯ კოლინგვუდს მოიაზრებენ. იტალიელების ბენედეტო კროჩეს, ხოლო ესპანელების ხოსე ორტეგა ი გასეტას. ჰოლანდიური ისტორიოგრაფიის ლიდერებად შეიძლება მოაზრებულ იქნან იოჰამ ჰოიზინგა და პიტერ ჰეილი, ბელგიურ ისტორიოგრაფიას ანრი პირენის სახით აღიარებული ლიდერი ყავს, ავსტრიულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურაა ცნობილი მედიევისტი ალფონს დოფში.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სახელების დეფიციტი არც რევოლუციამდელ და არც საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში არ შეინიშნება. რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში უნდა გამოვყოთ: ვ. კლიუჩევსკი, ს. სოლოვიოვი, ა. ლაპო-დანილევსკი ნ. ბერდიაევი. ლ. კორსავინი, ვ. ბუზესკული, ნ. კარეევი, პ. ვინოგრადოვი, ვ. გერიე, პ. არდაშევი, ივ. ლუჩიცკი, მ. კოვალევსკი, რ. ვიპერი, ალ. სავინი. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ღრმა კვალი დატოვეს ე. ტარლემ, ა. მანფრედმა, ე. კოსმინსკიმ, ბ. პორშნევმა, მ. ბარგმა., ს. სკაზკინმა.

საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული და ორდინალური ფიგურა იყო პროფ. არონ გურევიჩი, მისი ეპისტემოლოგიოური ძიებანი საინტერესოა და, უმთავრესად, ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე სიახლეებზე და ნოვაციებზე ორიენტირებული. მრავალი თეორიული პრობლემა მან ახლებურად დააყენა და რაც კიდევ უფრო მთავარია, გადაწყვიტა. ეს ნეოკანტიანელების ეპისტომოლოგიური ძიებების და „ანალების“ სკოლის გავლენის გამოძახილი იყო. ამ თვალსაზრისით, ის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. პოსტსაბჭოთა პერიოდში მისი წვლილი

კიდევ უფრო დაფასდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აუტსაიდერი, რომელიც ხშირად გამხდარა დაუმსახურებელი და უსამართლო კრიტიკის ობიექტი, უცბად გარდაიქმნა, პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსული ისტორიოგრაფიის ლიდერად. ვფიქრობთ, რაც დრო გავა მისი წვლილი კიდევ უფრო მკაფიოდ დ ნათლად წარმოჩინდება და დაფასდება. ეს ადვილი გასაგებია. როგორ ფრანგი მწერალი ანდრე მორუა იტყოდა: „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია".

ამ ფონზე ქართული ისტორიოგრაფია, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმაოდგენს და ცდილობს არ ჩამორჩეს ევროპულ ისტორიოგრაფიას. მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარება, ჩვენი აზრით, ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ. მას ყოველთვის ყავდა ერთი ან ორი მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი, ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ისტორიოგრაფია კვალიფიცირებული ისტორიკოსების რაოდენობით, ხარისხით, ევროპის ნებისმიერ პატარა ქვეყანას თუ არ აღემატება, ტოლს არაფერში დაუდებს. ეს გახლავთ რეალობა და აქ ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილოა.

თავდაპირველად, XX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი ისტორიოგრაფიის ლიდერის როლში, ცხადია, დიდი ივანე ჯავახიშვილი მოგვევლინა. ეს უპირობოა. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის ლიდერობა მისმა მოწაფეებმა ჯერ აკად. სიმონ ჯანაშიამ, ხოლო შემდეგ აკად. ნიკო ბერძენიშვილმა იტვირთეს. მათი სახით საქმე გვაქვს მაღალი ევროპული დონის ისტორიკოსთან. მათი შემოქმედება სავსებით შეესატყვისებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს, მაგრამ, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვერ აცდა ერთი ვიწრო დოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადიაციას. მათი შემოქმედება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჰიბრიდს წარმოადგენს. მარქსიზმთან კომპრომისის გამო, მათ მკაცრად განსჯა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი უნდა იყოს.

60-იან წლების შუა ხანებიდან ქართული ისტორიოგრაფიის ლიდერის მძიმე ტვირთი იკისრეს აკად. გიორგი მელიქიშვილმა, და აკად. შოთა მესხიამ, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყისში შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფიის თავკაცებად აკად. როინ მეტრეველი და აკად. მარიამ ლორთქიფანიძე გვევლინებიან. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ვინ იქნება ახალი ლიდერი? ამ კითხვაზე პასუხი თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეშიჲ ეს მთლად ასე როდია. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ასეთია მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი დღეს არ ჩანს. ამ ვაკუუმის შევსებას ცდილობს პროფ. თედო დუნდუა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ შემდგომი ვითარება, პერსპექტივა, ჩვენი აზრით, დამაფიქრებელი უნდა ჩანდეს. აქ აიასახა სავსებით რეალური ვითარება მასში თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული რთული მდგომარეობის გამოძახილი შეიძლება დავინახოთ.

***

უნივერსიტეტი, მეცნიერება, განათლება, რა თქმა უნდა, ოაზისს არ წარმოადგენს, ის იმ სახელმწიფოს შემადგებელი ნაწილია, რომელშიც მას უხდება ფუნქციონირება, საკვირველი ის კი არ უნდა იყოს, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ამ სფეროში, არამედ საკვირველი ის იქნებოდა, რომ ასეთი ვითარება არ გვქონოდა. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მთავარი, რა თქმა უნდა, სწორედ, ეს იყო. ამ თვალსაზრისით, ის საკმაოდ განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისაგან, რომლის განვითარება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს არასოდეს გასცილებია. საბჭოთა ხელისუფლების და, პირადად ი. სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა ისტორიოგრაფია გახდა ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო სტალინის პოლიტიკური ნება, „პარტიულობის პრინციპი“ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ისტორიულ რეალიებზე. ის სრულიად არ შეესაბამებოდა წარსულის ობიექტურად და

წესიერად შესწავლის პრინციპს. პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ცხადია, გამოძახილი პოვა აკადემიურ სფეროში. ამ თვალსაზრისით, ისტორია ბედნიერ გამონაკლისს სულაც არ წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა.

ყოველგვარი ინსინუაციების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მე მიყვარს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, მაგრამ ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის მიერ იავარქმნილი უნივერსიტეტი, ცხადია, არ მოგწონს და მიუღებელია. უმთავრესად, მათი ძალისხმევით უნივერსიტეტის თავდაპირველმა ღირებულებებმა მკვეთრი დეფორმაცია განიცადა და თავდაპირველი ეროვნული და სულიერი ფასეულობები, მატერიალურმა ფაქტორმა, პირველ ყოვლისა კი, კორუფციამ, პროტექციამ და ნეპოტიზზმა ჩაანაცვლა. ეს უკვე აღარ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი. ეს ბოლშევიკების უნივერსიტეტია. მას ივანე ჯავახიშვილის პრინციპების არაფერი არ ცხია. ბოლშევიკების უნივერსიტეტი არ მოგვწონს და მიუღებელია. ჩვენ ვებრძვით არა უნივერსიტეტს, არამედ ბოლშევიკების უნივერსიტეტს.

ამის უშუალო გამოძახილი იყო სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის კრიტერიუმის მკვეთრი დეფორმაცია. წინა წლებში შედარებით მან დაბლა დაიწია, თუმცა უნდა ითქვას, რომ თამასა მაინც საკმაოდ მაღლა დარჩა გადებული და მისი მომდევნო ხანასთან შედარება არც კი შეიძლება. ცხადია, ჩვენ შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ საბჭოთა კავშირში სუსტი დისერტაციები არ იწერებიდა, მაგრამ მეცნიერებას ტონს აძლევდა არა ეს დისერტაციები, არამედ ძლიერი დისერტაციები, რომელიც საკმაოდ ბევრი იყო, ვიდრე ეს მავანს შეიძლება ეჩვენებოდა. მათ იმ პერიოდისათვის ნიშანდობლივი კონიუნქტურული გადახრების მიუხედავად, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. თუ ამ შრომებს ძალად თავს მოხვეული მარქსიზმს ჩამოვაშორებთ, ხელში საკმაოდ ღირებული შეგვრჩება და, სწორედ, ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი.

რა თქმა უნდა, ამის გვერდით იწერებოდა სუსტი შრომები და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ

ეს შრომები არ ქმნიდა ამინდს, რაც შეეხება ცუდ დისერტაციებს მეტად იშვიათი ხილი იყო და ფაქტობრივად, საგანგებო შემთხვევასთან გვქონდა საქმე. აქ, ბუნებრივია, მხედველობაში არ გვაქვს პარტიის ისტორია და მეცნიერული კომუნიზმი, რომელიც უფრო პოლიტიკურ დარგებს წარმოადგენდნენ და არა მეცნიერებას, ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ „პარტიულობის პრინციპს". დღეს ეს შრომები, ცხადია, აღარავის ახსოვს. არანაირი მეცნიერული მნიშვნელობა არ გააჩნია, უბრალოდ, მაკულატურას წარმოადგენს. ეს არის საუკეთესო ნიმუში იმის თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორიული ნაშრომი. ასეთმა უხარისხო პროდუქციამ პირდაპირ წალეკა ისტორიული მეცნიერება. ხელისუფლება განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს ამ უხარისხო შრომების ტირაჟირებას, ისტორიული მეცნიერების დანაგვიანებას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, რომ ნეგატივი დომინირებდა პოზიტივზე. ამიტომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა, ალბათ, მაინც დიდ საფრთხეს მოითხოვს და გადაჭარბებული უნდა იყოს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ".

სამეცნიერო გამოკვლევის შეფასების კრიტერიუმის ტრანსფრმაციის საქმეში ახალ მეორე ფაზად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია შეიძლება მივიჩნიოთ. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მეცნიერებაში აღმავლობა უნდა მოყოლოდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. კრიტერიუმი კიდევ უფრო დაბლა იწევს და მას ორი ფაზა გააჩნია. 2006 წლის რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. ეს პროცესი კი არ შეჩერებულა, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა.

ჩვენ საბჭოთა წარსულზე არანაირი ნოსტალგია არ გაგვაჩნია. საბჭოთა რეალობის აპოლოგეტად ნამდვილად არ გამოვდგებით. ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დღეისდღეობით მასზე უკეთესი ვერც ვერაფერი შევქმენით. საზოგადოებაში საბჭოთა წარსულის ნოს-

ტალგია, სწორედ, ამან გამოიწვია. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ცუდსა და უარესს შორის არჩევანთან. ძველი დავანგრიეთ. მასზე უკეთესი კი ვერ შევქმენით. ამაზე შეგვტკივა გული. ეს წიგნი ამის გამოძახილია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში ძალიან ბევრი კარგი ისტორიკოსი არის, რომლის მდიდარი მეცნიერული პოტენციალი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ მხრივ ევროპის არც ერთი პატარა სახელმწიფოს არ ჩამოუვარდებით თუ არ აღვემატებით. ეს სრული სიმართლეა და აქ ნიჰილიზმი სავსებით უადგილოა. მაშ რაშია საქმე რატომ ჯეროვნად არ ვიყენებთ მათ მდიდარ პოტენციალს? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. შეიძლება ითქვას რომ ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. პირველ ყოვლისა, ის არშემდგარ სახელმწიფოსთან უნდა ასოცირდებოდეს.კარგი სპეციალისტი მოთხოვნადი არაა. სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმი რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო დაბლა იწევს, შედეგიც სახეზეა, ქართული ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება ამის გამოძახილია. არშემდგარ სახელმწიფოს არ ძალუძს ამ ვითარების დალაგება. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალებმა სრული კარტბლანში მიიღეს. დღეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამის შედეგს ვიმკით. თუ ვითარება დროზე არ გამოსწორდა შემდეგ გვიან იქნება. საბჭოთა რეალობის შემდეგ წინსვლათან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უკუსვლასთან, რეგრესის პროგრესია.

ჩვენი აზრით, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მან უგულებელყო XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფერსორის, ედუარდ ფრიმენის სიტყვები „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. ის სულ სხვა გზით წავიდა და პრიორიტეტულად დასახა, არა მძიმე შრომა, არამედ ადვილი გზით სიარული. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული მდგომარეობის მთავარი მიზეზი,

ვფიქრობთ. სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ. ამას დაემატა ისიც, რომ მიივიწყეს სულ სხვა პრინციპი. საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი ამბობდა „იარე რთული გზით. იქ კონკურენტები არ გეყოლება“. ადვილი გზით სიარულის წახალისება ლაიტმოტივად გასდევს მთელს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიას და მის მთავარ პრობლემად გვევლინება. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარება ამის ლოგიკურ გამოძახილს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს ბოლო ოცდაათწლის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგი დისერტაცია ან სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, არ დაწერილა. სინამდვილეში ეს ასე როდია. ძალიან ბევრი კარგი დისერტაცია იქნა დაცული, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებითი მომენტია. ეს მედლის ერთი მხარეა. მას გააჩნია მეორე მხარე, რომელიც დამაფიქრებელი უნდა იყოს, აქ მხედველობაში გვაქვს ის ტენდენცია, რომ კარგი დისერტაციების რიცხვი „შაგრენის ტყავივით“ მცირდება. სამაგიეროდ, არის საპირისპირო ტენდენცია, რომლის მიხედვით, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე მატულობს სუსტი და ცუდი დისერტაციების რაოდენობა. პრიორიტეტულია არა თვითონ კვლევის პროცესი, არამედ მთავარი შედეგი. აქცენტი კეთდება არა ხარისხზე, არამედ რაოდენობაზე, რასაც მივყავართ სამეცნიერო ხარისხის მოპოვების გაუფასურებასთან. დღეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამის შედეგს ვიმკით. რაც ყველაზე გულის სატკენია სუსტ და ცუდ დისერტაციებს კიდევ უფრო მეტი მწვანე შუქი მიეცა.

საბჭოთა წლებში მსოფლიო ისტორიაში დისერტაციის დაცვისათვის აუცილებელი წინაპირობა იყო ან ოპონენტი გყოლოდა მოსკოვიდან ანდაც წამყვანი დაწესებულება. ამიტომ ვამბობთ, რომ თამასამ მართალია დაბლა დაიწია, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღლა დარჩა გადებული. როგორც უკვე ითქვა, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში თამასამ კიდევ უფრო დაბლა დაიწია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მსოფლიო ისტორიაში სადისერტაციო ნაშრომის სიახლედ ცხადდებოდა ის, რომ

ეს იყო პირველად ქართული ისტორიოგრაფიაში. უფრო არაფრის მთქმელი არგუმენტი ძნელი იქნება მოიძებნოს. სასაცილოა სა-ტირალი, რომ არ იყვეს. მათ ვინც მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე ვერ იცავდნენ დისერტაციას, პოსტსაბჭოთა პერიოდში ელვის უსწრაფესად დაიცვეს, როგორც საკანდიდატო, ისე სადოქ-ტორო დისერტაციები. სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხმა მკ-ვეთრად დაიწია. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ საკანდიდატო და სადოქტორი დისერტაციას იცავდნენ სამეცნიერო პოპულარულ ნარკვევს, კომპილაციას და რაც ყველაზე უარესია, პლაგიატს. არაფერს არ ვიგონებთ, არაფერს არ ვამუქებთ. ვსაუბრობთ იმა-ზე, რაც საკუთარი თვალით გვინახავს. საქმე გვაქვს სამეცნიერო ხარისხის სრულ გაუფასურებასთან. დისერტაციის დაცვა ძალიან გაადვილდა. დღეს ამის შედეგს ვიმკით.

მოსალოდნელი იყო, რომ 2006 წლის რეფორმის შემდგომ მდგომარეობა თანდათან დალაგებას დაიწყებდა, მაგრამ სინამდ-ვილეში ასე არ მოხდა. ხელსაყრელი შანსი ხელიდან გაუშვით. მაშინ მდგომარეობის გაჯანსაღება გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე დღეს. სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრი-ტერიუმი კიდევ უფრო დაბლა დაეშვა და ახალ ფაზაში შევიდა. ის კი არ შეჩერდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა. ამას, რო-გორც გვგონია, სტიმული მისცა ერთ დისერტაციაზე გადასვლამ. მეცნიერების დანაგვიანება გაგრძელდა და ახლა უფრო ფართო ხასიათი შეიძინა. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი აქტუალური საკითხი. რამდენად ვიყავით მომზადებული ერთ დისერტაციაზე გადასვლისათვის და ამან კიდევ უფრო ხომ არ გაუხსნა ხელ-ფეხი ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებს? ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯებისათვის ჯერ კიდევ არ ვიყავით მზად. ამას მომ-ზადება ჭირდებოდა, საჭირო იყო ამისათვის წინაპირობის შექმ-ნა და მერე გადავსულიყავით ერთ დისერტაციაზე. ამიტომ ეს ნაბიჯი ნაჩქარევად მიგვაჩნია. მას კარგად უნდოდა მოფიქრება. მასში მიმბაძველობის გამოძახილს უფრო ვხედვათ, ვიდრე ქარ-თულ რეალობის შესატყვის გადაწყვეტილებას. ახლა ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიურ ხარისხს ვანიჭებ‌ჲ იმაში რაც ადრე საკანდიდატო დისერტაცია იყო, ხოლო სადოქტორო დისერტაცია

გაქრა. სამეცნიერო ხარისხის მოპოვება კიდევ უფრო გაიოლდა. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებმა კიდევ უფრო გაილაღეს. სუსტ და ცუდ დისერტაციებს მწვანე შუქი მიეცა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ 2006 წლის შემდეგ არაერთი სანტერესო დისერტაცია იქნა დაცული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამინდს ეს კარგი ნაშრომები კი არ ქმნიან, არამედ სუსტი და ცუდი, დისერტაციები, რომელიც რაც დრო გადის კი არ მცირდება, არამედ მატულობს. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი ერთ დისერტაციაზე გადავიდეთ, მაგრამ ამას ჭირდება სათანადო მომზადება და მან ცოტა სხვა ფორმა უნდა შეიძინოს.

ჩვენ ძველი ორსაფეხურიანი დაყოფა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გვგონია, რომ გაცილებით უფრო გამჭვირვალე იყო, ვიდრე ახალი სამ საფეხურიანი დაყოფა: ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი. მე ვარ ისტორიის მეცნიერათა დოქტორი, პროფესორი, ვფიქრობთ, ყველაფერი საკმაოდ გამჭვირვალეა. მე დღესაც არ ვიცი რა კრიტერიუმის თანახმად არ ვარ სრული პროფესორი და ვარ ასოცირებული პროფესორი. ჩემი შრომები როგორც, რაოდენობრივად ისე ხარისხობრივად, წესით უნდა აკმაყოფილებდეს ამ მკაცრ მოთხოვნებს, რომელსაც უყუნებენ პროფესორს. დაწერილი მაქვს 22 წიგნი, 18 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო, 261 სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო ნაშრომი, 160 საგაზეთო სტატია, მათ შორი 75 რეცენზია. ვიღებდი მონაწილეობას 47 ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში. დაწერილი მაქვს 14 გამოხმაურება, დასკვნა და რეცენზია სადისერტაციო ნაშრომებზე. ეს რაოდენობრივად. ახლა ვნახოთ ხარისხობრივად, დაწერილი გვაქვს 160 ნაშრომი, მათ შორის 18 მონოგრაფია, რომელსაც ქართული კონტექსტი გააჩნია, სიახლეს წარმოადენს და ამ თემატიკის გაშუქების პირველ და ან ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ამას დაადასტურებს ამ დარგის ნებისმიერი სპეციალიტი. საინტერესოა

მეტი რა უნდა გამეკეთებინა? რატომ არ ვიმსახურებდი ამ ადგილს? ხომ გაგიგონიათ „უპატრონო თხაო მგელმა შეჭამაო“. პატრონი არ მყავდა და მექცეოდნენ ისე როგორც მოესურვებოდათ. რითი განსხვავდება ეს საბჭოთა რეალობისაგან? ალბათ, ბევრი არც არაფრით. ამიტომ ვამბობთ, რომ საბჭოთა სინამდვილედან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია.

ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ აქტუალურ თემას. ეს ისტორიული მეცნიერების გახალგაზრდავებაა. რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი არც არავინაა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი დადებითი მხარეა. მთავარია რა ფორმით ხორციელდება ის. ჩვენი აზრით, ეს პროცესი ხელოვნურ ხასიათს ატარებს და პირველ ყოვლისა ერთ დისერტაციაზე გადასვლის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ისტორიული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმის ვარდნის გამოძახილია. ის, უპირატესად, რაოდენობრივ ცვლილებებზეა ორიენტირებული და არა თვისებრივზე, ხარისხობრივზე. ასე გვესახება ამ საკითხის შუქჩრდილები.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემას. ჩვენი აზრით, სიღრმე-სიფართოვეში განვითარება წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, ჩვენი აზრით, იმით ახსნა რომ ქართველი ისტორიკოსები როგორც წინათ, ისე ახლა, ინდეფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ისტორიის თეორიის, მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეპისტემეოლოგიის, ისტორიის შემეცნების, საკითხებისადმი. სხვაგვარად ძველი სტერეოტიპების და შტამპების გადალახვა ძალიან გაძნელდება.

სიფართოვეში განვითარების პროცესი შედარებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ, უმთავრესად, ის რაოდენობრივ ცვლილებებთან უნდა ასოცირდებოდეს. მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის საკითხები კვლავ ჩრდილში რჩება და კადრში ვერ ხვდება. მას კატალიზატორის როლი შეუძლია, რომ შეასრულოს და დააჩქაროს პროცესები. ხელს შეუწყობს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდას. ამას პრინციპული დატვირთვა გააჩნია. განსაზღვრავს ქართული

ისტორიოგრაფიის განვითრებას სიღრმეში. ის კი უკვე სოლიდური წინ გადაგმული ნაბიჯი იქნება და არა მოჩვენებითი როგორც ეს დღესაა. ყურადღებას მივაპყრობთ ერთ საინტერესო გარემოებას, რომელშიც რაოდენობრივ ცვლილებებზე ორიენტირების გამოძახილი შეიძლება დავინახოთ. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნაშრომში უხვადაა გამოყენებული ლიტერატურა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ეს არ აისახება ნაშრომზე და, ჩვენი სუბიექტური აზრით, ის სუსტი ნაშრომია. ეს ერთი შემთხვევაა. შეიძლება იყოს სულ სხვა შემთხვევა. ნაშრომი ერთი შეხედვით მეტად სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს და დატვირთულია მაღალფარდოვანი უცხოური სამეცნიერო ტერმინებით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ერუდიციით გამოწვეული მტვერი რომ ჩაივლის ხელში რეალურად არაფერი შეგვრჩება. ორივე შემთხვევა ორიენტირებულია რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივზე, ხარისხობრივზე.

დასახვეწია კანონი, სხვაგვარად, წინსვლას, პროგრესს ამაოდ დაუწყებთ ლოდინს, კონკურენტუნარიან გარემოზე გადასვლამ ქართულ მეცნიერებას, მათ შორის, ცხადია, ისტორიოგრაფიას შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ დათვური სამსახური გაუწია და რაოდენობრივ ცვლილებებზე ორიენტაციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების მკაცრს კრიტერიუმს თუ არ შევიმუშავებთ არც არაფერი შეიცვლება. შევძლებთ ამას თანდათან მდგომარეობა დალაგდება. ვერ შევძლებთ და სიტუაცია კიდევ უფრო უმართავი შეიქმნება.

ადვილი გზით სიარულს წარმატება არასოდეს მოუტანია და არც არასოდეს მოიტანს. მეცნიერებაში ადვილი გზა არ არსებობს. ამ გზას ჩიხში მივყავართ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს შექმნილი რთული ვითარება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებს კიდევ უფრო ფართოდ გაუღეთ კარები, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში იყო.

რა გამოსავალი არის შექმნილი რთული სიტუაციიდან? გამოსავალი ნამდვილად არის. გამოუვალი მდგომარეობა არ არსე-

ბობს. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაშია, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ შევძლებთ შევიმუშაოთ მეცნიერული გამოკვლევის შეფასების მკაცრი, სამართლიანი, კრიტერიუმი (6). ნუ მივანიჭებთ სამეცნიერო ხარისხს უხარისხო შრომებში, როგორც ეს ხდებდა საბჭოთა რეალობაში და კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და გაღრმავდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. შევძლებთ ამას ძალიან კარგია. შეიქმნება ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი გარემო. თანდათან ვითარება დალაგებას დაიწყებს. ფსევდომეცნიერული გარემოს ჩაანაცვლებს ჭეშმარიტი მეცნიერული ატმოსფერო. ვერ შევძლებთ და იქნება ასეთი განუკითხაობა, უკონტროლო ვითარება, რომელიც დროთა განმავლობაში ვშიშობთ, რომ კი არ შემცირდება, არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ კიდევ უფრო გაღრმავდება. სახელმწიფოს უნდა გაუჩნდეს მოთხოვნილება კარგ სპეციალისტებზე არა სიტყვით, არამედ საქმით, მაგრამ საქმით ცოტათი სულ სხვა ვითარებაა. იკვეთება საკმაოდ ნაცნობი სურათი. სიტყვით ყველაფერი რიგზეა. საქმით კი სულ სხვა რეალობა გვაქვს და სასურველი შესაძლებლად გვესახება. ეს ადვილი გასაგებია. ბოლშევიკური მენტალობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია, კომპონენტია, რომელიც, ძველი ინერციით, ჯერ ისევ ძალუმად იგრძნობა. როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული როგორც გვგონია, ჩვენ გვინდა. აქ კი ცოტათი პესიმისტური განწყობილება შემოგვეპარება. დაჭირდება კი ეს სახელმწიფოს, არა სიტყვით, როგორც ეს იყო საბჭოთა პერიოდში და ძველი ინერციით დღესაც განაგრძობს არსებობას, არამედ საქმით.

ახლა ჯერი ცოდნაზე მიდგა. მან მეცნიერების და განათლების კვალდაკვალ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა და თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა, ის ნელნელა პრიორეტული აღარ ხდება. ძველი ინერცია წარსულს ჩაბარდა, ცოდნამ ფასი დაკარგა. დიდმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა, გენიალური ალღოთი, ზედმიწევნით ზუსტად განჭვრიტა მომავალი, ახალი ეპოქის მთავარი ტენდენციები, რა ძალა მოდიოდა და რა ძალას-

თან გვექნებოდა საქმე და ის ვინც შეცვლილ გარემოში, ლიდერი გახდებოდა. ამინდს შექმნიდა და მთავარ როლს შეასრულებდა. ამ ფონზე ბუნებრივია, უნივერსიტეტი ბედნიერ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ბოლშევიკების ძალისხმევით უნივერსიტეტს თან-დათან ტოვებს ცოდნა და ზრდილობა. რუსული ბოლშევიზმის სახით ასპარეზზე გამოდის ახალი შიშველი ძალა. „თუ ჯაყოს ცოდნა არა აქვს, მაშ კაცი ვერ არის“. ძალა უფრო პრიო-რიტეტული ხდება ცოდნაზე. მან მეორე პლანზე გადაინაცვლა. უცოდინარობას, არაკომპეტენტურობას, მწვანე შუქი მიეცა. „კონ-დრატიევშინა“, „ლისენკოვშჩინა“ ამის მკაფიო გამოხატულებაა. სტალინმა ისე გადაუარა ქართულ ინტელიგენციას, როგორც ჯაყომ თეიმურაზ ხევისთავს. შედეგიც სახეზეა. (არსებობს ვერ-სია, რომ ჯაყო იყო თავად სტალინი და მიხეილ ჯავახიშვი-ლის დახვრეტის ერთ-ერთი მიზეზი ეს გახლდათ). აღორძინების ეპოქის ინგლისელი მოაზროვნის ფრენსის ბეკონის თქმით „როდე-საც გემი იძირება ფასეულობა ქვემოთ ჩადის, და ნაგავი ზემოთ ამოდის“, XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში ეს მეორეჯერ ხდება. ძალიან ბევრი ხომ არ არის? „ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცა“. ამის შორეული ექო დღესაც გაისმის.

ქართული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა რეპრესიების ში-შით ბოლშევიკებს ემიგრაციაში გაასწრო და თავს ასე უშველა, ხოლო მეორე ნაწილმა, რომელმაც ეს არ გააკეთა და სამშობლო-ში დარჩა თავის თავზე ბოლომდე იწვნია სტალინური ტერორის მთელი მრისხანება. ვინც ამ უბედურებას გადარჩა იყო „შეშინე-ბული თაობა“. ფაქტობრივად, სტალინმა გაანადგურა ქართუ-ლი ინტელიგენცია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნე-ბა, რომ აღარ გვყავს საშუალო ფენა, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში, შექნილი რთული ვითარების დროს, ლიდე-რად მოგვევლინებოდა და შეეცდებოდა მოეძებნა გამოსავალი ამ სიტუაციიდან. პირდაპირ საოცარია, ფარსმან ქველის, ვახტანგს გორგასლის, გრიგოლ ხანძთელის, ბაგრატ მესამის, დავით აღ-მაშენებლის, თამარის, რუსთაველის, გიორგი ბრწყინვალის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის სამ-შობლოში იყოს სტალინის კულტი, რომელმაც 1921 წელს ღორე-

შელთან ერთად, პრაქტიკულად დაიპყრო საქართველო. „მამაო მიუტევეთ ამათ, რამეთუ არ იციან, რას იქმნიან“ ამას პირობით ქართული საოცრება შეიძლება უწოდოთ.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა უნდა ვაღიაროთ, რომ ძველი ინერციით საბჭოთა კავშირში განათლების საშუალო დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო, ვიდრე ეს დღეს არის. არაფერს არ ვაჭარბებთ და არანაირი ნოსტალგია საბჭოთა რეალობის და განათლების სისტემის მიმართ არ გაგვაჩნია, რაც დადებითი გააჩნდა საბჭოთა განათლების სისტემას და არადა ასეთი ნამდვილად ჰქონდა, და ამის უარყოფა სწორი არ იქნებოდა, უნდა დაგვეტოვებინა, ხოლო რა ნაკლიც ჰქონდა პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, კორუფცია, პროტექცია, ნეპოტიზმი, იმაზე, ცხადია, უარი უნდა გვეთქვა. მოსალოდნელი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს პროცესი შეჩერდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ის კიდევ უფრო გაღრმავდა, თითქმის შეუქცევადი ხასიათი შეიძინა. განათლების საშუალო დონე პოსტსაბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო დაბლა დაიწია, ვიდრე ეს საბჭოთაჲ რეალობაში იყო. არ ვიცი რამდენად შეესატყვისება ელიზაბეთის ეპოქას, მაგრამ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წლებზე ზედ გამოჭრილია შექსპირის 66 სონეტა.

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს“.

ვის დევნიდნენ და ვინ ალაზევეს. თუ საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული მენციერების კორიფეებს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ცეცხლით და მახვილით გადაუარა და უსასტიკესი რეპრესიები დაატეხა თავს. ვაი მეცნიერებს პირდაპირ სასათბურე პირობებს უქმნიდა და ყველანაირად უწყობდა ხელს მათ აღზევებას, წინსვლას. „ლისეკოვშჩინა“, „კონდრტიევშჩინა“. ამის გამოძახილი იყო. ეს გახლავთ საკმაოდ საინტერესო და აქტუალური საკითხი, რომელიც დღემდე ნაკლებად შესწავლილია, მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. (3. 16. 17. 63. 64. 65. 66).

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირზე და მის განათლების სისტემაზე, მეცნიერებაზე, უფრო უკეთესი ვერც ვერაფერი შევქმენით. 2006 წლის რეფორმის წინ მდგომარეობის დალაგება, ალბათ, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე დღეს. მოლოდინი, რომ ამ სფეროში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვლებოდა, არ გამართლდა, ილუზია აღმოჩნდა. სასურველი რეალურად გვესახებიდა. საბჭოთა წარსულზე, მის განათლების სისტემაზე, მეცნიერებაზე, ნოსტალგიის მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ. ჩვენ პირადად ამგვარი ნოსტალგია არ გაგვაჩნია, მაგრამ გული გვწყდება, რომ ხელსაყრელი შანსი სათანადოთ ვერ გამოვიყენეთ, ხელიდან გაუშვით. არჩევანი გვაქვს ცუდსა და უარესს შორის. უნებლიეთ მახსენდება ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის გრაფ ალექსის დე ტოკვილის ფრაზები „არ არსებობს სიტუაცია, რომელზე უარესი არ შეიძლება იყოს“. თუ დროზე არ მივხედეთ ვითარების შემდეგ ძალიან გვიანი იქნება. ამ ვითარების დალაგება ძნელი არ იქნებოიდა, მაგრამ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და სწორი გზით არ წავედით. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვგონია. **განათლება და მეცნიერება თუ მკვდარი არაა, კვდება.** ეს არცაა გასაკვირი. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. საბჭოთა მენტალობაზე ევროპული ფასეულოებების დაფუძნებას წარმატებული ძნელი იქნება ვუწოდოთ. მას მინუსები გაცილებით მეტი გააჩნია, ვიდრე პლუსები.

ლაპარაკი საკმაოდ ბევრია, მაგრამ საქმე ძალიან ცოტაა

გაკეთებული. დრო გადავიდეთ საქმეზე. თორემ, შემდგომში გვიან იქნება. ნუ დავაგვიანებთ. იკვეთება საკმაოდ ნაცნობი სურათი, რომელშიც პირველ ყოვლისა, საბჭოთა რეალობის გამოძახილს ვხედავთ. ეს არცაა გასაკვირი. ძველი ინერციით ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა და კვლავ ძალაში რჩება. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული როგორც გვგონია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით. რაც უფრო სწრაფად შეიცვლება ვითარება, მით უფრო უკეთესი იქნება საქმისათვის. მენტალური ცვლილებები კი არ მოხდება თუ არ შევეცდებით ავაშენოთ ნორმალური სახელმწიფო. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ, მათ ვერ მოვწყვეტთ ურთიერთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. მოდით ნუ ჩავრჩებით საბჭოთა კავშირში. ეს წინსვლას არ უწყობს ხელს. ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვა გამოსავალი არ არის. სხვა შემთხვევაში დიდი ხნით ჩავრჩებით საბჭოთა კავშირში. რაც, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნება. სტაგნაცია გაგრძელდება და არსებობს დიდი ალბათობა, კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს კი არ წაადგება არც ამ ქვეყანას, არც ხალხს და მათ შორის, ცხადია, არც განათლების სისტემას და მეცნიერებას. მთავარია იყოს პოლიტიკური ნება და ყველაფერს ეშველება, ვართ უკეთესის მოლოდინში. ძალზე ნაცნობი სურათია. ლაპარაკით ყველაფერი კარგადაა და ეიფორიული განწყობილ ება ისადგურებს. სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ამ ვითარებას, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება ფორმულირება. „ნგრევა შენების სახელით“. საბჭოთა წლებში დაწყებული „ნგრევა შენების სახელით“, ძველი ინერციით პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. ვერავინ იტყვის როდის დასრულდება და აგერ უკვე 103 წელშია გადასული. (ზუსტად იგივე შეიძლება გავიმეოროთ სიტყვასა და საქმეს შორის შეუსაბამობაზე). ერთია ლაპარაკი, მხოლოდ სულ სხვაა რეალობა. სასურველი რეალურად ესახებათ. დიდი ბერძენი მეიგავარაკე ეზოპე ამბობდა: „გვიჩვენე რა შეგიძლია შენ არა სიტყვით, არამედ საქმით“ გამოჩენილი ქართველი მწერალი ვაჟა ფშაველას თქმით. „ტყუილად ვინმე მოე-

ლის ნდობის მოპოვებას იმ დღემდე, ვიდრე სიტყვას და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა“. სწორი გზაზე დადგომა სულაც არ იქნება ისეთი ძნელი საქმე. თუ აღმოჩნდება პოლიტიკური ნება მაშინ ყველაფერი სწრაფად დალაგდება და ყველაფერს ეშველება, მაგრამ იქნება კი ეს პოლიტიკური ნება? აი, ეს ძალიან გვაფიქრებს და ცოტა პესისმიტურად განგვაწყობს, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ და მაინც დავიტოვოთ იმედი. ის ხომ სულ უკანასკნელი კვდება.

რა თქმა უნდა, ამ რთული ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. აქ საკმარისი არ იქნება მარტო პალიატური, ზედაპირული, გარდაქმნები, როგორც ეს დღეს ხდება. ეს სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. საჭიროა სიღრმისეული, ძირფესვიანი ცვლილებები, რომელიც ცილდება ვიწრო ემპირიზმის და ფაქტოლოგიის საზღვრებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს „უპრობლემო ისტორიიდან“, როგორც ამას პოზიტივისტები ქადაგებდნენ, „ისტორია პრობლემაზე“. როგორც ეს გააკეთეს „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მათმა დამაარსებლებმა, ლუსიენ ფევერმა (67) და მარკ ბლოკმა (68). ეს ისტორიულ მეცნიერებაში „კოპერნიკისეული გადატრიალების“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო. თუ პირველი ისტორიული მეცნიერების წარსულია და განვლილ ეტაპს წარმოადგენს. მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ქართულ ისტორიოგრაფიის ხვალინდელი დღე, სწორედ, მას ეკუთვნის. ის ხელს შეუწყობს ამ რთული ვითარებიდან გამოსავლის მოძებნას.

აქცენტი უნდა გავაკეთოთ მსოფლმხედველობის საკითხებზე, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიის თეორიის, მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეპისტემოლოგიის, ისტორიის შემეცნების, თემატიკაზე. გვინდა თუ არა ეს ამის გაკეთება მოგვიწევს, რადგან სხვაგვარად პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ვერ დავძლევთ და მის ჩარჩოებში დავრჩებით. ეს კი ნამდვილად არ იქნება სასურველი და არ წაადგება ჩვენი პროფესიის წინსვლა-განვითარებას. ეს ხვალინდელი დღე კი არაა, არამედ გუშინდელი. ის წარსულში გვაბრუნებს.

ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ გარემოებას, რომლის მნიშვნელობის შეუფასებლობა ვერ დაგვეხმარება ამ რთული ვითარებისათვის თავის დაღწევის საქმეში. ქართული ისტორიკოსების თვალში ჰეგელიანურ-მარქსისტულმა მიდგომამ, დაჩრდილა მეორე არანაკლებ საინტერესო თვალსაზრისი ნეოკანტიანელების ხედვა. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება. გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარება ნამდვილად რთულია, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. არსებული პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოსავალს ორი მხარე გააჩნია. წმინდა პოლიტიკური და აკადემიური. დავიწყოთ პირველით. ის რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ა) არშემდგარ სახელმწიფოს ამ რთული ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა ნამდვილად გაუჭირდება, რადგან კარგ სპეციალისტზე მოთხოვნილება არის მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. ასე კი ეს სიტუაცია არ დალაგდება. ბ) პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილი იქნება ნორმალური, სამართებლივი, სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თანდათან, ნელ-ნელა, ყველაფერი დალაგებას დაიწყებს, როგორც ქვეყნაში ისე, ცხადია, მეცნიერებაში და განათლების სისტემაში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ სხვაგვარად ვითარება არ დალაგდება. ამას ამაოდ დაუწყებთ ლოდინს. იქნება მხოლოდ ლაპარაკი. პროგრესის, წინსვლის, ილუზია და სხვა მეტი არაფერი, როგორც ეს დღეს არის. ამიტომ ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვაგვარად ვითარებას ვერ დავალაგებთ. გ) ნორმალურ, სამართლებლივ სახელმწიფოს, ბუნებრივია, გაუჩნდება ამ რთული ვითარების დალაგების პოლიტიკური ნება. პრიორიტეტული შეიქმნება მოთხოვნილება ნამდვილ პროფესიონალებზე, კარგ სპეციალისტებზე საქმით და არა სიტყვით, როგორც ეს დღესაა. პროფესიონალიზმი მოთხოვნადი გახდება. ეს ხელს შეუწყობს ამ რთული ვითარებისათვის თავის დაღწევას. დ)

ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ასოცირდება. კიდევ ერთი საინტერესო სიახლე, ცვლილებები მენტალურ ხასიათს შეიძენს. ძველი მენტალიტეტი აღარავის აღარ დაჭირდება, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილია. საბჭოთა კავშირიდან არც ისე შორს წავსულვართ, როგორც გვგონია, ეს არის ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით, როგორც ამას დღეს ვხედავთ. „ნგრევა შენების სახელით“ კი არ შეჩერებულა, რაც რა თქმა უნდა სასურველი იქნებოდა, არამედ ჯერ კიდევ გრძელდება. ე) კიდევ ერთი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ საკითხისადმი მიდგომა გახდება სახელმწიფოებრივი. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი. მოხდება კი ეს ასე და თუ მოხდება როდის იქნება ის? საკითხი, ვფიქრობთ, პრინციპულია, მის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს და სიმართლე გითხრათ მას ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან ამის წანამძღვრებს, წინაპირობას, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ვერ ვჭვრეტთ. შევძლებთ ამას და თავს დავაღწევთ კრიზისს და სწორ გზაზე გავალთ. ქართული ისტორიოგრაფია წინ წავა, განვითარდება, ახალ სიმაღლეებს მიაღწევს. ვერ შევძლებთ ამას და არც არაფერი შეიცვლება. პირიქით, შეიძლება ეს სიტუაცია კი არ შეჩერდეს, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდეს, შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს, რისი დიდი ალბათობაც არსებობს. ეს კი ძალიან ცუდი იქნება. დაუშვებლად მიგვაჩნია და კატასტროფის ტოლოფასია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნორმალური, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვაგვარად არც არაფერი შეიცვლება. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ეს ცვლილებები დროში საკმაოდ გაიწელება. სამ საფეხურიანი სახელმწიფოს შექმნა სადაც იქნებიან მდიდრები, საშუალო ფენა და ღარიბები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, დროში საკმაოდ გაიწელა და ვერავინ ვერ იტყვის, როდის დასრულდება. სამაგიეროდ კარგად იკვეთება ორიარუსიანი სახელმწიფოს კონტურები. მდიდრები და ღარიბები. ეს, ცხადია, ძალიან ცუდია.

ეს გახლავთ საკითხის ერთი მხარე წმინდა პოლიტიკური, რომელიც უნდა ითქვას, რომ ოპტიმიზმის საფუძველს ყველაზე

ნაკლებად გვიქმნის. როგორც აღვნიშნეთ, მას გააჩნია მეორე მხარე აკადემიური, მეცნიერული. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ურთიერთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. პირველის გარეშე მეორე ვერ გადაწყდება და ყველაფერი დარჩება ისე როგორც არის, თუ უფრო უარესობისაკენ არ შეიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით არ უნდა ჩანდეს გამოუსწორებელი ვითარება. გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა. უხარისხო პროდუქციას მწვანე შუქი არ უნდა მიეცეს, როგორც ეს ახლა ხდება. მეცნიერების დანაგვიანება უნდა შეწყდეს, წერტილი დაესვას. სუსტი შრომები არავის ჭირდება. არც სახელმწიფოს, არც მეცნიერებას და არც თვითონ ავტორს. ის წარსულს უნდა ჩაბარდეს. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების მკაცრი, ობიექტური, მეცნიერული კრიტერიუმის, შემუშავებას. ეს კატალიზატორის როლს შეასრულებს და დააჩქარებს უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სიღრმე-სიფართოვეში განვითარებას. აქცენტი გაკეთდება არა შრომების რაოდენობაზე, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ხარისხზე. თავის მხრივ ეს ხელს შეუწყობს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესს. მეცნიერება თანდათან, ნელ-ნელა, დაიბრუნებს პრესტიჟს. სამეცნიერო ხარისხის დაცვა გაუფასურებელი აღარ იქნება.

დღეს, რაღაც პოზიტივი, ინდივიდუალურ დონეზე მაინც ჯერ კიდევ ხდება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ თუ დროზე არ მივხედავთ ამ საქმეს, არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ცოტა ხანში, არც ეს აღარ იქნება. მეტი დაფიქრებაა საჭირო. მერე გვიანი იქნება.

ახლა განათლების სისტემაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა, რადგან ამ რთული ვითარების დალაგების საქმეში მან თავისი წონიანი სიტყვა აუცილებლად უნდა თქვას. სხვაგვარად არ გამოვა. განათლების სისტემის მნიშვნელობის შეუფასებლობა ქვეყნის

პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეიძლება. მასზე დიდადაა დამოკიდებული მისი სვებედი, მომავალი. ამიტომ ამას კარგად უნდა გაცნობიერება, თორემ შეიძლება ძალზე მძიმე დღეში აღმოვჩნდეთ. აქაც მდგომარეობა საკმაოდ რთულია, მაგრამ მისი დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. არაფერი ვაიუშველებელი არ გვჭირს. თუ იქნება პოლიტიკური ნება გამოსავალი მოიძებნება.

ამ რთული ვითარების გამოსწორებას დაჭირდება არა ვიწრო ემპირიკოსი, ფაქტოლოგი, ისტორიკოსი, არამედ ახალი ყაიდის ისტორიკოსი, რომელიც იქნება ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი. მას ძალიან კარგად ეცოდინება არა მხოლოდ ფაქტები, რასაც, სხვათა შორის, აკეთებდნენ პოზიტივისტები, „არამედ ის იქნება ფართო ერუდიციის, ყოველმხრივ განსწავლული პროფესიონალი, რომელსაც ამავე დროს უნდა ჰქონდეს სერიოზული თეორიული მომზადება მეთოდოლოგიის და ეპისტემოლოგიის საკითხებში“ (1. 34).

აქ ჩვენ წინაშე დგება ორი აქტუალური თემა. ვინ უნდა გაზარდოს ეს ახალი ყაიდის ისტორიკოსი? და რამდენად არის დღეს ამისათვის მზად ჩვენი განათლების სისტემა? ეს სერიოზული პრობლემაა და ამისთვის აუცილებელი იქნება, არა კოსმეტიკური გარდაქმნების, რასაც, სხვათა შორის, დღეს ვუყურებთ, არამედ სასკოლო და საუნივერსიტეტო ისტორიული განათლების ძირფესვიანი განახლება. სხვაგვარად არც არაფერი იქნება. ერთ ადგილზე დავიწყებთ ტკეპნას და წინსვლის, პროგრესის, ილუზიაღა შეგვრჩება ხელში. ჯერჯერობით საქართველოს განათლების სისტემა ასეთი კარდინალური გარდაქმნებისათვის, ჩვენი აზრით, მზად არ არის. ამას ცხადია, მომზადება ჭირდება. წინაპირობები უნდა შეიქმნას. სხვაგვარად ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნება. დრო არ ითმენს. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება. ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

თუ იქნება პოლიტიკური ნება მაშინ ყველაფერი მოგვარდება. სწავლა აღარ იქნება გაუფასურებული. ის დაიბრუნებს თავის ადგილს ჩვენს ცხოვრებაში. ფულს გადავიხდით არა უცოდინარობაში, როგორც ამას დღეს აკეთებენ, არამედ ცოდნაში, რო-

გორც ეს წესია. მთავარი გახდება არა დიპლომი, არამედ ცოდნა. მოთხოვნადი შეიქმნება ჭეშმარიტი პროფესიონალები საქმით და არა სიტყვით, როგორც ამას ვხედავთ ჩვენს ირგვლივ. პროგრესი ხელშესახები იქნება და არა ილუზორული, რასაც, სხვათა შორის, ძალიან მივეჩვიეთ და უნდა გადავეჩვიოთ. ვისწავლოთ ნორმალური ცხოვრება.

შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალს წარმოადგენს ნორმალური, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რასაც მოყვება პოლიტიკური ნება. ჩვენი მენტალიტეტი შეიცვლება. ძველი მენტალიტეტი წარსულს ჩაბარდება, აღარავის აღარ დაჭირდება. საკითხისადმი მიდგომა გახდება სახელმწიფოებრივი. თანდათან, ნელ-ნელა, ყველაფერი დალაგებას დაიწყებს როგორც ქვეყანაში, ისე, მათ შორის, ცხადია, მეცნიერებაში და განათლების სისტემაში. ეს განაპირობებს ცვლილებებს აკადემიურ სფეროში. სხვაგვარად ეს არ მოხდება, რადგან ის მოთხოვნადი არ იქნება. გამოსავალი იქნება მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლება. მთავარი იქნება არა რაოდენობრივი, არამედ, თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები. უხარისხო გამოკვლევებს მწვანე შუქი აღარ მიეცემა. ხარისხობრივი გარდაქმნები მოხდება განათლების სისტემაში. მთავარი აღმოჩნდება არა დიპლომი, როგორც ეს ახლაა, არამედ ცოდნა. თუ მოხდება ეს, ცხადია, ძალიან კარგია და შევძლებთ საქმის დალაგებას. არ მოხდება და როგორც მრავალგზის გვითქვამს, არც არაფერი შეიცვლება. ყველაფერი დარჩება ისე როგორც არის და არ გამოვრიცხავთ, რომ ვარდნა კი არ შეჩერდება, არამედ შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს და რაც კიდევ უფრო ცუდი იქნება, შეიძლება შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს. ეს კი, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნება და არ უნდა დავუშვათ.

მცირე რეზიუმეს სახით. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების დალაგების წინაპირობად სამი მთავარი კომპონენტი გვესახება: 1. პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნორმალური სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ ამას ალტერნატივა არა გააჩნია. 2. აუცილებელი მეცნიერული

გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, ამაღლება. პირველ ყოვლისა, უნდა შევიმუშაოთ მეცნიერული გამოკველევე-ვის შეფასების მკაცრი. მეცნიერული კრიტერიუმი. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალებმა უწინდებურად ვერ უნდა გაილაღონ.
3. განათლება უნდა გახდეს ხარისხიანი, უცოდინარეობაზე თვალს ნუ დავხუჭავთ. მოთხოვნადი უნდა გახდეს კარგი სპეციალისტი საქმით და არა სიტყვით. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ძა-ლიან რთული იქნება, მაგრამ სხვა გზა არა გაგვაჩნია. ადვილი გზით სიარული წარმატებას ვერ მოგვიტანს და კვლავ ჩიხში აღ-მოვჩნდებოდით. რაც, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნებოდა.

***

ამრიგად, ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთთქმულს, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართუ-ლი ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები ასე გვესახება. დავიწყოთ, იმით, რომ საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი სწორხაზოვნად, ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყო-ფითად შეფასება, საკმარისი არ უნდა იყოს. აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოაგენას ვერ გვიყალიბებს. ერთ შემთხვევაში ვარდისფერები დომინირებს და ეიფორიული განწყ-ობილება იგრძნობა. ხოლო მეორე შემთხვევაში კი პრიორიტეტუ-ლი მუქი საღებევებია. ორივე უკიდურესობა მიუღებელია, ჭეშ-მარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალედო ხაზის მოძიება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ სხვაგვარად არაფერი არ გამოგვივა და სასურველია. ეს ნაშ-რომი, სწორედ, ამ ოქროს შუალედის მოძიების მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ჩვენ შევეცადეთ შეიძლებისდაგვარად გაგვერკვია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და გვეჩვენებინა მისი გამომწვევი მიზეზები.

რა თქმა უნდა, ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერ-სია, ხედვა, მაგრამ, ცხადია, ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. ჩვენ კარგად გვესმის რომ ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერე-

ბის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის საუკეთესო ნიმუშია. ამ გზას ჩიხში მივყევართ და საბჭოთა ისტორიოგრაფიის რეანიმაციის მცდელობასთან ასოცირდება. ჩვენთვის გაცილებით მისაღები ჩანს, პლურალიზმი, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, ძალიან მოგწონს ჰიტერ ჰეილის თვალსაზრისი „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა". საკითხის ჩვენეული ხედვა, ცხადია, აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს და მეცნიერული პაექრობის საგანი გახდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ძლიერი და სუსტი მხარეები ასე წარმოგვიდგენია. დავიწყოთ პოზიტივით. ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ.

1) პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, უმთავრესად, პოლიტიკური მოვლენების განვითარებასთანაა დაკავშირებული. საბჭოთა კავშირის დაიშალა. თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი მონაპოვარია. მან დამოუკიდებლობა აღიდგინა, მას ჰქონდა თავისუფალი არჩევნის საშუალება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერების მუშაობისათვის უფრო უკეთესი გარემო ყალიბდება. ის არ განიცდის სახელმწიფოს მხრიდან ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლას. ისტორიკოსის საქმიანობაში არავინ ერევა, არ მიუთითებს რა ასწავლოს და როგორ იკვლიოს. წარსულიდამი მიდგომა პოლიტიკური მსჯელობის სფეროდან აკადემიური განსჯის საგანი გახდა. ეს საბჭოთა პერიოდის შემდეგ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამიერიდან ქართული ისტორიოგრაფია სხვაზე აღარაა დამოკიდებული. ის თავის თავს ეკუთვნის. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამაზე თვალისდახუჭვა არ ღირს. ქართულ ისტორიოგრაფიას განვითარების ხელსაყრელი პერსპექტივა გაუჩნდა, როგორც იყენებს ის ამ შანს,სეს უკევ მსჯელობის სხვა საგანია.

2) პოსტსაბჭოთა პერიოდს ქართული ისტორიოგრაფიას, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის არა-

სახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც ერთმა ვიწროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობამ დატოვა. ის შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი დაღწიოს ამ რთულ ვითარებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია. აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ცდილობს ააღორძინოს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. უარს ამბობს ისტორიის მონისტური ახსნაზე, ფორმაციულ პრინციპზე, წარსულისადმი კლასობრივ მიდგომაზე, კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაფეტიშებაზე. ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდიალებაზე. ცდილობს ფორმაციული პრინციპი ჩაანაცვლოს ცივილიზაციურ მიდგომაზე გადასვლით. ეს კიდევ ერთ საინტერესო სიახლედ გვევლინება. წარსულისადმი მიდგომა მეტი აღარაა იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ეს უკან წარსულში დარჩა.

3) ჩვენი აზრით, ეს „ზრდის კრიზისი“ წანამძღვრებად, კონტურებად, სიმპტომებად. პირველ ნიშნებად, შეიძლება მივიჩნიოთ. იკვეთება ისტორიის პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა, წანამძღვრები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

4) ვერ ვიტყვით, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია არ ვითარდება, არ პროგრესირებს, ერთ ადგილას დგას. სინამდვილეში, ეს ასე არაა. ის ცდილობს წინ წავიდეს. იწერება მრავალი საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია. სავსებით შეესატყვისება ევროპულ, კონკრეტულად, პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიის საერთო დონეს და უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარა და ეს, ცხადია, ძალიან კარგია. პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

5) უნდა ითქვას, რომ სიახლეები შეინიშნება არა მარტო ემპირიულ ისტორიის საკითხების გადახედვის დროს, არამედ თეორიული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიის პრობლემების გაშუქების დროს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სიახლეს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატება, რომ, უმთავრესად, აქცენტი კეთდება ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიურ გამოცილებაზე. ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯი იყო. მეტი აღარ იგრძნობა ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას. კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონი წარსულს ჩაბარდა. ის ჩაანაცვლა უფრო კონსტრუქციულმა მიდგომამ. პოლემიკამ იდეოლოგიის და პოლიტიკის სფეროდან აკადემიური ტონი შეიძინა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ისე როგორც პოსტსაბჭოთა წლებში დაწერილი კონკრეტული ისტორიული გამოკვლევები, ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ გამოკვლევების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

6) ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან თავის დაღწევასთან ერთად მეტი თუ არა, ნაკლები მნიშვნელობა არ გააჩნია პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოების გადალახვას. ამ ფაქტორის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს პოზიტივსიტური ისტორიოგრაფისათვის დამახასიათებელ ვიწრო ფაქტოლოგიას და ემპირიზმს. შემგროვებლურ ისტორიას. ისტორია თხრობას და სულ სხვა სივრცეებზე გავიდეს, ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი არ კეთდება. ეს ასე არაა, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით უფრო მეტია. მთელი ძალისხმევა, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ. ყველაფერი, ეს ცხადია, ძალიან კარგია და, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს „ზრდის კრიზისის“ წანამძღვრებთან, პირველ სიმპოტომებთან, ნიშნებთან საკუთრივ „ზრდის კრიზისზე“

საუბარი, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და, როგორ ჩვენ გვგონია, ნაადრევი შეიძლება იყოს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების პროცესი ადვილი საქმე არ იქნება და მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, პერსპექტივებთან ერთად იქნება პრობლემები, რომლის გვერდის ავლა, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს არსებულ ვითარებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და გადაჭარბებული უნდა იყოს.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა შეიძლება მივიჩნიოთ უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის სუსტ მხარეებად? აქვე დავძენთ, რომ ამ პრობლემების დრამატიზირება, გაზვიადება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. საქმე გვაქვს პროგრესის ჩრდილოვან მხარეებთან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ის ასე აღვიქვით. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სუსტ მხარეებად გვესახება.

1. ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესი, პირველ ყოვლისა, რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებთან უნდა ასოცირდებოდეს. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდის პროცესი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს, დროში საკმაოდ გაიწელა და ვერავინ ვერ იტყვის, როდის დასრულდება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. ამითაა გამოწვეული, რომ ჩრდილი მეტია შუქზე. ასე გვესახება ჩვენ ეს საკითხი.

2. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გამოძებნოს ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ცდილობს გადალახოს ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც წილად ხვდა ერთის მხრივ მისი წინამორბედის, საბჭოთა ისტოროგრაფიისაგან, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის სახით და

მეორეს მხრივ კი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის ნიშან-დობლივი ვიწრო ემპირიზმი და ფაქტოლოგია, ისტორია თხრობა, უპრობლემო ისტორია. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება, სინამდვილეში ეს ასე არაა, თუ პირველი შედარებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ის უფრო პრობლემური უნდა ჩანდეს.ეს პროცესი, ჩვენი აზრით, პალიატურ, ზედაპირულ, ხასიათს ატარებს და, უპირატესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ და არა თვისე-ბრივ, ხარისხობრივ ცვლილებებზე.

3. ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენი-ნური იდეოლოგიის დაძლევის მცდელობამ ხომ არ გადაფარა მეორე, ჩვენი აზრით, არანაკლებ თუ მეტი არა მნიშვნელოვანი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრობლემა? ასეთ შემთხვევა-ში კრიზისისაგან თავის დაღწევის მცდელობა ცალმხრივ ხასიათს იძენს და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ამ საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრა-ფიის მნიშვნელობის შეუფასებლობა, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლე-ბა შეინიშნება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში, მი-ზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ისტორიის ერთი ვიწროდოგმატიურად გაგებული მარქ-სისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების შემდეგ ხელში, სწორედ, პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვრჩება. ეს ცხადია, არაა ცუდი, მაგრამ ევროპული ისტორიოგრაფიის წარსულია და არა მომავალი. ქართული ისტორიოგრაფია კი არ უნდა ჩამორჩეს, არამედ წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. გვეყოფა რაც ჩამოვრჩით.

4. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლო-გიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, ეს ადვილი გასაგებია და როგორც რუსი ისტორიკოსი პროფ. არონ გურევიჩი აღნიშნავს „პოზიტივისტური ისტორიო-გრაფიის რუტინა, ვშიშობთ, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია“. (53.120). დღესაც ბევრი ქართველი ისტორიკოსი ღრმად არის დარწმუნებული, რომ „ისტორია შემგროვებელი მეცნიერებაა“.

ეს, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და, უწინარესად, ისტორიის თეორიული საკითხისადმი, ისტორიის მეთოდოლოგია, გნოსეოლოგია, ეპისტემოლოგია, ისტორიის შემეცნება, გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია.

5. არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია კიდევ ერთი ახალი პრობლემის წინაშე დადგეს და მსოფლმხედველობით ვაკუუმში აღმოჩნდეს. ეს იმით გამოიხატება, რომ ძველი იდეოლოგია ჩამოიშალა, ახალი კი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. რითი შეივსება ეს სიცარიელე, მთავარი, სწორედ, ეს გახლავთ. ეს კი ძნელი სათქმელია. ამ ვითარების დალაგება ძალიან ძნელია. აქ საკმარისი არ იქნება პალიატური ზედაპირული, კოსმეტიკური გარდაქმნები. ამას დაჭირდება ძირფესვიანი, კარდინალური ცვლილებები. რამდენად არის ამისათვის მზად ქართული ისტორიოგრაფია ძნელი სათქმელია. ჩვენი აზრით ქართული ისტორიოგრაფია, ასეთი ძირფესვიანი გარდაქმნებისათვის მზად არაა. ეს ადვილი გასაგებია, ამას ცხადია, მომზადება და დიდი დრო ჭირდებოდა. ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და ჩვენი აზრით, სწორი გზით არ მივდიოდით. პირველ ყოვლისა, სასურველი იყო მეცნიერული გამოკვლევების შეფასების მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი შეგვემუშავებინა. ჩვენ სულ სხვა გზით წავედით და ეს დრო სრულიად ტყუილად დავკარგეთ. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებმა კიდევ უფრო გაილაღეს, ვიდრე ეს წინა საბჭოთა პერიოდში იყო. მივიღეთ უარესი, საქმე გვაქვს რეგრესის პროგრესთან.

6. იმისთვის რომ კარგად გავერკვეთ დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებში სასურველი იქნებოდა კარგად გავაცნობიეროთ ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენს პროფესიაში უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ანალიზი არ ჩაუტარებია, არა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას, არამედ მის წინამორბედ საბჭოთა ისტორიოგრაფიას. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და თეორიული საკითხებისადმი ქართველი ისტორიკოსების სკეპტიკური განწყობილების ექოდ გაისმა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ამ თემა-

ტიკის გაშუქების საქმეში ქართველი ისტორიკოსების პასიურობა. მას არანაირი გამართლება არა გააჩნია. მათ ნებსით თუ უნებლიეთ, მისი დამუშავების ინიციატივა, ფილოსოფოსებს დაუთმეს. უნდა დავეთანხმოთ ინგლისელ სწავლულს რობინ ჯორჯ კოლინგვუდს, რომ ამ საკითხის დამუშავება, პირველ ყოვლისა, ისტორიკოსის კომპეტენციას წარმოადგენს. „ისტორიკოსი რომელიც არასოდეს არ წარმართავდა ყურადღებას ფილოსოფიაზე, როგორც ჩანს, მაინც უფრო გონიერ და ღირსეულ პასუხებს იძლევა ჩვენს კითხვებზე, ვიდრე ფილოსოფოსი, რომელიც ნაკლებად იყო დაკავებული ისტორიით". (69.12). შეიძლება ითქვას, რომ წარსულისადმი ჰეგელიანურ-მარქსისტულმა მიდგომამ ქართველი ისტორიკოსების თვალით დაფარა მეორე და არანაკლებ საინტერესო თვალსაზრისის, ნეოკანტიანელთა ხედვა.

7. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს ერთ ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ ძველი ინერციით შემორჩენილ მარქსისტულ-ლენინური სტერეოტიპებს და შტამპებს ჯერ კიდევ გადავაწყდებით პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია ტერმინები „ბურჟუაზიული რევოლუცია", „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია", „ბურჟუაზიული დემოკრატია", „ბურჟუაზიული კულტურა". რა თქმა უნდა, ეს არ არის შემთხვევითი და წარსულისადმი ვიწროკლასობრივი მიდგომის გამოძახილია, რომელიც ნიშანდობლივი გახლავთ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ დროის საქმეა.

8. ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის იყო ორიენტირებული ევროპულ რეალიებზე. ასეა დღესაც, მაგრამ მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეს გახლავთ არა ევროპული ისტორიოგრაფიის ხვალინდელი დღე, როგორც წინათ იყო, არამედ გუშინდელი პოზიტივისტური ისტორიოგრაფია. ამგვარი მეტამორფოზი, ვფიქრობთ შემთხვევითი არ უნდა იყოს, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და აშკარად ცილდება წმინდა აკა-

დემიურ ჩარჩოებს და მკეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენსი მიზეზი, სწორედ აქ ძევს.

დასასრულს ძალიან მოკლედ დავძენთ, რომ ამ მონაკვეთების კვინტესენცია, დედააზრი ასე გამოყენება. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ამგვარ საინტერესო ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს წინა წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ. ის მეტი აღარ განიცდის სახელმწიფოს მხრიდან მძლავრ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლას, როგორც ეს ხდება საბჭოთა წლებში. წარსულისადმი დამოკიდებულება არ იყო პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული, რაც ნიშანდიბლივი გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და აქცენტს აკეთებს თავისუფალ აზროვნებაზე, წარსულიდსადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს წარსულისადმი მეცნიერული მიდგომის აღორძინების მცდელობასთან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. იკვეთება მეცნიერული საქმიანობისათვის პერსპექტიული გარემო. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამდენად კარგად იყენებს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ამ ხელსაყრელ შანს? ვერ ვიტყვით, რომ ის არ ცდილობს მის გამოყენებას. ნამდვილად ეს ასე არაა. მაგრამ ეს არის რთული პროცესი, რომელიც უმტკივნეულო ხასიათს ატარებს წარმატებებთან იქნება პრობლემები.

ჩვენი აზრით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე სამი მთავარი პრობლემა დგას, რომლის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა განვითარება, პროგრესი, რამდენად შევძლებთ დღეს ამ დარგში შექმნილი რთული ვითარების დალაგებას. საკითხი არის პრინციპული და აქტუალური. მათ შორის მჭიდრო

გენეტიკური კავშირი არსებობს, მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება.

1. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს გახლავთ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან თავის დაღწევა, ბოლომდე გათავისუფლება. ამ სამი ამოცანიდან, ჩვენი აზრით, ეს შედარებით უფრო მარტივად გვეჩვენება. უნდა ითქვას, რომ ის სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და როგორც ჩვენ გვგონია, შედარებით უფრო წარმატებით. ამ საქმის გასრულება და ბოლომდე მიყვანა პრობლემა არ უნდა იყოს. მრავლისმეტყველი მიგვაჩნია, მარქსიზმისაგან გათავისუფლების შემდეგ ხელში პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვრჩება. მისთვის ნიშნადობლივია ვიწრო ემპირიზმით, შიშველი ფაქტოლოგიით, ისტორია თხრობით, აღწერით, უპრობლემო ისტორიით, პოლიტიკური ისტორიის პრიმატობით. ისტორია შემგროვებლური მეცნიერებაა. ასეთია პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის კრედო.

2. ერთი ჩიხიდან თავის დაღწევას ვცდილობთ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებითი მომენტია, მაგრამ ნებსით თუ უნებლიეთ სულ სხვა ჩიხში ამოვყავით თავი და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში აღმოვჩნდით მოქცეული. ევროპული დონე შენარჩუნდა, მაგრამ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი, ეს მეორე პრობლემაა და გაცილებით უფრო რთული, ვიდრე პირველი. ამ ბარიერის დაძლევა სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს არცაა გასაკვირი. რუსი ისტორიკოსის პროფ. არონ გურევიჩის თქმით „პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის რუტინა, ვშიშობთ, რომ გაცილებით უფრო ძლიერია“. (53.120). ასე, რომ ადვილი გასეირნება არ გველის და ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ალტერნატივა მარქსიზმისაგან გაწმენდილი ემპირიული ისტორია აღმოჩნდა. ეს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიაა. ქართული ისტორიოგრაფია პოზიტივიზმის ზღურბლეზე შეჩერდა. რა

შეიძლება იყოს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ალტერნატივა. ვფიქრობთ, ეს საკითხი საინტერესო უნდა იყოს და აქტუალური. მჭიდრო კავშირშია ისტორიკოსის მიერ მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ორიენტირების და პრინციპების გადასინჯვასთან, განახლებასთან. ასე მიუახლოვდით ყველაზე უფრო მთავარს და არსებითს.

3. ჩვენი აზრით, ამ სამი პრობლემიდან ყველაზე უფრო რთული, სწორედ. მესამე უნდა ჩანდეს. მას მკვეთრად გამოკვეთილი თეორიული ხასიათი გააჩნია და მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიის მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეპისტემოლოგიის, ისტორიის შემეცნების საკითხებთან. უნდა ითქვას, რომ ქართველი ისტორიკოსები, არც წინათ და არც ახლა, ამ თემატიკისადმი მაინცდამაინც დიდ დაინტერსებას არ ამჟღავნებდნენ და მისი დამუშავების დროს პასიურობას იჩენდნენ. ფატობრივად, ისტორიის თეორიული საკითხები მათი თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა და კადრს მიღმა რჩებოდა. სასურველი იქნებოდა თუ ქართველი ისტრიკოსები ამ მიმართულებით თავის საქმიანობას გაააქტიურებდნენ. საკითხი არის პრინციპული და აქვს მნიშვნელობა, სხვაგვარად დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარებისათვის თავის დაღწევა ძალიან გაგვიჭირდება.

იმისათვის რომ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული მდგომარეობა დავალაგოთ, საკმარისი არ იქნება მარტო პალიატური, ზედაპირული, კოსმეტიკური, გარდაქმნები, როგორც ეს დღეს ხდება, საჭირო ძირფესვიანი ცვლილებები. მის მთავარ პოსტულატს ისტორიკოსი მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ორიენტირების და პრინციპების გადახედვა, გადასინჯვა, წარმოადგენს. ამ თემაზე საუბარს იმით დავასრულებთ, რაც ლაიტმოტივად გასდევს და მსჭვალავს მთელს ნაშრომს და მის მთავარ კვინტესენციას, დედააზრს, წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთი ძირფესვიანი, რადიკალური ცვლილებისთვის, ჯერ კიდევ არაა სათანადოთ მზად. ამას მომზადება და დრო ჭირდება. ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. სწორ გზას ვერ დავდექით. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატება, რომ ებ რ

შევიმუშავეთ მეცნიერული გამოკვლევების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. ამით, კარგად ისარგებლეს ადვილი გზის სიარულის მოტრფიალეებმა და ვითარების დალაგება შეუძლებლაი შეიქმ-ნა. სიტუაცია უმართავი გახდა. ასე გვესახება ჩვენ ეს რთული პრობლემა

## ლიტერატურა:


1. А. Гуревич, О кризисе исторической науки, Вопросы истории, №2-3, 1991.
2. გ. ყორანაშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 2008.
3. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები ქართული დიპლომატია, წელიწდეული 12. თბ., 2006.
4. რ. მეტრეველი, ისტორიული ცოდნის ისტორიული შემეცნების საკითხები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 15. თბ., 2011.
5. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.
6. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა, თბ., 2006.
7. „სიახლეებით და იმედებით“ (ინტერვიუ პროფ. გივი კიღურაძესთან), გაზეთი „თბილისი“, 1974 წლის 31 იანვარი.
8. კ. ანთაძე, გივი კიღურაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.
9. მ. კალანდაძე, პროფესორი კონსტანტინე ანთაძე, თბ., 2014.
10. ქ. თვალიაშვილი, ც. ჩიკვაიძე, ძველი მსოფლიო ისტორია. მე-VI კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ,. 2005. კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2000. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტЩЦრია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005. გ. ბოლოთაშვილი, ნ. კიღურაძე, ლ. მეძმარიაშვილი, უახლესი ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005. მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი, ლ. ფირცხალავა, ისტორია, X კლასის სახელძღვანელო, თბ., 2001. გ. ბოლოთაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციების ის-

ტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2005. მ. ლორთქიფანიძე, ვ. გუჩუა, ნ. ასათიანი, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1988. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1991.

11. М. Каландадзе, Грузинские школьние учебники по новой истории, Преподавание истории в школе, №7. 1994.
12. გ. ყორანაშვილი, როგორ ისწავლება ისტორია სკოლაში, ლიტერატურული საქართველო, 14 ნოემბერი, 2014.
13. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით დაიწერა ისტორიის ეს სახელმძღვანელო, ისტორიული ვერტიკალები, 33. თბ., 2016.
14. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2011.
15. გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
16. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. ე. მეძმარიაშვილი, მ. ბარნოვი, დემოკრატიის გაკვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1600-1877. თბ., 2019. ვ. კაჭარავა, დემოკრატიის გაკვეთილები. აშშ-ს პოლიტიკური ისტორია. 1877-2008. თბ., 2018. რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა. თბ., 1994. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
17. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, №2. 1992.
18. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიზაციის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში №1. 1992.
19. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.

20. გ. ქავთარია, ძველი საბერძნეთი, თბ., 2005.
21. გ. ქავთარია, რომის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2016. ნაწილი მეორე, თბ., 2020.
22. შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი პირველი, გ. კუტალიას რედაქციით, თბ., 2004.
23. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია (1640-1815 წლები), ნაკვეთი მეორე, თბ., 1999. ნაკვეთი მესამე (1815-1870 წლები), თბ., 1998.
24. XVI საუკუნის ისტორია, მურმან პაპაშვილის რედაქციით, თბ., 2018.
25. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1998.
26. ხ. დიასამიძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ბათუმი, 2021.
27. ტ. ჭიღვარია, ჯ. კუბლაშვილი, ლექციების კურსი ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაში (1815-1870), ქუთაისი, 1998.
28. თ. პაპასქირი, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, 1914-1945. ნაკვეთი პირველი, თბ., 2009.
29. ე. მეძმარიაშვილი, ევროპის ქვეყნების და აშშ-ის XX საუკუნის ისტორია, 1900-1945. ნაწილი პირველი, ლექციების კურსი. თბ., 2008.
30. ნ. ასათიანი, ვ. გუჩუა, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1988.
31. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1991.
32. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე. X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია შედეგები გაკვეთილები, თბ., 2001. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთთან ერთად ან ურუსეთოდ, თბ., 2007. მ. ვაჩნაძე, ვ. გურუ-

ლი, საქართველო რუსეთის ურთიერთობა 1801-1921 წლებში. თბ. 2009. საქართველოს ისტორია XX საუკუნეში, თბ., 2003. დ. შველიძე, საქართველოს უახლესი ისტორია, (1917-2012) თბ., 2021. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია. (1921-2000) თბ., 2004.
33. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ერთი მარქსისტული სტერეოტიპის გამო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1. (20), თბ., 2017.
34. მ. კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხები, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი IV, თბ., 2011. მ. კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი VI. თბ., 2012. M. Kalandadze, Ivane Javachischvili und Fragen der Eppistomologie der Geschichte, Georgica, 35. 2012.
35. გ. ყორანაშვილი, ერთი სოციოლოგიური თეორიის უცნაური მეტამორფოზი, თბ., 2012. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, ისტორიული მატერიალიზმი და გეოპოლიტიკა, თბ., 2019 და სხვა.
36. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011.
37. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2. თბ., 2007.
38. ზ. ხასაია, გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ, 2014.
39. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, დასავლეთი და აღმოსავლეთი, მასალები სალექციო კურსისთვის, I თბ., 2007. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ისტორიული შტუდიები, მასალები სალექციო კურსისათვის, II თბ., 2007. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ციკლური დიალექტიკა, მასალები სალექციო კურსისათვის, III თბ., 2008. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, პირველი ციკლის კაპიტალიზმი, მასალები სალექციო კურსისათვის V თბ., 2008. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ანტიკური საზოგადოების დაჩიხვა. მასალები სალექციო კურსისათვის, VI.

თბ., 2009. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, პრიმიტიული კომუნიზმი, პროტოფეოდალიზმი და ფეოდალიზმი, მასალები სალექციო კურსისათვის, VII, თბ., 2009. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის, მასალები სალექციო კურსისათვის, VIII. თბ., 2009.

40. ნ. ვაჩნაძე, სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.), თბ., 1998. Н. Вачнадзе, язык – ключ, понимании средневековой картины мира, სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.

41. რ. ლაბაძე, ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004. რ. ლაბაძე, მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მოდელი „მონტაიუს" მაგალითზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 328. თბ., 1999. რ. ლაბაძე, ისტორიკოსის ტერიტორიის მეპატრონე, სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.

42. მ. კარბელაშვილი, ერნსტ კანტაროვიჩის ნაშრომი შუა საუკუნეთა პოლიტიკური თეოლოგიის შესახებ, სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.

43. ნ. გუგუშვილი, ქალის სახე შუა საუკუნეების საქართველოში (ქორწინება, ოჯახი, განქორწინება), თბ., 2002.

44. ნ. ჩიქოვანი, საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.

45. მ. ჩხარტიშვილი, ისტორიული მეცნიერების შესავალი. თბ., 2009.

46. ლ. ფირცხალავა, ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბ., 1994.

47. გ. ჯოხაძე, ავგუსტინესეული პროვიდენციალიზმი და

ჟამთაალმწერელის რელიგიური მსოფლმხედველობა, თბ., 1998. გ. ჯოხაძე, ადამიანის წინასახე ისტორია, ისტორიული ანტროპოლოგიის შესავალი, თბ., 2008. გ. ჯოხაძე, „Terra Historica", თბ., 2015.
48. რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ, მაცნე, ისტორიის სერია, №4. 1990.
49. რ. მეტრეველი, მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუა საუკუნეებრივი სამყაროს" წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.
50. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1. თბ., 2003. ტ. 2. თბ., 2007. ტ. 3. თბ., 2012.
51. В. Хачатурян, Мир глазами средневековшго человека (по исследованиям А. Я. Гуревича, Преподавание истории в школе, 4. 1994).
52. А. Васильев, Всемирно исторический процесс: концептуальный анализ, Преподавание истории в школе, 7, 1993.
53. А. Гуревич, История историка, М., 2004.
54. მ. კალანდაძე, ქართული დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბ., 2008.
55. გ. ჟორდანია, შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე, თბილისის უნივერსიტეტი, 1991 წ. 29 ნოემბერი.
56. აკ. გეთიაშვილი, რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განა უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაწ. II. თბ., 2000.
57. Ed. Fueter, Geschichte der neurer Historiographie, Berlin. 1936.
58. I. von Below, Deutsche Geschichteschreibung, Leipzig, 1916.
59. Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекового запада, Екатеринебург, 2005. Ж. Ле Гофф, Другое средневековье, Екатеринебург, 2002. Ж. Ле Гофф, Средневековый мир воображаемого, М., 2001.
60. მ. კალანდაძე, ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ გოფის „ხანგრძლივი შუა საუკუნეების კონცეფცია, თამარ გამ-

სახურდია 70. კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი, თბ., 2007.
61 О. Ваинштаин, Леопольд фон Ранке и новейшая буржуазная историография, «Критика новейшей буржуазной историографии», «Труды Лион», вып. 3. М-Л. 1962.
62. Ш. Ланглуа, Ш. Сенобос, Введение изучении истории, СПБ., 1899.
63. „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4 და 5. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს პროფ. მ. ვაჩნაძემ და პროფ. ვ. გურულმა, თბ., 2004. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების დოკუმენტი. „სტალინის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერ-მუშაკების დახასიათება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის (ყოფილი პოლიტიკური პარტიების არქივი), ფონდი 14. საქმე 7814 ფ/15 (ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ პროფ. გიორგი ციციშვილს, რომელმაც მოგვაწოდა ეს მასალა).
64. ვ. გურული, ჯვარცმული უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი, თბ., 2011.
65. მ. კალანდაძე, გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი V, თბ., 2012.
66. ვ. ასათიანი, კლასიკოსი, გრიგოლ ფილიმონის-ძე წერეთელი (1870-1939), თბ., 2018.
67. Л. Февр, Бои за историю, М., 1990.
68. М. Блок, Апология истории или ремесло историка, М., 1986.
69. Дж. Коллингвуд, Идея истории и автобиография, М., 1980.

# კარი მეორე

*„ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“.*
*– „მაშინ, რა საჭიროა გზა რომელიც*
*ტაძართან არ მიგვიყვანს!“*

## თავი პირველი

### კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი სავალალო ვითარების დალაგების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად, ჩვენ, და ალბათ, არა მარტო ჩვენ, ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება გვესახება და არა მოჩვენებითის, როგორიც ეს დღესაა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენი აზრით, საკითხი არის პრინციპული და მის, სწორედ, გადაწყვეტაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. ეს არაა ადვილი საქმე. იქნება პრობლემები, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია. შევძლებთ ამას და ძალიან კარგი. ყველაფერი ნელ-ნელა, თანდათან, დალაგებას დაიწყებს. ვერ შევძლებთ და იქნება სულ ასეთი რთული მდგომარეობა და არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ის კი არ შეჩერდება, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია და კა-

ტასტროფის ტოლფასია იქნებოდა. ვითარება რთულია, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. კვლავ გავმეორდებით როგორც კი იქნება პოლიტიკური ნება. უმალ გაჩნდება კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების წინაპირობა. მისი შექმნის აუცილებლობა. სახელმწიფოს უნდა გაუჩნდეს მოთხოვნილება კარგ სპეციალისტზე არა სიტყვით, როგორც ეს დღესაა, არამედ საქმით.

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულ და ქართული ინტელიგინციის ზნეობრივი სახვის ევოლუციის გამოძახილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემა ჩვენ წინაშე პირველად დადგა „ისტორიოგრაფიული ეტიუდების" მეორე ნაწილში, მხოლოდ რაკურსი იყო ოდნავ განსხვავებული და ჩვენთვის საინტერესო საკითხი აქ მხოლოდ პერიფერიულ თემად გვევლინებოდა და მას მხოლოდ გაკვრით შევეხეთ, მეორეხარისხოვანი დატვირთვა გააჩნდა. მთავარი თემა სულ სხვა იყო. „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში" განვიხილეთ ფრიად საინტერესო და აქტუალური პრობლემა. განსჯის საგანია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ზნეობრივი მდგომარეობა, რომელიც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ხანგრძლივი ზეწოლის ლოგიკური შედეგია. მათი ძალისხმევით უნივერსიტეტის თავდაპირველმა ღირებულებებმა სერიოზული დეფორმაცია განიცადა. საწყისი სულიერი და ეროვნული ფასეულობები მატერიალურმა ფაქტორმა ჩაანაცვლა. კორუფციამ, ნეპოტიზმმა, პროტექციამ. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამ მიმართულებით უნივერსიტეტში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტიური ძვრები და, ეს ცხადია, ძალიან კარგია – 2006 წლის რეფორმის დადებითი მხარეა.

ჩვენი აზრით, ამ კუთხით საკითხის გაშუქებას გააჩნია ერთი საინტერესო ასპექტი, რომლის, გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ თემაზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ვერ დაგვეხმარება. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვე-

თილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ამ კუთხით საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. აი რა გვაქვს მხედველობაში. რა ელობება წინ კონკურსების ობიექტურად ჩატარებას? მთავარი პრობლემა საბჭოთა კავშირი ხომ აღარ არსებობს? ყველაფერი ეს მართლაც ასეა. თითქოს პრობლემა აღარ უნდა არსებობდეს, მაგრამ სინამდვილეში ის ისევ არის. რაშია საქმე? არ არის პოლიტიკური ნება. ის მენტალური ხასიათისაა. ჩვენი აზრით, კონკურსების ჩატარება წარმოადგენს ევროპული პრინციპების და საბჭოთა რეალობის შერწყმის, შეხამების, მცდელობას. საბჭოთა რეალობა სულ სხვაა და ევროპული ღირებულებები კი სულ სხვაა. ისინი ერთმანეთის ანტიპოდები არიან. ერთად მათი არსებობა შეუძლებელია. ეს გარემოება არის მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის, აფერხებს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვაგვარად დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სიტუაცია არ დალაგდება.

***

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემას, საუბარია კონკურსების ჩატარებაზე, გააჩნია თავისი საინტერესო წარსული, რომელიც, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მას ფესვები ჯერ კიდევ საბჭოთა რეალობაში აქვს გადგმული. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის პერიოდიზაცია. როგორც წესი, ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. თუ საბჭოთა პერიოდში ის, უმთავრესად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა, პოსტსაბჭოთა პერიოდში ვითარება შეიცვალა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მაგრამ მთავარი ის არის, რამდენად ობიექტურად, სამართლიანად, ტარდება ეს კონკურსები. სწორედ, ეს გახლავთ პრობლემური. კონკურსების ჩატარების წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არავინაა, მაგრამ მთავარი ის იქნება თუ როგორ ჩავატარებთ ამ

კონკურსებს. რამდენად სამართლიანად გავაკეთებთ ამას. იქნება თუ არა კონკურსების შედეგები გამჭვირვალე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ ეს ასე შეიძლება არ მოხდეს. ეს, ცხადია, ძალიან ცუდია. ამ კარგ წამოწყებას ნუ გავაუფასურებთ, რისი, ალბათობაც, არსებობს. ეს საქმეს არ წაადგება.

აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს, ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო ამის მსგავსი რაღაცა. მას არჩევნები ერქვა. „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილში ამ კუთხით ეს თემა არ წამოგვიწევია. ამჯერად მას ამ რაკურსით შევეხებით და განვიხილავთ. ეს ამ თემაზე უფრო ადეკვატურ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებდა. ყოველ ხუთწელიწადში ერთხელ გირჩევდნენ თავიდან დოცენტის ან პროფესორის თანამდებობაზე. ერთი შეხედვით, ამაში არც არაფერი იყო ცუდი, მაგრამ ეს ყველაფერი, ისე როგორც საბჭოთა რეალობის ყველა სხვა ატრიბუტი, უმთავრესად, ფორმალურ ხასიათის ატარებდა. სინამდვილეში არანაირი კონკურსი არ ტარდებოდა. ირჩევდნენ ისევ იმას ვინც იყო. კონკურენტუნარიანი გარემო იყო მოჩვენებითი. ასე შემორჩნენ მეცნიერებას ის ადამიანები, რომლებსაც მეცნიერებაში არაფერი გაუკეთებიათ. მათ ან არ გააჩნდათ შემოქმედება ანდაც ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში ის ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა. ეს იყო საკანდიდატო დისერტაცია და ამ თემატიკაზე გამოქვეყნებული ერთი ან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ნაშრომი. მეცნიერება მათთვის მყუდრო თავშესაფარი იყო. მათ საქმიანობას ძალიან კარგად მიესადაგება ერთი ანეგდოტი. „რა არის ასპირანტურა. სამი წელი უსაქმურობა. ორი საათი სირცხვილი (ე. ი. დისერტაციის დაცვა – მ. კ.) და ოცდაათი წელი უზრუნველყოფილი ცხოვრება“. ასეთი იყო საბჭოთა ვითარება და მისი აპოლოგეტური შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყო. მათმა დიდმა ნაწილმა მეცნიერების განვითარებაში არანაირი წვლილი არ შეიტანა და მათი მთავარი საქმიანობა კორუფციასთან, პროტექციასთან, ნეპოტიზმთან, უფრო ასოცირდებოდა. მათ არაფერი მისცეს მეცნიერებას, მაგრამ მისგან ყველაფერი

მიიღეს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მეცნიერების დანაგვიანებასთან. მათ პირობით საბჭოთა ბალასტს უწოდებთ.

საბჭოთა წლებში მეცნიერება გაივსო შემთხვევითი ადამიანებით. კორიფეების გვერდით ისინი მრავლად იყვნენ და რაც დრო გადიოდა კიდევ უფრო მრავლდებოდნენ. კორიფეები თანდათან ჩრდილში ინაცვლებდნენ. ისინი კი რაც დრო გადიოდა სულ უფრო წინა პლანზე გამოდიოდნენ და მოწინავე პოზიციებს იკავებდნენ. თუ პირველს საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები დაატეხა თავს. მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. მათ სასათბურე პირობები შეუქმნა. ამერიკის პრეზიდენტს ჯონ კენედის უყვარდა თქმა. „ნუ იკითხავთ იმას რა მოგცათ ამერიკამ. იკითხეს ის რა მიეცით ამერიკას“. საბჭოთა რეალობისათვის ეს პრინციპი სრულიად უცხო და მიუღებელი იყო და, ძველი ინერციით, ჯერაც რჩება ასეთად. ეს ადვილი გასაგებია. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ილუზიებს ნუ ვიქმნით. კონკურენტუნარიანი გარემო მხოლოდ შირმა იყო. (1.56-73). როგორც ჩანს, ძველი ინერციით ის გადმოდის პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში. მაგრამ პრაქტიკაში ხდებოდა ისე, რომ ეს ყოველთვის ასე არ იყო და მარტო ფორმალური ხასიათი არ გააჩნდა. ეს საყურადღებოა.

ეს ერთი მხარეა. როგორც ტარდებოდა ის საბჭოთა პერიოდში. ახლა ვნახოთ როგორ ტარდება ის დღეს. პოსტსაბჭოთა წლებში. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ის ამ კუთხით შედარებით ნაკლებადაა გაშუქებული. იყო გამონაკლისები, რომელსაც ბედნიერი ძალიან ძნელი იქნებოდა, რომ უწოდოთ. აქ არის ერთი ნიუანსი, რომელიც საინტერესოა და რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს ეხება უსამართლობის ფორმას. მან საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა. უმთავრესად მას ახორციელებდა სახელმწიფო და პოლიტიკური ან იდეოლოგიური მოსაზრებებით გახლდათ განპირობებული. ცხადია, ამჯერად, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს იყო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ზნეობრივი სახის ლუსტრაცია, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და იმ არასახარბიელო

მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია, რომელიც გვერგო საბჭოთა რეალობისაგან. ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ ფიზიკურად არ გაგანადგურებდნენ. ცოცხალი დარჩებოდი. მორალური სიკვდილი არ ანაღვლებდათ. ეს იყო უსისხლო ტერორი. მათი სიფილისტიკი ბელადი ლენინი ამბობდა. „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი". მისი ღირსებული მოსწავლის, პარანოიკი სტალინის თქმით „არ არსებობს ადამიანი, არ არსებობს პრობლემა" მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მათ ამის მეტი არც არაფერი უკეთებიათ. რა სახელმწიფო შეიძლება იყოს ის რომელსაც სათავეში უდგას სიფილისტიკი და პარანოიკი? კანონი რომელიც დიდი ხანია აღარავის ახსოვდა მაშინ გაახსენდებოდათ, როდესაც მათთვის არასასურველი პიროვნების მოშორება უნდოდათ. რა თქმა უნდა, არასამართლიანი საშუალებით. იყო ერთი შემთხვევა, რომელზეც ყურმოკვრით კი არ გვსმენია, არამედ საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი. აი რაში იყო საქმე. მასზე ვრცლად ვისაუბრეთ „ისტორიოგრაფიული ეტიუდების" მეორე ნაწილში და ახლა მკითხველს მას კიდევ ერთხელ შევახსენებთ. (1.87-88. 2.175-176). ეს არის შერჩევითი სამართლის ერთ-ერთი კარგი ნიმუში, რომელიც იმ არასახარბიელო მემკვიდრეობის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც წინა საბჭოთა პერიოდიდან გვხვდა წილად და ძველი ინერციით ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობა. სტალინური ტერორი ნ. ხრუშჩოვის და განსაკუთრებით ლ. ბრეჟნევის დროს, სწორედ, შერჩევითი სამართალით ჩაანაცვლეს.

ყველა ეს უსიამოვნება, რომელიც ამ ორი საუკუნის მიჯნაზე, გადაგვხდა თავს, პირობით, ოთხ აქტად შეიძლება დაიყოს. 1. უნივერსიტეტიდან გაგდება. 2. სადოქტორო დისერტაციის ჩაგდების მცდელობა. 3. დამცირება და შეურაცხყოფა. ასისტენტ-პროფესორად არჩევა. 4. 2014 წელს ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ჩაგდება. მივყვეთ თანამიმდევრობით.

1999 წლის 30 ივნისს დოცენტის თანამდებობაზე ჩვეულებრივი არჩევნების დროს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირატესად, ფორმალურ ხასიათს. ატარებდა, აიღეს და გამა-

შავეს. 15 მომხრე იყო, 14 კი მოწინააღმდეგე. ეს იყო უაღრესად, მკაცრი ვერდიქტი. ეს მოასწავებდა უნივერსიტეტიდან გაგდებას. საინტერესოა რით იყო გამოწვეული ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილება? ცხადია, ის არ იყო შემთხვევითი და გააჩნდა თავისი მიზეზი. რა იყო ის? ამასთან დაკავშირებით გამაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია. ის ასე გამოიყურება. რატომღაც მე ძალიან მკაცრი ლექტორის სახელი გამივარდა. ეს, ცხადია, გადაჭარბებული იყო. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ პირდაპირ ყელში გავეჩხირე იმ ჯგუფს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „იღწვოდა" უნივერსიტეტში და შესანიშნავად გრძნობდა თავს, საბჭოთა წლებში კარგად აწყობილი სამკუთხედის პირობებში: მოგამზადებ, ჩაგაბარებინებ, დაგამთავრებინებ. ძველი ინერციით ეს პრინციპი პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში განაგრძობდა არსებობას. ამ პრინციპის შეცვლა 2006 წლის რეფორმის კიდევ ერთ დადებით მხარედ მიგვაჩნია.

ალსანიშნავია, რომ არავის არ მოუცია შეკითხვა. არავინ არ ცდილა დაესაბუთებინა თუ რატომ უნდა მოვეკვეთეთ უნივერსიტეტიდან. არავინ არ გამოსულა სიტყვით. ყველამ თქვა ვიცნობთო და შემდეგ აიღეს და თოთხმეტი შავი ხმა მომცეს. ეს იყო წელს ქვემოთ დარტყმა. თუ რამე უნდოდათ ეთქვათ და მიიღებდნენ დასაბუთებულ პასუხს. ეს იცოდნენ მათ და ამიტომ აირჩიეს ეს გზა. აბა იმას ხომ არ იტყოდნენ პროტექციით არ წერს ნიშნებს და ამიტომ უნდა გავაგდოთო. ყველაფერი კარგად გათვალეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და გაბითურებულები დარჩნენ. როგორც დიდი ესპანელი მწერალი მიგელ სერვანტესი ამბობდა „სხვის გასაკრეჭად წასული თვითონ აღმოჩნდნენ გაკრეჭილები". სიმართლე მალე გაირკვა და მე აღმადგინეს უნივერსიტეტში, ხოლო მათი დიდი ნაწილი ავთანდილ (ამფისა) წერეთელის მეთაურობით, უკვე დიდი ხანია რაც უნივერსიტეტში აღარაა. თუმცა ეს არ ანაღვლებთ. ამფისამ იმდენი ფული გააკეთა, რომ დღესაც კარგადაა და არხეინად გრძნობა თავს, ხოლო რას დავწერ მე მასზე ეს სულაც არ ანაღვლებს. ის ჩვეულებრივი ბოლშევიკური ნაგავია... ამნაირების მეცნიერებიდან მოკვეთა 2006 წლის რეფორმის ერთ-ერთ დადე-

ბით მხარედ მიგვაჩნია. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც, ქართული ისტორიოგრაფიის ზნეობრვი სახის ლუსტრაციად მიგვაჩნია. აქ კარგად გამოჩნდა ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა რეალობამ დაგვიტოვა. ყველაფერი ამის მერე მკითხველმა თვითონ განსაჯოს რა მდგომარეობაშია ჩვენთან სწავლა.

ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებდით თუ არა ერთი გარემოება. ეს მედლის მეორე მხარეა. მათი საქციელი ყველამ გაკიცხა. არავინ არ მოიწონა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მორალური გამარჯვება ჩემს მხარეზე დარჩა და კიდევ, ალბათ, რაც მთავარია. მიუხედავად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის მრავალწლიანი წნეხისა, უნივერსიტეტმა მაინც შეძლო რაღაცა გადაერჩინა და თავისი სახე შეენარჩუნებინა. ბოლშევიკებს ხელი მოეცარათ. ეს მე მაშინ ძალიან გამიხარდა და მიხარია დღესაც. ამ რთულ სიტუაციაში უნივერსიტეტმა აბსოლუტურად სწორი რეაგირება მოახდინა. მათ ზნეობრივი მარცხი განიცადეს. ეს მათ კარგად გაიცნობიერეს. შემთხვევითი არ იყო, რომ ცოტა ხნის შემდეგ 2002 წლის 23 ოქტომბერს ერთხმად ამირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად. ნებსით თუ უნებლიეთ მათ ჩემს ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს, რომელიც უფრო მეამაყება, ვიდრე მრცხვენია.

ახლა შევჩერდეთ ვითომდაც ჩემს დრაკონულ სიმკაცრეზე. ვიტყვით ორიოდე სიტყვას. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ყველფერი ეს ძალიან გადაჭარბებული იყო. მრავლისმეტყველად მიგვაჩნია, რომ არც ერთ სახელმწიფოს, არც საბჭოთა კავშირს და არც პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს, ჩემი როგორც ლექტორის დადებითი თვისებები არაფერში აინტერესებდათ და ამის გამო მრავალი უსიამოვნება შემხვედრია. უსამართლო მოპყრობა მინახავს. მე როგორც ლექტორმა ჩემი დადებითი მხარეები ვერც ვერაფერში გამოვიყენე, ხოლო უარყოფითი მხარეები, რასაც, სხვათა შორის, ითხოვდნენ ჩემგან, მე არაფერში მჭირდებოდა. „დაუწერე. შენ რა გენაღვლებაო". თუ მასწავლებელს არ ენაღვლება რა ისწავლეს მისმა მოწაფეებმა ეს ძალიან ცუდია. კარგად უნდა ასწავლო, მაგრამ არ უნდა მოთხოვო. აი რა იყო

რეალობა. არის აქ რამე ლოგიკა. რა თქმა უნდა, არც არაფერი. განათლების სისტემაში დღეს არსებული ქაოსის გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ. როგორ არ უნდა გაგახსენდეს XX საუკუნის ცნობილი რუს მწერლის მიხეილ ბულგაკოვის სიტყვები. „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო, კარგად შესრულებული სამსახურისთვის". ეს ჯილდო ნამდვილად მივიღე და ისიც არაერთგზის. „უმეცრება და უვიცობა დიდი ჭირია და თუ მას თან დაჰყვება უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია" – წუხდა დიდი ილია. გამომცდელმა ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს გარდა იმისა თუ რა იცის სტუდენტმა. ყველა ცოდნაში იხდის ფულს. ჩვენ კი უცოდინარობაში. ასეთია სამწუხარო რეალობა. მერე კი გვიკვირს რატომ განვიცდით კვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობას. მე მზად ვიყავი ყოველგვარ კომპრომისზე წავსულიყავი. ვითხოვდი მინიმალურ ცოდნას: როდესაც დავინახავდი, რომ სტუდენტი ვერ ძლევდა მასალას ვთხოვდი მოემზადებინა სკოლის წიგნიდან, როდესაც ესეც უჭირდა, წარმოიდგინეთ ესეც ხდებოდა. მაშინ ვთხოვდი მოეყოლა ნებისმიერი სამი საკითხი, რომელიც მას სურდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ აქაც იყო პრობლემები. ეს ყველაფერი ჩემი თვალით, რომ არ მენახა, სხვის მოყოლილს, ალბათ, არც მე დავიჯერებდი. კითხვები იყო უმარტივესი: ვინ იყო ნაპოლეონი, ვინ იყო კრომველი, ვინ იყო ბისმარკი, ვინ იყო რიშელიე, ვინ იყო ვაშინგტონი, ვინ იყო ტალეირანი. როდის დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია? ჩემმა ერთ-ერთმა საუკეთესო სტუდენტმა მაია ბუთბაიამ ამას სავსებით სამართლიანად უწოდა „შეურაცხმყოფელი კითხვები". პასუხი იყო ერთი. „შენ რა გენაღვლება დაუწერეო". ერთხელ ბ-ნ უშანგი სიდამონიძე დაინტერესდა და კითხა სტუდენტებს „მაინც რას გეკითხებათ ასეთს კალანდაძე, რომ ვერ პასუხობთო". „აჩემებული აქვს, ვინცხა ნაპოლეონი ვინ იყოო და სულ ამას გვეკითხებაო". ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამცინებოდა". მერე ბ-ნ უშანგი მე მომიყვა ამ ამბავს. ბევრი ვიცინეთ. სატირალი, რომ არ ყოფილიყო. (3.194). შესაშური პროფესიონალიზმია. სიტყვით სულ სხვას ლაპარაკობენ. საქმის კი სულ სხვას ითხოვენ. ეს

ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობის ექოდ გაისმა. საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ყველა ასე არ ფიქრობდა და ეს, ცხადია, ძალიან კარგია, პოზიტივია. მათ შორის იყო უნივერსიტეტის რექტორი აკად. როინ მეტრეველი. მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან და ამინდს ვერ ქმნიდნენ. უმრავლესობა ასე არ ფიქრობდა. ასეთი მკაცრი ვერდიქტი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ამის უკან იდგა კორუფცია, პროტექცია, ნეპოტიზმი. ყველაფერი ეს წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასი იყო. აკრძალული ილეთის გამოყენება დასჯადია, მაგრამ ამ შემთხვევაში არავინ დასჯილა პასუხი არავინ აგო. დავისაჯე მე. ეს იყო რეალობა და საქმის არც ვარდისფერებში, შელამაზებულად, წარმოჩენა და არც გამუქება, ცხადია, არ ღირს. უნებლიეთ გამახსენდა ერთი ფაქტი, რომელიც სატირელი, რომ არ იყოს სასაცილოა. ჩემი მასწავლებელი პროფ. კოტე ანთაძე მომიყვა, რომ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ტყეშელაძემ, სამწუხაროდ სახელი არ მახსოვს, მითხრა „გამოცდას სარკით ვატარებ. სტუდენტს მიუტან სარკეს ახლო და თუ დასუნთქა ცოცხალია, და სამიანს უწერ. თუ არ დასუნთქა, მაშასადამე გარდაიცვალა და, ცხადია, ნიშანს არ უწერ?" ამის შემდეგ კარგა გვარიანი დრო გავიდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა.

არ შემიძლია დიდი სითბოთი და სიყვარულით არ მოვიხსენიო ჩემი კათედრის გამგე და მასწავლებელი აწ განსვენებული პროფ. კოტე ანთაძე. თუ არა მისი დიდი თანადგომა მე როგორც ლექტორს ძალიან გამიჭირდებოდა ჩემი სახის შენარჩუნება, პროფესიული ღირსების გადარჩენა. ის დამეხმარე ამაში: ის რომ არა ბოლომდე გამანადგურებდნენ. ჩემს სახსენებელს არ დატოვებდნენ. ეს რეალობაა. არაფერს ვაჭარბებთ. პროფესიონალები მხოლოდ სიტყვით ჭირდებათ. საქმით კი არა. ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი უფლება, რომ ჰქონოდათ ფიზიკურადაც სიამოვნებით გამისწორებდნენ ანგარიშს. ეს არის ევროპული ღირებულებები? კვლავ გავმეორდებით. საქმე გვაქვს ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილ საბჭოთა რეალობასთან. მას სულ ქონდა გაუთავებელი დავა ერთ საკითხზე, რაზე კამათიც

ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. ეს იყო დავა უდავო საკითხზე. ის ამბობდა თუ სტუდენტს ელემენტარულ ცოდნას არ მოთხოვ მაშინ რატომ უნდა ასწავლო? ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკური კითხვაა. როგორც ჩვენ გვგონია, ძაღლის თავი, სწორედ, აქ არის ჩამარხული. თუ არ უნდა მოვთხოვო მაშინ რატომ ვასწავლო? არც ვასწავლი და არც მოვთხოვო, დღეს განათლების სისტემაში არსებული მარაზმი, მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით უნდა იყოს გამოწვეული. სტუდენტს აქვს უფლება ლექციაზე არ იაროს. სტუდენტს აქვს უფლება არ ისწავლოს, მაგრამ დაუწერე ნიშანი შე რა გენაღვლება. თუ მასწავლებელს არ ენაღვლება რა იცის მისმა მოწაფემ მაშინ სასურველი იქნება სხვა პროფესია აირჩიოს. ეს ხელფეხს უხსნის ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებს. ამიტომ მოსაზრება, რომ დღეს საქართველოში სწავლა ძალიან დაბალ დონეზეა, იმაზე გაცილებით ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს, ვიდრე გონიათ და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ნუ მივიღებთ სირაქლემის პოზას. ეს საბჭოთა წარსულის გამოძახილია.

მე საკუთარ თავზე ვიწვნიე თუ ასწავლი და მოთხოვ პრობლემები შეგექმნება. თუ არ ასწავლი და არ მოთხოვ მშვიდად იქნები. ეს რეალობაა. არაფერს არ ვიგონებ. მხოლოდ ვამბობ იმას რაც მინახავს. გაგონილს არ ვყვები. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ ფაქტს, რომელსაც გადავაწყდით 80-იან წლების პირველ ნახევარში, როდესაც მუშაობა დავიწყეთ უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჩემს იქ მისვლამდე ასეთი მდგომარეობა იყო. ინგლისის და საფრანგეთის ისტორიას ქართულ და რუსულ სექტორზე ასწავლიდა, პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოწაფე, ისტორიკოსი რემი სიკინჭალაშვილი. (რა თქმა უნდა, ორივე სექტორზე ის ლექციებს ატარებდა ქართულად და რუსულად). ხოლო გერმანიის ისტორიას იმავე ქართულ და რუსულ სექტორზე, გერმანულ ენაზე, ასწავლიდა ვინმე ირაკლი რუხაძე. ვინმე მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ მეცნიერებაში ის საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა. სრულ გაუგებრობას წარმოადგენს. ის ბოლშევიკური ბალასტის ტიპური წარმომადგენელია. თვით ამფისაც კი მასთან შედარებით დიდ მეცნიერად მოგეჩვენება. დავიწყოთ იმით, რომ ის ისტორი-

კოსი არაა. მას არ გააჩნია საბაზისო ისტორიული განათლება. არა და ამ საგანს სულ ისტორიკოსები ასწავლიდნენ. ის არის ფილოლოგი. დაამთავრა დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი გერმანული ფილოლოგიის განხრით და არის გერმანული ენის სპეციალისტი. თუ ესეც ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება. მე მგონი, რომ კი. წლების მანძილზე არავინ დაინტერესებულა არასპეციალისტი, ფილოლოგი, ირაკლი რუხაძე როგორ ასწავლის „გერმანიის ისტორიას კულტურას გეოგრაფიას", ისიც გერმანულ ენაზე. ვის რაში ჭირდებოდა ასეთი ექსპერიმენტი? ალბათ, არც არავის. ეს იყო თვალებში ნაცრის შეყრა და სხვა მეტი არაფერი. აი ნახეთ რა მაღალ დონეზეა სწავლაო. ეს არ იყო შემთხვევითი და მასში საბჭოთა კავშირში არსებული განუკითხაობის, უკონტროლობის, დაუსჯელობის სინდრომის, გამოძახილი იკითხება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთ ექსპერიმენტს ადგილი ჰქონდა 60-იან წლებში უნივერსიტეტში, მაგრამ მან ვერ გაამართლა. სტუდენტებმა თვითონ მოითხოვეს, რომ ქართულად ესწავლათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამას აკეთებდნენ სპეციალისტები და არა არასპეციალისტი, როგორც ეს პატივცემული ირაკლი რუხაძის შემთხვევაშია. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამის თაობაზე არც სტედენტებს გამოუთქვამთ რაიმე პრეტენზია. არც ისტორიასთან და არც გეოგრაფიასთან და საერთოდ ამ საგანთან, ბატონ ირაკლი რუხაძეს არანაირი შეხება არ გააჩნია. ის არც არაფერს არ ასწავლიდა და არც არაფერს თხოვდა. უკმაყოფილო არავინ იყო. ყველა კმაყოფილი იყო. ეს არ იყო შემთხვევითი. ჩვენი მენტალობა ასეთია. მაშინ სტუდენტებმა მინც ამოიღეს ხმა. აქ ესეც არ ყოფილა. ვფიქრობთ, საინტერესოა. ეს რეგრესის, პროგრესის, ტიპიური გამოვლინებაა. საქმე გვაქვს „ნგრევა შენების სახელით".

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ის არ ასწავლიდა და არაფერს არ თხოვდა და ყველა კმაყოფილი იყო. მე წელებზე ფეხს ვიდგამდი ვასწავლილი ელემენტარულ ცოდნას ვითხოვდი და ძალზე რბილად, რომ ვთქვათ, ყველა უკმაყოფილი იყო. რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავს. ეს არცაა გასაკვირი. ასეთია ჩვენი მენტალობა. ყველა ცოდნაში იხდის ფულს.

ჩვენ უცოდინრობაში. არის განსხვავება? რა თქმა უნდა, არის. ნიკოლო მაკიაველი ამბობდა. „სიკეთის ქმნით ისევე შეიძლება მოიმკა სიძულვილი, როგორც სიბოროტითა“.

როდესაც საბჭოთა წლებში მეცნიერების განვითარებაზე დავიწყებთ ლაპარაკს, მოდით ნურც ამ ფაქტს დავივიწყებთ. ირაკლი რუხაძეს და მისნაირებს, არადა ისინი საკმაოდ ბევრი იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ პირდაპირ სასათბურე პირობები შეუქმნა. ისინიც იფერებდნენ ამას. „ნუ იკითხავთ იმას რა მოგცათ ამერიკამ. იკითხეთ ის რა მიეცით ამერიკას“. მათთვის ეს პრინციპი სრულიად უცხო და მიუღებელი იყო. იმიტომაც ვართ კარგ დღეში. ბოლშევიკებმა კი არააყვავეს მეცნიერებმა, არამედ ხელი შეუწყვეს მის დანაგვიანებას. მის საუკეთესო ნაწილს ისტორიაში უსასტიკესი რეპრესიები დაატეხეს თავს და ისტორიაში არნახული სისხლიანი კალო გალეწეს, რომელსაც ანალოგი მსოფლიო ისტორიაში ძნელი მოუძებნო. ეს მათი სტილია.

და ბოლოს დაუბრუნდეთ მთავარ თემას, რომელიც დასაწყისში დავსვით. ასე გვინდა დავაღწიოთ თავი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში არსებულ რთულ ვითარებას? ასე დღესქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მდგომარეობას ვერასოდეს დავალაგებთ და ვარდნა კი არ შეჩერდება, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება. მეტ ინერციას შეიძენს. ახლა მოდი ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა.

***

ახლა უნდა შევეხოთ კიდევ ერთ თემას, რომელიც უკვე დისერტაციების დაცვასთან ასოცირდება. ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა რეალობამ დაგვიტოვა, მარტო ისტორიული მეცნიერებით არ შემოიფარგლება და გაცილებით უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. მან ასახვა ჰპოვა ქართული ინტელიგენციის ზნეობრივ პრინციპებზე და მჭიდროდ უკავშირდება ჩვენთვის საინტერესო თემას. როგორ შეიძლება ვერ დააღწიოს თავი ქართულმა ისტორიოგრაფიამ იმ რთულ ვითარებას, რო-

მელშიც აღმოჩნდა ის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ეს პრობლემა, სწორედ, ამ რაკურსით გვაინტერესებს. განუკითხაობის ერთ ფორმაზე ვისაუბრეთ. ახლა შევეხებით სხვა ფორმას. არჩევანი ფართოა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რაღაც არ გვახსენდება მეცნიერულ პაექრობაში ჩაგდებული დისერტაცია. (პროფ. უშანგი სიდამონიძის დისერტაციის შემთხვევაში სულ სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე და ის, ამ შემთხვევაში მაგალითად ვერ გამოდგება). (4)). ეს ასეც იყო, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც მკითხველისათვის, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. აქაც გვხვდება გამონაკლისები. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ჩვენი სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი. 1999 წლის 20 ოქტომბერს დავიცავით სადოქტორო დისერტაცია თემაზე „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. თემა ატარებდა ისტორიოგრაფიულ ხასიათს და მასში პირველად ისტორიოგრაფიაში განხილულია სამი ქართველი ისტორიკოსის, ამ დარგის ფუძემდებლების პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის, პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, შემოქმედება.

ჩვენი ნაშრომის ჩაგდებას შეეცადა ფილოსოფოსი პროფ. ედუარდ კოდუა. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ედ. კოდუას პოზიციას არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია, ხოლო ზნეობრივი თვალსაზრისით, არაეთიკურია, ამორალურია. ვფიქრობთ, ეს არ იყო შემთხვევითი და მჭიდრო გენეტიკური კავშირი გააჩნია 1999 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტიდან ჩემ გაგდებასთან. ეს ამის გაგრძელებაა. ერთი პიესის ორი აქტია. მას მიზნად ჰქონდა ჩემი როგორც ლექტორის და, მკვლევარი ისტორიკოსის, სრული დისკრეტირება, განადგურება, მოსპობა. არა არ ვაჭარბებთ. ეს ნამდვილად ასე იყო. (1.97. 2. 175-176).

ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო შეიძლება იყოს. დავიწყოთ იმით, რომ ჩემი დისერტაციის დაცვამდე და შემდეგაც არა ერთი სუსტი

დისერტაცია დაცულა, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, რომ პროფ. ედუარდ კოდუას და მას ვინც მის ზურგს უკან იდგა, ასე გამოედოთ თავი და ეთქვათ, რომ ეს დისერტაცია სუსტიაო. საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან, რაც პრინციპულად მიუღებელია და იმ არასახარბიელო მემკვიდრეობის გამოძახილია, ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, რომელიც წილად გვხვდა წინა, საბჭოთა პერიოდისგან. პროფ. ედუარდ კოდუას პოზიცია აკრძალული ილეთის გამოყენება, წელს ქვემოთ დარტყმა იყო.

საინტერესოა პროფ. ედუარდ კოდუას არგუმენტაცია. პირველი. როდესაც პროფ. ედუარდ კოდუას ვკითხეთ რატომ მიაჩნია, რომ ჩემი ნაშრომი სუსტი იყო წაიკითხეთ ის. პასუხი იყო უცნაური და მოულოდნელი. არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი რომ სუსტია. რადგან ისინი სუსტი ისტორიკოსები იყვნენ და მათზე დისერტაციის დაცვა დისერტაბელური თემა არ გახლავთ. ჩვენ ვთხოვეთ პროფ. ედუარდ კოდუას წაეკითხა წიგნი და იქნებ შეცვალა აზრი, მაგრამ მას არც წიგნი წაუკითხავს და არც აზრი შეცვლია. ეს მისი პრობლემაა.

პროფ. ედუარდ კოდუას რომელსაც ძალიან უყვარს საუბარი მეცნიერული პაექრობის ნორმებზე, როდესაც ეს მას ჭირდება, უყოყმანოდ, არღვევს მას და შეიძლება ითქვას, რომ „სხვის თვალში ბეწვს ეძებს, ხოლო საკუთარში კი დირეს ვერ ხედავს“. ჩვენ მზად ვიყავით მასთან მეცნიერული პაექრობისათვის, მაგრამ მან ამისგან თავი შორს დაიჭირა. შევთავაზეთ ამის გაკეთება დაცვაზე, პრესაში. დაეწერა რეცენზია ჩვენს სუსტ ნაშრომზე და შევეცდებოდით შეძლებისდაგვარად დაგვეცვა თავი, ხოლო თუ ვერ მოვახერხებდით ამას მაშინ ყველაფერი ცხადი იქნებოდა და პროფ. ედუარდ კოდუა მართალი აღმოჩნდებოდა. მან მეცნიერული პაექრობის სხვა ფორმა აირჩია, მაგრამ ეს უკვე მეცნიერული პაექრობა აღარ იყო. პროფ. ედუარდ კოდუა კვლავ ცდილობს აკრძალული ილეთის გამოყენებას. ის შეეცადა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მას იმედი ჰქონდა, რომ როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს-ის) თავმჯდომარის მოადგილე, გაიტანდა თავის სიტყვას და შეძლებდა ჩემს დამარცხებას, მაგრამ მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და საბოლოოდ

გაბითურებული დარჩა.

საინტერესოა, რამდენად კომპეტენტური იყო ფილოსოფოსი ედუარდ კოდუა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხებში? ეს ხომ სპეციფიკური თემაა და აქ მარტო ზოგადი განათლება საკმარისი არ უნდა იყოს. სასურველია, საკითხის კონკრეტული ცოდნა. მაგრამ არა ედუარდ კოდუასთვის. მან ყველაფერი იცის. მთელი მისი მსჯელობა, პირიქით, იმას ლაპარაკობს, რომ ის ამ საკითხებში არაკომპეტენტურია. საიდან იცის, რომ ისინი სუსტი ისტორიკოსები იყვნენ? ამ შემთხვევაში მას სასურველი შესაძლებლად სურს წარმოაჩინოს.

ის კარგად იცნობს პროფ. გრ. ნათაძის ნაშრომს „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“ და ის სავსებით სამართლიანად, მიაჩნია სუსტ ნაშრომად. ამაში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მას. მეორე ნაშრომი კი შეიძლება იყოს გრ. ნათაძის წიგნი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“ რომელიც დღეს უკვე, ცხადია, გვარიანადაა მოძველებული და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ის ნაწილობრივ იცნობს მის შემოქმედებას, მაგრამ არა მთლიანად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის არ იცნობდა გრ. ნათაძის შრომებს ძველ, შუა საუკუნეების და ახალ ისტორიაში. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, რომ პროფ. ალექსანდრე ნამორაძის შრომები შორს იყო მისი სპეციალობისაგან, წმინდა ისტორიულ ხასიათს ატარებდა და მისთვის ნაკლებად ცნობილი შეიძლება ყოფილიყო. ხოლო რაც შეეხება პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის შრომებს ის სრულიად უცნობი იყო და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. რამდენად პროფესიული იყო პროფ. ედუარდ კოდუას მიდგომა ამ საკითხისადმი ამაზე მეტი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ობიექტურმა მკითხველმა ეს თავად განსაჯოს. ვფიქრობთ, ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს.

ახლა მოდით გამოვიდეთ იმ პოსტულატიდან, რომ პროფ. ედუარდ კოდუა ცამდის მართალია და ისინი სუსტი ისტორიკოსები იყვნენ. კი ბატონო არ გეკამათებით. იყოს ისე როგორც თქვენ გნებავთ. მაგრამ ეს არგუმენტად არ გამოდგება.

ბ-ნ ედუარდ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სუსტ ისტორიკოსზე შეიძლება დაიწეროს კარგი ნაშრომი და პირიქით კარგ ისტორიკოსზე შეიძლება დაიწეროს სუსტი ნაშრომი. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. თქვენ წიგნი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“ (6), ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს გახლავთ კარგ ისტორიკოსზე დაწერილი სუსტი წიგნი (7. 344-354, 8. 9.511-518).

და ბოლოს შევჩერდებით კიდევ ერთ გარემოებაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვერც პროფ. ედუარდ კოდუამ და ვერც იმან ვინც მის ზურგს უკან იდგა, მათი აზრით, ერთ სუსტ დისერტაციაზე ერთი უარყოფითი რეცენზია ვერ დააწერეს: ბოლოს მას როდესაც მოთხოვეს წარმოედგინა თავისი უარყოფითი რეცენზია, ცივი უარი განაცხადა. მიხვდა, რომ სკანდალი მწიფდებოდა და უკან დაიხია. პროფ. უდუარდ კოდუა გაბითურებული დარჩა. მისი ეს ნაბიჯი უზნეო იყო, ხოლო წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მან სხვისი აზრი გააჟღერა. რატომ მოიქცა ის ასე ძნელი სათქმელია. ეს მისი პრობლემაა.

მე მომენიჭა ძიებული ხარისხი, ხოლო პროფ. ედუარდ კოდუა და ის ვინც მის ზურგს უკან იდგა, ხელმოცარებული დარჩნენ. ბ-ნ ედუარდ ამაოდ დაშვრით, არაფერი გამოგივიდათ. არ ვისურვებდი თქვენს ადგილზე ყოფნას.

და ბოლოს გვინდა წინ წამოვწიოთ კიდევ ერთი საინტერესო რაკურსი თუ არა პროფ. კოტე ანთაძის თანადგომა პროფ. ედ. კოდუა და ის ვინც მის ზურგს უკან იდგა, ხომ გადამივლიდნენ და მიწასთან გამასწორებდნენ. მათ არ აღელვებდათ ამას სამართლიანად გააკეთებდნენ თუ უსამართლოდ. ეს არის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკლი. მე ორ ძალიან რთულ პერიოდში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეჟიმის პირობებში, მომიწია ცხოვრება და მის სისასტიკეზე, სხვისი მონათხრობით კი არ ვმსჯელობთ, არამედ იმის მიხედვით რაც საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი. ეს ჩვენ თხრობას მოგონებების ელფერს ანიჭებს. ეს კი საინტერესო უნდა იყოს. მეცნიერული განსჯა

და მოგონებები ურთიერთსაა გადაჯაჭვული. მას გააჩნია კიდევ ერთი საინტერესო წახნაგი და პოლიტიკური პამფლეტის ელფერს იძენს. ამ მონაკვეთს ახასიათებს ჟანრობრივი მრავალფეროვნება.

***

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ 2006 წელი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში და საერთოდ საქართველოს მეცნიერების განვითარებაში, მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. პირობით ის ორ ქვეპერიოდად შეიძლება გაიყოს 2006 წლის რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ.

მე და ჩემს მეგობრებს იმედი გაგვიჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვლებოდა და გამოსწორების გზას დადგებოდა. ამის ყველა წინაპირობა არსებობდა. გარდაქმნისათვის ხელსაყრელი შანსი გაჩნდა. ამ შანსს გამოყენება უნდოდა. მთელი ძალისხმევა, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო. რეფორმის არსი ასე წარმოგვედგინა. ის რაც საბჭოთა სკოლას დადებითი ჰქონდა და ასეთი ნამდვილად იყო და ამის უგულებელყოფა, ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა, შენარჩუნდებოდა, ხოლო ის რაც მის სუსტ მხარეებს წარმოადგენდა, პირველ რიგში, კი, რა თქმა უნდა, კორუფცია, პროტექცია და ნეპოტიზმი, წარსულს ჩაბარდებოდა. ასეთი მსჯელობა ლოგიკური იყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ძალზე მიამიტები და გულუბრყვილოები აღმოვჩნდით. სულ მალე, ცხადი, შეიქმნა, რომ სასურველი შესაძლებლად გვესახებოდა. რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა და რეფორმამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა. გაგრძელდა „ნგრევა შენების სახელით“.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმების ჩატარების წინააღმდეგი არავინ იყო. ის აუცილებლი იყო. მთავარია რა ფორმით განხორციელდებოდა იგი. ეს იწვევდა კამათს და აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს რეფორმას არაფერი დადებითი არ ჰქონდა. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ უარყოფითი უფრო

მეტი იყო. ერთ-ერთ ასეთ პოზიტივად კონკურსებზე გადასვლა გვესახებოდა, რომელმაც ჩაანაცვლა წინამორბედი არჩევნები, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე ფორმალურ ხასიათს ატარებდა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის იმიტაციას უფრო მეტად წარმოადგენდა, ვიდრე ჯანსაღ კონკურენციას.

ერთი შეხედვით, გარეგნულად, ისე ჩანდა, თითქოს პერსპექტივა გაჩნდა და საქმის ვითარების დალაგება დაიწყებოდა. თითქოსდა ჩვენშიც შემოაღწია ევროპულმა ღირებულებებმა და შეიქმნებოდა ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი გარემო და არა მოჩვენებით, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს. სამართლიანობას მწვანე შუქი მიეცემოდა. კონკურსების ჩატარების იდეა მოგვწონს. მთავარი იყო რა ფორმით განახორციელებდნენ მას. ძაღლის თავი, სწორედ, აქ იყო დამარხული.

კონკურსების ჩატარების წინააღმდეგი, ცხადია, არავინ იყო. კონკურსების ჩატარების არავის არ ეშინოდა. ეს ტყუილი იყო. ყველას გვაინტერესებდა რა კრიტერიუმით ჩატარდებოდა ის. იქნებოდა ყველაფერი გამჭვირვალე, როგორც ეს ცივილურ სამყაროშია, რომლის მიბაძვას ვითომ ვცდილობთ, თუ იქნებოდა ფორმალური, როგორც ეს იყო არც თუ ისე შორეულ წარსულში. განსაკუთრებით აქტუალური იყო საკითხი თუ რა კრიტერიუმით ჩატარდებოდა კონკურსები. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამაზე იყო დამოკიდებული რამდენად სამართლიანად წარიმართებოდა ეს პროცესი. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა თითქოს კონკურსების ჩატარების კრიტერიუმი არ იყო ძნელი დასადგენი, მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე არ აღმოჩნდა. პრობლემა გაჩნდა იქ სადაც ის არ იყო. ეს დამაფიქრებელი გახდა. ეს კრიტერიუმი, ცხადია, უნდა ყოფილიყო არა მარტო მეცნიერული გამოკვლევების რაოდენობა, არამედ ხარისხი. რუსული ლიბერალური ისტორიოგრაფიის პატრიარქის ვასილი კლუჩევსკის თქმით „მეცნიერის ბიოგრაფიაში მთავარი ფაქტია მისი წიგნები". ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ. ბოლოს მოხდა ისე, როგორც უნდოდათ, რომ მომხდარიყო. სცადეს კანონი საკუთარი ინტერესებისთვის მოერგოთ. ამან სუბიექტივიზმს ფართო ასპარეზი შეუქმნა და შედეგმაც არ

დააყოვნა. მივიღეთ სრული განუკითხაობა, რომელიც საბჭოთა სინამდვილეზე უმჯობესი არაფრით არ იყო და მისი ლოგიკური გაგრძელებაა. შეიძლება უარესია.

ჩვენ ვითხოვდით კონკურსების გამჭვირვალედ ჩატარებას. თითქოსდა ამაში მიუღებელი არც არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმის არარსებობა კონკურსის ობიექტურად ჩატარების მთავარ დაბრკოლებად იქცა.

გამოდის, რომ ამ კონკურსების ობიექტურად ჩატარებისათვის მზად არ აღმოვჩნდით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. ისევ ძველი მენტალიტეტი დარჩა. არშემდგარ სახელმწიფოს არ აინტერესებდა კონკურსების ობიექტურად ჩატარება. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ მას უფრო პოლიტიკური სარჩული გააჩნდა და მეცნიერებაზე კონტროლის დაწესება სურდა და არა ამ სფეროში არსებული სიტუაციის დალაგება. ეს ხომ მოხდა უკვე ერთხელ. მხედველობაში გვაქვს 30-იანი წლების შუა ხანები. ერთი სიტყვით, ეს იყო ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით. „ისტორია მეორდება ორჯერ, ერთხელ როგორც ტრაგედია მეორედ როგორც ფარსი“. (აქ რეფორმის სხვა სუსტ მხარეებზე აღარ შევჩერდებით, რადგან ამაზე უკვე გვქონდა საუბარი ამ წიგნის პირველი კარის მესამე თავში). ამგვარი სუბიექტურობა თვით ბოლშევიკებსაც კი შეშურდებოდათ. ასე ჩამოყალიბდა უკმაყოფილოთა დიდი არმია, რომელიც პირობით ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ერთი რომელიც კონკურსში ვერ გავიდა და გარეთ დარჩა და მეორე, რომელიც მართალია, კონკურსში გავიდა, მაგრამ ძალზედ უსამართლოდ მოექცნენ. ამ მეორე ჯგუფში მოვიაზრებთ ჩვენ თავსაც.

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა რა გაქვთ მხედველობაში როდესაც საუბრობთ ევროპულ ფასეულობებზე? სავსებით ნორმალური კითხვაა. შევეცდებით შეძლებისდაგვარად უპასუხოთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობას. ადამიანის უფლებები მეტნაკლებად დაცულია. ხელისუფლება ცდილობს საკუთარი მოსახლეობის ინტერესები დაიცვას. საფრანგეთის მეფე ანრი IV ამბობდა „რომ გააღატაკოთ ჩემი ხალხი, ვინღა გამომკვებავს მე? ვინღა გაიღებს სახელმწიფო ვალდე-

ბულებებს. ვინ გადაიხდის თქვენს (ე. ი. თავადაზნაურობის) პენსიებს და ჯამაგირებს? ღმერთო დამიფარე! ვინც აწყენინებს ჩემს ხალხს, იგი, პირველ რიგში, მე მაწყენინებს“ (10. 88).

ევროპული ღირებულებაა რაც უფრო მდიდარია ხალხი მით უკეთესი. ის გადახდისუნარიანი იქნება. არის სხვა პრინციპი. სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად გააღატაკოს საკუთარი მოსახლეობა და ის გადასახადების გადახდის უუნარო გახდეს. ასეთი ხალხი უფრო ადვილი სამართავია. ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქი ვოლტერი ამბობდა. „თუ ხალხი მდიდარია, მდიდარია ხელმწიფეც“.

ჩვენ შორს ვართ ევროპული ცივილიზაციის გაიდიალებისგან და სავსებით ვეთანხმებით სერ უინსტონ ჩერჩილს, რომ „ევროპულ დემოკრატიას ძალზე ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ კაცობრიობას მასზე უკეთესი ჯერ არაფერი მოუგონია“. მისი თანამემამულე, ჯეიმზ ჰარიგტონი წერდა „როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად სახელმწიფო შენობის შეცვლას არ ცდილობენ ხალხი უბედური ხდება“. (11. 21. 12) ვფიქრობთ, რაღაც ამის მსგავსი შეიძლება ხდება დღეს საქართველოში. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური შეხედულებაა.

2006 წელს მონაწილეობა მივიღე კონკურსში. საბუთები შევიტანე ასოცირებული პროფესორის ადგილის დასაკავებლად და არა ასისტენტ-პროფესორის, როგორც ამას შემდეგ ამბობდნენ. ყველა მოთხოვნილებას აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად ვაკმაყოფილებდი, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. დაწერილი მქონდა 8 წიგნი: ოთხი მონოგრაფია და ოთხიც სახელმძღვანელო. 122 სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო გამოკვლევა. მათ უმეტეს ნაწილს ქართული კონტექსტი გააჩნია. სიახლეს წარმოადგენს და აღნიშნული საკითხის გაშუქების, პირველ ან ერთ-ერთ პირველ მცდელობად, გვევლინება. კომისიამ ყველაფერი ამაზე თვალი დახუჭა, რადგან ესე აწყობდათ. ეს კიდევ ერთი წელს ქვემოთ დარტყმა იყო. აკრძალული ილეთი გამოიყენეს. ეს დასჯადია. მაგრამ არავინ აგო პასუხი. დავისაჯე ისევ მე. მერამდენედ მომაყენეს მძიმე

მორალური ტრავმა. ანაღვლებს ვინმეს ეს? ცხადია, არა. ეს იყო შერჩევითი სამართალი, რომელმაც უკან საბჭოთა რეალობაში დაგვაბრუნა.

კიდევ უფრო მტკივნეულია ის რომ სრული პროფესორის თანამდებობაზე გაიყვანეს პიროვნება, რომელსაც კონკურსის გამოცხადებამდე სულ შვიდი ნაშრომი ჰქონდა დაწერილი და კონკურსის წინ სასწრაფოდ გამოაცემინეს ორი წიგნი. აქედან ერთი, თუ არ ვცდები, მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო, რომელიც მან დაიცვა ოცი წლის წინათ. (შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ გადაამუშავაო, მაგრამ ასე მოკლე დროში დიდი ალბათობით, ამას ვერ მოასწრებდა). უსამართლობის სრული ტრიუმფია. ერთ შემთხვევაში უსამართლოდ დამცირებასთან უნდა გვქონდეს საქმე, მეორეში კი პირიქით. უსმართლოდ აღზევებასთან. სწორედ, ამაზეა ნათქვამი „ზოგის ბამბაც ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არაო“. „რადგან ულირს უსამართლოდ დაადგეს. დაფნა“. რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში კომისია ეს ძნელი გამოსაცნობი სულაც არ გახლავს და მკითხველი ამას თვითონაც კარგად მიხვდება. (1. 93). შეიცვალა რამე? ალბათ, ბევრი არაც არაფერი.

დავიწყოთ იმით, რომ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი ბოლშევიკური მენტალიტეტის გამოძახილთან, ორმაგ სტანდარტთან და შერჩევით სამართალთან. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. დღეს საქართველო სიფილისტიკის და პარანოიკის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევების ქვეშ გმინავს (1.143). ერთი ხელით ევროპულ ღირებულებებზე ვაკეთებთ აქცენტს, ხოლო მეორე ხელით ბოლომდე ვერ შევლევივართ საბჭოთა წარსულს და საბჭოთა ჭაობაში სულ უფრო ვიძირებით.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საინტერესო და აქტუალურ თემას, რომელიც აკადემიურ სფეროს არ განეკუთვნება და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. კიდევ ერთხელ შევეცდებით ამ საკითხზე ჩვენი პოზიციის დაფიქსირებას. დღეს ხშირად გაისმის, რომ საქართველოში 11 წელია ადამიანის

უფლებები ირღვევა. სხვათა შორის, იგივეს გაიძახიან პოლიტიკური ოპონენტები. ოღონდ შენ პირს შაქარი, ნეტა მართლაც ასე იყოს. სინამდვილეში ეს ასე არაა. საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალიდან დაწყებული, 102 წლის მანძილზე ადამიანის უფლებები ფეხქვეშაა გათვლილი. პარანოიკმა და ღორეშელმა მას კატოკივით გადაუარეს. ეს იყო დემოკრატიის პრინციპების ელემენტარული ნორმების უხეში უგულებელყოფა. 1776 წლის 4 ივლისს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელიც თომას ჯეფერსონის შედგენილია, ვკითხულობთ. „ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია შემდეგი ჭეშმარიტებანი: ყველა ადამიანი შექმნილია როგორც თანასწორი და ყველა მათგანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრავა. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხთა შორის შექმნილია მთავრობები, რომელიც სამართლიანი ხელისუფლებით აღჭურვილი არიან მართულთა თანხმობით. თუკი მმართველობის არსებული ფორმა მათი (ხალხის) მიზნებისათვის დამღუპველი ხდება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დაფუძნებული იმ პრინციპებზე და ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც ხალხის აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუძლია უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და ბედნიერება". (13, 217). არის ამაში რამე მიუღებელი? ცხადია, არც არაფერი. სიფილისტიკმა ლენინმა და პარანოიკმა სტალინმა ეს სამივე პრინციპი სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა, უყოყმანოდ უარყო. შემდგომში ვითარება შეიცვალა. პირველს აღარ ეხებიან, მაგრამ დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა: პოსტსაბჭოთა წლებში კი პრიორიტეტული გახდა ყოფითი სირთულეები. პრობლემების მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. ეს არის ძველი კონტექსტი ახალი ეთიკეტებით.

ახლა მოდით ევლავ დაუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს და შევეცადოთ წერტილი დავსვათ. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ასე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას ვერ დავალაგებთ. ამაოდ დავშვრებით. „ეს გზა ტა-

ძართან არ მიგვიყვანს“. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი. მაშინ „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“?

ამგვარი ვითარება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას გააჩნია თავისი ახსნა. კონკურენტუნარიანი გარემო წარმოადგენს ევროპულ ღირებულებას. არსებობს სულ სხვა პრინციპი, რომელსაც არანაირი კავშირი ევროპულ ფასეულებებთან არ გააჩნია. პრიორიტეტულია საქმის ჩაწყობა, პროტექცია, კორუფცია, ნეპოტიზმი. პირველს წინ მივყავართ, ხოლო მეორე უკან გვექაჩება და ცდილობს დაგვაბრუნოს საბჭოთა რეალობაში. ეს ევროპული ფასეულობების ანტიპოდია. საქმე გვაქვს ევროპული პრინციპების საბჭოთა რეალობასთან მორგების წარუმატებელ მცდელობასთან.

ევროპული ღირებულებები კარგია, მაგრამ ძველი ინერციით საბჭოთა რეალობა ისევ არსებობს. ძველი მენტალიტეტი ჯერ კიდევ ძლიერია. მათ შორის კონსესუსი ვერ შედგება. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. ორივე ვერ იქნება. ამ საკითხში არსებული პრობლემები, ამის ლოგიკური შედეგია.

მოკლე რეზიუმეს სახით საბჭოთა პერიოდში კონკურსების ჩატარება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ახლა ეს ასე არაა. ეს, ცხადია, ძა.ლიან კარგია, მაგრამ რამდენად გამჭვირვალედ და სამართლიანად ტარდება ის ძნელი სათქმელია. ფორმა შეიცვლა. შინაარსი კი არა. აი ეს არის რეალობა, რომლის არც შელამაზება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

„საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის უცხო იყო ჯანსაღი ძალების კავშირი, შემოქმედებითი ურთიერთობები ეს შინაგანი გათიშულობა, უუნარობა, გაერთიანდნენ წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც მგონია, წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საქმეში... მთავარია შემოქმედებითი შეჯიბრი, ჰუმანიტარებს შორის მჭიდრო კონტაქტები“ – დასძენს რუსი ისტორიკოსი პროფ. არონ გურევიჩი (14. 172-173). ვფიქრობთ, ანალოგიური ამოცანების წინაშე დგანან დღეს ქართველი ჰუმანიტარებიც. კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ვითარების დალაგება 2006 წლის რეფორმამდე გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე დღეს. ასე გვესახება ეს საკითხი.

## ლიტერატურა

1. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.

2. მ. კალანდაძე, პროფესორი კონსტანტინე ანთაძე, თბ., 2014.

3. მ. კალანდაძე, პროფესორ უშანგი სიდამონიძის გახსენება, კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, XXXIII. თბ., 2019.

4. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004.

5. Н. Дубровский, Труды, редактор М. Каландадзе, Тб., 2004.

6. ედ. კოდუა, ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, თბ., 1998.

7. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999.

8. გ. ყორანაშვილი, გვაქვს თუ არა ისტორიის ფილოსოფია? (პოლემიკა პროფ. გურამ ყორანაშვილსა და პროფ. ედუარდ კოდუას შორის), თბ., 2001.

9. მ. კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური ძიებების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II. თბ., 2011.

10. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963.

11. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწილი პირველი, თბ., 1979.

12. მ. კალანდაძე,^ სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვა დასავლეთ ევროპაში, ანალები, №8. თბ., 2012.

13. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი პირველი, მიხეილ მამფორიას და გივი კილურაძის რედაქციით, თბ., 1979.

14. А. Гуревич, История историка, М., 2004.

# თავი მეორე

## თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას ასე ვერ დავალაგებთ

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში, საბჭოთა წლებში, თითქმის სრულიად უგულებელყოფილი, იგნორირებული, იყო და მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. თითქმის აღარავის აღარ ახსოვდა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა. სამაგიეროდ, აქცენტი კეთდებოდა და ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველო გასაბჭოების მნიშვნელობაზე და მის როლს უსაშველოდ განადიდებდნენ, დითირამბებს უძღვნიდნენ. ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

რა თქმა უნდა, მეცნიერება და უნივერსიტეტი ოაზისს არ წარმოადგენს და იმ სახელმწიფოს ორგანული შემადგენელი ნაწილით, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთოზემოქმედებენ. მათ ვერ მოვწვეტთ ერთმანეთს. ეს სწორი არ იქნება. საკვირველი ის კი არაა, რომ ასეთი უნივერსიტეტი გვაქვს, არამედ საკვირველი ის იქნებოდა, რომ ასეთი უნივერსიტეტი არ გვქონოდა. ის დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ, რომელსაც, როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია და თავისი უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა უნივერსიტეტის ის-

ტორიაში. ამიტომ უნივერსიტეტის ობიექტური, მიუკერძოებელი, ისტორია დღეს არ გაგვაჩნია და თავიდანაა დასაწერი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ბედმა უნივერსიტეტის უკუსვლის მეისტორიედ ყოფნა მარგუნა წილად).

ეს თემა ამ კუთხით, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ წამოგვიწევია და კიდევ ერთხელ უნდა გაუსვათ ხაზი არშემდგარ სახელმწიფოს და მის უნივერსიტეტს არ ძალუძს დაალაგოს დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარება. არავინ არ უარყოფს, რომ ინდივიდუალურ დონეზე გარკვეული წინსვლა შეინიშნება, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა ჩანდეს.

ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ხანგრძლივმა ზეწოლამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა უნივერსიტეტის ფუძემდებლური პრინციპების დეფორმაცია. სულიერი ღირებულებები ნელნელა უკან გადასწია მატერიალურმა ფასეულობებმა. ეს უკვე სულ სხვა გზა იყო. დღეს მნიშვნელოვანწილად ამის ნაყოფს ვიმკით. ჩვენი მენტალიტეტი ჯერ არ შეცვლილა და ძველი ინერციით ისევ პრიორიტეტული რჩება. მნიშვნელოვანწილად, ამითაა გამოწვეული, რომ დღეს უფრო მთავარი დ მნიშვნელოვანია დიპლომი და არა ცოდნა. ყველა ფულს ცოდნაში იხდის, ჩვენ კი პირიქით. ფულს უცოდინრობაში ვიხდით. თუ ეს ვითარება სასწრაფოდ არ შეიცვალა სიტუაცია კი არ დალაგდება, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს კი, ცხადია, ძალიან ცუდია.

1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტურად გაისმა. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა. უკვე თავის თავად ეს ფაქტი ბოლშევიკების დიდ გაღიზიანებას იწვევდა. უნივერსიტეტისადმი საბჭოთა ხელისუფლების ასეთი მტრული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილია.

ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რთული და გრძელი გზა განვლო, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთანაა დაკავშირებული. ეს, პირველ ყოფლისა, იმით გამოიხატება, რომ ის სულ სხვა გარემოში იქნა დაარსებული და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სულ სხვა სიტუაციაში მოუხდა ფუნქციონირება, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო გვერდში ედგა უნივერსიტეტს და მის ავტონომიას პატივს ცემდა. მეორე შემთხვევაში კი, საქმე გვაქვს კარდინალურად განსხვავებულ სიტუაციისთან. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მას სულ სხვა პირობებში მოუხდა მუშაობა. ეს ატმოსფერო შინაგანად უნივერსიტეტისათვის აბსოლუტურად უცხო იყო, მაგრამ სხვა არჩევანი არ არსებობდა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ქართული მეცნიერების აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება, საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში ეტაპობრივ მოვლენას წარმოადგენდა. ეს ფაქტი, ცხადია, არ სიამოვნებდა და ეკალივით ესობოდა თვალში საბჭოთა ხელისუფლებას და მოსვენებას უკარგავდა. ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ როგორმე ამოეშალათ ის ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრენ და საბოლოოდ გაბითურებულები აღმოჩნდნენ. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა. დღეს უკვე გაკოტრებულია. ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. მეტად ცალმხრივი და ტენდენციურია. ძირშივე მცდარია, ძალზე ხისტად მიგვაჩნია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არაპატრიოტული, ანტიეროვნულია.

საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს ძალით მოახვია თავს მრავალი უკეთურობა, რომელიც შინაგანად მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი იყო. მისი პრესტიჟის შებღალვაში

ლომის წილი დაიდო. უნივერსიტეტს თავს დაატეხა არნახული რეპრესიები, რომელსაც ანალოგი მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოეძებნება. მის ათვლის წერტილად 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის გათავისუფლება გვევლინება. (1. 39. 2. 30. 3. 309. 4. 52). ეს იყო წმინდა პოლიტიკური აქტი, რომელმაც საშუალება მისცა ბოლშევიკებს თავის ნებაზე ჩაეტარებინათ უნივერსიტეტის წმენდა. ცხადია, ივანე ჯავახიშვილი ამის ნებას არ დართავდა. ამიტომ ადგნენ და თავიდან მოიშორეს იგი. მათი მხრივ ეს ლოგიკური ნაბიჯი იყო. აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკების მხრიდან მისი დევნა შევიწროვება ამით კი არ დასრულებულა, არამედ დაიწყო. მის პიკს, კულმინაციას კი, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლის 23 მარტს-2 აპრილს გამართული სხდომა. (5, 6, 7, 8, 9, 10).

პრაქტიკულად, ეს იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ წარმართული ბინძური პოლიტიკური კამპანია, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის დახვრეტის უვერტიურად გაიჟღერა, მაგრამ იგი რაღაც სასწაულით, დიდი ელინისტისაგან გრიგოლ წერეთელისგან განსხვავებით, გადარჩა, რადგან უეცრად, სტალინს დაჭირდა ივანე ჯავახიშვილი. (3)

ამ უსამართლო დევნა-შევიწროვების მთავარი ინიციატორი, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიდი ბელადი, პარანოიკი სტალინი გახლდათ. მის გარეშე, ცხადია, ყველაფერი ეს ვერ მოხდებოდა. მის უშუალო შემსრულებლებად კი ფილიპე მახარაძე და ლავრენტი ბერია მოგვევლინენ. ფაქტობრივად, ეს გახლავთ უნიკალური შემთხვევა, რომელსაც ისტორიაში ანალოგი ძნელად მოეძებნება, როდესაც დევნიდნენ, ავიწროვებდნენ და უნივერსიტეტიდან დაითხოვეს მისი დაამარსებელი ივანე ჯავახიშვილი. ამ აბსურდის მწვერვალს კი წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის 1938 წელს მისი დამაქცევარ, დამანგრეველი, პარანოიკ სტალინის სახელის მინიჭება. (11 84). ეს ნამდვილად მკრეხელობა იყო. ასე შემოაბიჯებინა საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტში პროტექციას, კორუფციას, ნეპოტიზმს და უსამართლობის სხვა ატრიბუტებს.

ის რაც მოხდა 1940 წლის 18 ნოემბერს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებული და მისი პერმანენტული დევნა-შევიწროვების დასკვნით აკორდად მოგევლინა. ივანე ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს სტალინის დიდი ტერორის, მორალური, უსისხლო, ტერორის, მსხვერპლთან (3). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა მისი დევნა. ახლა ბოლშევიკები უნივერსიტეტიდან მისი საქმის, სულის, განდევნას ცდილობენ. მკრეხელობა მეტი სხვა რა არის. ეს არა მარტო წარსულია, ის ვინც ასე ფიქრობს ძალიან ცდება. ამ უსამართლო მოპყრობის შორეული ექო დღესაც გაისმის და მის ნაყოფს ვიმკით; უნივერსიტეტში ფართოდ ფეხმოკიდებული პერმანენტული უსამართლობა სხვა არაფერია თუ არა ამის შორეული გამოძახილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს საკითხი, სწორედ, ასე გვესახება. ამიტომ დღეს შექმნილ ვითარებაში განტევების ვაცად უნივერსიტეტის გამოყვანა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის სახით საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ მსხვერპლთან გვაქვს საქმე. ეს გახლავთ რეალობა და მოდით ამაზე თვალს ნუ დავხუჭავთ. ეს სწორი არ უნდა იყოს. (11 85).

საბჭოთა ხელისუფლებას და პირადად პარანოიკ სტალინს უნივერსიტეტი, როგორც ქართული სულიერების სავანე, ეროვნული ცენტრი, ეკალივით ესობოდათ თვალში და გულს უკლავდა. ეს გასაგებია. მათი უმრავლესობისთვის უნივერსიტეტი უცხო ხილი იყო. მათთვის უფრო ახლო იყო დიდი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ფრაზები „თუ ჯაყოს ცოდნა არ აქვს, მაშ კაცი ვერ არის". ამიტომ როგორც ჯაყომ თეიმურაზ ხევისთავს ისე გადაუარეს უნივერსიტეტს. (არსებობს საინტერესო ვერსია, რომ, შესაძლოა, ჯაყოს პროტოტიპი თავად სტალინი იყო, ხოლო თეიმურაზ ხევისთავად კი მოგვიანებით თვითონ დიდი მწერალი მოგევლინა. უფრო თუ განვაზოგადებთ ამას მთლიანად ქართული საზოგადოება და, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მისი ნაღები, ქართული ინტელიგენცია). მაგრამ უნდა ითქვას, რომ

ამაოდ დაშვრნენ. ყველაფრის მოსპობა, განადგურება, მაინც ვერ შეძლეს.

თუ არა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენ დღეს უნივერსიტეტი არ გვექნებოდა. არც მეფის რუსეთი და არც საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, ამას არ გააკეთებდა. მართალია, ბოლშევიკებმა ვერ შეისრულეს სანუკვარი ოცნება და ვერ დახურეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ უფრო მზაკვრელი გზა აირჩიეს. აქცენტი გააკეთეს უნივერსიტეტის ფუძემდებლური პრინციპების გაუფასურებაზე. დიდი წვლილი შეიტანეს მის პრესტიჟის შებღალვაში. დღეს მნიშვნელოვანწილად ამ არასახარბიერო მემკვიდრეობის შედეგს ვიმკით (11. 86)

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ამითაა გამოწვეული, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით, წინ ვერ მივდივართ. ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე საქმე. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა „ჩვენ ვართ ის რასაც ვაკეთებთ და არა ის რასაც ვლაპარაკობთ“. მისი თანამემამულე ბერძენი მეიგავარაკე ეზოპეს თქმით „გვიჩვენე რა შეგიძლია არა სიტყვით, არამედ საქმით“. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ფრანგული ანდაზა. „ჭკვიანი ლაპარაკობს იმაზე, რაც გააკეთა, სულელი კი იმაზე, რას გააკეთებს“. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირველეა. ამ ძველი ინერციით შემორჩენილი უსამართლობის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია კონკურსების არაობიექტური ჩატარებაა. ასე ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს არსებულ რთულ ვითარებას, ცხადია, თავს ვერ დავაღწევთ. ამიტომ ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

ყოველგვარი ინსინუაციების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავძინოთ, რომ ჩვენ არ ვებრძვით უნივერსიტეტს, როგორ ეს შეიძლება მავანმა იფიქროს. ჩვენ გვიყვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ ჩვენ, და არა მარტო ჩვენ, უნივერსიტეტში ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ფართოდ ფეხმოკიდებული უკეთურობანი, ცხადია, არ მოგვწონს და მიუღებელად მიგვაჩნია. ნუ გამოვიყვანთ მარტო უნივერსიტეტს განტევების ვაცად. ეს შეცდომა იქნება. უნივერსიტეტის პრო-

ბლემები, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მასში, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის გამოძახილი უნდა დავინახოთ.

***

ამ თემაზე ჩვენ ყურმოკრული ინფორმაციის მიხედვით კი არ ვმსჯელობთ, არამედ საკუთარი, საკმაოდ მდიდარი, გამოცდილება გაგვაჩნია, მაგრამ, რა თქმა უნდა, უპირატესად, ნეგატიური. მის ერთ ნაწილზე უკვე გვქონდა საუბარი, როგორც ამ წიგნში ისე „ისტორიოგრაფიული ეტიუდების" მეორე ნაწილში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც დაგვრჩა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით კიდევ ერთხელ მივბრუნდებოდით ამ თემას. ამჯერად მხოლოდ ოდნავ განსხვავებული რაკურსით. ასე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას თავს ვერ დავაღწევთ, გამოსავალის მოძებნა ძალზე გაგვიჭირდება. ეს მდგომარეობა კიდევ დიდხანს გასტანს და არსებობს იმისი დიდი, ალბათობა, რომ შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, ეს კი დაუშვებლად მიგვაჩნია. ჩვენ ზოგიერთ საკითხს შევახსენებთ მკითხველს. ზოგიერთს კიდევ ცოტა სხვაგვარად შევხედეთ და შევეცდებით კიდევ უფრო დავაზუსტოთ და შეძლებისდაგვარად გავაღრმაოთ. ზოგიერთ ახალ საბუთს შემოვიტანთ, რომლის გამოქვეყნებისაგან მაშინ ჩვენ რატომღაც თავი შევიკავეთ და, ალბათ, სულ ტყუილა. ახლა შევეცდებით ეს სიტუაცია გამოვასწოროთ. არც სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობა არ უნდა უარვყოთ. ეტყობა, კომისიის საქმიანობის სამართლიანი კრიტიკით გული ვერ ვიჯერეთ და ამიტომ კიდევ ერთხელ გადავწყვიტეთ მივბრუნებოდით მას.

ეს არაა ევროპული ღირებულებები. ეს საბჭოთა პრინციპია, რომელიც არ შეესატყვისება ევროპულ ფასეულობებს. მისი სრული ანტიპოდია. სიტყვიერად ევროპული პრინციპების დანერგვას ვცდილობთ. საქმით კი ისე ძველი ინერციით საბჭოთა რეალობაა.

პირველ ყოვლისა, სასურველი იქნებოდა ევროპული რეალიები სწორედ ალვიქვათ. ჯერჯერობით, ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ. ნათქვამი ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ცხადია, აქ მხედველობაში გვაქვს 2014 წლის ივლისში ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის სრული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა. ეს ამ ორი საუკუნის მიჯნაზე ჩვენ თავზე დატრიალებული არასასიამოვნო ამბების მეოთხე აქტად გვევლინება (მეხუთე სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში სიარული იყო. ამაზე იხილეთ დანართში). ამ თემის წინ წამოწევა აქტუალურად მიგვაჩნია. თამამად უნდა განვაცხადოთ, რომ კომისიის საქმიანობას არანაირი შეხება არ აქვს ევროპულ ღირებულებებთან და ძველი ინერციით ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოთა რეალობის გამოძახილია. ეს კი დამაფიქრებლად მიგვაჩნია. ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას: მას ორი მხარე გააჩნია პოლიტიკური და აკადემიური. ა. მასში კარგად აისახა ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც უნივერსიტეტს საბჭოთა ხელისუფლებამ დაუტოვა. ის ატმოსფერო რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით დამკვიდრდა უნივერსიტეტში და ძველი ინერციით ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას. მასში ნეპოტიზმის და ორმაგი სტანდარტის, შერჩევითი სამართალის გამოძახილს ვხედავთ: უნივერსიტეტის თავდაპირველი ღირებულებებმა დეფორმაცია განიცადეს. ვფიქრობთ, ეს გახლავთ საუკეთესო ნიმუში იმის თუ როგორ არ უნდა იმუშაოს კომისიამ. რაოდენ უპასუხისმგებლოდ ეკიდება ის მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თეთრზე იძახის შავიაო, ხოლო შავზე იძახის, რომ თეთრია. რაც სურს აკეთებს იმას. სამართლიანობას არაფრად არ აგდებს. მოქმედებს პრინციპით მე ასე მსურს. რას იზამთ გასდის. ადამიანის ბედი არაფრად არ ანაღვლებს. განა ეს ევროპული ღირებულებაა? ეს საბჭოთა რეალობაა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ეს წარმოადგენს ქრესტომათიულ ნიმუშს იმის თუ როგორ არ უნდა ჩავატაროთ კონკურსები. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის კიდევ ერთი გამოძახილი. პროფესორების შვილებს უნდოდათ, სრულიად უსამართლოდ, გადაერბი-

ნათ ჩემთვის. მაგრამ საბოლოოდ ხელმოცარულები დარჩნენ და გაბითურდნენ. ეს ყველაფერი, ცხადია, შემთხვევითი არ გახლავთ, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად და პოსტსაბჭოთა რეალობის გამოძახილია. რას ვიზამთ უნივერსიტეტი ოაზისს არ წარმოადგენს. ის იმ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. (11. 94).

ასე ვერც სამართლებრივ სახელმწიფოს შევქმნით, ვერც სახელმწიფოში წესრიგს ვერ დავამყარებთ და ვერც მეცნიერებასა და განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას ვერ დავალაგებთ. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს, მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. ამდენად საკითხს გააჩნია ორ მხარეს, წმინდა პოლიტიკური და აკადემიური. მეორე პირველითაა განპირობებული.

სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ კომისიას არც არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი შეუსწავლია, გამოურკვევია, აიღო და კონკურსში გაამარჯვებინა მისთვის სასურველ კონკურსანტს, რადგან ასე სურდა. რომელ სამართლიანობაზეა საუბარი. სამართლიანობა მეათეხარისხოვანია. ვის რაში ჭირდება შენი სამართლიანობა. აი ეს არის რეალობა. როდესაც უთხრეს რას ჩადიხართო მათ წარბიც არ შეუხრიათ და წყნარად უპასუხეს: „ის ჩვენი მეგობარია. ეს კი არაო“. აი ასეთ დონეზე წყდება საკადრო საკითხები დღეს უნივერსიტეტში. ეს გახლავთ კონკურენცია ბოლშევიკურად გაგებული.

ასეთი არასახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს. ამიტომ განტევების ვაცად უნივერსიტეტი არ უნდა ვაქციოთ. ეს სამართლიანი არ იქნებოდა. საქმე გვაქვს განუკითხაობასთან, უკონტროლობასთან, დაუსჯელობის სინდრომთან. ეს ევროპული ფასეულობა არაა. ეს საბჭოთა რეალობაა.

თამამად უნდა განვაცხადოთ, რომ კომისიის საქმიანობა აშკარად გაცდა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი შეიძინა. მას არანაირი შეხება არ გააჩნია ევროპულ ღირებულებებთან და ძველი ინერციით ჯერ

კიდევ შემორჩენილი საბჭოთა რეალობის გამოძახილია. კომისია წარსულში ჩარჩა. ეს არის სინამდვილე.

თავი დავანებოთ იმას რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გააფუჭა. მასზე ხელის შეწმენდა ადვილი საქმეა. ჩვენ რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს ვითარება გამოგვესწორებინა. საქმით ბევრი არც არაფერი. ლაპარაკი გაცილებით უფრო ბევრია. ეს კონკურსი, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. კომისიის საქმიანობას ზედმიწევნით მიესადაგება დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის შემდეგი სიტყვები. „არასოდეს ადამიანი ისე თამამად და თავისუფლად არ ავკაცობს, როცა შეგნებულად ავკაცობს“. კომისიის მთელი საქმიანობა წარმოადგენს ერთ დიდ „რომანტიკულ გალიმატიას“ აბდაუბდას, რომელსაც რეალობასთან არაფერი საერთო არ გააჩნია და სასურველის შესაძლებლად წარმოაჩენის მცდელობას წარმოადგენს. ის ცრუობს, ელემენტარულ ტყუილებს კადრულობს, რათა მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. ეს არის მისთვის მთავარი. ის ცდილობს როგორმე წყალი აამღვრიოს. იქნებ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კომისია გაკოტრდა სრული კრახი განიცადა.

ვსაუბრობთ რა კომისიის საქმიანობაზე უნებლიეთ გვახსენდება ფრანგი განმანათლებელის, შარლ ლუი მონტესკიეს მოსაზრება. „არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი ტირანია, რომელიც სამართლიანობის სახელით ხორციელდება“. კომისიის მთელი საქმიანობა ძალზედ შორსაა ევროპული ღირებულებებისაგან. ის საბჭოთა კავშირში ჩარჩა. ყველაფერი ის რაც მან ჩაიდინა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის გამოძახილია. არ შეიძლება არ გაგახსენდეს ფრანგი რევოლუციონერის ლუი ანტუან სენ-ჟიუსტის ერთი გამონათქვამი. „მონობა წარმოადგენს უსამართლო კანონებისადმი დამორჩეილებას. თავისუფლება მორჩილებაა გონივრული კანონებისადმი. თავაშვებულობა ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს“. ეს ბოლო ფრაზები, საყურადღებოა და ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისება კომისიის მუშაობის სტილს და მასში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ყოფის ანარეკლი მოჩანს „თავაშვებულობა ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს“. ეს გახლავთ კომისიის

მუშაობის ვერდიქტი. მკაცრი, მაგრამ მგონია, სამართლიანი. ჯონ ლოკი ამბობდა „სადაც მთავრდება კანონი იქ იწყება ტირანია“ კომისიის მთელი საქმიანობა ამის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ კომისია ხშირად მიმართავს აკრძალულ ილეთს. წელს ქვემო დარტყმას. ამას ის ნამდვილად მარჯვედ აგკეთებს. ამას ვერ წაართმევ.

ხაზი უნდა გავუსვათ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ავადმოსაგონარი 30-იანი წლების შემდეგ, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელი იქნებოდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ კომისია არავითარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა. ეს იყო მათი გადაწყვეტილება. მათი ზნეობრივი სახის ლუსტრაცია. „ისტორია ორჯერ მეორდება. ერთხელ როგორც ტრაგედია, მეორეჯერ როგორც ფარსი“. ტრაგედია უკვე იყო. ამჯერად საქმე გვაქვს ფარსთან. ეს ტრაგი-კომედიაა. (11.144-145). დღეს ქართული ისტორიოგრაფიის აკადემიურ დონეზე გაცილებით უფრო დაბალია მისი ზნეობრივი მდგომარეობა. ამაზე დაფიქრება გვმართებს. სხვაგვარად წინ ვერ წავალთ. აი ასეთ მძიმე დღეში ჩააგდო ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა სახელმწიფომ უნივერსიტეტი. ხელი შეუწყო უნივერსიტეტში შემთხვევითი ადამიანების მომრავლებას. დღეს ამის შედეგი სახეზეა. მე არაფერს ვიგონებ. არაფერს არ ვთხზავ. ვამბობთ იმას რაც რეალობაში მოხდა და ჩემი თვალით მაქვს ნანახი.

კომისიას არც არაფერი შეუსწავლია. აიღო და პირდაპირ გაიყვანა მისთვის სასურველი კანდიდატი. ეს არის რეალობა, რომლის უგულებელყოფას ამაოდ ცდილობს კომისია. ეს არის მედლის ერთი მხარე. მას გააჩნია მეორე. ერთადერთი რასაც კომისიას ვერ წავართმევთ და მუშაობაში შეიძლება ჩაუთვალოთ ის ყოველმხრივ ცდილობს ჩემ ჩაძირვას.

კომისიის მთელი საქმიანობა მეცნიერული თვალსაზრისით არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ხოლო ზნეობრივად ამორალიზმია. ის რეალური ფაქტების ფალსიფიკაციის და უზნეობის ჰიბრიდია. კომისიამ დაკარგა სახე და მხარედ გადაიქცა.

რატომღაც მოხდა ისე, რომ კომისიამ ვერც პლაგიატი ვერ შენიშნა, სამეცნიერო შრომების რაოდენობა და ხარისხიც ვერ

გამორკვია. სიმართლის დადგენა კომისიისთვის ძალზე იოლი იყო. მას მხოლოდ ამის სურვილი უნდა ჰქონოდა. ყველაფერი ზედაპირზე ძევს და მისი დანახვა სულაც არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ კომისიას არანაირი სურვილი არ აღმოაჩნდა ამის გაკეთების. ის ძალიან მალე მიუკერძოებული მსაჯულიდან მხარედ გადაიქცა. ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა მან. ეს არცაა გასაკვირი. კომისია საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის ან ობიექტური უნდა ყოფილიყო და მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. ეს მას ძალიან კარგად ესმოდა და, უნდა ითქვას, რომ ამაში ის სრულიად მართალი იყო. ან არაობიექტურად უნდა მოქცეულიყო და მხარედ გადაქცეულიყო. მან ეს მეორე გზა აირჩია. ამის გაკეთებას მას არავინ ავალებდა. ეს მათი არჩევანი იყო. ამიტომ ეს გადაწყვეტილება მათი ზნეობრივი პრინციპების ლუსტრაციად მიგვაჩნია. კომისიას არავითარი ზნეობა არ გააჩნია. მათი პრინციპულობა უპრინციპულობაში გამოიხატება. აქ საქმე არ გახლავთ მარტო ჩემს შეურაცხყოფაში, არამედ მას გაცილებით უფრო ფართო მასშტაბები გააჩნია და ამაზე თვალისდახუჭვა არ შემიძლია. კომისიის არაობიექტურობა ნებსით თუ უნებლიეთ ჩრდილს აყენებს უნივერსიტეტის პრესტიჟს და მის ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა. ჩვენი აზრით, ეს უნივერსიტეტის და მთლიანად ქართული საზოგადოების შეურაცხყოფაა. მან საქმე კი არ შეისწავლა, არამედ მისთვის სასურველი სურათი დადო. ფაქტობრივად, საქმე გააყალბა. საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. მოატყუა.

რატომღაც მაშინ დარწმუნებული ვიყავი რომ გავიმარჯვებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდი. ახლა ასე აღარ ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ მე თავიდანვე განწირული ვიყავი დამარცხებისათვის. კომისიის წინაშე ძალიან მარტივი ამოცანა იდგა. მე ვარაუდობდი, რომ კომისიის ორ წევრს ეყოფოდა პრინციპულობა და შეეცდებოდნენ სამართლიანობის დაცვას. მაშინ მე გავიმარჯვებდი 3:2. სამართლიანობას ჩრდილს არ მიაყენებდნენ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ მოხდა. ორივე კომისიის მდივანის გავლენის ქვეშ მოექცა. მისი სურვილების უბრალო შემსრულებლად იქცნენ და არა კომისიის წევრებად. სამართლიანობა და

პროფესიონალიზმი ვილას ახსოვდა. ორივე კომისიის მდივანმა თავის მხარეს გადაიბირა.

ფაქტობრივად, მათი უპრინციპობის წყალობით მე ვერ გავედი კონკურსში. გამარჯვება ჩემს კონკურენტს ხვდა წილად. ადამიანები, რომლებიც ვითომც ჩემს მეგობრებად ასაღებდნენ თავს, პირწმინდად დამარცხდნენ ჩემი კონკურენტის მეგობრებთან ბრძოლაში. (ისინი არ იყვნენ ჩემი მეგობრები. მე ვცდებოდი). მას გაცილებით უფრო კარგი მეგობრები აღმოაჩნდა, ვიდრე მე. სწორედ, ეს გახლდათ ჩემი წარუმატებლობის ჭეშმარიტი მიზეზი. მისმა მეგობრებმა ისე, რომ ერთი წამითაც არ შეუხრიათ წარბი ისე, დაუჭირეს მხარი უსამართლობას და ხელი შეუწყვეს მის წარმატებას. მათ კი არ აღმოაჩნდა უნარი დაეცვათ სამართლიანობა. მათმა უპრინციპობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და აისახა შედეგზე. ფაქტობრივად, კონკურსი მათ წამაგებინეს. ეს იყო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი მურმან პაპაშვილი და მისი მარჯვენა ხელი პროფესორი გურამ კუტალია. ეს ყველაფერი მათ სინდისზეა, თუკი ის მათ საერთოდ გააჩნიათ. მარტო, ის რომ ქრთამს არ იღებ არ ნიშნავს წესიერებას. ის უფრო ფართო მცნებაა.

ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ კომისიას ჩვენ სასარგებლოდ გადაეწყვიტა საკითხი. ჩვენ გვინდოდა, რომ კომისიას სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღო. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მას არ აღმოაჩნდა ამ ელემენტარული ჭეშმარიტების დაკმაყოფილების უნარი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა უნივერსიტეტი. მისმა თავდაპირველმა ღირებულებებმა მკვეთრი დეფორმაცია განიცადა და ნელ-ნელა უკანა პლანზე გადაინაცვლა. პრიორიტეტული გახდა საქმის ჩაწყობა და ნეპოტიზმი. ეს ამის საუკეთესო ნიმუშია. კომისიამ თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო, გაიმასხარავა. ეს იყო მისი არჩევანი. ამას ვერავის დააბრალებს.

***

კომისიის საქმიანობა საუკეთესო ნიმუშია, იმის თუ როგორ არ უნდა ჩავატაროთ კონკურსები და როგორ არ უნდა იმუშაოს კომისიამ. ცხადია, ამას დიდი მნიშვნელობა გააჩნია და ამ საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ის სრულიად გამართლებულია. აქ, ბუნებრივია, ჩნდება ერთი კითხვა. ასე ვაპირებთ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების დალაგებას? ამ კითხვაზე პასუხი ძნელი არაა. პირდაპირ ზედაპირზე ძევს და აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. „ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“. მაშინ „რა საჭიროა გზა რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა.

ამ თემაზე საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ ჩვენს წიგნში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“. მეორე ნაწილში (11. 94-136) და 212-262). თითქოს სათქმელიც არაფერი დაგვრჩა, მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე როდია. დროთა განმავლობაში გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩნდა და გადავწყვიტეთ ისევ მივბრუნებოდით ამ თემას, ოღონდ ცოტა უფრო სხვა რაკურსით. ამჯერად აქცენტი გავაკეთეთ იმაზე თუ რა გზით ვერ დავაღწევთ თავს იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს აღმოჩნდა ქართული ისტორიოგრაფია. წინა ნაშრომში ეს თემა შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად, იყო გაშუქებული და მეორეხარისხოვანი დატვირთვა გააჩნდა. ახლა ის წამყვან თემად იქცა. ეს საინტერესო რაკურსია და საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოვოთ ხედვის არეალი.

შემდგომი გარემოება, რომელზეც მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ახალი მასალის პუბლიკაციასთან უნდა ასოცირდებოდეს. მაშინ წიგნში შეტანისაგან რატომღაც თავი შევიკავეთ და არ გამოგვიქვეყნებია, მაგრამ, შემდეგ, დროის გასვლასთან ერთად, გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩნდა და გადავწყვიტეთ დანართის სახით, როგორც ეს წინა ნაშრომში გვაქვს გაკეთებული, მათი დღის სინათლეზე გამოტანა. პირველად ვაქვეყნებთ რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს, რომელიც ჩვენს პირად არქივში ინახება და მკითხველს დაეხმარება კიდევ უფრო

კარგად ჩაწვდეს საქმის ვითარებას. ამ დოკუმენტების პუბლიკაციის მიზანი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რამ განაპირობა კონფლიქტი? ამის სამი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ.

1. საშტატო ერთეულის გამოყოფა ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის დარგში, ჩვენი აზრით, შეცდომა იყო. ეს საგანი იკითხება უნივერსიტეტში, მაგრამ მხოლოდ ცოტა სხვა სათაურით. „ისტორიის სწავლების მეთოდიკა" აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. ეს პედაგოგიკის სფეროა. რაც შეეხება მეორე ვარიანტს „ისტორიის თეორია და დიდაქტიკა" ეს ცოტა არ იყოს ბუნდოვანი უნდა ჩანდეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვებისთვისაც. ისტორიის თეორია ისტორიულ მეცნიერებას განეკუთვნება, ხოლო დიდაქტიკა პედაგოგიკის სფეროა. მიუხედავად ყოველივე ამისა უნდა ითქვას, რომ ასეთ ნაბიჯს გააჩნია თავისი ახსნა. სასურველი იქნებოდა ძალიან მოკლედ გადავავლოთ თვალი წარსულს. საქმე ისაა, რომ 2013 წელს ქ-ნ ნინო კილურაძემ მონაწილეობა მიიღო უახლესი ისტორიის ასოცირებული – პროფესორის ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, მაგრამ ვერ გავიდა. პირწმინდად დამარცხდა 6:2. ახლა მან გადაწყვიტა სხვა გზით დაბრუნება. ეს იყო „ისტორიის თეორია და დიდაქტკა" ამ ნაბიჯს გააჩნდა თავისი გამართლება. ის იმედოვნებდა, რომ აქ მას კონკურენტი არ ეყოლებოდა და ადვილად გაიმარჯვებდა. მაგრამ მისი ეს ვარაუდი არ გამართლდა. ასეთი ნაბიჯი მისი კაპრიზების დაკმაყოფილების მორიგი მცდელობა იყო. ასეთი საგანი არავის არაფერში არ ჭირდება. მის და მისი მხურვალე მომხრეების გარდა. ამიტომ აქ მეტი წინდახედულობა გვმართებდა. კონფლიქტსაც თავიდან ავიცილებდით.

2. საკითხი გატანილი არ ყოფილა მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის სხდომაზე განსახილველად. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მათ კარგად იცოდნენ, რომ ამაზე ინსტიტუტის თანხმობა არ იქნებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს მისთვის გვერდის ავლა. ეს კანონის დარღვევა იყო. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა და კარგად იკითხება.

3. კონკურსის არაობიექტურად, მიკერძოებულად, ჩატარება, რომელმაც შედეგზე მოახდინა გავლენა. კომისია ობიექტური კი არ იყო, არამედ მხარედ მოგვევლინა. მას არ სურდა საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, რადგან მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. მიკერძოება თავიდანვე იყო ჩადებული მის საქმიანობაში. ყველაფერი რაც მან გააკეთა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მთელი მისი საქმიანობა წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასი იყო. კომისია ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს და როგორმე გაიყვანოს მისთვის სასურველი კანდიდატი. კომისია უკან არაფერზე არ იხევს და ყველაფერი იკადრა რაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. ეს არ ანაღვლებს მას. მან დაკარგა სახე. ის მეტი აღარაა კომისია. ის მხარეა. დანარჩენი ყველაფერი ადვილი გასაგებია. შეიძლება ითქვას, რომ კონკურსი როგორც ასეთი არ ჩატარებულა. ეს მხოლოდ, მოჩვენებითი იყო. გაიყვანეს ვინც უნდოდათ.

კონკურსი ობიექტურად, რომ ჩატარებულიყო ყველასათვის კარგი იქნებოდა. არც ჩემი კონკურენტი მოიჭრიდა საქვეყნოდ თავს. არც კომისია შეირცხვენდა თავს და მეც ნაკლები სანერვიულო მექნებოდა.

ბუნებრივია, მკითხველს ინტერესი გაუჩნდება ვინ იყო თქვენი კონკურენტი თუ შეიძლება გაგვაცანით. კი ბატონო. ეს არის ისტორიკოსი ნინო კილურაძე. ის გახლავთ უნივერსიტეტში საბჭოთა წლებში ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის პროდუქტი. ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი ერთადერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არის ცნობილი ისტორიკოსის პროფ. გივი კილურაძის ქალიშვილი. გაკეთებული გაცილებით უფრო ცოტა აქვს, ვიდრე ამბიცია. აი ეს კი ჭარბად გააჩნია. რაც ხარ გონია, იმაზე მეტია. ამას მედიცინაში მეგალომანია ეწოდება. მას ერთმა ჩემმა კოლეგამ ზედმიწევნით ზუსტად უწოდა „გივი კილურაძის სირცხვილი". მე, როგორც მის მოწაფეს, ეს ძალიან მწყინს, მაგრამ ქალბატონი ნინო ამას ვერასოდეს გაიგებს, უკვე დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ მასთან სენტიმენტებზე ლაპარაკი ზედმეტია. მეტისმეტი ამბიციები არ აძლევს საშუალებას რეალის-

ტურად შეაფასოს ვითარება. სწორედ, ამას მოყვა კონფლიქტური სიტუაციები მიმართულების თითქოს ყველა წევრთან.

კონკურსი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მეტოქეობას, რომელიც მიზნად ისახავს უძლიერესის გამოვლინებას. ამ შემთხვევაში ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. კომისიის მთელ საქმიანობას ლაიტმოტივად გასდევს კონკურენციის ელემენტარული ნორმების უხეში დარღვევა. უგულებელყოფა. მას საუკეთესოს გამოვლენა კი არ აინტერესებს, არამედ ცდილობს როგორმე სასურველი შესაძლებელად წარმოაჩინოს და დააკმაყოფილოს თავისი მეგობრის კაპრიზები. ობიექტური გადაწყვეტილების მიღება მისთვის მეათეხარისხოვანია. რაც გააკეთა კიდეც. მან კონკურსში გაამარჯვებინა არა უფრო ძლიერს, რაც სავსებით კანონზომიერი იქნებოდა, არამედ უსუსტეს, როგორც ეს მას სურდა. ამას მოყვა ჩვენი მხრიდან უაღრესად მწვავე რეაქცია. ასე დაიწყო კონფლიქტი.

დავიწყოთ იმით, რომ ჩემს კონკურენტს ჩემთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ გააჩნია. რა კუთხითაც არ შევხედავთ ამ საკითხს ეს ასეა. ეს ძალიან კარგად იცის კომისიამაც, მაგრამ სიმართლე ხელს არ აძლევს. ასეთ შემთხვევაში ის მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანს და ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს მისი კაპრიზები. მას უკეთესის გამოვლენა კი არ აინტერესებს, რაც, სხვათა შორის, ევალება, არამედ სურს გაიყვანოს სასურველი კანდიდატი. მან რამე შეცდომა კი არ დაუშვა, არამედ სავსებით შეგნებულად მოქმედებს, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, იტყუება. ჩვენ მას არაკომპეტენტურობაში კი არ ვდებთ ბრალს, არამედ უზნეობაში, ამორალიზმი, თაღლითობაში. ასე ცდილობს კომისია მისთვის სასურველი კანდიდატის გათრევას. ეს სიტყვა ყველაზე უფრო ზუსტად მიესადაგება რეალობას. ჩვენ შევეცდებით რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელსაც ტენდენციურად განწყობილმა კომისიამ, რატომლაც დუმილით აუარა გვერდი, რადგან ასე აწყობდა, ვაჩვენოთ, რომ კომისიის დასკვნას არანაირი გამჭვირვალეობა არ ახასიათებს. ელემენტარული, უბრალო, ტყუილია და რეალური ფაქტების ფალსიფიკაცია უძევს საფუძვლად, რომლის გაბათილება ჩვენთ-

ვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. მოუხმობთ მშრალ ფაქტებს. ისინი ბევრ რამეზე მეტყველებენ.

ძალიან მაინტერესებს როგორ მაჯობა მე ქ-ნ ნინო კილურაძემ, რომელსაც არც ერთი სერიოზული ნაშრომი არ დაუწერია. ფაქტობრივად, შემოქმედება არ გააჩნია. მისი შრომები სულ დაახლოებით 280 გვერდს შეიცავს, მე, რომელსაც რაღაცა მაქვს დაწერილი, თუნდაც რაოდენობრივად, ხარისხობრივს, რომ დავანებოთ თავი.

ყურადღებას მივაპყრობთ ერთ საინტერესო ნიუანსს. ეს მე რომ მქონოდა გაკეთებული, ალბათ, ასისტენტ-პროფესორობას სანატრელს გამიხდიდნენ. მას კი სრულ-პროფესორობაზე აქვს პრეტენზია. ასეა „ზოგის ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კი კაკალიც არა“. საინტერესოა, როდემდე უნდა იყოს ასე? ორმაგი სტანდარტი და შერჩევითი სამართალი ლაიტმოტივად გასდევს კომისიის მთელ საქმიანობას. მას არანაირი კავშირი არ გააჩნია ევროპულ ღირებულებებთან. ეს საბჭოთა რეალობის გამოძახილია. ის, უწინარესად, კომისიის უპასუხისმგებლობასთან ასოცირდება, რომელმაც შედეგზე მოახდინა გავლენა და ბათილად უნდა იქნას ცნობილი. ჩვენ შევეცდებით ამ საკითხს სხვადასხვა კუთხით შევხედოთ და ვაჩვენოთ რომ რანაირი კუთხიდანაც არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს მას ჩემთან შედარებით არავითარი უპირატესობა არ გააჩნია. ეს ელემენტარული ტყუილია. სურთ სასურველი რეალობად წარმოაჩინონ.

აქ კიდევ ერთ დეტალს უნდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება, რომელიც საინტერესოა. როდესაც ცდილობენ ასეთ დიდ უპირატესობაზე თვალი დახუჭონ, სხვა შედარებით უფრო ნაკლები უპირატესობის შემთხვევაში ხომ წარმოგიდგენიათ რას იზამდნენ. კომისიის საქმიანობას ძალიან კარგად შეესატყვისება ვაჟა-ფშაველას სიტყვები „ვაი ასეთსა სამართალს, მომართულს ცოდო-ბრალითა“. რამდენი თავით უნდა მდგარიყავი ჩემს კონკურენტზე მაღლა, რომ პატივცემულ კომისიას ათროპირებული სამართლიანობის გრძნობა გაღვიძებოდა?

ახლა შევეცდებით ფაქტებით ხელში ობიექტურად გავაკეთოთ ის რაც კომისიას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა. წი-

ნასწარ ბოდიშს ვიხდით მკითხველს წინაშე, რომ საუბარი საკუთარ თავზე გვიხდება, მაგრამ სხვაგვარად კომისიის დასკვნებს ვერ გავაბათილებთ. ჩვენი მთავარი ამოცანა, ხომ სწორედ ესაა. იმედს ვიტოვებთ, რომ მკითხველი, სწორედ, გაგვიგებს. კომისიის მთელი საქმიანობა წარმოადგენს აკრძალული ილეთის გამოყენებას, წელს ქვემოთ დარტყმას.

1. ავილოთ საერთო სურათი. დავიწყოთ იმით საერთოდ რა გვაქვს გაკეთებული მე და ჩემს კონკურენტს. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს და მრავლისმეტყველია. მარტო რაოდენობა იქნებოდა საკმარისი, რომ გაგერკვია სიმართლე, თუკი ამის სურვილი გაგაჩნდათ. იმ პერიოდისათვის დაწერილი მქონდა 14 წიგნი, მათ შორის 10 მონგოგრაფია და 4 სახელმძღვანელო. მას, დაწერილი ჰქონდა სულ ორი წიგნი, ისიც თანაავტორობით. დაწერილი მქონდა 191 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი. მას კი 18. საინტერესო სურათი იკვეთება. ერთ შემთხვევაში 14:2. ეს ხომ შვიდჯერ მეტია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი 191:18. ეს კი თითქმის თერთმეტჯერ მეტია. ეს იყო ის რეალობა, რომელსაც კომისიამ მშვიდად აუარა გვერდი, რადგან ასე აწყობდა. ის მხარედ გვევლინება.

ეს რაოდენობრივად, ახლა ვნახოთ შინაარსობრივად, ხარისხობრივად. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ასევე დიდი უპირატესობა გაგავაჩანია, რომელიც კომისიამ ცხადია, ვერ დაინახა. 10 წიგნი და 98 ნაშრომი; რომელსაც ქართული კონტექსტი გააჩნია, სიახლეს წარმოადგენს და ამ საკითხების გაშუქების პირველ ან ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. რასაც დაადასტურებს ამ დარგის ნებისმიერი სპეციალისტი, თუკი ის კომისიის მსგავსად, მიკერძოებული არ იქნება. ერთ შემთხვევაში 10:2. ეს ხუთჯერ მეტია. მეორეში 98:18. ეს კი ასევე ხუთჯერ მეტია. კომისია კი ვერაფერს ვერ ამჩნევს. ბრმა და ყრუა. მან დაკარგა სახე და მხარედ გადაიქცა, რომელიც ცდილობს დააკმაყოფილოს ჩემი კონკურენტის ნებისმიერი კაპრიზები. აი ამაში ხედავს კომისია თავის მთავარ ამოცანა.ს

2. ახლა ვნახოთ კონკრეტულად ისტორიოგრაფიაში ვის რა აქვს გაკეთებული. ეს საინტერესო უნდა იყოს. მას ამ სფერო-

ში სულ ოთხი ნაშრომი აქვს, რომელიც სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში მის წვლილს არავინ უარყოფს. სულ ეს არის 55 გვერდი. ეს არ გახლავთ მეცნიერული გამოკვლევები, როგორც ეს მის ავტორს და მის კვალდაკვალ კომისას გონია. ამ შემთხვევაში კომისია ავტორის რუპორად გვევლინება. ყოველივე ეს მეცნიერულად მცდარია, ხოლო ზნეობრივად ამორალურია. მას ასევე აქვს დაწერილი კიდევ სამი ნაშრომი, რომელსაც ის დიდაქტიკის სფეროს მიაკუთვნებს, თუმცა ეს რბილად, რომ ვთქვათ, ძალზე საკამათო უნდა იყოს.

ჩვენ ისტორიგრაფიულ შრომებს სამი კონტექსტი გააჩნია. ქართული, ევროპული და ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკა, რომელსაც ასევე ისტორიოგრაფიული ელფერი დაკრავს. არც ერთი მიმართულებით მას იოტისოდენა უპირეტესობა არ გააჩნია. ახლა მოდით შევეხოთ ჩვენი ისტორიოგრაფიული გამოკვლევების ქართულ მხარეს. მას ოთხი ასპექტი გააჩნია.

ა. ჩვენ პირველად ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ შევისწავლეთ ამ დარგის ფუძემდებლების, დამაარსებლების, პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის, პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, მათი შემოქმედება. ამ თემას ეძღვნება 10 ნაშრომი, მათ შორის ორი წიგნი. ასეთი სურათი მივიღეთ. ერთ შემთხვევაში 10:7. აქ ჩვენი უპირატესობა ძალზე უმნიშვნელოა და მეორეში კი 10:4 ეს კი უკვე ორჯერ მეტია. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აქ ჩვენი უპირატესობა უფრო შინაარსობრივია, ვიდრე რაოდენობრივი, თუმცა კომისიას ეს, ცხადია, არ ანაღვლებს.

ბ. ჩვენ გავაგრძელეთ ამ პრობლემის შესწავლა და ახლა ყურადღება მივაქციეთ ამ დარგის ქართველ ისტორიკოსთა მეორე თაობას; ისინი მათი მოწაფეები იყვნენ. ამ თემას ეძღვნება ჩვენი ოცდაჩვიდმეტი ნაშრომი, მათ შორის ოთხი წიგნი. ერთ შემთხვევაში ეს ცხრაჯერ მეტია – 37:4. მეორე შემთხვევაში კი ხუთჯერ მეტია – 37:7. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ორჯერ მეტია იმაზე, რაც მას საერთოდ აქვს გაკეთებული – 37:18. სატირელი, რომ არ იყოს სასაცილოა. კომისიის მისამარ-

თით კი ვიტყოდი. ასეთ ყოფნას იქნებ არყოფნა ჯობდეს. პერსონალიები, ფაქტობრივად, დასრულდა. იკვეთება საინტერესო სურათი. პირველ შემთხვევაში ეს თითქმის თორმეტჯერ მეტია. 47:4. მეორეში თითქოს შვიდჯერ მეტია – 47:7. ეს გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული 47:18 ეს ორჯერ მეტია.

გ. ქართული კონტექსტის კიდევ ერთ საინტერესო მხარეს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხი არის საინტერესო და ამ კუთხით ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამ თემას ეხება 50 ნაშრომი, მათ შორის, 6 მონოგრაფია. ჩვენი უპირატესობა კოლოსალურია. ერთ შემთხვევაში – 50:7. ხოლო მეორე შემთხვევაში 50:4. პირველ ვარიანტში ჩვენი უპირატესობა შვიდჯერ მეტია, ხოლო მეორე შემთხვევაში კიდევ უფრო დიდია და თორმეტჯერ მეტია. ეს ბევრად მეტია იმაზე, ვიდრე მას სულ აქვს გაკეთებული. 50:18. ეს კი უკვე თითქმის სამჯერ მეტია, მაგრამ რა გინდა კომისიას არაფრის დანახვა არ სურს გარდა ერთისა. როგორმე გაიყვანოს მისთვის სასურველი კანდიდატი და ყველაფერს აკეთებს, უფრო სწორედ, კადრულობს, რომ ეს გააკეთოს. მას სიმართლე კი არ ადარდებს, არამედ ჩემი კონკურენტის კაპრიზების დაკმაყოფილება.

დ. კიდევ ერთი საინტერესო ქართული კონტექსტია. ისტორიის თეორიული საკითხების, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხების გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ბუნებრივია, კომისიას ეს სიახლეც გამორჩა. რადგან ასე სურს. ვერ ამჩნევს. ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. ისტორიის თეორიულ საკითხებზე, რა თქმა უნდა, როგორც ამას კომისია აკეთებს, ისტორიოგრაფიის გამოკლებით, დაწერილი გვაქვს 18 ნაშრომი, მათ შორის ორი წიგნი. ერთ შემთხვევაში ეს ორჯერ მეტია 18:7. ხოლო მეორეში კი ოთხჯერ მეტია 18:4. კომისიამ, ცხადია, ამ უპირატესობაზეც დახუჭა თვალი, რადგან ასე აწყობდა. ყველაფერი თეთრი ძაფებითაა ნაკერი. კომისიას სალათას ძილით ძინავს. ვერაფერს ვერ ამჩნევს. ვერაფერს ვერ ხედვს. მხოლოდ ერთი

სურვილითაა შეპყრობილი. სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. ეს არის მისი მთავარი ამოცანა და არა კონკურსის ობიექტურად ჩატარება. ეს ყველაზე ნაკლებად უნდა აღელვებდეს მას.

როგორც ხედავთ, მას ჩემთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ გააჩნია არც შრომების რაოდენობით და მით უმეტეს არც მისი ხარისხის, შინაარსის, თვალსაზრისით. კომისია მოწყდა რეალობას. ვირტუალურ სამყოში ამოყო თავი და ელემენტარული ტყუილების ლაპარაკს მიყო ხელი. ტყუილს კი მოკლე ფეხები აქვს.

2. ახლა მოდით შევეხოთ ევროპულ კონტექსტს. საზღვარგარეთული ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციას. ეს საინტერესოა. იქნებ ამ ვიწრო საკითხში გააჩნია მას რაიმე უპირატესობა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ამის მსგავსი არც არაფერია. ამ თემატიკის პოპულარიზაციის საქმეში ჩვენი მოკრძალებული წვლილი ასე გამოიყურება. ამ თემაზე დაწერილი გვაქვს 30 ნაშრომი, მათ შორის ერთი მონოგრაფია. ჩვენი უპირატესობა ისევ-ისე საგრძობია, მაგრამ კომისიას ეს არ ანაღვლებს. მას სულ სხვა მიზნები აქვს. ობიექტურობის გამორკვევა მის მიზანს არ წარმოადგენს. მან სასურველი კანდიდატი უნდა გაიყვანოს. ერთ შემთხვევაში თითქმის რვაჯერ მეტია 30:4. მეორე შემთხვევაში ოთხჯერ მეტია 30:7. გასათვალისწინებელია, რომ ეს იმაზე ოდნავ მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული 30:18. ეს არის ის რეალობა, რომელზეც კომისია თვალს ხუჭავს, რადგან ასე აძლევს ხელს.

ამას უნდა დაუმატოთ ლიტერატურულ-ისტორიული თემატიკა, რომელსაც ისტორიოგრაფიული ელფერი დაკრავს და ამ პრობლემატიკის ლოგიკური გაგრძელებაა. ის, უმთავრესად, ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის გამოძახილს წარმოადგენს. ეს სულ ოცდათექვსმეტი ნაშრომია. მარტო ამ კომპონენტში ჩვენი უპირატესობა აშკარაა. ერთ შემთხვევაში ცხრაჯერ მეტია 36:4. მეორე შემთხვევაში ხუთჯერ მეტია 36:7. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. 36:18.

ეს ორივე მიმართულებაა, რომ გავაერთიანოთ ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი შეიქმნება. ერთ შემთხვევაში თექვსმეტჯერ მეტია 66:4. მეორე შემთხვევაში ცხრაჯერ

მეტია 66:7. თითქმის ოთხჯერ მეტია, ვიდრე მას აქვს სულ გაკეთებული 66:18.

3. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა უნდა ითქვას, რომ კომისია მაინც შეეცადა შეექმნა იმის ილუზია თითქოსდა ჩემს კონკურენტს კონკრეტულად ამ დარგში ისტორიის თეორია და დიდაქტიკა ჩემთან შედარებით რაღაც უპირატესობა გააჩნდა. დავიწყოთ იქიდან, რომ პირადად ჩემთვის ეს მიმართულება გაუგებარია, რაღაც ორსახოვან იანუსს გვაგონებს. ერთის მხრივ ისტორიის თეორია ისტორიულ მეცნიერებას განეკუთვნება, მეორე მხრივ კი დიდაქტიკა პედაგოგიკის სფეროა. ამ ორი დარგის ჰიბრიდთან ხომ არ უნდა გვქონდეს საქმე? გაურკვეველია. სინამდვილეში ამის მსგავსი არაფერია. კომისია კვლავ ცრუობს. განაგრძობს ტყუილის ტირაჟირებას და ეს უკვე მერამდენედ ცდილობს სასურველი რეალურად წარმოაჩინოს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის კომისიის. მას არჩევანი არ აქვს ან ტოტალურად უნდა გააყალბოს ყველაფერი, რაც, სხვათა შორის, გააკეთა კიდეც და ამ გზით გაიყვანოს მისთვის სასურველი კანდიდატი ან იყვეს ობიექტური. ცხადია, ეს მას არ აწყობს, რადგან კარგად იცის, რომ ამ შემთხვევაში მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანს. ამაში კომისია ნამდვილად არ ცდებოდა. ფაქტობრივად, ის ჩიხში მოექცა, საიდანაც გამოსავალი არ აქვს. ის ადვილად გამონახეს. სიცრუე, მაგრამ ამაოდ დაშვრენ. ყველაფერი ჩამოიშალა. კომისია გაკოტრდა. კომისია ტყუილების და უზნეობის მორევში ჩაიძირა. მთელი კლოუნადა მოაწყო და თავი გაიბითურა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მას ყველაზე ნაკლებად ანაღვლებს. თავის მიზანს მიაღწია და სასურველი კანდიდატი გაიყვანა. მთავარი, სწორედ, ეს იყო. დანარჩენები მეორეხარისხოვანია. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ უკვე ნათქვამს. კომისიას არც არაფერი შეუსწავლია აილო და ნინო კილურაძის კაპრიზები დაუკმაყოფილა. მისი დასკვნა, ვფიქრობთ, ნათქვამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მისი საქმიანობის მთელი არსი, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

მოუსმინოთ რას ამბობს ღრმად პატივცემული კომისია ამ საკითხთან დაკავშირეით. „ნინო კილურაძე ჩამოუვარდება მას (ე. ი.

მერაბ კალანდაძეს – მ. კ.) შრომების რაოდენობით, მაგრამ მას (ე. ი. ნინო კილურაძეს – მ. კ.) აქვს შრომები, როგორც ისტორიის თეორიის, ისე დიდაქტიკის სფეროში“. (11. 235); კომისიას კარგად გაურკვევია, რომ თურმე ჩემი შრომები რაოდენობით აღემატება მის შრომებს, მაგრამ ეს, რა თქმა, უნდა, მას ხელს არ აძლევს და მისთვის სასურველ გამოსავალს ეძებს. თითქოს კიდეც იპოვა. თურმე ამ სფეროში მას შრომები ქონია, მე კი არა და ამიტომ მიანიჭა მას უპირატესობა. მტკნარი სიცრუეა. კომისია თავის ჩვეულ ამპლუაშია და ტყუილების ტირაჟირებას განაგრძობს, რაც ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის საქმანობას. მოდით მივყვეთ თანამიმდევრობით და ვცადოთ ფაქტებით ხელში, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ კომისიის დასკვნები. ვაჩვენოთ, რომ ის ელემეტარულად ტყუის. სიცრუის, მთელი თაიგულია.

ა. დავიწყოთ იმით, რაც, ალბათ, ყველაზე დიდი ტყუილია. უწინარესად, ყურადღებას მივაპყრობთ, ჩვენი აზრით, ერთ საინტერესო გარემოებას, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომისიის „ობიექტურ“ საქმიანობას. კომისიის წევრმა პროფ. ქეთევან ჭკუასელმა, რომელიც სპეციალურად შეიყვანეს კომისიაში, როგორც დიდაქტიკის სპეციალისტი, აღნიშნა, რომ „ნინო კილურაძეს არ აქვს სპეციალური გამოკვლევები დიდაქტიკის დარგში“. (11. 258). საინტერესო რეალობა იკვეთება. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე.

ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, კომისია ცრუობს და ნინო კილურაძეს არ გააჩნია შრომები, ორივე სფეროში ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში. შესაბამისად მას არ აქვს რაიმე უპირატესობა თვით ამ ვიწრო სპეციალობაში. კომისიის ეს დასკვნა ჰაერში გამოეკიდა და მცდარია. ელემენტარული ტყუილია. ეს მისი ამპლუაა. სასურველი უნდა რეალურად გაასაღოს. მეორე. დარგში მისი მონაგარი ძალზედ მოკრძალებულად გამოიყურება. სპეციალისტის თქმით, დიდაქტიკაში მას შრომები არ გააჩნია. ისტორიის თეორიაში კი მას რეალურად დაწერილი აქვს არაოთხი ნაშრომი, არამედ ერთი ათგვერდიანი ნაშრომი და სამი თავი თანაავტორობით დაწერილ წიგნში. ცხადია, კომისიამ ეს ვერ შენიშნა, გამორჩა. კომისია კიდევ ერთხელ გაკოტრდა, მაგრამ

მას ეს არ ადარდებს. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვევება. სპეციალისტის აზრი არ გაიზიარეს, რადგან ეს არ აწყობდა კომისიას და მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. ამიტომ კომისიამ ნაცად ხერხს მიმართა. წაუყრუა.

ბ. საინტერესოა კიდევ ერთი ნიუანსი. თვითონ როგორ გადაწყვიტეს ეს საკითხი, როდესაც არც ერთი მათგანი ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის სპეციალისტი არ გახლავთ და ისტორიკოები არიან. სახეზეა არაპროფესიონალიზმი, მაგრამ ეს ზედაპირზე ძევს. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. კომისიას არაკომპეტენტურობაში ვერ დავდებთ ბრალს. მას საკმაო კომპეტენცია გააჩნია, რომ ეს საკითხი მარტივად გადაწყვიტოს, მაგრამ მას ეს არ აძლევს ხელს. როგორც ჩვენ გვგონია, აქ პროფესიონალიზმი არაფერ შუაშია. ის კომისიას ნამდვილად გააჩნია. უბრალოდ მათი კომპეტენცია მათსავე მიკერძოებას შეეწირა და ეს ისე უყოყმანოდ გააკეთა, რომ წამითაც არ დაფიქრებულან. მათ ქმედებას განაპირობებდა დაუსჯელობის სინდრომი. აგო პასუხი ვინმემ? რა თქმა უნდა, არავინ. მე მომადგა მძიმე მორალური ტრავმა, რომელიც, როგორც ჩანს, სულ ფეხებზე კიდიათ.

საკითხი ზნეობრივ ნორმებს ეხება. აქ კი კომისიას, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული პრობლემები გააჩნია. უბრალოდ საქმე ისაა, რომ ის შეცდომას კი არ უშვებს, არამედ შეგნებულად ცრუობს, რადგან ასე აძლევს ხელს. სხვაგვარად მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანს. ეს კი არ სურს. ის იძულებულია ზნეობრივ ნორმებზე აიღოს ხელი და უბრალოდ თაღლითობს. კომისია სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს კი უკვე მისი არჩევანია. კომისიას ყოველგვარი მეცნიერული და ზნეობრივი სახე დაკარგული აქვს.

გ. რა თქმა უნდა, კომისიამ არ გაითვალისწინა პროფ. ქეთევან ჭკუასელის აზრი, რომ „მერაბ კალანდაძის შრომები არის უაღრესად ღირებული და სავსებით შეესატყვისება ვაკანსიის პროფილს“. (11.249). ეს კომისიამ ძალიან კარგად იცის, მაგრამ რას ვიზამთ. არ აძლევს ხელს. კომისია ცდილობს ჩემს ჩაძირვას და მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანას. რასაც აკეთებს კიდეც: ობიექტურობის გრძნობა უბრალოდ მას არ გააჩნია. ის

მხარეა.

მოდით ვცადოთ ამ საკითხს ობიექტურად შევხედოთ, რაც, რა თქმა უნდა, კომისიას ხელს არ აძლევს და აბათილებს მის ტენ-დენციურ დასკვნას. კომისია იმ პოსტულატიდან ამოდის თითქოს მას გააჩნია შრომები ორივე სფეროში. ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში. პირველში ოთხი ნაშრომი, ხოლო მეორეში კი სამი. სულ შვიდი ნაშრომი. შეიძლება ეს გადაჭარბებული იყოს და დაზუსტებას საჭიროებს. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ისტორიის თეორია. მას ამ სფეროში ოთხი ნაშრომი დაწე-რილი არ აქვს. ეს არის ერთი ათგვერდიანი ნაშრომი და ერთი თანაავტორობით დაწერილი წიგნი, სადაც მის კალამს ეკუთვნის ერთი მონაკვეთი, სულ სამი თავი და განიხილავს სამ საკითხს, რომელსაც მიიჩნევს სამ ნაშრომად და შრომების სიაში ცალკე გამოაქვს. ასე იქცა ორი ოთხად. ამ სფეროში მისი წვლილი იმა-ზე გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ეს კომისიას გონია. სინამდვილეში ეს არის ერთი ნაშრომი და ერთი თანაავტორობით დაწერილი წიგნი. მისი მცდელობა გასაგებია და სურს იმაზე ცოტა მეტი წარმოაჩინოს, ვიდრე სინამდვილეში აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს მის სასარგებლოდ არც არაფერს ცვლის და იყოს ისე, როგორც არის. როგორც პატარა ბავშვს აძლევენ ფორას ისე მოვიქცევით. კომისიამ, რა თქმა უნდა, ვერც ეს ვერ დაინახა. ის თავის სტიქიაშია. მიუკერძოებელი არბიტრი კი არაა, არამედ მხარეა. მე რომ გამეკეთებინა ეს ხომ დაინახავდა. წარმომიდგენია რა ამბავს ატეხდა. მიკერძოება მეტი რა არის?

დ. ხოლო რაც შეეხება დიდაქტიკის დარგს აქ სიტუაცია, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. როგორც ამ დარგის სპეცია-ლისტმა პროფ. ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა „დიდაქტიკის სფე-როში მის შრომები არ გააჩნია“ ეს ეჭვ ქვეშ აყენებს ამ სამი ნაშრომის კუთვნილებას, მაგრამ იყოს ისე როგორცაა. აი კიდევ ერთი ბლეფი.

ე. მტკნარი სიცრუეა ის თითქოსდა მე შრომები ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის სფეროში არ გამაჩნია. ამით ისინი ცდილობენ გადამიღობონ გზა და მწვანე შუქი აუნთონ მათ-ვის სასურველ კანდიდატს. მოდით ვნახოთ როგორ არის საქმე

სინამდვილეში. გამოვიდეთ ამ მოცემულობიდან. კი ბატონო არ მაქვს, მაგრამ იმასაც ხომ არა აქვს და ტყუილს ლაპარაკობს, კომისია რატომ ხუჭავს ამაზე თვალს, იმიტომ, რომ კომისია კი არაა, არამედ მხარეა. ეს გახლავთ რეალობა

თუ კომისიას, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებოდა, ადვილად დაინახავდა, რომ შრომები დაწერილი მაქვს ორივე სფეროში. დავიწყოთ ისტორიის თეორიით. ამ ვიწრო სპეციალობით დაწერილი გვაქვს 18 ნაშრომი, მათ შორის ორი წიგნი. აქედან თერთმეტი ნაშრომია, რომელსაც ქართული კონტექსტი გააჩნია. სიახლეს წარმოადგენს და ამ თემატიკის დამუშავების პირველ ან ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ამას ამ დარგის ნებისმიერი სპეციალისტი დაადასტურებს, თუკი ის, რა თქმა უნდა, კომისიისაგან განსხვავებით, ობიექტური იქნება. ერთ შემთხვევაში ეს ორჯერ მეტია 18:7. ხოლო მეორე შემთხვევაში კი ოთხჯერ მეტია. 18:4. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს რაოდენობრივად ზუსტად იმდენია, რაც მას საერთოდ აქვს გაკეთებული. აქ ჩვენი უპირატესობა მხოლოდ ნიუანსობრივია და არსობრივ, შინაარსობრივ, მხარესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ასეთი წვრილმანი კომისიას, ცხადია, არ აინტერესებს. მისი მთავარი მიზანი სიმართლის გამორკვევა კი არაა, არამედ სასურველი კანდიდატის გაყვანაა. მისი მთელი საქმიანობა და დასკვნები, ვფიქრობთ, ამის დადასტურება უნდა იყო. არაფერს არ ვამბობთ ისტორიოგრაფიაზე, რომელიც ისტორიის თეორიის შემადგენელი ნაწილია. ის ელიმინირებული ამოღებული იქნა ისტორიის თეორიის ნუსხიდან, რადგან ასე სურდა კომისიას. კომისია თავის ამპლუაშია და თავს იმასხარავებს. ეს მისი პრობლემაა.

ვ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი აზრით, დიდაქტიკის სფეროსთან არაპირდაპირი კავშირში შეიძლება იყოს ის 11 ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდა სპეციალურ ჟურნალში „ისტორია, საზოგადოებათმოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ და რომელიც მიზნად ისახავდა დახმარებოდა სკოლის მასწავლებლებს. რა თქმა უნდა, კომისიამ ამაზეც თვალი დახუჭა. ეს არ აძლევდა ხელს. ბუნებრივია გიჩნდება კითხვა სად გაქრა ჩვენი სამი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო (12, 13, 14) რატომ არ

იქნა გათვალისწინებული ჩემი ის ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდა სოლიდურ ჟურნალში „Препадавание истории в Школе“ 1994, №7). თავი დავანებოთ დანარჩენ შრომებს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“. მხოლოდ ეს ერთი ნაშრომი, რომ გაეთვალისწინებათ კარდინალურად ცვლიდა საქმის ვითარებას. გამოვიდოდა, რომ ორივე სფეროში მქონდა დაწერილი შრომები და ისიც ორჯერ მეტი 19.7. მეორე შემთხვევაში კი ოთხჯერ მეტია. 19:4. ეს, რომ ჰქონოდა გაკეთებული ჩემს კონკურენტს ხომ გაითვალისწინებდა. აბა მიკერძოება სხვა მეტი რა არის?

ვ. კომისია, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს ჩვენს 18 ნაშრომს, რომელიც ისტორიის პერიოდიზაციას შეეხება და ასევე თეორიულ ხასიათს ატარებდა. ეს გასაგებიცაა. ეს არ აძლევს ხელს კომისიას და ამიტომ დუმს, რაც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით მცდარია, ხოლო ზნეობრივად, ამორალურია. კომისია ცდილობს ჩემ ჩაძირვას და ისეთი ფონი სურს შექმნას, რომ თითქოს ამ კონკრეტულ სფეროში, ისტორიის თეორია და დიდაქტიკა, მას უფრო მეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე მე და კონკურსშიც ამიტომ გაიმარჯვა. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და კომისია ამ შემთხვევაშიც გაბითურებული დარჩა. სინამდვილეში ამის მსგავსი არც არაფერია. კომისია ცდილობს სასურველი შესაძლებლად მოგვაჩვენოს. საკმაოდ ნაცნობი სურათი იკვეთება. ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში სულ დაწერილი გვაქვს 37 ნაშრომი მათ შორის 3 წიგნი, (აქ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმ თერთმეტ ნაშრომს, რომელიც შეიძლება დიდაქტიკის სფეროს მივაკუთვნოთ, უბრალოდ ფორას მივცემთ). ერთ შემთხვევაში ეს ცხრაჯერ მეტია 37:4. მეორეში ხუთჯერ მეტია 37:7. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. 37:18.

ზ. მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე, რომელიც რატომღაც ასევე ვერ მოხვდა კომისიის თვალთახედვის არეალში, თუმცა ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს და მისი შემჩნევა სულაც არ იყო ძნელ საქმეს, თუკი ამის სურვილი კომისიას, რა

თქმა უნდა, ექნებოდა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მას ამის არანაირი სურვილი არ აღმოაჩნდა. ეს კომისია არაა. ეს მხარეა. ჩვენი ვიწროსპეციალობა არის ისტორიოგრაფია. ამ პრობლემატიკას ეხება ჩვენი ორივე დისერტაცია. საკანდიდატო „ფრიდრიხ შილერი და ახალი ისტორიის პრობლემები“ (15) და სადოქტორო „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. (16.) ჩემი კონკურენტის საკანდიდატო დისერტაცია კი უახლეს ისტორიას შეეხება. ის უახლესი ისტორიის სპეციალისტია. „ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ. კაიზერის იმპერიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურის კრიზისი (პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ წლებში“. (17.) კომისიამ, ცხადია, ვერც ეს დაინახა. მაშინ აბა რა დაინახა? არც არაფერი. აიღო და მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანა. ეს კი გააკეთა კომისიამ.

თ. არ შეიძლება გვერდი აუაროთ კომისიის კიდევ ერთ საინტერესო, მე ვიტყოდი ორიგინალურ სვლას. საქმე გვაქვს მცდარი მეცნიერული დებულებებისა და უზნეობის, ამორილიზმის, ჰიბრიდთან. კომისიამ საბოლოოდ დაკარგა სახე, თუმცა ის თავიდანვე არ გააჩნდა. მხოლოდ ეს ძალიან გვიან შევნიშნეთ. ის დიდი ხანია, რაც მხარედ გადაიქცა.

ამ შემთხვევაში, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ისტორიის თეორიიდან ისტორიოგრაფიის გამორიცხვა. ისტორიოგრაფია ისტორიის თეორიის შემადგენელი ნაწილია. ეს სტუდენტმაც კარგად იცის. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცის კომისიამაც, მაგრამ ეს ხელს არ აძლევს. კომისიას არაკომპეტენტურობაში კი არ ვდებთ ბრალს. ეს სწორი არ იქნება, მაგრამ კომისია აშკარად თაღლითობს და სასურველი შესაძლებლად უნდა მოგვაჩვენოს. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი. ეს არის ყურით მოთრეული არგუმენტი, რომლის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. საკითხი ისედაც საკმაოდ გამჭვირვალე იყო, რაც კომისიის გეგმებში არ შედიოდა. კომისიას სურს წყალი აამღვრიოს ეგებ როგორმე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს. მას მშვენივრად ესმის, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენი უპირატესობა კოლოსალური იქნებოდა და მისთვის სასურველი კანდიდა-

ტის გაყვანას ვერ მოახერხებს. ისტორიის თეორიის სფეროდან ისტორიოგრაფიის ელიმინირება, ამოღება, ცხადია, სწორედ, ამ მიზანს ემსახურება. ამით მას სურს შექმნას ილუზია თითქოსდა ჩემს კონკურენტს ამ კონკრეტულ სფეროში რაღაც უპირატესობა გააჩნდა და ამით დაასაბუთოს კონკურსში მისი გამარჯვება. ამისათვის ის არ ერიდება საკითხის არასწორ ინტერპრეტაციას და ამ გზით სურს შეიქმნას ალიბი. მეორეც ერთი. ის შეცდომას კი არ უშვებს, არამედ შეგნებულად ჩადის ამას. იცის, რომ არასწორ ნაბიჯს დგამს, მაგრამ მაინც აკეთებს ამას, რადგან ეს ხელს აძლევს, აწყობს. მას სურს მისთვის სასურველი სურათი დადოს. ამისთვის ის არ ერიდება რეალურად არსებული ფაქტების ფალსიფიკაციას. ისტორიის თეორიიდან ისტორიოგრაფიის გამორიცხვა, ვფიქრობთ, ამის საუკეთესო ნიმუშია.

ზ. და კიდევ ერთი დეტალი კომისია ცდილობს მაქსიმალურად გააბუქოს ჩემი კონკურენტის წვლილი და ისეთ რამეებს მიაწერს, რასთანაც მას საერთო არაფერი ჰქონია. მარტივად, რომ ვთქვათ ელემენტარულ ტყუილს კადრულობს. ის თავის სტიქიაშია. ხოლო რეალურ ფაქტებს, რაც გაკეთებული მაქვს ვერ ამჩნევს, დუმილით უვლის გვერდს, რადგან ასე აწყობს. მას კონკურსში გამარჯვებულის ვინაობის გამორკვევა კი არ უნდა, არამედ მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა. მისი მთელი ძალისხმევა, სწორედ, აქეთკენაა მიმართული. კომისია მიკერძოებული და ტენდენციურია.

კომისია შეეცადა საქმე ისე წარმოეჩინა თითქოს ჩემმა კონკურენტმა უნივერსიტეტში დანერგა ახალი საგანი, რაც სიმართლეს არ შეეფერება და ამაზე სავსებით სამართლიანად გაამახვილა ყურადღება ამ დარგის სპეციალისტმა პროფ. ქეთევან ჭკუასელმა, მაგრამ რად გინდა. მისი განცხადება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. კომისიას არაფრის გაგონება არ სურს. მისი მთავარი ამოცანაა სასურველი კანდიდატის გაყვანა. დანარჩენი არ აინტერესებს. ახლა მოდით ვნახოთ როგორია სიმართლე. ის ასე გამოიყურება. ეს საგანი უნივერსიტეტში დიდი ხანია ისწავლება. მას ჰქვია „ისტორიის სწავლების მეთოდიკა“. ის პედაგოგიკის დარგია. აქ ყველაფერი ლოგიკურადაა. მას

ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები: პროფ. მიხეილ მამფორია, პროფ. კოტე ანთაძე, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. გიორგი (გოგიტა) ჟუჟუნაშვილი, ეს საგანი დღესაც იკითხება. მას ასწავლის ახალგაზრდა ისტორიკოსი პროფ. მიხეილ ქართველიშვილი. როგორც ხედავთ, კომისია მისთვის სასურველი კანდიდატი, რომ გაიყვანოს ყველაფერს კადრულობს. არაფერს არ ერიდება. ელემენტარულ ტყუილს იძახის. ეს პირველად არ ხდება და ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის საქმიანობას. ეს მისი მუშაობის სტილია. კომისია თავის ამპლუაშია.

როგორც ხედავთ, კომისია კვლავ გაბითურებული აღმოჩნდა, გაკოტრებულია. თვით ამ ვიწრო სპეციალობით, როგორც ეს კომისას აქვს წარმოდგენილი მას არანაირი უპირატესობა არ გააჩნია. ეს ელემენტარული ტყუილია. კომისიამ კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერ შეძლო სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა. კიდევ ერთხელ და ეს უკვე მერამდენედ დაკარგა სახე. ის მხარეა.

4. კომისიის საქმიანობას ლაიტმოტივად გასდევს ორმაგი სტანდარტი, შერჩევითი სამართალი, რაც საბჭოთა მენტალიტეტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია და ძველი ინერციით საკმაოდ ძალუმად იგრძნობა. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. რაც ჩქარა მოხდება ეს მით უფრო უკეთესი იქნება. სწრაფად წავალთ წინ. ახლა კი მხოლოდ ლაპარაკია. საქმე კი ძალიან ცოტაა. სიტყვაძუნწი, რომ არ აღმოვჩნდეთ მოუხმობთ კონკრეტულ ფაქტებს.

ა. კომისია მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს თვალში ბეწვს ეძებდა, ხოლო ჩემი კონკურენტის თვალში კი დირეს ვერ ამჩნევდა. უბრალოდ ასე სურდა. მას სხვა არჩევანი არც ჰქონდა. სხვაგვარად ის მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. ეს იყო მისი მთავარი ამოცანა, რომელსაც მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ჩანს კომისიის დამოკიდებულება ჩვენი მონოგრაფიისადმი „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ პირველი ნაწილისადმი. ის ორი მონაკვეთისაგან შედგება. პირველი მონაკვეთი შეეხება ევროპულ კონტექსტს და მიზნად ისახავს ამ თემატიკის

პოპულარიზაციას. სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. (18.4).

სულ სხვაა მეორე მონაკვეთი. მას კვლევითი ელფერი დაკრავს. ქართული კონტექსტი გააჩნია. სიახლეს წარმოადგენს და ამ თემატიკის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ამას ამ დარგის ნებისმიერი ობიექტური სპეციალისტი დაადასტურებს. ის სულ 127 გვერდია. (18. 232-359).

სხვათა შორის, ეს ორჯერ მეტია იმაზე, რაც მას ამ დარგში საერთოდ აქვს დაწერილი. სულ 55 გვერდი. კომისია ძალღონეს არ იშურებს, რომ დააკნინოს ჩემი წიგნის მნიშვნელობა. მას კონკრეტული მიზანი გააჩნია. მწვანე შუქი აუნთოს მისთვის სასურველ კანდიდატს. ეს ყველაფერი პირდაპირ ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. კომისია არც მალავს ამას. „ის ჩვენი მეგობარია, ის კი არაო“. სწორედ, ამ კრიტერიუმით ტარდება კონკურსები უნივერსიტეტში. ბრავო კომისიას. მისთვის მისაღები სურათი, რომ დადოს ამისათვის ის ყველაფერზე მიდის. მან სასწორზე შეაგდო საკუთარი პრესტიჟი და ავტორიტეტი. მეტი რაღა შეიძლებოდა გაეკეთებინა. ისე რომ წარბიც არ შეუხრია გადაეშვა სიცრუის და უზნეობის მორევში. კომისია ძალღონეს არ იშურებს, რათა როგორმე დაამციროს ჩემი წიგნის მნიშვნელობა და მისადმი კომისიის დამოკიდებულება ძალზე მიკერძოებული და ტენდენციურია. მისი მსჯელობა მეტად წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრულია. „წარმოდგენილი ნაშრომი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ არის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, რომელიც გამოდგება სტუდენტებს ისტორიის თეორიისა და ისტორიოგრაფიის საკითხების შესასწავლად, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში მრავლადაა გაბნეული ავტორის ორგინალური კვლევის შედეგები, საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩენად უმჯობესი იქნებოდა კონკურსანტს წმინდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა“. (11. 235-236). რა შეიძლება ითქვას ამ „რომანტიკულ გალიმატიაზე“, აბდაუბდაზე, რომელიც კომისიას, სხვათა შორის, კარგად ეხერხება. ეს გალიმატია ორ ნაწილად

შეიძლება გაიყოს. პირველ ნაწილში კომისია ცდილობს თავი ობიექტურად მოგვაჩვენოს და რევერანსს აკეთებს ჩვენს მიმართ და წიგნს დადებით შეფასებას აძლევს. თუ ჩემს წიგნში, როგორც კომისია აღნიშნავს „მრავლადაა გაბნეული ავტორის ორგინალური კვლევის შედეგები“, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან ხმამაღალი ნათქვამი შეიძლება იყოს. მაშინ არ მესმის რას მერჩის კომისია. რა უნდა. რატომ იქნებოდა „საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩენად უმჯობესი კონკურსანტს წმინდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა“.

ამ ამონარიდის მეორე ნაწილი უბრალოდ ალოგიკური შეიძლება გვეჩვენოს. ამის მსგავსი არც არაფერია. კომისია სავსებით მიზანმიმართულად მოქმედებს. ის ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ჩემს ნაშრომს და დააკნინოს მისი მნიშვნელობა. ამ ფონზე ნამდვილად ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. ერთ ოცგვერდიან სტატიაში ჩემმა კონკურენტმა კომისიას, რომ მოუსმინოთ, ლამის ეს დარგი გადაატრიალა და ამაზე უფრო წვრილად ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ, ჩემს 378 გვერდიან წიგნის დადებითი შეფასების მიუხედავად, კომისიას მაინც გარკვეული უკმარობის გრძნობა დაეუფლა. შეეშინდათ. ვაი ამან არ გაიმარჯვოს კონკურსში და ამაოდ არ დავშვრეთო. საბოლოოდ მან თავისი გაიტანა და მისთვის სასურველ კანდიდატს გაამარჯვებინა, მაგრამ სულ მალე გაბითურებული აღმოჩნდა.

ბ. ყურადღებას მივაპყრობთ ერთ პატარა ნიუანსს, რომელიც, ჩვენი აზრით, საინტერესოა და, რა თქმა უნდა, კომისიის თვალთახედვის მიღმა აღმოჩნდა. ჩემი ერთი წიგნი არის 378 გვერდი და ეს მაშინ, როდესაც ჩემი კონკურენტის მეცნიერული მემკვიდრეობა სულ, გამოუქვეყნებული საკანდიდატო დისერტაციის ჩათვლით 280 გვერდს ცოტათი აღემატება. აი ვის გაამარჯვებინა კომისიამ კონკურსში, ისე რომ წამითაც არ შეუხრია წარბი. ყველაფერი თეთრი ძაფებითაა ნაკერი და საკმაოდ გამჭვირვალეა. მხოლოდ კომისიას არ სურს ამის დანახვა. ეს მას არ აწყობს და მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. ეს იყო მისთვის მთავარი და არა უძლიერესის გამოვლენა.

გ. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც

საინტერესოა და კომისიის არაობიექტური საქმიანობის კიდევ ერთი კარგი ნიმუშია. როგორც ვხედავთ, კომისია ერთ მონოგრაფიას და ერთ ჩვეულებრივ 20 გვერდიან სტატიას შორის ვერანაირ თვისებრივ, ხარისხობრივ, და რაოდენობრივ განსხვავებას ვერ ხედავს. ეს ერთი. მეორე. კიდევ უფრო მეტი. თავის ტენდენციურობაში კომისიამ იმდენად შორს შეტოპა, რომ ერთ მონოგრაფიაზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია ერთი ჩვეულებრივი 20 გვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, სადაც საკუთარი აზრი არსად არ ჭაჭანებს და კვლევით ხასიათს არ ატარებს. ის ჩვეულებრივ კომპილაციას წარმოადგენს. კომისიამ კიდევ ერთხელ გაიმასხრა თავი. ვერაფერს ვერ ვიზამთ. ეს მისი არჩევანია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მას კონკურსის ობიექტურად ჩატარების არანაირი სურვილი არ გააჩნია. ეს არის რეალობა, რომელიც კომისიას არ აძლევს ხელს. ის მხარეა. ეს რომ მქონოდა გაკეთებული ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ კონკურსში გამარჯვება კი არა, საერთოდ ხმას არ ამომაღებინებდა და სავსებით მართალი იქნებოდა. ამჯერად კი ის მიკერძოებული და ტენდენციურია.

5. ახლა ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს, რომელიც, ცხადია, კომისიის თვალთახედვის არეალში კვლავ ვერ ხვდება. ამაში გასაკვირი არაფერია. ეს კომისიის მუშაობის სტილია, ჩვეულებრივი ამბავია. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთ პრობლემაზე, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, გაცილებით უფრო მეტი გვაქვს გაკეთებული, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად, ხარისხობრივად, მაგრამ რად გინდა კომისია ყრუა, ბრმაა. თვალებზე ლიბრი გადაეკრა.

ა. დავიწყოთ საერთო სურათით. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონის ეპოქაზე სულ დაწერილი გვაქვს 55 ნაშრომი, მათ შორის ექვსი წიგნი. (5 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო.) ასეთ სურათს ვიღებთ. ეს იმაზე სამჯერ მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. 55:18. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა.

კომისიას სამართლიანობის გრძნობა ათროფირებული, რომ არ ჰქონოდა ესეც საკმარისი იქნებოდა ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. გამარჯვებულის სწორედ გამოსავლინებლად. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კომისიას არ ძალუძს სწორი გადაწყვეტილების მიღება, რადგან ის მხარეა და არა ობიექტური მსაჯული.

ბ. ახლა ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს და წინ წამოვწიოთ არა რაოდენობა, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო, არამედ ხარისხი. მას გააჩნია ქართული კონტექსტი. ეს სიახლეა და ამ თემატიკის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება. რაც ამ დარგის ვერც ერთი ობიექტური სპეციალისტი ვერ უგულებელყოს. ასეთი სურათი მივიღეთ. ამ თემატიკას ეძღვნება ჩვენი 32 ნაშრომი, მათ შორის 5 წიგნი. დავიწყოთ იმით, რომ ეს თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული 32:18. დეტალებში ეს უპირატესობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავია. ერთ შემთხვევაში ოთხჯერ მეტია 32:7. ხოლო მეორეში კი რვაჯერ 32:4. (მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ რა აქვს მას დაწერილი საერთოდ ორივე სფეროში ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ ისტორიის თეორიაში, როგორც ამას თვითონ ამბობს. თორემ რეალობაში ეს მთლად ასე როდია). ყველა ეს ნაშრომი თეორიულ-ისტორიოგრაფიულ ხასიათის ატარებს, რაც კომისიას, რა თქმა უნდა, კვლავ გამორჩა, რადგან ასე სურს.

6. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ იმ „მარგალიტებს“, რომელიც უხვად არის მიმობნეული კომისიის დასკვნაში და მთელს მის საქმიანობას მსჭვალავს. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ორ მათგანს, რომელიც ყველაზე უფრო ოდიოზურად მიგვაჩნია და კარგად უსვამს ხაზს, რომ კომისია დიდი ხანია მოწყდა რეალობას და ის მხარედ გვევლინება.

შეიძლება ითქვას, რომ კომისიის მიერ რეალური ფაქტების ფალსიფიკაცია ყოველგვარ საზღვარს სცილდება და უკვე კარგა ხანია ცალმხრივი მოძრაობის ხასიათი შეიძინა. ეს იმით გამოიხატება, რომ კომისია ცდილობს ჩემ ჩაძირვას, იქნებ როგორმე

მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. მის სასარგებლოდ ამახინჯებს ფაქტებს. მისი უზნეობა და ამორალიზმი თავის პიკს, აპოგეას, აღწევს – კომისიის არაობიექტურობა უკიდეგანოა. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ საზღვრებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. აქ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არც არაფერია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში ძველი ინერციით შემორჩენილი განუკითხაობის, უკონტროლობის, დაუსჯელობის სინდრომის, გამოძახილს ვხედავთ. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ეს არ არის ევროპული ფასეულობები. ეს საბჭოთა რეალობის შორეულ ექოდ გაისმა. უნივერსიტეტი ოაზისი როდია. ის იმ არშემდგარი სახელმწიფოს ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება. უნივერსიტეტში არაფერი ისეთი არ ხდება, რაც არ ხდება სახელმწიფოში. კვლავ გახმეორდებით. კომისიამ საბოლოოდ დაკარგა სახე და უკვე დიდი ხანია მხარედ იქცა. მივყვეთ თანამიმდევრობით: მცირე პრევიუს შემდეგ, გადავდივართ კონკრეტიკაზე.

ა. საინტერესოა, რომ კომისიამ ორივეს ჩემი და ჩემი კონკურენტის საქმიანობა, ნაყოფიერად ცნო. ძნელი სათქმელია რა ობიექტური კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ის ამ შემთხვევაში. არსაიდან არ ჩანს, რომ ეს ასეა. კომისია სულ უფრო წყდება რეალობას და თავი ვირტუალურ სამყაროში ამოყო. ყველაფერი ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს და მისი დანახვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. თუ კომისიას, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებოდა, მაგრამ მას ამის არავითარი სურვილი არ აღმოაჩნდა და სულ სხვა გზა აირჩია. მას არც სამართლიანობასთან და არც ობიექტურობასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია. ეს მისი პრობლემაა. ყველაფერი მარტივადაა. არც რაოდენობრივად და არც მით უმეტეს ხარისხობრივად, ეს ასე არ იყო. გამოდის, რომ ნაყოფიერ მუშაობად აღიქმება 14 წიგნი და 191 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი. ამაში კომისიას ნამდვილად ვეთანხმებით და სწორია, მაგრამ ეს გახლავთ მედლის ერთი

მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე. ესაა 18 ნაშრომი მათ შორის, ორი თანაავტორობით დაწერილი წიგნი, ერთ-ერთის მითითებისგან, ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, თავი შეიკავა. ერთ შემთხვევაში 14:2. ხოლო მეორეში 191:18. არაფერს არ ვიტყვი. დაე მიუკერძოებელმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ორივეს მეცნიერული მუშაობა შეფასდეს ნაყოფიერად. ეს მხოლოდ კომისიის სურვილია და რეალობისგან ძალზედ შორსაა. ერთ შემთხვევაში მართალია, მეორეში კი არა. სასურველი სურს რეალურად წარმოაჩინოს და სასურველი სურათი დადოს.

კომისიას ეს საკითხი ძალზედ მარტივად შეიძლებოდა, რომ გადაეწყვიტა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. სულ სხვა გზა აირჩია. სულ სხვა მიმართულებით წავიდა. ეს არცაა გასაკვირი. ის ასე პირველად როდი იქცევა. მას არ სურს კონკურსი ობიექტურად ჩატარდეს, რაც, სხვათა შორის, მისი მთავარი მოვალეობაა. შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაფერს აკეთებს, რომ როგორმე მისთვის სასურველ კონკურსანტს გაამარჯვებინოს და მისი კაპრიზები დააკმაყოფილოს. სხვა დანარჩენი მას არ ანაღვლებს. ეს მისწრაფება ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის საქმიანობას. ის ჯიუტად ცდილობს აუაროს გვერდი სიმართლეს და სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს. კომისიის მთელი საქმიანობა, სწორედ, ამ მიზნისაკენ არის მიმართული. შემთხვევითს ვერაფერ ვხედავთ იმაში, რომ საბოლოოდ კომისიამ კისერი მოიტეხა. გაბითურებული დარჩა. საქვეყნოდ შეირცხვინა თავი. „რასაც დასთეს იმას მოიმკი“.

ბ. ეს კომისიის მსჯელობის ერთი საფეხურია. მას გააჩნია ლოგიკური გაგრძელება, რომელიც მის მეორე საფეხურად მიგვაჩნია. კომისიამ თავის არაობიექტურობაში ისე შორს შეტოპა, რომ ჩემი მეცნიერული საქმიანობა საშუალოდ შეაფასა. (11. 247), ხოლო ჩემი კონკურენტის კი მაღალზე. (11. 256).) ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ეს მხოლოდ კომისიის სურვილია. ის ყოველნაირად ცდილობს. სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს და კონკურსში მისთვის სასურველ კანდიდატს გაამარჯვებინოს. ეს არის მისი მთავარი მიზანი და არა კონკურსის ობიექტურად

ჩატარება, რაც მას, სხვათა შორის, ევალებოდა. ეს რომ სურვებოდა მას, ცხადია, ასე არ მოიქცეოდა. ეს არ არის კომისია. ეს მხარეა. ალბათ, მკითხველი გულუბრყვილოდ იკითხავს რა საჭირო იყო კომპეტენტური კომისია. ამას ბავშვიც კარგად გაარკვევდა თუ ის, კომისიის მსგავსად, მიკერძოებული არ იქნებოდა. კომისიამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ აკეთებს იმას რაც აწყობს. შეგნებულად ცრუობს, თაღლითობს. სამართლიანობის გრძნობა ათროპირებული აქვს. გეგმაზორმიერად ცდილობს ჩემ ჩაძირვას და ჩემი კონკურენტის გაყვანას, რათა დააკმაყოფილოს მისი კაპრიზები. ამ საქმეში მისი მთავარი არგუმენტი სიმართლე და ობიექტურობა კი არაა, არამედ ელემენტარული ტყუილია. კომისია ცრუობს. ის არ ერიდება რეალური ფაქტების ფალსიფიკაციას, რათა სასურველი სურათი დადოს. მიზანს მიაღწიოს. „მიზანი ამართლებს საშუალებას“. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. უწინარესად, ის ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული ინტელიგენციის ზნეობრივი სახის დეფორმაციის ექოდ გაისმა. ასე გვინდა დავალაგოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს არსებული მდგომარეობა? „ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“. მაშინ „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. ეს იდეა რეფრენად გასდევს ამ თემაზე მსჯელობას და საფუძვლად დაედო ამ წიგნს.

გ. შერჩევითი სამართალის და ორმაგი სტანდარტის საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია პლაგიატისადმი კომისიის არათანამდევრული დამოკიდებულება. იქ სადაც პლაგიატი იყო კომისიამ რატომღაც ვერ შენიშნა პლაგიატი, რაც ადვილი გასაგებია. მას ეს არ აწყობდა, რადგან მაშინ მის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა და ვერ შეძლებდა მისი კაპრიზების დაკმაყოფილებას. ხოლო იქ სადაც პლაგიატი არ იყო მას ეჭვი გაუჩნდა, რომ პლაგიატი ხომ არ იყო. ეს არცაა გასაკვირი. ამჯერად მას ასე სურდა, რადგან ცდილობს ჩემს ჩაძირვას, რომ როგორმე მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. მისი მთავარი მიზანი, სწორედ, ეს გახლავთ და არა კონკურსის ობიექტური ჩატარება. კარგად იცნობიერებდა, რომ ამ შემთხვევაში ის მისთვის სასურ-

ველი კანდიდატს ვერ გაიყვანდა. ამ შემთხვევაში ის არ ცდებოდა. ამიტომ, კომისიამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს არ დაეშვა.

როგორც ერთი ისე მეორე პლაგიატის შემთხვევაში რექტორის ბრძანების თანახმად შეიქმნა ორი ახალი კომისია, რომელმაც დიამეტრულად განსხვავებული დასკვნა დადო. ჩემი კონკურენტის ნაშრომში პლაგიატის ფაქტი დადასტურებული იქნა, ხოლო ჩვენს სახელმძღვანელოში კი პლაგიატის ფაქტი არ დადასტურდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მე ჩემს ნაშრომში მივუთითებდი ნინო კიღურაძის სასკოლო სახელმძღვნელოს და მაინც პლაგიატი ვიყავი, (12. 3. 157) ხოლო ის არ მიუთითებდა არც ერთ დასახელების ნაშრომს და კომისიის მდივანის აზრით, პლაგიატი არ იყო. კომისია ალოგიკურია? არა. კომისია სავსებით ლოგიკურია და სასურველი სურს, რომ შესაძლებლად წარმოაჩინოს და მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს, მაგრამ კომისიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ხელმოცარული დარჩა. კომისია გაკოტრდა, სრული კრახი განიცდა, გაბითურებული დარჩა. კომისიის დასკვნა ჩამოიშალა. (ამ მასალებს პირველად ვაქვეყნებთ დანართში) ახალმა კომისიებმა შეიძლება ითქვას, რომ ქვაქვაზე არ დატოვეს პირველი კომისიის დასკვნიდან. კომისიამ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ მოიჭრა თავი. ეს მისი ამპლუაა.

დ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კომისიის არაობიექტურობა და უსამართლობა ყოველგვარ ზნეობრივ საზღვრება ცილდება, როდესაც დასკვნაში საუბრობს ნინო კიღურაძის შრომების მნიშვნელობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელი „რომანტიკული გალიმატიაა“, აბდაუბდაა. ეს არ არის პირველი შემთხვევა. მისი მთელი საქმიანობა არც მეტი არც ნაკლები ერთი მოზრდილ „რომანტიკულ გალიმატიად“ გვევლინება. კომისიის დასკვნა მეცნიერულად არასწორი მსჯელობის და უზნეობის, ამორალიზმის, ნაზავია. აი რას წერს კომიაის. „საკონკურსო კომისიისათვის წარმოდგენილი ნაშრომი (საუბარია ნინო კიღურაძის 20 გვერდიან ნაშრომზე – მ. კ.) „არის ნაწილი დიდი პროექტისა, პროექტის მიზანდასახულობის შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია ისტორიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მაღალპროფე-

სიული მიმოხილვა უახლოეს სამეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ გამოკვლევებზე დაყრდნობით". (11. 256).

დავიწყოთ იმით, რომ მთელი ამ „რომანტიკული გალიმატიის", ისე როგორც ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელი გახლავთ კომისიის მდივანი, რომელიც, როგორც ყოველთვის მის მთავარ მფარველ ანგელოზად გვევლინება და მასთან მიმართებაში სამართლიანობით და ობიექტურობით არასოდეს გამოირჩეოდა. ეს მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, მაგრამ ამაზე უფრო წვრილად შემდგომში ვისაუბრებთ. ახლა მოდით დაუბრუნდეთ დასკვნას და მასში გაბნეულ „მარგალიტებს".

უნდა ითქვას, რომ კომისიის დასკვნა ყოველგვარ აკადემიურ ჩარჩოებს და ზნეობის ფარგლებს ცილდება. ის რასაც კომისიას ჩადის მკრეხელობად მიგვაჩნია. ეს გახლავთ მისი ნამდვილი სახე. მკითხველი იკითხავს და სავსებით სამართლიანად, რომ ამგვარი განცხადება ძალზე ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ იქნებოდა. კომისია ცდილობს, რომ ყოველნაირად გაბუქოს მისი წვლილი და ამით გაამართლოს თავის საქციელი. კონკურსში მისი გამარჯვება. კომისია კარგა ხანია ცდილობს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს. ასეთი ზეაწეული ტონი ისტორიულ მეცნიერებაში, და მათ შორის, ცხადია, ამ სფეროში, ნინო კიღურაძის მიერ შეტანილ წვლილზე, ბუნებრივია, ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის და ძალზე გადაჭარბებული უნდა იყოს. საერთოდ, ნინო კიღურაძის შრომების მნიშვნელობაზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მისი წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში და მათ შორის ისტორიის თეორიის სფეროში, რბილად, რომ ვთქვათ, მეტად მოკრძალებულად გამოიყურება. მისი ერთადერთი დამსახურება ის გახლავთ, რომ პროფესორ გივი კიღურაძის ქალიშვილია. ის გახლავთ უნივერსიტეტში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ ფეხმოკიდებული, ნეპოტიზმის ნიმუში.

ისტორიის თეორიის სფეროში ჩვენი კონკურენტის წვლილის ჰიპერბოლიზაცია ყოველგვარ საზღვარს ცილდება და ელემენტარული ტყუილია. „ნაშრომში მოცემულია ისტორიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მაღალპროფესიული მიმოხილვა

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით“. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელიც, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ნათელს ფენს ამ საკითხს. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ არ მესმის რომელ დიდ პროექტებზეა საუბარი. ასეთი ლაპარაკი რაც მე მას ვიცნობ სულ მესმის, მაგრამ არც მე და არც სხვა არავის ის არასოდეს არ გვინახავს. არსაიდან არ ჩანს, რომ ის კომისიას უნახავს. ამის მამტკიცებელი საბუთი კომისიას არ წარმოუდგენია, რადგან ის ბუნებაში არ არსებობს. ეს მხოლოდ სიტყვიერი განცხადებაა. კომისია ელემენტარულად ცრუობს, რაც ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის საქმიანობას. მაღალფარდოვანი სიტყვების უბრალო რახარუხია და სხვა მეტი არაფერი. ეს მისი მუშაობის სტილია. როგორც მაღალფარდოვანი სიტყვებით რახარუხით გამოწვეული მტვერი ჩავილის, ხელში რეალურად არაფერი გრჩება. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა უაღრესად მოკრძალებულია. არ მესმის რომელ დიდ პროექტს გულისხმობს. კომისია. ეს ბლეფია.

როგორც ჩანს, ჩემი კონკურენტისადმი უაღრესად კეთილგანწყობილმა კომისიამ, ვერ მოზომა და ძალზე შორს შეტოპა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხოტბა-დიდება თვით დიდი ივანე ჯავახიშვილის წვლილზე არ თქმულა. საქმე მეტად მარტივადაა. კომისიამ ძალიან კარგად იცის, რომ მართალს არ ამბობს, მაგრამ მას ეს არ აწყობს და ამიტომ ტყუის. პასუხი მოთხოვა ვინმემ? არა. მაშინ რა არის გასაკვირი. არც არაფერი. ეს არაა ევროპული ფასეულობები. ეს ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობაა. ეს ერთი. მეორე. სიმართლე თუ გნებავთ, რომელ უახლეს გამოკვლევებზეა საუბარი, როდესაც ამ თემაზე არსებული რუსული და ქართული ლიტერატურა არსად არ ფიგურირებს და ელემენტარულად უგულებელყოფილია, იგნორირებულია. როგორც ჩანს, ის, უბრალოდ, კარგად არ იცნობს მას. კომისია ამაზე არ რეაგირებს. დუმს. ეს მას აწყობს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეტყობა, მას სურს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას თითქოსდა ის საქართველოში პირველია ვინც ამ საკითხზე წერს. ეს კი ამ საკითხზე ქართველ

მკითხველს არასწორ წარმოდგენას უყალიბებს. ყალბ ინფორმაციას აწვდის. ის ჩემი კონკურენტის კაპრიზებს აკმაყოფილებს. კომისია ლაპარაკობს არა იმას რაც სინამდვილეშია, არამედ იმას რაც სურს. მიკერძოება სხვა მეტი რა არის? ვერ გავიგე რომელ საკუთარ კვლევებზეა ლაპარაკი, როდესაც ჩემს კონკურენტს ასეთი შრომები უბრალოდ არ გააჩნია. ამის თქმა, მხედველობაში გვაქვს ისტორიის თეორიის საკითხებზე, თვით დიდ ივანე ჯავახიშვილზე ძალიან ძნელი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მე არ წამიკითხავს. საქმე უკვე მკრეხელობასთან უნდა გვქონდეს. „მამაო მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან რას იქმნიან".

გ. ეს გახლავ მედლის ერთი მხარე რაოდენობრივი, რომელიც, როგორც დაინახეთ, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. ახლა ვნახოთ მეორე მხარე. ხარისხობრივი, შინაარსობრივი. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ის გაცილებით იმაზე მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე რაოდენობრივი. საკონკურსო კომისიას მან წარმოუდგინა 20 გვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც ამ საკითხის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ეს არაა სამეცნიერო გამოკვლევა, როგორც ეს გონია ავტორს და მის კვალდაკვალ კომისიას. კომისია ავტორის აზრების რუპორად გვევლინება. მას საკუთარი აზრი არ გააჩნია. ის მხარედ გადაიქცა. ამ ერთი 20 გვერდიანი ნაშრომის ასეთი მაღალი შეფასება, „მაღალპროფესიული მიმოხილვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით" ძალიან უხერხულად მიგვაჩნია და მხოლოდ კომისიის სურვილს გამოხატავს და არა რეალობას.

არათუ ოთხ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომზე, არამედ ერთ სოლიდურ გამოკვლევაზე, მონოგრაფიაზე, ამის თქმა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ოთხ ნაშრომში, რომელიც 55 გვერდია ამის გაკეთება თვით ამ დარგის კორიფეებსაც გაუჭირდებოდათ. თუ კომისიას დაუჯერებთ ჩემმა კონკურენტმა ეს გააკეთა, რაც ძალიან ძნელი დასაჯერებელია. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ხართ და თავს იმასხარავებთ. ხვდებით როგორ ვერ

ხვდებით, მაგრამ სხვა გზა არ გაგაჩნიათ. თქვენ ხომ კონკურსის ობიექტურად ჩატარება არ გინდათ და სასურველი კანდიდატის გაყვანა გსურთ. ეს თქვენი არჩევანია. ეს თქვენი პრობლემაა, როგორც ჩანს, „გონების დასაჭურისებას, უპრინციპობას, უზნეობას, მართლაც არ აქვს საზღვარი“. კომისიის ეს მსჯელობა, ისე როგორც მთელი მისი საქმიანობა, სიტყვების უპასუხისმგებლო რახარუხია, თვალებში ნაცრის შეყრას წარმოადგენს. რომელიც არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია, რადგან ის უბრალოდ ბუნებაში არ არსებობს და მხოლოდ კომისიის სურვილებია. სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის საქმიანობას. წმინდა პიროვნულად, ადამიანურად, მეცნიერულად, ზნეობრივად, კომისია სრულიად გაკოტრებულია. ეს არის ის რეალობა, რომელიც, ცხადია, მას ხელს არ აძლევს. ეს ოთხი ნაშრომია:

1. „რეკონსტრუქცია, კონსტრუქცია, და დეკონსტრუქცია ისტორიაში“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VII., თბ., 2009. გვ. 181-193.

2. „ისტორიული მეცნიერება და ისტორიული ჰერმენევტიკა“, ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიის ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 152-171.

3. „ისტორიის რეკონსტრუქცია, კონსტრუქცია, დეკონსტრუქცია და ისტორიის მეცნიერული შეგრძნება“, ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 172-191.

4. კულტურის კვლევა სოციალურ მეცნიერებაში, ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 192-197.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ პატარა, მაგრამ საინტერესო ნიუანსს, რომელიც, რა თქმა უნდა, კომისიამ ვერ შენიშნა. მე რომ გამეკეთებინა ეს მაშინ ხომ შენიშნავდა? წარმომიდგენია რა ამბავს ატეხდა. მიკერძოება სხვა განა მეტი რაა? როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინამდვილეში არის არა ოთხი ნაშრომი, არამედ ორი. ერთი ნაშრომი და მეორე თანაავტორობით დაწერილი წიგნი „ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიუ-

ლი ტრადიცია“ (გიორგი სანიკიძესთან და ეკა კვაჭანტირაძესთან ერთად) ამ წიგნის ერთი მონაკვეთი, სულ სამი თავი მისი დაწერილია და შრომების სიაში გამოიტანა როგორც სამი ნაშრომი. ასე გახდა ორი ოთხი. ასე, რომ ამ სფეროში მისი წვლილი იმაზე უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ეს მას და მისდამი უაღრესად კეთილგანწყობილ კომისიას გონია. იყოს ოთხი. მოდი ამაზე ნუ ვიდავებთ. ეს არაფერს არ ცვლის.

ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ დეტალს, რომელიც, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. მისი შრომების დიდი ნაწილი დაბეჭდილია მისი ქმრის ჟურნალებში სხვაგან არსად. მას როგორც მკვლევარ-მეცნიერს ფართო საზოგადოებაში ცნობადობა არ გააჩნია. კომისია, ცხადია, ამაზე თვალს ხუჭავს. გამორჩა, ვერ შენიშნა.

დ. ღრმად პატივცემულ კომისიის წევრებს, პროფესორებს, ძალზედ მოკრძალებით შევახსენებთ, რომ ასეთი შრომები ამ დარგში გააჩნიათ: ვოლტერს, ჰერდერს, კანტს, ჰეგელს, ბოლინგბროკს, ცოტათი აქეთ, რომ წამოვიდეთ ერნსტ ტრიოლჩს, რობინ ჯორჯ კოლინგვუდს, ბენედიტო კროჩეს, ხოსე ორტეგა ი გასეტს, ფრიდრიხ მაინეკეს, კარლ იასპერსს, რაიმონ არონს. როგორც ხედავთ, ასეთი შრომები „მაღალი პროფესიული მიმოხილვა უახლეს ლიტერატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით“ აქვთ მსოფლიო მასშტაბის მეცნიერებს, ამ დარგის კორიფეებს. ასეთი ჩვენი კონკურენტი ნამდვილად არ გახლავთ. ნუ მკრეხელობთ ბატონებო. „მამაო მიუტევე ამათ. რამე თუ არ იციან რას იქმნიან“. კომისია ჩვეულ ამპლუაშია და კვლავ სასაცილო მდგომარეობაშია. ეს მისი პრობლემაა. არ შეიძლება უნებლიეთ არ გაგახსენდეთ დიდი ილიას სიტყვები. „არა თუ უსაბუთოდ ძაგება, უსაბუთოდ ქებაც კი, საწყენია მართებული კაცისათვის“. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არც ჩემი კონკურენტი და არც პატივცემული კომისია ამ კატეგორიას არ განეკუთვნება. „ოი სირცხვილო, სად არის სიწითლე შენი“.

ე. როგორც ხედავთ, ეს შრომები მოცულობით ძალიან პატარაა. ყველაზე დიდი ნაშრომი 20 გვერდს არ აღემატება, რაც ამ დარგში ჩემი კონკურენტის შრომების ესოდენ მაღალშეფასე-

ბის სანდოობას, როგორც ეს კომისიამ გააკეთა, საეჭვოს ხდის. კომისია კვლავ ცდილობს და ეს უკვე მერამდენედ, სასურველი შესაძლებლად მოგვაჩვენოს და თავი იმართლოს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და, ეს უკვე მერამდენედ, ხელი მოეცარა. ფაქტობრივად, კომისიამ ის საქართველში ისტორიის თეორეტიკოსად გამოაცხადა და ნებსით თუ უნებლიეთ თვით დიდ ივანე ჯავახიშვილზე მაღლაც კი დააყენა. კომისიის უზნეობას საზღვარი არ გააჩნია. აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. მკითხველი თვითონაც კარგად გაარკვევს ყველაფერს. კომისიამ კიდევ ერთხელ და, ეს უკვე მერამდენედ, გაიმასხრა თავი. ის განაგრძობს მკრეხელობას და თავის სტიქიაშია. ყოჩაღ კომისია.

7. კომისიის მკრეხელობა თავის აპოგეას, კულმინაციურ წერტილს, აღწევს პლაგიატის საკითხში. ამის დადგენა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ კომისიამ ეს არ ისურვა, რადგან ეს არ აწყობდა და მისთვის სასურველ კონკურსანტს ვერ გაამარჯვებინებდა. მისთვის ხომ, სწორედ, ეს იყო მთავარი და არა კონკურსის ობიექტურად ჩატარება, რაც სინამდვილეში მას ევალებოდა. მან, ფაქტობრივად, უგულებელყო ეს და მხარედ მოგვევლინა. მან ქართული საზოგადოების წინაშე თავი მოიჭრა და უნივერსიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა. ეს არის რეალობა, რომელიც კომისიას, ცხადია, არ აწყოს, მაგრამ ფაქტებს ვერსად გაექცევა. ის ჩიხში აღმოჩნდა.

ა. 2014 წლის 4 ივლისს კომისიის თავმჯდომარის პროფ. მურმან პაპაშვილის სახელზე დაწერილ განცხადებაში ხაზგასმით მიუთითეთ პლაგიატის ყველა ფაქტი, რომელიც წიგნში ფიქსირდება და კომისიას ყველა პირობა ჰქონდა, თუკი, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებოდა, ობიექტურად გაერკვია ეს საკითხი და სამართლიანი დასკვნა დაედო, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო ის ასე არ მოიქცა და სულ სხვა გზა აირჩია. სულს სხვა მიმართულებით წაიყვანა საქმე. ეს მისი არჩევანი იყო. ეს მისი პრობლემაა. (11. 217-218). შეიძლება ითქვას, რომ კომისიამ ამ საკითხს ძალზე უგულისყუროდ მოეკიდა, ზერელად განიხილა და შემოგვთავაზა ძალზე უსუსური დასკვნა. ის ჩემი

კონკურენტის კაპრიზების დაკმაყოფილების მორიგ მცდელობას უფრო წარმოადგენს და ჟარგონზე, რომ ვთქვათ კანონდარღვევის „გაპრავების“ მცდელობად გვევლინება. აი რა წერია ამ დოკუმენტში. კომისიის მდივანმა, რომელიც ამ ბინძური საქმის მთავარ სულისჩამდგმელად და ჩემი კონკურენტის მთავარ მფარველ ანგელოზად გვევლინება თქვა. „დამხმარე სახელმძღვანელოსათვის მხოლოდ კარგია, თუ ის აპრობირებული თანამედროვე სახელმძღვანელოების მიხედვით არის შედგენილი. გარდა ამისა, კონკურსანტი არის აღნიშნული პუბლიკაცის ერთ-ერთი თანაავტორი. არ ფლობს საავატორო უფლებას ამ პუბლიკაციაზე და არ უთითებს მას, როგორც საკუთარ სამეცნიერო პუბლიკაციას. შესაბამისად, პლაგიატში ბრალდება უსაფუძვლოა. კომისიამ გაიზიარა ეს მოსაზრება“. (11. 218). რა შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში? საქმე გვაქვს სიცრუის მთელ თაიგულთან. ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ „კარგია თუ დამხმარე სახელმძღვანელო აპრობირებული თანამედროვე სახელმძღვანელოების მიხედვით არის შედგენილი“. ეს სწორია და ამაზე არც არავინ არ დაობს, მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომლის წაყრუება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აქ იგულისხმება ის თუ ეს აპრობირებული სახელმძღვანელოები მითითებული იქნება და არა ის როდესაც მას ავტორი არ მიუთითებს. ეს დაუშვებელია. კომისია ცრუობს. განგებ აბუნდოვანებს საკითხს. ეგებ როგორმე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს. ეს ნაწილობრივ გამოუდის. მეორე, კომისია ტყუის, რომ ის არის თანაავტორი და არ ფლობს საავტორო უფლებას ამ პუბლიკაციაზე“. არსაიდან არ ჩანს, რომ ეს ასეა. ეს მხოლოდ კომისიის სურვილია. და ბოლოს კომისია ცრუობს, რომ „კონკურსანტი ამ ნაშრომს არსად არ უთითებს როგორც საკუთარ სამეცნიერო პუბლიკაციას“. ეს მთლად ასე არაა. დოკუმენტურად დადასტურებული იქნა, რომ კონკურსანტი ამ ნაშრომს მიუთითებდა საკუთარ პუბლიკაციებში, ხოლო 2014 წელს მას იმიტომ არ უთითებს, რომ პლაგიატის ფაქტი გახმაურებული გახდა. ყველაფერი ლოგიკურია. მხოლოდ კომისია ვერ ამჩნევს ვერაფერს. მან ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მისი აღიარება არ აწყობს, რადგან მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ველარ

გაიყვანს. მისთვის მთავარი, სწორედ, ეს არის. კონკურსის ობიექტურად ჩატარება მას ერთი წამითაც არ აღელვებს.

ბ. კომისიის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ განცხადებაში შავით თეთრზე წერია: ამ დოკუმენტს ვაქვეყნებთ პირველად და იხილეთ დანართში. (იხ. დანართი 2. 307-308).

პირველი თავი. ნაწილი გადაწერილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი ინგლისურიდან.

მეორე თავი. ნაწილი გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი ინგლისურიდან.

მესამე თავი. მთლიანად გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

მეოთხე თავი. მთლიანად გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

მეხუთე თავი. მთლიანად გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

მეექვსე თავი. მთლიანად გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან.

მეშვიდე თავი. მთლიანად გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

მერვე თავი. მთლიანად გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან.

მეცხრე თავი. მთლიანად გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან.

მეათე თავი. ნაწილი გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან. ნაწილი ინგლისურიდან.

მეთერთმეტე თავი. მთლიანად გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

გ. ნიმუშის სახით ორგინალთან ერთად დანართში წარმოგიდგენთ შესავალსა და პირველი თავის ნაწილს, რომელიც გადმოწერილია რუსული სახელმძღვანელოდან და მეოთხე თავს, რომელიც გადმოწერილია ინგლისური სახელმძღვანელოდან. კომისიის წინაშე მეტად მარტივი ამოცანა იდგა. შეედარებინა ტექსტები და გამოეტანა სამართლიანი ვერდიქტი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას არ აღმოაჩნდა ამის არანაირი სურვილი, რადგან სიმართლის

დადგენაში დაინტერესებული არ იყო. ვერ შევძელით დაგვედგინა, რომ მეთორმეტე თავი ასევე პლაგიატს წარმოადგენდა და სიორენსენის და ჯექსონის წიგნს „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალს“ ეყრდნობოდა და, ცხადია, გამოყენებული ლიტერატურის სიაში არ ფიგურირებს, მაგრამ რაც დავამტკიცეთ განა ის საკმარისი არ უნდა იყოს? ვფიქრობთ, კი. კომისიას, ცხადია, ასე არ მიაჩნია. (იხ. დანართი ხუთი. 320-335). წლების მანძილზე ეს ადამიანი ზემოდან გვიყურებდა, ჭკუას გვასწავლიდა, გვმოძღვრავდა. მენტორის როლში გვევლინებოდა. ერთია ამბიცია. რეალობა სულ სხვაა. ვინ მისცა მას ამის უფლება? ცხადია, არც არავინ. მასში, უწინარესად, უნივერსიტეტში ფართდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის გამოძახილს ვხედავთ.

დ. აქვე უნდა გამოვთქვათ ჩვენი სუბიექტური აზრი ერთი აქტუალური საკითხის შესახებ. საქმე ეხება კანონის შემდგომ სრულყოფას, დახვეწას. პირადად ჩვენ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ერთი ოცგვერდიანი ნაშრომის წარმოდგენა თუ, რა თქმა უნდა, აღმოჩენა არაა და მსოფლიო მნიშვნელობა არ გააჩნია, მეტად უხერხულად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა კონკურსანტმა შემოიტანოს, არა ერთი სტატია, არამედ წიგნი, მონოგრაფია. ეს გაცილებით უფრო სოლიდური იქნებოდა. ეს კანონით უნდა იქნას გათვალისწინებული. თორემ ასეთ გაუგებრობას თავიდან ვერ ავიცილებთ. ასეთ შემთხვევაში კონკურსანტი კონკურსში მისაღებად დაშვებული არ უნდა იქნას, რადგან ის არ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა ამ ვაკანსიის დასაკავებლად. შეფასების კრიტერიუმი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი უნდა იყოს. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ანალოგიური სიტუაციები. კონფლიქტები.

ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, მე რომ აღმოვჩენილიყავი ამ სიტუაციაში ხომ მომხსნიდნენ კონკურსიდან. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და ის ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი ნეპოტიზმის გამოძახლიია. როდემდე? ეს არაა ევროპული ღირებულებები. ეს საბჭოთა რეალობაა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კომისია ჩარჩა საბჭოთა კავშირში. უმაღლე-

სი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ერთი ოცგვერდიანი სტატიის შემოტანა, ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ უბრალო ღიმილის მომგვრელია, მაგრამ რას ვიზამთ. მას ხომ სერიოზული მეცნიერული ნაშრომი ან წიგნი, მონოგრაფია, არ გააჩნია. სამაგიეროდ, აქვს უკიდეგანო ამბიცია. რაც ხარ გგონია იმაზე მეტი. ასეთ ადამიანს მიანიჭა კომისიამ უპირატესობა. ეს მისი სახეა.

ე. საუბარია გიორგი სანიკიძის და ნინო კილურაძის სახელმძღვანელოზე „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ (19). ჩვენი პროტესტის საფუძველზე პლაგიატთან დაკავშირებით შეიქმნა სულ სხვა კომისია, რომელმაც ქვაქვაზე არ დატოვა პირველი კომისიის დასკვნიდან და ის სრულიად გაბითურებული დარჩა. რეალობა სულ სხვაგვარი იყო. ამ თემის განხილვის დროს ვეყრდნობით დოკუმენტურ მასალას, რომელიც ინახება ჩვენს პირად არქივში. ამ მასალის პუბლიკაციისაგან „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ მეორე ნაწილში რატომღაც თავი შევიკავოთ და შემდგომში ამან გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა და ახლა მას პირველად ვაქვეყნებთ.

ავტორების მცდელობა დაიცვან თავი ძალზე უსუსურად გამოიყურება, უხერხულია და ბავშვსაც კი სასაცილოდ არ ეყოფა, თუ ის კომისიის მსგავსად მიკერძოებული არ იქნება. ისინი წარუმატებლად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს ეს წიგნი კი არა რიდერია და რომ ეს წიგნი გამოვიდა მათი თანხმობის გარეშე. უნდა ითქვას, რომ ორივე ეს არგუმენტი ძალზე სუსტია და არადამაჯერებლად გამოიყურება. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე.

დავიწყოთ იმით, რომ რომელი რიდერი გინახავთ საჯარო ბიბლიოთეკაში? მე არ მინახავს და თუ თქვენ გინახავთ პატივცემულო მკითხველო მითხარით და დაგიჯერებთ. ეს ერთი. მეორე, რომელი რიდერი გინახავთ შემოტანილი და მითითებული დამოწმებულ ლიტერატურაში. (20. 267)

კომისიის დასკვნას პლაგიატის თაობაზე პირველად ვაქვეყნებთ დანართში. ამას აქვს მნიშვნელობა და კიდევ უფრო

მეტ შუქს მოფენს საკითხს. კარგად დააკვალიანებს მკითხველს მტყუან-მართალში. (დანართი მეორე. გვ. 309-312).

საგულისხმოა, რომ კომისია გაბითურებული აღმოჩნდა მეორე შემთხვევაშიც, როდესაც მე მდებდნენ ბრალს პლაგიატში. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ის სულ სხვანაირად მოქმედებს. „ნინო კიღურაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო, რომელიც ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზაზეა შედგენილი და რომელშიც ომის შემდგომი გერმანიისადმი თავი საკმაოდ ახლოსაა ნინო კიღურაძის ავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს შესაბამის თავთან... მისი უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ მიითვისა კოლეგიის საავტორო კურსი“. [11. 237]. ეს კიდევ ერთი მტკნარი სიცრუეა, მე არაფერი არ მიმითვისებია. მას შემდეგ რაც ის ვერ გავიდა კონკურსში. კათედრის გამგემ პროფ. თეიმურაზ პაპასქირმა მთხოვა წამეკითხა „ისტორიის კვლევის მეთოდები“, რომელსაც ის ასწავლიდა. მე დავთანხმდი. ეს დოკუმენტალურადაა დადასტურებული. ჩემი კონკურენტი, ის კატეგორია არაა, რომ ვინმემ რამე წართვას. პირიქით კი შეიძლება და რამდენიც გინდა.

ჯერ ერთი. სკოლის სახელმძღვანელო არ შეიძლება გახდეთ პლაგიატის საგანი, რადგან აქ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზეა საუბარი. მე არ ძალმიძს ისტორიის შეცვლა. აქცენტი კეთდება ფაქტზე და მის შედეგზე. ეს არ შეიძლება პლაგიატად იქნეს აღქმული, რადგან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზეა საუბარი. რა თქმა უნდა, ეს არ აწყობს კომისიას და ცდილობს საქმე თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს. რეალური კი არა, მისთვის სასურველი სურათი დადოს. სასურველი შესაძლებლად ესახება. მაგრამ არის ერთი პატარა ნიუანსი, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესოა და კიდევ უფრო მეტ ნათელს მოფენს პლაგიატის საკითხს. მას როგორც ჩემმა კონკურენტმა, ისე მისადმი უაღრესად კეთილგანწყობილმა კომისიამ, დუმილით აუარა გვერდი და ვერ შენიშნა. ასე აწყობდა. შეიძლება აღვნიშნროთ, რომ კომისიას ფაქტობრივად, საკუთარი პოზიცია არ გააჩნია. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ეს არის წიგნი. ისინი შავით თეთრზე წერენ, რომ „ავტორები მადლობას უხდიან

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტის მხარდაჭერისათვის, უპირველეს ყოვლისა, კი ფონდი სოციალურ მეცნიერებათა მხარდამჭერი პროგრამის დირექტორს, პროფ. მარინე ჩიტაშვილს, პროგრამის კოორდინატორს მაკო მიქაბერიძეს და ირაკლი ცერცვაძეს. ნაშრომზე მუშაობისას და მისი გამოსაცემად მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის“. აღსანიშნავია, რომ მას აქვს თავისი YDK.31.61.263 და ISBN-99928-32-24X. ყავს რედაქტორი და რეცეზენტები. ეს არის წიგნი და არა რიდერი და ამაზე კამათი ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. (იხ. დანართი მესამე, გვ. 313-314).

რეალობისგან ძალიან შორსაა ავტორების თავის მართლება თითქოს ეს წიგნი გამოვიდა მათი თანხმობის გარეშე. ახლა მათ მეორე მხრიდან მოუარეს და სცადეს პლაგიატი თავიდან აეცილებინათ, მაგრამ კვლავ ამაოდ დაშვრნენ. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. წიგნი მათი თანხმობის გარეშე ვერ გამოვიდოდა. ეს დღესავით ნათელია. ახალმა კომისიამ დაადასტურა პლაგიატის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ კომისიის არც ერთ წევრს ამაში ერთი წუთითაც არ შეპარვიათ ეჭვი. ეს ყველასათვის აშკარა იყო. ექვსიდან ექვსივე წევრმა დაადასტურა აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტი. პირველი კომისია გაბითურებული აღმოჩნდა. ის თავის სტიქიაშია. ის ჩემი კონკურენტის რუპორად გვევლინება. მას საკუთარი პოზიცია არ გააჩნია და ჩემი კონკურენტის კაპრიზების უსიტყვო შემსრულებელია. (იხ. დანართი მეორე, გვ. 309-312).

კომისიამ მეორე შემთხვევაში, სრული ფიასკო განიცადა. ახალმა კომისიამ ჩემს სახელმძღვანელოში პლაგიატი ვერ აღმოაჩინა. კომისიის დასკვნა ერთსულოვანი იყო. შვიდი წევრიდან შვიდივემ განაცხადა, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონდა. პირველი კომისია თავის ამპლუაშია. ის კვლავ, ეს უკვე მერამდენედ, გაბითურდა. მაშინ რა შეისწავლა კომისიამ? რეალურად არც არაფერი. აიღო და კონკურსში მისთვის სასურველი კანტიდატი გაიყვანა. ეს მისი მუშაობის სტილია. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელიც ფარდას ახდის პლაგიატის თემას.

საქმე ეხება 1990 წელს გერმანიის გაერთიანების საქმეში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის როლის შეფასებას. ის მისი როლის დადებითი შეფასებისაკენ იხრება (23. 100-101). ამ საკითხში მისი როლისადმი ჩვენი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია და უფრო თავშეკავებულია. (12. 135-136). ჩვენ ვწერთ ვილი ბრანტი. ის კი წერს ვილი ბრანდტი. აქ არ გვაინტერესებს ის საკითხი თუ რომელი ფორმაა უფრო სწორი. ეს საუბრის სულ სხვა თემაა. ეს არის განა პლაგიატი? (23. 99. 103. 12. 129). მე ქ-ნ ნინოს არაერთგზის ვკითხე რა არის აქ შენი, რომ მე მოვიპარე მეთქი, მაგრამ ამაზე სასურველი პასუხი ვერ მოვისმინე, გარდა მაღალფარდოვანი სიტყვების უბრალო რახარუხისა, რომლის შედეგადაც დაყენებული მტვერი, რომ გაივლის ხელში რეალურად არაფერი შეგრჩება. კომისიამ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ პლაგიატი არ ყოფილა და პირველი კომისია კვლავ ხელმოცარული დარჩა და სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. (იხ. დანართი მეოთხე, გვ. 316-317).

ახლა უნდა შევეხოთ კიდევ ერთ თემას, რომელზეც გვქონდა საუბარი „ისტორიოგრაფიული ეტიუდების" მეორე ნაწილში და ახლა უბრალოდ შევახსენებთ მკითხველს. ალბათ, არა მარტო მე, არამედ ბევრ სხვასაც, ძალიან უჭირს იმის გაგება თუ რატომ იკლავს ასე თავს ქ-ნ. ნინო კიღურაძე ჩვენს კათედრაზე მუშაობით, როდესაც მას კათედრის ყველა წევრი გალანძღული ყავს უკანასკნელი სიტყვებით და არცერთ მათგანს მასთან მუშაობის არანაირი სურვილი არ გააჩნია. სწორედ, ამიტომ მივიღე მონაწილეობა 2014 წლის კონკურსში, თორემ სხვა შემთხვევაში ამას ნამდვილად არ გავაკეთებდი. ანგარიში გაუწიე კოლეგების აზრს.

მას ძალიან უყვარს დევნილის მანტიის მორგება, მაგრამ სინამდვილეში მას არავინ არ დევნის. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. 2009-2012 წლებში ის იყო ჩვენს კათედრაზე და გაუთავებელი კონფლიქტების წყარო იყო. ან ზევიდან გვიყურებდა და კათედრის სხდომაზე არ დადიოდა, ხოლო თუ დაგვდებდა პატივს და მოვიდოდა, სულ უკმაყოფილო იყო და გაუთავებელი დაუსაბუთებელი პრეტენზიები გააჩნდა. პროფ. გიორგი (გოგიტა)

ჟუჟუნაშვილს მისი საქციელი ყელში რომ ამოუვიდა თქვა „თუ ქ-ნ ნინო დაესწრება სხდომას, მაშინ მე არ მოვალო“. ეს ერთი მხარე. მას აქვს მეორე მხარე. ის 2009-2012 წლებში იყო ჩვენს კათედრაზე. საიდან ჩანს, რომ მას ვინმე დევნის? ეს მხოლოდ მისი ახირება და სხვა მეტი არაფერი. ის ცდილობს დევნილის მანტიის მორგებას და ასე უნდა გადაფაროს მისთვის არასასურველი რეალობა.

მას არავინ არ დევნის. კონკურსებში გასვლა კი იმიტომ უჭირს, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა გახლავთ უაღრესად მწირი. მას არ გააჩნია არც ერთი სერიოზული ნაშრომი. მას არ აქვს შემოქმედება. ამის გაცნობიერება კი ძალიან უჭირს. დევნილის მანტიის მორგება კი ადვილია. სინამდვილეში მას არავინ არ დევნის. აი ეს არის რეალობა, რომელიც მას არ აწყობს. დარწმუნებული ვართ, რომ ის ამდენს ნამდვილად ვერ გაბედავდა, რომ არა მისი მთავარი მფარველი ანგელოზი, კომისიის მდივანი, ამიტომ ამ საქმეში, მთავარ დამნაშავედ, სწორედ, ის მიგვაჩნია.

მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ორმაგი სტანდარტები და შერჩევითი სამართალი. ეს მისი სტიქიაა. ამ შემთხვევაში ის ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ეს ადვილი გასაგებია. იქნებ ამღვრეულ წყალში როგორმე დაიჭიროს თევზი. სხვაგვარად ის ამას ხომ ვერ ახერხებს. თუ მას ვინმე სამართლიანად მოექცა ატეხავს ერთ ამბავს. აი ნახეთ რა უსამართლოდ მექცევიანო და წამს დევნილის მანტიის მორგებას შეეცდება. ეს მას კარგად ეხერხება. ხოლო თუ ის ვინმეს უსამართლოდ მოექცა, არადა, ასეთი შემთხვევები საკმაოდ ბევრია, ცხადია, ის დუმს და მიაჩნია, რომ ეს სამართლიანია. როდესაც ის და მისი მარიონეტი კომისია ცუდად მომექცა მას ხმა არ ამოუღია და კარგად შეიფერა. თქვა, რომ მე მოვუგე კონკურსშიო. მაგრამ როგორ მომიგო ამაზე, ცხადია, ხმა არ ამოუღია. როგორ გააკეთა მან ეს მკითხველმა უკვე კარგად იცის. მისი გამარჯვება იყო უსამართლობის, უზნეობის, უტიფრობის, უკონტროლობის, განუკითხაობის, აღვირახსნილი ზეიმი. თუმცა ეს მას არ ანაღვლებს, სამაგიეროდ აქვს უსაზღვრო ამბიცია. სხვათა შორის, მას ჩვენ ორჯერ 2008

და 2012 წელს კონკურესში ვაჯობეთ. ასე, რომ „ისე არაა თაყაო შენ რომ მამული დაყაო“. მაგრამ ამის გახსენება მას არ აწყობს. საინტერესო დეტალია. არც ერთ კომისიაში არ იყო კომისიის მდივანი. ის თვითონ გახლდათ კონკურსანტი. იკვეთება საინტერესო სურათი. თუ ის არის კომისიაში ნინო კილურაძე იმარჯვებს. თუ არ არის კომისიაში პირიქით, ის მარცხდება. გამოდის, რომ კომისიის მდივნის გარეშე მას ჩალის ფასი აქვს. ეტყობა, მასთან მიმართებაში კომისიის მდივანს სამართლიანობის გრძნობა ატროფირებული აქვს.

ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, უნივერსისტეტში სამართლიანობის გრძნობამ დეფორმაცია განიცადა. მკვეთრად იცვალა სახე. დღეს, მნიშვნელოვანწილად, ამის ნაყოფს ვიმკით. რაც უფრო მალე დავაღწევთ თავს მას მით უფრო უკეთესი იქნება. სწრაფად წავალთ წინ. სხვაგვარად ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება.

პროფესორების შვილებმა სცადეს ჩემთვის გადერბინათ. მაგრამ საბოლოო ჯამში ვერაფერს მიაღწიეს. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ უსამართლო მოპყრობით გამოწვეულ გულისტკივილს, რადგან მამიკოების ზურგს უკან ყოველთვის კომფორტულად გრძნობდნენ თავს. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება. მათ შორისაც არიან გამონაკლისები, მაგრამ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ჩემნაირი უპატრონო ადამიანებისთვის უნივერსიტეტი ბოროტ დედინაცვალად იქცა, ხოლო მათთვის კი მზრუნველ დედიკოდ. ისინი საყვარელი შვილები არიან. მე კი გერი. რას იზამ. ასეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა საბჭოთა რეალობამ, რომელიც ძველი ინერციით ჯერ კიდევ გრძელდება და რაც უფრო სწრაფად დავძლევთ მას, ცხადია, უკეთესი იქნება. მას ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს სულ სხვა გზა იყო. ეს არც ევროპული ღირებულებებია. როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, ეს საბჭოთა რეალობის ექოდ გაისმა. კომისია ჩარჩა წარსულში და მას თავს ვერ აღწევს. მეტიც არც კი ცდილობს. აი ეს გახლავთ რეალობა, რომელიც კომისიას არ აწყობს.

ამ საქმის მთავარ სულისჩამდგმელად კომისიის მდივანი მოგევლინა. ის რომ არ ყოფილიყო არც არაფერი არ მოხდებოდა. ყველაფერი წყნარად და უხმაუროდ ჩატარდებოდა და სამართლიანობა იზეიმებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რაშიც მას ლომის წილი მიუძღვის. ის იყო ყველაფერის ავანჩავანი. ის გარეგნულად ინტელიგენტის, ობიექტური პიროვნების შთაბეჭდილებას ქმნის და ასეთი იმიჯი აქვს ფართო საზოგადოებაში, რომელიც მას კარგად არ იცნობს და მასზე შორიდან მსჯელობს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, გარეგნულად. ეს აისბერგის ზედა ნაწილია, რომელიც ზედაპირზე ძევს. სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა. ამას მე ყურმოკრულის ან გაგონილის მიხედვით კი არ გიყვებით, არამედ, მისი უსამართლობა, საკუთარ თავზე არაერთგზის ვიწვნიე. ერთმა ჩემმა მეგობარმა მას ზედმიწევნით ზუსტად უწოდა „არაობიექტურობის მეტრი“. ჩვენ პირადად ის ძალიან გვაგონებს „ლამაზ ყდაში ჩასმულ უხამსი შინაარსის წიგნს“. ასე შეაფასა გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა აკად. ალბერ სორელმა დირექტორის ერთ-ერთი თავკაცი პოლ ბარასი. ეს მართლაც ასეა. თუ მას ჭირდება სამართლიანობას არას დაგიდევთ და ყველაფერზე წამსვლელია. უკან არაფერზე დაიხევს. თეთრზე იტყვის შავიაო და პირიქით, ისე, რომ წარბს ერთი წამითაც არ შეიხრის. მისთვის არსებობს მხოლოდ ერთი პრიცაპი. „მე ასე მსურს“. როგორც აბსოლუტური მონარქები ამბობდნენ „ეს კანონიერი, რადგან მე ასე მსურს“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი უფრო მეტ პატივს ცემდნენ კანონს და სამართლიანობას, ვიდრე პატივცემული კომისიის მდივანი. მისთვის არ შეიძლება არ არსებობს. მას სურს ეს ყველაფერია. ეს არცაა გასაკვირი. თქვენს წინაშეა უნივერსიტეტში ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისმევით, ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის კიდევ ერთი საუკეთესო ნიმუში. რა ტყუილი, სიყალბე, უსამართლობა, უკეთურობა არ იკადრა კომისიამ, მისი მთავარი ტონისმიმცემი და ინიციატორი, სწორედ, ის იყო. უპრინციპობა მისი ყველაზე დიდი პრინციპი იყო. მისი ინიციატივით იყო, რომ კომისიამ თვალი დახუჭა როგორც შრომების რაოდენობაზე, ისე ხარისხზე. ეს კიდევ არაფერია. მან ვერც პლაგიატის ფაქტი ვერ შენიშნა და

მისი გაპრავების მთავარ მოთავედ მოგვევლინა. ასე აწყობდა მას. მან წაიყვანა კომისია მისთვის სასურველი მიმართულებით. მისი ძალისხმევის შედეგი იყო, რომ კომისიას ფაქტობრივად არც არაფერი შეუსწავლია და ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზების დაკმაყოფილებას ცდილობდა. სწორედ, მას ეკუთვნის ფრაზები. „ის ჩემი მეგობარია, ის კი არაო". აი ამ დონეზე წყდება დღეს უნივერსიტეტში საკადრო პრობლემები და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კონკურსებში გამარჯვებულის ვინაობის გამოვლენა. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ასე შორს ვერ წავალთ.

ალბათ, ურიგო არ იქნებოდა მისთვის როგორ ძველი ისტორიის სპეციალისტისთვის, შეგვეხსენებინა არისტოტელეს სიტყვები „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია". მისთვის ჭეშმარიტება, არაფერია, ცარიელი სიტყვებია. როგორც ჩანს, მან როგორც ძველი ისტორიის სპეციალისტმა დაივიწყა ეს სიტყვები, რადგან ასე აწყობდა. მას, ეტყობა, დაავიწყდა დიდი რომაელის ციცერონის სიტყვები. „თავისუფალი, რომ იყო კანონს უნდა ემონო". მე შევეცდები შევახსენო მას ეს, თუმცა სიმართლე გითხრათ, ამის აზრს ვერ ვხედავთ. მას სულ სხვა პრინციპი გააჩნია. „მე ასე მსურს". ის ძალიან შორსაა ევროპული ღირებულებებიდან და საბჭოთა წარსულის ექოდ გაისმის. გამოვიდეთ საბჭოთა რეალობიდან. უკვე დროა.

ეს იყო ტესტი თქვენ წესიერებაზე, რომელიც თქვენ ვერ ჩააბარეთ. ეს არაა მარტო ჩემი აზრი. ასე ძალიან ბევრი ფიქრობს. თქვენ უყოყმანოდ დააყენეთ თქვენი პირადი ინტერესები უნივერსიტეტის ინტერესებზე მაღლა და თქვენი უსამართლო ქმედებით მის ავტორიტეტს, პრესტიჟს, სერიოზული ჩრდილი მიაყენეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს თქვენ არ განაღვლებთ, რადგან გიყვართ თქვენი თავი და არა უნივერსიტეტი. თქვენს საქციელს კარგად შეეფერება ბენიტო მუსოლინის სიტყვები „მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს კანონი". ეს არის თქვენი მენტალობა. არ ვისურვებდი თქვენ ადგილზე ყოფნას.

კომისიის შემადგენლობაში თქვენს საქმიანობას საბჭოთა მენტალიტეტის ელფერი დაკრავს და ფართოდ იყენებთ, როგორც ორმაგ სტანდარტებს, ისე შერჩევით სამართალს. რა თქმა უნდა,

მაშინ თუ ეს თქვენ გაწყობთ, ხოლო თუ არ გაწყობთ ნეიტრალურ პოზიციას იკავებთ და წესიერი კაცის როლს თამაშობთ. ეს სიტყვა შემთხვევით არ გვითქვამს. სწორედ, რომ თამაშობთ. თქვენი ობიექტურობა მხოლოდ მოჩვენებითია. ვინ ვინ და ეს მე ყველაზე უფრო კარგად ვიცი. ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. სიტყვაძუნწი, რომ არ ვიყოთ ერთ ფაქტს შეგახსენებთ, რომელიც თქვენც კარგად იცით და მეც. მთავარი მოქმედი პირი, სწორედ, თქვენ ბრძანდებოდით ამხანაგო კომისიის მდივანო. ალბათ, ხვდებით საქმე ეხება პროფ. ეკა ავალიანს. როდესაც თქვენ გჭირდებოდათ ამაზე ნაკლები დანაშაული არ აპატიეთ მას და თავიდან მოიშორეთ. ეს ერთი შემთხვევა. ახლა მეორე შემთხვევა გავიხსენოთ. როდესაც თქვენ დაგჭირდათ ამაზე დიდ დანაშაულზე დახუჭეთ თვალი და როგორც მატროსოვი ამბრაზურას ისე გადაეფარეთ თქვენს დაქალს ქ-ნ ნინო კილურაძეს. ეს იმით გამოიხატა, რომ პლაგიატზე, ისე რომ ერთი წამითაც არ შეგიხრიათ წარბი, თქვით, რომ პლაგიატი არაა და ბოლოს გაბითურებული აღმოჩნდით. ორმაგი სტანდარტი სხვა მეტი რა არის? ასეთი მენტალობა გაქვთ. დღეს ის საბჭოთა მენტალობის შორეულ ექოდ გაისმა. ის რომ არ ყოფილიყო კომისიაში ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ კონკურსის შედეგი გაცილებით უფრო სამართლიანი და ობიექტური იქნებოდა. კონფლიქტი არ მოხდებოდა. მისი დამსახურებით ყველაფერი თავდაყირა დადგა. უსამართლობამ იზეიმა. მან კონკურსში გაამარჯვებინა, პლაგიატს და უსუსტესს. ეს უნიკალური შემთხვევაა. მისი მთავარი შემოქმედი კი თქვენ ხართ.

კომისიის საქმიანობა კომისიის მდივნის აზრების რუპორად იქცა. კომისიის დასკვნა მისი საქმიანობის ლოგიკური დაგვირგვინება იყო. ის ყველანაირად ცდილობს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს და როგორმე დააკმაყოფილოს ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები. ეს მას ნაწილობრივ გამოუდის კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაიმარჯვა. მისი ძალისხმევა სრული კრახით დასრულდა. ასეთი სავალალო იყო მისი „საქმიანობის“ შედეგი. ის ამ საქმიდან შერცხვენილი გამოვიდა, მაგრამ არა მგონია ეს მას ადარდებდეს. მაშინ ის

ასე არ მოიქცეოდა. უმთავრესად, მისი ძალისხმევით, კონკურსში გაიმარჯვა პლაგიატმა და უსუსტესმა. ამას ანალოგი ძნელი იქნება მოუძებნოთ.

მე მაინც გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ არ დავმარცხებოდი, რომ კომისიის ორ წევრს პროფ. მურმან პაპაშვილს და პროფ. გურამ კუტალიას ეყოფოდათ ელემენტარული კეთილსინდისიერება, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ისინი სულ მთლიანად კომისიის მდივნის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. მოხდა ის რაც მოხდა. მე განსაკუთრებით გული მატკინა პროფ. გურამ კუტალიას პოზიციამ. მე მას ჩემს პირველაღმომჩენად და ამავე დროს ყველაზე დიდ მოღალატედ მივიჩნევ. ამ სამწუხარო ნოტაზე დავცილდით. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ბ-ნ გურამ.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი. რატომ იცავს ასე თავგამოდებით კომისიის მდივანი ჩემს კონკურენტს? სამართლიანობის გამო, რომ არ აკეთებს ამას, ამაში ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი. მაშინ რაშია საქმე? ამ კითხვაზე პასუხი ღიად რჩება. მხოლოდ მეგობრობა აქ არაფერ შუაშია. რა კომპრომატები გააჩნია ჩემს კონკურენტს ისეთი, რომ კომისიის მდივანი ხმას ვერ იღებს და მისი კაპრიზების უსიტყვო შემსრულებლად გვევლინება? კითხვები ბევრია. ხოლო დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს. ეტყობა, იმდენად ძლიერი კომპრომატი ან შეიძლება, კომპრომატები უნდა ჰქონდეს, რომ კომისიის მდივანი ვერ უქანდება და მის სურვილების უსიტყვო შემსრულებლად გვევლინება. ფაქტობრივად, ის კომისიის წევრი კი არა უბრალოდ მხარეა. მის ხელში ერთ უბრალო მარიონეტად იქცა. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. სხვაგვარად მისი მოქმედების ახსნა ძალიან გვიჭირს. (11. 124-125). ის კომისიაში იმიტომ ჩართეს, რომ ნინო კილურაძე გაეყვანა. ეს უზნეობა მან იკადრა. ნინო კილურაძის იმედები სრულიად გაამართლა, უნივერსიტეტის კი რა გითხრა.

ამ საკითხში მისი არაობიექტური საქმიანობა ამით არ დასრულებულა და გაგრძელდა. ეს საინტერესოა და კიდევ უფრო

გამჭვირვალედ წარმოაჩენს, რომ ამ შემთხვევაში ის კომისიის მდივანი კი არა, რომელმაც ობიექტურად უნდა შეისწავლოს საქმის ვითარება, არამედ მხარედ გვევლინება. ამ კუთხით, ეს საკითხი ჩვენ წიგნში, „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში" არ განგვიხილავს. ამჯერად მას პირველად ვეხებით და ეს მცირე სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ. კომისიის მდივანი ამჯერად უკვე სულ სხვა ამპლუაში მოგვევლინა. კიდევ ერთხელ, ღრმად ჩაყვინთა სიბინძურეში და მისი ტირაჟირება გააგრძელა. ის მისთვის ჩვეულ როლშია და ბოლომდე კბილებით იცავს თავის მეგობარს. მას სიმართლე არ აინტერესებს. ამ საქმეში მან თავისი არცთუ ისე მცირე წვლილი შეიტანა და ერთხელ უკვე გაკოტრდა. ახლა ის მეორედ გაბითურდა. ეს მისი არჩევანია. ჩვენ შევეცდებით ეს ფაქტებით გავამყაროთ, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას არ უნდა იწვევდეს. რა გვაქვს მხედველობაში:

2017 წლის 11 ოქტომბერს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია მისი თავმჯდომარეობით. ჩვენი აზრით, ეს იყო არასწორი გადაწყვეტილება. ამაში, უწინარესად, ვხედავთ სურვილს ანგარიში გაუწიოს კომისიის მდივანს და მის ზურგს უკან მდგომი ჩემი კონკურენტის კაპრიზები დააკმაყოფილონ. საქმე გვაქვს, ნეპოტიზმის კიდევ ერთ გამოვლინებასთან. ასეთი ნაბიჯის აუცილებლობა არ არსებობდა. ყველასათვის ყველაფერი ნათელი იყო გარდა კომისიის მდივანისა და ჩემი კონკურენტისა. ეს მათი პრობლემა იყო. ამის გამო კი კომისია არ უნდა შექმნილიყო. კაცი რომელიც ამ სიყალბის მთავარი შემოქმედი იყო, ახლა მას მეორედ სწავლობს და „სამართლიანი" ვერდიქტის დადებას აპირებს. ერთი ხომ დადო. ახლა მეორესაც მიაყოლებს. ძალიანი კარგი. რაც, სხვათა შორის, უყოყმანოდ, გააკეთა კიდეც.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ კომისიის შემადგენლობას. ეს კიდევ ერთხელ ახდის ფარდას ზოგჯერ რა პრინციპებით ყალიბდება საკონკურსო კომისია. მისი შემადგენლობა ასეთი იყო:

1. ლევან გორდეზიანი (კომისიის თავმჯდომარე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი).

2. ირინე დარჩია (კომისიის მდივანი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი).

3. ქეთევან ნადირაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი).

4. კახაბერ ჭეიშვილი (რექტორის კონსულტანტი)

5. თეიმურაზ ცქიტიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, თინათინ წერეთელის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი). (ყურადღება მიაქციეთ ამ კომისიაში მხოლოდ ორია ისტორიკოსი, დანარჩენი არა. ბუნებრივია, მათ არც ისტორიის თეორიასთან და დიდაქტიკათან არავითარი საერთო არ გააჩნიათ. ეს, ვფიქრობთ საინტერესო უნდა იყოს).

რა თქმა უნდა, გარეგნულად კომისია საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ გვაქვს დიდი ეჭვი, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, რომ კომისიის თავმჯდომარემ კომისია დააკომპლექტა თავისი მეგობრებით, რომლებიც მის მიერ მართული იქნებოდნენ და სასურველ შედეგს დადებდნენ. კომისიის მთელი საქმიანობა ამ ეჭვს კიდევ უფრო გვიღრმავებს. მან ფაქტიურად არაფერი შეისწავლა და ის დასკვნა დადო რომელიც ხელს აძლევდა კომისიის თავმჯდომარეს. კომისია, მისი აზრების, რუპორად იქცა. ეს ერთი. ჩვენ დანართში ამ კომისიის დასკვნას პირველად ვაქვეყნებთ. „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში“ ეს არ გაგვიკეთებია და გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩნდა. ახლა გამოვასწორეთ ეს. აი კიდევ ერთი პატარა სიახლე. ახლა გადავიდეთ მეორეზე.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა რამდენად მართლზომიერი იყო ამ კომისიის შექმნა და რა ახალი გამოარკვია მან? რამდენად იყო გამართლებული კომისიის თავმჯდომარედ მისი დანიშვნა, რომელიც, როგორც კომისიის მდივანი, ამ საქმეში უკვე კარგად გვარიანად იყო კომპრომეტირებული? ფაქტობრივად, მის მთავარ შემომქმედად, სწორედ, ის გვევლინება. ახლა მას უფლებები კიდევ უფრო გაუფართოვეს თავმჯდომარედ დანიშნეს? და ბოლოს, ალბათ, რაც ყველაზე მთავარია. ახალ კომისიაში 2014 წლის საკონკურსო კომისიის ორი წევრი

შედის. თვითონ კომისიის მდივანი და პროფ. ქეთევან ნადირაძე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კიდევ ერთი კოლორიტული ფიგურაა და ნეპოტიზმის კიდევ ერთი საუკეთესო ნიმუშია. ეს გახლავთ მხარეთა კონფლიქტი. ამიტომ იყო, რომ საბჭომ ამ კომისიას დასკვნის დამტკიცებისაგან თავი შეიკავა. მას არანაირი იური-დიული ძალა არ გააჩნია. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო, რომ არც სამეცნიერო და არც იურიდიულმა განყოფილებამ კომისიის დასკვნა არ გაიზიარა და მისი არგუმენტაციიდან ქვაქვაზე არ დატოვა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ჩემმა კონკურენტმა ეს დავა ყველა სასამართლოში პირწმინდად წააგო. ის როგორც კო-მისიის მდივანი ხომ გაკოტრდა. ახლა იგივე მოუვიდა უკვე კო-მისიის თავმჯდომარის როლში. ორჯერ გაბითურებული დარჩა. კატასტროფა განიცადა. მაგრამ მე მგონია, რომ მას დღესაც ჯე-რავს, რომ ის მართალია. ეს მისი პრობლემაა. მან მეორედ ვერ შენიშნა პლაგიატი. (იხ. დანართი მეექვსე, გვ. 336-345). ორივე კომისიის გაკოტრების კულმინაციას, მწვერვალს, წარმაოდგენს სასამართლოს დასკვნა. (იხ. დანართი მეშვიდე, გვ. 346-376).

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. თუ კომისიაში შედის კომისიის მდივანი ქ-ნ ნინო კილურაძე იმარჯვებს. თუ ის კომისიაში არ შედის მაშინ ნინო კილურაძე კონკურსში ვერ იმარ-ჯვებს და ატყდება ერთი ამბავი. „აურზაური არაფრის გამო“.

მოუხმოთ ისევ ფაქტებს. ისინი მრავალ რამეზე მეტყველებენ. მე ნინო კილურაძეს ორჯერ 2008 და 2012 წელს მოუგე კონკურ-სი კომისიის მდივანი კომისიაში არ შედიოდა, ვინაიდან თვითონ იყო კონკურსანტი და მას ვერაფერში დაეხმარებოდა. ყველაფერი თეთრი ძაფებითაა ნაკერი. ყველაფერი გამჭვირვალეა. ეს ასე პირველად არ ხდება. ასე იყო 2006 წელს, 2013 წელს, 2014 წელს და 2017 წელს. ამ საკითხში ის უყოყმანოდ გვევლინე-ბოდა ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზების უსიტყვო შემსრულებე-ლად და სიმართლე სულაც არ ანაღვლებს. მასთან მიმართებაში მას, სამართლიანობის გრძნობა, ეტყობა, ათრიფირებული აქვს. არ შეიძლება ნებსით თუ უნებლიეთ არ გაგახსენდეთ ბრძენი ჩინელის კონფუცის სიტყვები „მხოლოდ ბრიყვი არ იცვლის პო-ზიციას“. უკომენტაროდ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მას 2012 წლის კონკურსში ვაჯობეთ, ხოლო 2014 წელს უკვე მან მაჯობა. რა შეიცვალა ამ ორი წლის განმავლობაში? ბევრი არც არაფერი. ჩემი უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი შეიქმნა. ეს არ იყო მთავარი. არის ერთი ნიუანსი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის გვერდის ავლა, ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012 წლის კონკურსის დროს კომისიის მდივანი თვითონ იყო კონკურსანტი და ამიტომ კომისიაში არ შედიოდა. შესატყვისად, ნინო კიღურაძე კონკურსში ვერ გავიდა. გარეთ დარჩა. 2014 წელს სულ სხვა ვითარება გვაქვს. ის კომისიაში შედიოდა და მთელი ეს საქმე თავის თავზე აიღო. ის, სწორედ, იმიტომ შევიდა კომისიაში, რომ ნინო კიღურაძე გაეყვანა, რაც გააკეთე კიდეც. მან მისი იმედები სავსებით გაამართლა. უნივერსიტეტის კი ვერა. სიყალბესა და ტყუილებში ჩაიძირა. ის არ იყო კომისიის მდივანი.

ვერაფრით ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ორი რამ, რატომ არ ვუჩივლე კომისიას – უნივერსიტეტში არსებულ ეთიკის კომისიაში და არ გავაგრძელე დავა სასამართლოში. არასწორი გადაწყვეტილება მივიღე. ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ გვიანია.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის ქრესტომათიული ნიმუში იმის თუ როგორ არ უნდა იმუშაოს კომისიამ. ამ კარგ წამოწყებას ნუ გავაუფასურებთ, რაც, სხვათა შორის, გვჩვევია ქართველებს. სასურველია სამართლიანობის ელემენტარული ნორმები მაინც იქნას დაცული. ამაზე ლაპარაკი არ უნდა გვიხდებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ გვიხდება. ასეთია ჩვენი რეალობა. მას ვერსად ვერ გაექცევი. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერებაში და არა მარტო მეცნიერებაში, ქვეყანაში წესრიგს ვერასოდეს დავამყარებთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონკურსო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ამ მიმართულებით მუშაობა უნივერსიტეტში დაიწყო, მაგრამ შემდგომში მე მგონი შეჩერდა თუ შენელდა. ნურავის ვაფიქრებინებთ, რომ კონკურსების ჩატარება არ შეგვიძლია. სხვაგვარად წესრიგს ვერ დავამყარებთ. ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

საქმე გვაქვს უნიკალურ შემთხვევასთან. კომისიის მდივანის ძალისხმევით, კომისიამ კონკურსში გაამარჯვებინა პლაგიატს. ამას ანალოგი ძალიან ძნელია მოეძებნოს. კომისიამ და მისმა მდივანმა ყოველგვარი ზნეობრივი ნორმები დაარღვიეს. მოქმედებდნენ პრინციპით „მე ასე მსურს". უზრუნველყვეს უსამართლობის ტრიუმფი. ეს ნებისმიერ აბსოლუტურ მონარქს შეშურდებოდა, მათ შორის, ალბათ, ლუი XIV, მაგრამ ბოლშევიკებს და პირველ რიგში, პარანოიკ სტალინს, ცხადია, არა. ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი ამბობდა. „სადაც მთავრდება კანონი იქ იწყება ტირანია". კომისიის მთელი საქმიანობა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ასე მეტი აღარ შეიძლება. უნივერსიტეტის ინტერესების იგნორირება არავის ეპატიება. მე რომ გამეკეთებინა ეს ხომ გამაგდებდნენ უნივერსიტეტიდან. ორმაგი სტანდარტი სხვა მეტი რა არის? ეს არის ნეპოტიზმის კიდევ ერთი საუკეთესო ნიმუში. ბატონებო და ქალბატონო მე არ ვისურვებდი თქვენს ადგილას ყოფნას.

რა მოიგო კომისიამ თავისი ასეთი არაობიექტური საქციელით. არსებითად ბევრი არც არაფერი. მან ვერ გაამართლა ის ნდობა, რომელსაც მასზე უნივერსიტეტი ამყარებდა და სულ მალე კომისიად კი არა მხარედ მოგვევლინა. მან თავი მოიჭრა და უნივერსიტეტი შეარცხვინა. ალბათ, ეს იქნება უნივერსიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი, ყველაზე უფრო სამარცხვინო კომისია. გილოცავთ. ყოველგვარი თავმოყვარეობა დაკარგა და მთელი კლოუნდა გამართა. საბოლოო ჯამში კი თავის მიზანს ვერ მიაღწია და გაბითურებული დარჩა. ღირდა კი ყველაფერი ამად? მე არ ვიცი და არც მაინტერესებს რას ფიქრობს ამაზე კომისია და მისი მდივანი, მხოლოდ ჩემი მხრიდან დავძენთ. რა თქმა უნდა, არა. კომისიის საქმიანობასთან ასოცირდება უნიკალური შემთხვევა, რომელსაც ანალოგი მსოფლიო პრაქტიკაში ძალიან ძნელია დაეძებნოს. მან კონკურსში გაამარჯვებინა პლაგიატს და უსუსტესი გაიყვანა. აქ გასაკვირი არაფერია. ეს მისი მიკერძოებული საქმიანობის ლოგიკური დაბოლოვება იყო. მე უნივერსიტეტში ბევრი უსამართლობა მინახავს, კიდევ უფრო ბევრი გამიგია, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, რომ კონკურს-

ში პლაგიატი გაეყვანათ. ახლა ეს უკეთურობაც მოხდა. კომისია უნიკალურია. გილოცავთ.

ამ გახმაურებული საქმის რეზიუმე ასეთია: ა. კომისიამ თავის მეგობარს დათვური სამსახური გაუწია. სიმართლე მალე გაირკვა და მას უნივერსიტეტმა როგორც პლაგიატს კონტრაქტი გაუწყვიტა. (იხ. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოთა დადგენილება 9. 2015, 22 იანვარი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" 3. 2015, 17 მარტი, გვ. 10. 11. 130). (იხ. დანართი პირველი 304-306) ისინი ამაოდ დაშვრნენ. ბ. ამ სტრიქონების ავტორს ნერვები დააწყვიტეს და ვინ იცის რამდენი ხნის სიცოცხლე დააკლეს. ეს, რა თქმა უნდა, მათ ყველაზე ნაკლებად აღელვებდათ, რადგან ადამიანური ფაქტორი არ ადარდებთ. ასეთია მათი სახე. ეს ევროპული ფასეულობა არაა. ეს ჯერ ისევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობაა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა 30-იანი წლების რეპრესიები შორეული გამოძახილია. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ რაღაცას ვაჭარბებთ, მაგრამ, როგორც ჩვენ გვგონია, არა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ამ კომისიას, რომელმაც ყველაფერი საკადრებელი და უკადრებელიც იკადრა და სიცრუის მორევში ჩაიძირა, უფლება, რომ ჰქონოდა ფიზიკურადაც სიამოვნებით გამისწორებდა ანგარიშს. სუბიექტურად მე ასე მგონია და, ალბათ, არ ვცდები. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ეს საქმე, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს მედლის ერთი მხარეა. ცხადია, მას გააჩნია მეორე მხარე, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნება. მოდით მარტო საბჭოთა ხელისუფლებას ხელს ნუ შევაწმენდთ. რა თქმა უნდა, მან ძალიან ბევრი გააფუჭა და ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე ამის გამოსასწორებლად? საკითხის ამგვარად დასმა აქტუალურად მიგვაჩნია. ამ არასახარბიელო მემკვიდრეობის მნიშვნელობას ძალიან კარგად ვაცნობიერებთ. ეს, ცხადია, პოზიტივია, მაგრამ ლაპარაკი უფრო ბევრია, საქმე კი ცოტა კეთდება. სასურველი

იქნებოდა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება. თუ სწრაფად არ შეიცვალა ვითარება უკეთესობისკენ. მერე გვიანი იქნება.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სამი ათეული წლის მანძილზე, ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და ამაოდ დავშვრით, სწორი გზის მოძიების თვალსაზრისით. პრობლემები კი არა გადავწყვიტეთ, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, არამედ კიდევ გავაღრმავეთ და ის შეუქცევად ხასიათს იძენს. ეს არცაა გასაკვირი, ასეთია პოლიტიკური ნება. სიტყვით ყველაფერი წესრიგშია, საქმით კი ყველაფერი სულ სხვაგვარადაა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და ის ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა მენტალობის გამოძახილია, ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, სწორი გზით არ წავედით და დიდი დრო დავკარგეთ.

კომისიის საქმიანობას, ვფიქრობთ, სავსებით მიესადაგება დიდი ილიას სიტყვები, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. მოუსმინეთ დიდ ილია ჭავჭავაძეს. „ასე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა, აქაოდა მოედანზე სდგასო და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსორებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით“. (21. 254-255). მეორე ადგილას ის ამბობს. „საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა ჯაფა უნდა ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში, იქნებ უსაქმო კაცისათვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისთვის საწყენოა. ამაზე უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადოებრივ საქმეში „მე ასე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“ თავჩაღუნული დადის“. პატივცემულ მკითხველს ილიას ეს სიტყვები კომისიის საქმიანობას ხომ არ აგონებს? მე კი. მისი ფრაზები „მე ასე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება“. ხოლო რაც „საქმეს უჯობს“ ვიღას ახსოვს. ჩრდილში მოექცა და საკმაოდ დიდი ხნით. ამან კომისია სავალალო შედეგამდე მიიყვანა. და ბოლოს ილიას კიდევ ერთ მოსაზრებას გავიხსენებდით „ჩვენი განკითხვა განმკითხველის გუნებაზეა მიგდებული და არა გონებაზე, რო-

მელმაც მარტო საბუთით უნდა ჰსაჯოს. აქ „მე ასე მინდა, ასე მეამება“ – უფრო მეტად სჭრის, ვიდრე საბუთით გამოჩხრეკილი და გულში გამონასკვნილი მართალი“ (22. 8.) კომისიის მთელი საქმიანობა, ვფიქრობთ, ილიას ამ სიტყვების კარგი ნიმუში უნდა იყოს. საინტერესო სურათი იკვეთება. ილიას გზა კომისიამ დაგმო. ვისი გზა აირჩია? დიდი შიში გვაქვს რომ პარანოიკი სტალინის. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ჩემი სუბიექტური აზრი ასეთია.

საკუთარი ინტერესები საერთო საქმეზე მაღლა დააყენეს და უნივერსიტეტის ინტერესები უგულებელყვეს. მისი პრესტიჟი შელახეს, ჩრდილი მიაყენეს. ეს იყო ტესტი მათ წესიერებაზე, რომელიც მათ ვერ ჩააბარეს და თავიც შეირცხვინეს და უნივერსიტეტიც შეარცხვინეს. საბოლოოდ თავი მოიჭრეს და ვერც მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, გაბითურებულები დარჩნენ. სრული კატასტროფა განიცადეს. ესაა მათი ნამდვილი სახე. მათი ავტორიტეტი სამეცნიერო საზოგადოების თვალში მკვეთრად დაეცა. ალბათ, ყველაზე უფრო მეტად შეიძლება ეს აწუხებდეთ, შეიძლება არა, მაგრამ ამაზე ცოტა ადრე უნდა ეფიქრათ.

კომისიის ასეთ უპასუხისმგებლო ქმედებაში გასაკვირი არც არაფერია. იგი გაცდა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მასში, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობის, განუკითხაობის, უკონტროლობის, დაუსჯელობის სინდრომის, გამოძახილი უნდა დავინახოთ. რაც მალე განვთავისუფლდებით ამ სინდრომისგან, მით უკეთესი იქნება. უფრო სწრაფად წავალთ წინ. შევძლებთ ამას ძალიან კარგი იქნება. ვერ შევძლებთ და ასე დარჩება, როგორც არის და არც არაფერი არ შეიცვლება. კრიზისი კი არ შეჩერდება. შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. ილუზიას ნუ შევიქმნით. ამის ალბათობა არსებობს. ეიფორიული განწყობილება უადგილო იქნება.

კომისია სურს როგორმე წყალი აამღვრიოს ეგებ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს. თითქოს ეს ნაწილობრივ გამოუვიდა,

მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ხელი მოეცარა, მწარე მარცხი განიცადა და გაკოტრებული დარჩა. ასე სამარცხვინო ნოტაზე დაამთავრა მან თავისი მიკერძოებული საქმიანობა. ეს მისი პრობლემაა. ზნეობრივად კომისია სავსებით ჩამოიშალა. მისი საქმიანობა რეალურად არსებული ფაქტების ფალსიფიკაციის და ელემენტარული ტყუილის ჰიბრიდს წარმოადგენს. ასე დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტი. ასე მდგომარეობას ვერ დავალაგებთ. „ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“. მაშინ „რა საჭიროა გზა თუ ის ტაძართან არ მიგვიყვანს“. ვფიქრობთ, ლოგიკურია. თუ დროზე არ მივხედეთ საქმეს შემდეგში გვიანი იქნება.

მთელი ამ ისტორიიდან საინტერესო დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. თუ მკვეთრად არ გაუმჯობესდება ქართული ინტელიგენციის ზნეობრივი სახე, არც არაფერი შეიცვლება და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული მდგომარეობის დალაგება, ვფიქრობთ, ძალიან გაგვიჭირდება. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა.

ეს მოხდება მხოლოდ მაშინ თუ შევძლებთ და სამართლებრივ სახელმწიფოს შევქმნით.

დღეს საქართველოში სიტყვიერად არსებული ევროპული ფასადის უკან თუ დაუკვირდებით კარგად მოჩანს ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობა. მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით: კორუფცია, ნეპოტიზმი, პროტექცია, ორმაგი სტანდარტი, შერჩევითი სამართალი, განუკითხაობა, უკონტროლობა, დაუსჯელობის სინდრომი. პირველი სასურველია. მეორე არასასურველი რეალობაა. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული როგორც გვგონია. ეს მავნე ილუზიაა. ესეთია სიტუაცია. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. და ავადსახსენებელი საბჭოთა სინამდვილის ექოდ გაისმის.

დღეს ჩვენ ზუსტად ისეთი მეცნიერება და განათლების სისტემა გვაქვს როგორიც უნდა ჰქონდეს არშემდგარ სახელმწიფოს. ეს მდგომარეობა, რომ დავალაგოთ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სასურველი იქნება ჩამოყალიბდეს ნორმალური,

სამართლებრივი, სახელმწიფო. სხვაგვარად არაფერი არ მოხდება. ამას ალტერნატივა არ აქვს. მაშინ გაჩნდება პოლიტიკური ნება. მენტალიტეტიც შეიცვლება და ვითარება, როგორც სახელმწიფოში, ისე მეცნიერებასა და განათლებაში, თანდათან, ნელნელა, დალაგებას დაიწყებს. ეს იქნება ძნელი, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა.

უნივერსიტეტი ოაზისს არ წარმოადგენს. ის იმ არშემდგარი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. მას ამ გარემოს ვერ მოვწყვეტთ. ეს, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. განტევების ვაცად უნივერსიტეტის გამოყვანა მიზანშეწონგილად არ მიგვაჩნია. ის დიდი ხნის მანძილზე განიცდიდა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მძლავრ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ წნეხსს, რამაც გამოიწვია მისი ფუძემდებლური პრინციპების, თავდაპირველი ფასეულობების, დეფორმაცია. ეს არაა მარტო წარსული, ის ვინც ასე ფიქრობს ძალიან ცდება. მისი შორეული ექო დღესაც გაისმის. კომისიის მთელი საქმიანობა, ვფიქრობთ, ამის მკაფიო დადასტურება უნდა იყოს. რაც უფრო სწრაფად განვთავისუფლდებით ამ მემკვიდრეობისგან ჩვენთვის გაცილებით კარგი იქნება ეს დააჩქარებს პროცესებს. კატალიზატორის როლს შეასრულებს და დაეხმარება ქართული ისტორიოგრაფიას თავი დააღწიოს ამ რთულ ვითარებას. ნელნელა, თანდათანობით, დაალაგოს მდგომარეობა. განვითარდეს. წინ წავიდეს.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს გახმაურებული საქმე გასცდა ისტორიული მეცნიერების ვიწრო წრეს და დიდი რეზონანსი შეიძინა. კომისიის საქმიანობას სამართალმცოდნეობის კუთხით, რომ შევხედოთ, საინტერესო ასპექტი იკვეთება. რა არის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება? სამსახურებრივი სიყალბე? კომისიის საქმიანობა ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს. ამ კუთხით საკითხის განხილვა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.კომისიის მთელი საქმიანობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების და სამსახურებრივი სიყალბის ნაზავს წარმოადგენს, მაგრამ რა გინდა აგო ამაზე ვინმემ პასუხი?

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სიტყვა გაგვექცა და ძალიან გაგვიტაცა კომისიის საქმიანობაზე მსჯელობამ. არ უარვყოფთ. შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს და ცოტა ზედმეტი მოგვივიდა, მაგრამ ამ ხანგრძლივი მსჯელობის მთავარი მიზანი ის იყო, რომ გვეჩვენებინა რა შემთხვევაში ვერ დავაღწევთ თავს კრიზისს და ვერ მოვახერხებთ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების დალაგებას. წესრიგის დამყარებას. სხვაგვარად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარებას, ამაოდ დაუწყებთ ლოდინს და ეს მხოლოდ კიდევ ერთი ლამაზი ილუზია იქნება. ამ ნაბიჯს ასეთი ახსნა, ან როგორც გენებოთ, გამართლება, მოუძებნეთ.

ამ თემაზე ჩვენი მსჯელობის მთავარი კვინტესენციას, დედააზრს, წარმოადგენს.

1. კომისიამ ასე არ უნდა იმუშაოს.

2. კონკურსები ასე არ უნდა ჩავატაროთ.

3. ასე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარება კიდევ დიდხანს გასტანს, ვერ დავალაგებთ და არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, შეუქცევად ხასიათს მიიღებს და კი არ შეჩერდება, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება, არასასურველ მასშტაბებს შეიძენს. ეს დაუშვებლად მიგვაჩნია.

მიუხედავად ამ რთული ვითარებისა ვაიუშველებელი არაფერი არ გვჭირს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. ამ ვითარების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ვიყოთ ოპტიმისტები. არც უამისობაა. როგორც კი გაჩნდება პოლიტიკური ნება, სიტუაცია ნელ-ნელა, თანდათანობით, დაიწყებს დალაგებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, ცხადია, მეცნიერებაში და განათლებაში. რეალურად და არა მოჩვენებით, როგორც ეს დღესაა, გაჩნდება წინსვლის პერსპექტივა, მაგრამ იქნება პოლიტიკური ნება და თუ იქნება როდის იქნება, ეს ცოტა ძნელი სათქმელია. აქ სიმართლე გითხრათ ცოტა პესიმისტურად ვართ განწყობილი. შევძლებთ ამას ხომ ძალიან კარგი. გამოსავალიც გამოჩდება. ვერ შევძლებთ და არც არაფერი შეიცვლება. დარჩება ისე როგორც არის და

ადვილი შესაძლებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა ეს არასასიამოვნო პერსპექტივა თავიდან ავიცილოთ და წინ წავიდეთ, განვითარდეთ. გზა უკან არ არსებობს. დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ. საკმარისია რაც დავკარგეთ.

დასასრულს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელზეც ან საერთოდ არაფერი არ იწერება ან თუ იწერება ძალიან ცოტა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მასზე არაფერი წაგვიკითხავს. ამიტომ ამ საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. საქმე ეხება მთავარს და არსებითს. მეცნიერის მოტივაციას, რასაც არ გადავაჭარბებთ და ვიტყვით, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი წინსვლა-განვითარების საქმეში და ხელს უბიძგებს მეცნიერების მწვერვალებისკენ საიერიშოდ. მე ამ თემაზე სხვისი სახელით ვერ ვილაპარაკებ დე ჩემმა კოლეგებმა თვითონ თქვან თავისი სათქმელი. მე ჩემი სათქმელი და გულისტკივილი გამაჩნია და მასზე ვისაუბრებ. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ მე როგორც ლექტორს და მკვლევარ ისტორიკოსს დღეს არავითარი მოტივაცია არ გამაჩნია, არც სულიერად და, რა თქმა უნდა, არც მატერიალურად. ასეთი ანაზღაურება ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში, რომლებსაც ჩვენ ვითომც ვცდილობთ მივბაძოთ, დამლაგებლებს აქვთ. აღსანიშნავია, რომ ეს მიმბაძველობა ცალმხრივ ხასიათს ატარებს და მათ იმაში ვბაძავთ რაშიც არ უნდა მივბაძოთ, რისთვისაც ჯერ მზად არ ვართ და არ ვბაძავთ იმაში, რაშიც უნდა მივბაძოთ. შედეგი სახეზეა. კონკურენტუნარიან გარემოზე გადასვლის მცდელობა, ცხადია, ძალიან კარგია და ევროპული ფასეულობაა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა რეალობა ჯერ კიდევ ძლიერია. გათანაბრების პრინციპი ამის გამოძახილია. ცუდსა და კარგს შორის განსხვავება უნდა არსებობდეს. უხარისხო პროდუქციამ ლამის წალეკოს ყველაფერი. ფული გაქვს წიგნის გამოცემა არაა პრობლემა. ხარისხი არავის ანაღვლებს. ასეთი განუკითხაობის პირობებში ვითარების დალაგება გაგვიჭირდება. ადვილი გზით სიარული მოტრფიალეებს მწვანე შუქი არ უნდა მიეცეს. ისტორია რთული მეცნიერებაა. ისევ ისე, და ეს უკვე მერამდენედ, გა-

ვიმეორებთ XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმენის სიტყვებს. „ისტორიკოსისი სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. რატომღაც ქართველმა ისტორიკოსების ერთმა დიდმა ნაწილმა, ეს სიტყვები მიივიწყეს და პრიორიტეტულად ადვილი გზით სიარული დაისახეს. რა შედეგი მოუტანა ამან ქართულ ისტორიოგრაფიას ეს სახეზეა და დღეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამის შედეგს ვიმკით. ადვილი გზით სიარულითს-დიდი წარმატებისთვის არავის მიუღწევია. ყოველ შემთხვევაში მე რატომღაც არ მახსენდება. თუ მკითხველი შემახსენებს ამას ჩემს სიტყვებს უკან წავიღებთ. სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დღეს ამ ვითარების დალაგება გაცილებით უფრო ადვილი იქნება, ვიდრე რამდენიმე წლის შემდეგ. ხელსაყრელი შანსი ჯერ კიდევ არსებობს და მოდით ამას ხელიდან ნუ გაუშვებთ. დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ. უპატიებელ შეცდომას ნუ ჩავიდენთ. მერე გვიან იქნება. მდგომარეობა რთულია, მაგრამ გამოუვალი არაა. ნუ გადავაქცევთ მას ასეთად. ეს დაუშვებელი იქნება.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არც საბჭოთა და არც პოსტსაბჭოთა წლებში ჩემი პროფესიული და ადამიანური ღირსებები არც არავის არ ჭირდებოდა და არც არაფერში გამომადგა. პირიქით, მან გაცილებით უფრო მეტი უსიამოვნება მომიტანა და მრავალ სკანდალში გამხვია. ხოლო ის რასაც ჩემგან ითხოვდნენ მე არაფერში არ მჭირდებოდა და არ მაინტერესებდა. ის არც არავის ჭირდებოდა. არც სახელმწიფოს, არც უნივერსიტეტს, არც განათლების სისტემას და არც მეცნიერებას. ამან კიდევ ერთხელ დამანახა, რომ დღეს საქართველოში პროფესიონალიზმი ჭირდებათ მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. ასეთია სამწუხარო რეალობა. დღეს საქართველოში ამ სფეროში არსებული სავალალო მდგომარეობის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. საკვირველი ის კი არაა რომ ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, არამედ საკვირველი ის იქნებოდა, რომ ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავით.

მთელი ჩემი საქმიანობის მანძილზე დავა მქონდა ერთ უდავო საკითხზე. უცოდინარს ნიშანი არ უნდა დაუწეროთო. ოპონენტე-

ბი, რომელიც საკმაოდ მრავლად მყავდა მეუბნებოდნენ „შენ რა განაღვლება დაუწერეო“. მერე რატომ უკვირთ კვალიფიცირებული სპეციალისტების დეფიციტი და გამწარებული რატომ დაეძებენ მას. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გაუსწოროთ. სირაქლემას პოზიციის დაკავება საქმეს არ შველის. ეს გამოსავალი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა მე დღესაც ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. მართალია, საწყისი ღირებულებები გაუფასურებულია, მაგრამ მე თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, პროფესიული თვალსაზრისით, ჩემ არჩევანში არაფერს შევცვლიდი. მხოლოდ ვისურვებდი ცოტა ნორმალურ სახელმწიფოებში მეცხოვრა და ჩემი პოტენციალი უფრო უკეთესად გამომეყენებინა. საზოგადებისათვის მეტი სარგებლობა მომეტანა.

მე ამ უნივერსიტეტში არ მოვსულვარ. მე სულ სხვა უნივერსიტეტში მოვედი. ის უნივერსიტეტი უკვე კარგა გვარიანადაა შეცვლილი. მისმა თავდაპირველმა ღირებულებებმა, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევის შედეგად, მკვეთრი დეფორმაცია განიცადა. თავდაპირველმა სულიერმა და ეროვნულმა ფასეულობებმა, თანდათან სულ უფრო უკან პლანზე გადაიწია. ის ჩაანაცვლა სულ სხვა პრინციპებმა, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროტექციამ, კორუფციამ და ნეპოტიზმმა. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ხანგრძლივი ზეწოლისა უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მაინც შეძლო რაღაც ფასეულის, დაახლოებით 12-15%, შეიძლება, ცოტა უფრო მეტის, გადარჩენა და ეს დამაიმედებელია.

ყველა ოცნება შევისრულე. რაც მინდოდა ყველაფერს მივაღწიე, მაგრამ რა ფასად. პერმანენტული უსამართლობის პირობებში, როდესაც კვალიფიცირებული შრომა არ ფასობს. ცხოვრება და საქმიანობა მოგვიწია ორ უაღრესად ცუდ პერიოდში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წლებში, როდესაც ყველაფერი ეს გაუფასურებული იყო, წარსულს ჩაბარდა. ამან, ბუნებრივია, გული გვატკინა. მიღწეული გააუფასურა, ჩრდილმა დაფარა. ჩემს საკანდიდატო დისერტაციის დაცვით გამოწვეულ სიხარულს ჩრდილად გადაეფარა უსამართლო მოპყრობა უცხოენების ინსტიტუტში, ხოლო სადოქტორო დისერტაციის დაცვით განპირობებული

სიხარული დაჩრდილა უნივერსიტეტიდან გაგდებამ. „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო, კარგად შესრულებული სამსახურისათვის“. ეს საბჭოთა რეალობა.

საბჭოთა რეალობისადმი ჩემი დამოკიდებულება უაღრესად ნეგატიურია და მე ის მძულს, ხოლო პოსტსაბჭოთა წლებისადმი ჩემი დამოკიდებულება კრიტიკულია. ვფიქრობთ, ეს საინტერესოა და ჩვენს მსჯელობაში კიდევ ერთი ახალი შტრიხი ჩნდება და მას პოლიტიკური პამფლეტის ელფერს ანიჭებს. „რასაც დასთეს იმას მოიმკი“. წესიერად ცხოვრების უფლება არ მომცეს, სხვაგვარად მე არ მინდოდა. ეს ჩემი ბრალი არაა. იყო ასეთი დრო „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“.

ნიკოლო მაკიაველი ამბობდა „უანგარობის და პატიოსნების ერთად ერთი საზღაურია უმადურობა“. „გემი იძირება, მაგრამ ყველაფერი კარგადაა“. ამ პირობებში აგერ უკვე 102 წელის ვცხოვრობთ. როდემდე? „ნგრევა შენების სახელით“ უნდა შეჩერდეს. ალტერნატივა არ გააჩნია, წინ უნდა წავიდეთ და არა უკან.

## ლიტერატურა

1. მ კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.

2. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.

3. მ. კალანდაძე, გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს? საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, თბ., 2012.

4. მ. კალანდაძე, საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადაისრიალა, საისტორიო ძიებანი, X-XI, თბ., 2008.

5. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4 და 5.

6. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბ., 2004.

7. ვ. გურული, ჯვარცმული უკვდავება და ჯვარმცემელთა სირცხვილი, თბ., 2011.

8. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი. (ახლებური წაკითხვის ცდა), თბ., 1999.

9. გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ცისკარი, 3-4. 1995.

10. დ. ცინცაძე, ეს ჩვენი ისტორიაა, თბ., 2003.

11. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.

12. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა გეოგრაფია, თბ., 2002.

13. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

14. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია გეოგრაფია კულტურა, თბ., 2005.

15. М. Каландадзе, Фридрих Шиллер и проблемы новой истории, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1988.

16. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

17. Н. Кигурадзе, От авторитаризма к демократии, кризисс общественно-политиченской структуры каизеровекого реиха (последние годы первой мировой воины), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических нгаук, Тб., 1990.

18. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ. 2011.

19. გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001.

20. ნ. ხონელიძე, „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი". ტერმინის შინაარსობრივი ასპექტების გარკვევისა და დაზუსტებისათვის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 16. თბ., 2013.

21. ი. ჭავჭავაძე, თხზულებები, ტ. VIII, გვ. 254-255.

22. „ივერია", 1898, № 23.

23. გ. ბოლოთაშვილი, ნ. კიღურაძე, ვ., მეძმარიაშვილი, უახლესი ისტორია. 1918-1991. IX კლასის სახელმძღვანელო. თბ., 2005.

# დასკვნა

ამრიგად, დასკვნაში შევეხებით ორ საინტერესო და აქტუალურ თემას. 1. რა სიახლეს შეიცავს ნაშრომი და 2. შევეცადეთ ქართული ისტორიოგრაფიის ამ მონაკვეთის გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დაგვედო, ვიდრე ეს აქამდე იყო. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები წამოვწიეთ წინ. ამან ჩვენს მსჯელობას პოლემისტური მუხტი შეძინა, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ ამ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა, რომელიც დღეს მოძველებულია, დაზუსტებას მოითხოვს, სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის სულ სხვა მიდგომა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. საბჭოთა მიდგომა იყო უაღრესად ტენდენციური და ცალმხრივი,ყოველგვარ მეცნიერულ, საფუძველსაა მოკლებული. ძალზე ხისტად მიგვაჩნია, ძირშივე მცდარია და რაც ყველაზე მთავარია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს საბჭოთა ხედვა ჩამოიშალა. გაკოტრებულია. სრული ფიასკო განიცადა.

ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის შესწავლა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური განხილვის საგნად გვექცია. ამან საშუალება მოგვცა საინტერესო დასკვნები გაგვეკეთებინა და ამ დარგის განვითარების სულ და გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დაგვედო. ჩვენ შევეცადეთ ეს საერთო მიდგომა კონკრეტულ საკითხებზე გაგვევრცელებინა. მკითხველს ძალიან მოკლედ შევახსენებთ ნაშრომის ძირითად დებულებებს:

1. ნაშრომის მთავარ კვინტესენციას, დედააზრს, წარმოადგენს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში სრულიად იგნორირებული იყო, უკვე აღარავის ახსოვდა. გაქრა, გაუჩინარდა, თითქოს არც კი არსებობდა. მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია და თვით სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაც კი, ნაკლებად იყო ცნობილი. საბჭოთა წლებში ის ტაბუდადებულ თემად იქცა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ჩვენ ვცადეთ ამ სახელმძღვანელოებისათვის მივიწყების სქელი მტვერი გადაგვეწმინდა, დღის სინათლეზე გამოგვეტანა და დაუბრუნეთ არსებობის უფლება. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ, ან ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. ეს საინტერესოა და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამ ცვლილებების მნიშვნელობის არც შეუფასებლობამ, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში და არც აპოლოგეტური შეფასება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მთავარი, სწორედ, ის არის, რომ იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და კარგად იკითხება. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება უადგილოა. ამდენად, ირკვევა, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოასწრო თავისი მცირე კვალის დაფიქსირება საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში, ამ გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან, უმთავრესად, ასახვა მოასწრო ამ წლებში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. სულ ეს იყო რისი გაკეთება მოასწრეს, რა თქმა უნდა ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ პატარა საქმე არ ყოფილა. მეტის გაკეთება, უბრალოდ, ველარ მოასწრეს არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური  კატაკლიზმები, ქართული ისტორიოგრაფიის სწორი, მეცნიერული, გზით განვი-

თარება გაგრძელდებოდა და ის წინ წავიდოდა. მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართება და ქართული ისტორიიგრაფიის  განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ეს არ იყო თავდაპირველი გზის გაგრძელება ეს უკვე სულ სხვა გზა იყო

2. ვცადეთ ობიექტურად გაგვეშუქებინა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. გვინდოდა თავიდან აგვეცილებინა ორივე უკიდურესობა საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა პერიოდში ანდაც მისი შეუფასებლობა, რომელიც ზოგჯერ წამოყოფს თავს პოსტსაბჭოთა სივრცეში ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო გზის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა. ხაზი გაუსვით როგორც შუქს, ისე ჩრდილს. და შევეცადეთ შეიძლებისდაგვარად აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები. სწორედ, ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამას არც არავინ უარყოფს. ეს ერთი პლუსია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაშია არსად არ გამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს მაგრამ, როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, აქაც და სხვაგანაც, მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წმინდა თეორიული, მეთოდოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება ამის ლოგიკური გაგრძელება იყო. ჩრდილი მეტია შუქზე ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, სტალინის ძალისხმევით, ის ცხადდება ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნება, ამ გზას ჩიხში მივყევართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ.

3. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის გაშუქების პირველ, თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობას, ის არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ადვილი საქმე ნამდვილად არ იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჩვენ ვცადეთ მოგვეძებნა საშუალედო ხაზი. ხაზი გაუსვით მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ყურადღება მივაპყარით მის გამომწვევ მიზეზებს. ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი მდგომარეობა, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცებულა და, პირველ ყოვლისა, იმ არასახარბიელო მემკვიდრეობასთან უნდა ასოცირდებოდეს რომელიც წილად გვხდა ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან და პოზიტივსიტური ისტორიოგრაფიისაგან. ამ უკანასკნელის მნიშვნელობის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას, ვერ შეგვიქმნის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც კი ისტორიას გავათავისუფლებთ, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან, ხელში სწორედ პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვრჩება, მისთვის დამახასიათებელი ვიწრო ემპირიზმით, შიშველი ფაქტოლოგიით, ისტორია თხრობით, უპრობლემო ისტორიით. პოზიტივსიტური ისტორიოგრაფიის რუტინა საკმაოდ ძლიერია და მისგან გათავისუფლება სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ამისთვის სასურველი იქნებოდა, ისტორიკოსმა დააფიქსიროს თავისი ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური პოზიცია. მას მოუხდება თავის მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური პრინციპების და ორიენტირების გადახვევა. ამისათვის საჭიროა არა პალიატური ზედაპირული, ცვლილებები, როგორც ეს ხდება დღეს, არამედ სიღრმისეული, ძირფესვიანი, რადიკალური გარდაქნები. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რამდენად არის ამისთვის მზად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია? ჩვენი აზრით, ამგვარი სერიოზული

ცვლილებებისათვის ქართული ისტორიოგრაფია ჯერ სათანადოდ არაა მზად. ეს ადვილი გასაგებია. ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. ჩვენი აზრით, სწორი გზა არ ავირჩიეთ. პრიორიტეტულად ადვილი გზით სიარული დავისახეთ. ვერ შევიმუშავეთ ისტორიული გამოკვლების შეფასების მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი. ეს ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებს ხელფეხს უხსნიდა. ასე ვითარების დალაგება ძალიან ძნელი იქნება. თამასა ძალზე დაბალ დონეზეა დაშვებული.

როგორც გვგონია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე. უნდა ითქვას, რომ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი. ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს და არა უნდა ჩამორჩეს. საკმარისია რაც ჩამოვრჩით საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია იზოლირებული იყო და თავის თავში აღმოჩნდა ჩაკეტილი. ეს, ცხადია, ძალიან ცუდია. მისი განვითარება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა და მეტი წინ არ წასულა. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, თუ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას განაპირობებდა, ის სიახლეები და ნოვაციები, რომელიც ხდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში, ქართული ისტორიოგრაფიის განავითარებას განსაზღვრავდა პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელიც უფრო ხშირად ხელს კი არ უწყობდა მის წინსვლა-განვითარებას, არამედ აფერხებდა მას. მთავარი განსხვავება ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიას შორის, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ჩვენი აზრით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება არა სიღრმეში, არამედ სიფართოვეში, პრიორიტეტული რაოდენობრივი და არა თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილებები. რაოდენობრივი ცვლილების თვისებრივში, ხარისხო-

ბრივში, გადაზრდის პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს დროში, მეტად გაიწელა და ვარავინ იტყვის როდის დასრულდება. ასე გვესახება ჩვენ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები და მისი გამომწვევი მიზეზები.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ საკითხისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება მეტად ემოციური იყო და გარკვეული ეიფორიული განწყობილება იგრძნობოდა. რაც, მნიშვნელოვანწილად, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დასრულებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ცხადია, ამაში იყო ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი, რაც ამ ემოციური განწყობილების დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქმე მთლად ასე მარტივად არ იყო. პრობლემა მხოლოდ ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაში არ იყო. ეს მხოლოდ ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: ერთი ეს გახლავთ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრობლემა, რომელიც, რატომღაც, ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა და მეორე. ისტორიის თეორიული საკითხები: მეთოდოლოგია, გნოსეოლოგია, ეპისტემოლოგია, ისტორიის შემეცნება, რომელიც არც წინათ და არც ახლა, იშვიათი ბედნიერი გამონაკლისის გარდა, ქართველი ისტორიკოსების დიდ ინტერესს არ იწვევდა. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ქართული ისტორიოგრაფია ამ თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებებისათვის სათანადოდ არ აღმოჩნდა მომზადებული და შეიძლებოდა ამ მონაკვეთის უფრო ნაყოფიერად გამოყენება. მხედველობაში გვაქვს კარდინალური ცვლილებებისათვის ნიადაგის შემზადება, ამისათვის წინაპირობის შექმნა. ბევრი დრო დავკარგეთ. ამიტომ მარტო საბჭოთა რეალობაზე ხელისშეწმენდა სამართლიანი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

ის პერმანენტული უსამართლობა, ყველაფერი ის რაზეც ასეთი გულისტკივილით გვქონდა საუბარი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთი-

ლი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მასში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკლი მოჩანს.

ავტორის წინაშე ორი სერიოზული ამოცანა დგას. თვალი გაადევნოს ქართული ისტორიოგრაფიის ევოლუციას XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ეს გახლავთ საკმაოდ საპატიო და რთული მისია. განსაკუთრებით აქცენტი კეთდება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაზე. ხაზგასმულია მისი შუქჩრდილდები და შეძლებისდაგვარადაა ახსნილი მისი გამომწვევი მიზეზები. აღნიშნულია, რომ მდგომარეობა რთულია, მაგრამ ვაიუშველებელი არაფერი გვჭირს. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. გამოსავალი არსებობს. მას ორი მხარე გააჩნია. პოლიტიკური და წმინდა აკადემიური. პირველი ითვალისწინებს ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც გაუჩნდება პოლიტიკური ნება დაალაგოს შექმნილი ვითარება. ამას მოყვება მენტალური ცვლილებები. ძველი მენტალიტეტი აღარავის დაჭირდება. მას ყავლი გაუვა და მოძველდება. აქცენტი გაკეთდება არა შრომების რაოდენობაზე, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ხარისხზე. მთავარი იქნება არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები. ეს კი თავის მხრივ დააჩქარებს რაოდენობრივი ცვლილებების, თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესს. ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესი შეიძენს არა ილუზორულ ხასიათს, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ, არამედ ჭეშმარიტად რეალურ ფორმას მიიღებს. პრიორიტეტული შეიქმნება საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომლის დეფიციტი დღეს შესამჩნევია. ეს ერთი პოლიტიკური მხარე. ახლა მეორე წმინდა აკადემიური.

უნუგეშო მდგომარეობა არც აქ გვაქვს. გამოსავალი სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა. პირველ ყოვლისა უნდა შევიმუშაოთ სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების, მკაცრი, ობიექტური, მეცნიერული კრიტერიუმი. სხვაგვარად არც არაფერი გამოვა. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეებს მწვანე შუქი არ უნდა მივცეთ. ფერისცვალება შეეხება განათლების სისტემასაც. განათლება უფრო ხარისხიანი გახდება. აქცენტი გაკეთდება ცოდნაზე და არა დიპლომზე. ფულს გადავიხდით სწავლაში და

არა უსწავლელობაში, როგორც ამას მიჩვეულები ვართ. მთავარი იქნება ცოდნა და არა დიპლომი. ისინი ურთიერთშესატყვისობაში იქნება მოყვანილი. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. სხვაგვარად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას ვერ დავალაგებთ და იქნება სულ ასე, თუ კიდევ უარესობისაკენ არ შეიცვალა. რისი დიდი ალბათობაც ნამდვილად არსებობს. ეს საკითხის პოზიტიური მხარე.

მოდით არ გამოვრიცხოთ მეორე მხარე ნეგატიური. ცალმხრივობაში, რომ არ აღმოვჩნდეთ. ამ ვარიანტის ალბათობაც უნდა დაუშვათ. რა შემთხვევაში შეიძლება ვერ დავაღწიოთ თავი კრიზისულ მდგომარეობას? მასაც ორი ასპექტი გააჩნია. პოლიტიკური და აკადემიური. დავიწყოთ პირველით, რადგან იგი ყოველთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. გამოვიდეთ იმ პოსტულატიდან, რომ არშემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს ხარისხიანი განათლების სისტემა და მაღალგანვითარებული მეცნიერება. უბრალოდ ეს მას არ ჭირდება. ასეთ პირობებში ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარება ძნელი იქნება, რომ დავალაგოთ. კი სურვილი იქნება, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ამიტომ არშემდგარი სახელმწიფოს პირობებში ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარებას, ამაოდ დაუწყებთ ლოდინს და ეს მოხდება მხოლოდ სიტყვით. შეიქმნება ამის ილუზია და სხვა მეტი არაფერი, რაც, სხვათა შორის, დღეს კიდეც ხდება. ეს თავის მოტყუებაა და სხვა მეტი არაფერი. არშემდგარ სახელმწიფოს არ ძალუძს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი გამოძებნოს. ამიტომ უპირველესი ამოცანაა ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს, ჩამოყალიბება. გაჩნდება პოლიტიკური ნება. ცვლილებები მენტალურ ხასიათს შეიძენს. აქტუალური გახდება საკითხისადმი, სახელმწიფოებრივი მიდგომა. რომელიც დღეს უბრალოდ არ გაგვაჩნია. მკვეთრად გაუმჯობესდება სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხი. უხარისხო პროდუქცია აღარ იქნება დომინანტი. ადვილი გზით სიარულის მოტრფიალენი ისე ველარ გაილაღებენ, როგორც ეს ხდებოდა არშემდგარ სახელმწიფოში. ერთი სიტყვით, არშემდგარი სახელმწიფო დღეს ქართულ ისტო-

რიოგრაფიაში არსებულ ვითარებას ვერ დაალაგებს. უბრალოდ მას არ გააჩნია ამის რესურსი. პოლიტიკური ნება.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს რომელიც საინტერესოა და ფრიად აქტუალურად მიგვაჩნია. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ერთი ტენდენცია, რომელიც თავის მართლებას ისახავს მიზნად და საქართველოში განათლების სისტემაში არსებული პრობლემების უცხოელებისთვის გადაბრალებას ცდილობს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. საქმე საკმაოდ მარტივადაა და მისი გართულება, ცხადია, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩვენ უცხოელებს ვეუბნებით, რომ ვართ არშემდგარი სახელმწიფო. ისინიც ამაზე ძალიან მარტივად გვპასუხობენ. არშემდგარ სახელმწიფოს არ ჭირდება მაღალგანვითარებული მეცნიერება და ხარისხიანი განათლება. ამაში არის ლოგიკა. ჩვენ კი ამაზე ვბრაზდებით. წმინდა ემოციურად ეს გაბრაზება გასაგებია, მაგრამ ემოციები გადავდოთ გვერდზე. საქმის ვითარება სულაც არაა ისე მარტივად, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ასე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საბჭოთა რეალობაში ჩავრჩით და ისეთი განათლება გვსურს როგორც ეს მაშინ იყო. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ეს არარეალურია, წარსულია. განვლილი ეტაპია. ურაპატრიოტული განწყობილება და ზედმეტი ამბიციები უადგილოა. სასურველია საკითხს მიუდგეთ წმინდა პრაგმატულად. ეს დაგვეხმარება სწორი გზის მოძიებაში. სწორედ უნდა აულოთ ალღო შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებას და უნდა გამოვიდეთ აწმყოდან და არა წარსულიდან, როგორც ეს, შეიძლება, დღეს ხდება. ჩვენ გვინდა ვიყოთ არშემდგარი სახელმწიფო, მაგრამ, გვინდა გვქონდეს ისეთი განათლება, როგორც იყო საბჭოთა კავშირში. შეიძლება უფრო უკეთესი. სურვილი, ცხადია, მისასალმებელია, მაგრამ რამდენად შეესაბამება იგი შეცვლილ პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ? აი ეს არის მთავარი საკითხი. იკვეთება ორი რეალობა. პირველი. ან ვიქნებით არშემდგარი სახელმწიფო, რომელსაც არ ჭირდება ხარისხიანი განათლება და განვითარებული მეცნიერება და უნდა შევეგუოთ ამ აზრს. ან უნდა წავიდეთ მეორე გზით, რომელიც

გაცილებით უფრო პერსპექტიული და სწორი უნდა ჩანდეს, მაგრამ ძალიან რთულია. მხედველობაში გვაქვს შევქმნათ ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფო, სადაც იქნება ხარისხიანი განათლება და განვითარებული მეცნიერება. ჩვენ ეს მეორე გზა გაცილებით უფრო მისაღებად გვესახება, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე და დიდი ძალისხმევა და დრო დაჭირდება. (ძალიან ბევრი დრო გვაქვს დაკარგული) ჩვენ კარგად ვიცნობიერებთ ამას, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია. სხვაგვარად ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას ვერ დავალაგებთ. კიდევ ერთხელ ვიტყვი ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენი აზრით, ეს არის რეალობა. მოგვწონს თუ არ მოგვწონს. ეს უკვე სულ სხვა საკითხია და მეცნიერული განსჯის საგანია.

ეს საქმე, პირველ ყოვლისა, ჩვენი გასაკეთებელია. სხვა ამას ჩვენს მაგივრად არ გააკეთებს. აქ მიმბაძველობა სასურველი არ იქნებოდა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელსაც სულ ახლა ხანს ქონდა ადგილი და თუ მას დროზე არ მივხედავთ, შემდეგ ძალიან გვიანი იქნება და ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს შეიძენს, კატასტროფამდე მიგვიყვანს, თუ უკვე არ ვართ მისული. საქმე ეხება კანონს, რომ სტუდენტს აქვს უფლება ლექციას უნდა დაესწროს და უნდა არა. გვიპასუხეს ასეა ევროპაშიო. პირადად ჩვენ ამაში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა რამდენად ვართ ამისათვის ჩვენ მზად? მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენ ამისათვის მზად არ აღმოვჩნდით. ამის გათვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეს არის მცდარი ნაბიჯი. აუდიტორიები სწრაფად დაცარიელდა. ერთმა სტუდენტმა პირდაპირ მითხრა. „მე არ ვარ ვალდებული ლექციაზე ვიარო“, კი ბატონო ხმა ვერ ამოვილე. ამიტომ არ გაგიკვირდეთ სამსახური რომ მიხვალთ თუ აუდიტორია ცარიელი დაგხვდებათ. საინტერესო, რაღა ამაში ვბაძავთ ევროპას. მივბაძოთ მაგალითად, მაღალ ანაზღაურებაში, მაგრამ ეს ასე არაა. პასუხი გამზადებული აქვთ. არ გვაქვს საშუალება. კომიკური სიტუაციაა. მივბაძოთ საპენსიო უზრუნველყოფაში.

კიდევ ერთი საინტერესო სურათი იკვეთება. სტუდენტი ლექციაზე არ დადის, წიგნს არ კითხულობს, მაშინ საიდან იღებს ცოდნას. ინტერნეტიდან. კი ბატონო ის ინფორმაციას იღებს, მაგრამ მას ხომ წაკითხვა უნდა. დღეს ინფორმირებულობა უფრო მეტია ვიდრე ცოდნა. ზედაპირულობა მოდური გახდა. კარგი სტუდენტები იყო ადრეც, არის ახლაც და იქნება მომავალშიც. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არ იყოს. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ცუდ სტუდენტებზე. ისინი იყვნენ წინათ, არიან დღესაც და იქნებიან მომავალში. მთავარი საზომია საშუალო დონე. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ბოლო წლებში, სწორედ, საშუალო დონის მკვეთრ დაქვეითებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ეს დამაფიქრებელია და თუ დროზე არ მივხედეთ მას, მერე გვიან იქნება და როგორც დიდი პოეტი დავით გურამიშვილი იტყოდა „დავრჩებით შვილთაგან ჩვენთა გინებით მოსაგონარი“. (სტუდენტი ძალიან მაგონებს პატარა ბავშვს. როდესაც მას ჰკითხეს, რატომ ტირიო? – მიუგო, გამდის და ამიტომო).

ახლა ყბადაღებულ არგუმენტზე ასეა ევროპაში. ვინ გითხრათ ეს. ამის მსგავსი იქ არაფერი არ ხდება. კი ბატონო იქ არის თავისუფალი დასწრება და როგორც ვთქვით პირადად მე ეს ძალიან მომწონს, მაგრამ როგორც ჩემი ერთი ახლობელის შვილებმა მითხრეს, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ, მათ აქვს მაღალი კულტურა და საკითხს პროფესიულად უყურებენ. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ თუ ცოდნა არ ექნებათ, კონკურენტუნარიან გარემოში მათი ადგილი არ იქნება. სამსახურს ვერ იშოვიან. უმუშევარი დარჩებიან. ამიტომ სწავლას პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან. ეს მენტალურია. ჩვენი მენტალიტეტი სხვაა. ამიტომ აქ მიმბაძველობა დაუშვებელია. ჯერ ერთი არც ერთი ქვეყანა, რომელსაც ვითომ გვინდა მივბაძოთ, არშემდგარ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. ეს ერთი პოლიტიკური მხარე, რომელიც, ვფიქრობთ, რომ გასათვალისწინებელია. მას გააჩნია მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე აკადემიური, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. აქ საქმე მენტალურ განსხვავებაშია. ისინი ამ საქმეს პროფესიულად და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ჩვენ

კი პირიქით. ამ საქმეს უპასუხისმგებლოდ და არაპროფესიულად ვეკიდებით. ცხადია, ყველა არა. ესაა ჩვენი მენტალობა. ისინი სწავლობენ იმისათვის, რომ ცოდნა შეიძინონ. ჩვენ კი ვსწავლობთ ნიშნისათვის, დიპლომისათვის. ორივე მიდგომა წმინდა პრაგმატულია. რომელი ჯობია პირველი თუ მეორე, ამას კითხვა არ უნდა პირველი. სწავლა სტრესია და მისდამი ინდეფერენტული დამოკიდებულება ხელს აძლევს მხოლოდ სუსტ სპეციალისტს, რომლის დეფიციტსაც საქართველო დღეს, სხვათა შორის, ნამდვილად არ განიცდის. ეს გზა ჩიხში მიგვიყვანს, თუ უკვე არ მიგვიყვანა. სწავლა შრომაა, რომელიც გვაძლევს ცოდნას. სხვა გზა უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს, თავს ნუ მოვიტყუებთ. სახელმწიფო იღებს ფულს. სტუდენტი იღებს დიპლომს, ხარისხიანი განათლება კი თამაშგარე მდგომარეობაშია. ასეთია მკაცრი რეალობა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ეიფორიული განწყობილების საფუძველს ნაკლებად იძლევა. ამის დანახვა სულაც არ წარმოადგენს ძნელ საქმეს.

უნებლიეთ გვახსენდება ერთი ფაქტი, რომელიც სატირალი, რომ არ იყოს სასაცილოა. კარგა ხნის წინ ჩემმა უფროსმა კოლეგამ, რომელიც პროფესიით იურისტია, საინტერესო რამე თქვა. „გამოცდას ვატარებ სარკით. სტუდენტს მიუტან სარკეს პირთან. თუ დასუნთქა ძალიან კარგი, ცოცხალია და დაუწერ სამიანს, და თუ არ დააორთქლა, მაშასადამე, მიცვალებულია და, ცხადია, ნიშანს არ უწერ“. ამის შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისაკენ კი არ შეიცვალა, არამედ უარესობისაკენ. რა თქმა უნდა, შეგიძლია ლექციაზე არ იარო. არ ისწავლო, დიპლომი მიიღო და ფორმალურად გახდეს სპეციალისტი. ეს საბჭოთა კავშირის განათლების ქართული ვერსიაა. ამიტომ ისინი ცხოვრობენ, ჩვენ კი ვარსებობთ. თუ დროზე არ გამოვასწორებთ ამ მდგომარეობას მერე გვიანი იქნება და მივიღებთ განათლების კიდევ უფრო დაბალ ხარისხს, ვიდრე ეს დღეს გვაქვს. ეს კი დაუშვებელია. აღმოვჩნდებით მარაზმში. თუ უკვე არ ვართ. ჩვენი დიდი წინაპარი გიორგი ათონელი ამბობდა: „ჩვენ მეზობლებს რიცხვით ვერ ვაჯობებთ, მაგრამ მწიგნობრობით უნდა ვაჯობოთ“. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენ

სულ სხვა, საპირისპირო გზით, მივდივართ და დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო რათა დავინახოთ, რომ ყველაფერი ეს კარგად არ დასრულდება. „განათლების კრახი ერის კრახია“ ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. „კარგ მთქმელს უნდა ყავდეს კარგი გამგონი“. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. სახელმწიფო იღებს ფულს. სტუდენტი იღებს დიპლომს. შენ სამსახურში მისვლაში გიხდიან ხელფასს. მოვა სტუდენტი ჩაუტარე ლექცია, არ მოვა და შენ რა გენაღვლება, ყველა კმაყოფილია. საერთო საქმე ზარალდება. სად მიგვიყვანს ეს ძნელი მისახვედრი სულაც არ გახლავთ. SOS!

***

შეიძლება ითქვას, რომ გასაბჭოებამდელი ქართული ისტორიოგრაფიის რეიტინგი იმაზე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ეს დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა გადასახედიდან მოჩანდა. ეს არცაა გასაკვირი და ის წინამორბედების წვლილისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და საბჭოთა ისტორიოგრაფიის განდიდების კიდევ ერთი ხერხია. გვიმტკიცებდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე თითქოსდა ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგი ბევრი არაფერი არ გაკეთებულა და მისი აღმავლობა იწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ამგვარი აპოლოგეტური მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ჩამოიშალა, გაკოტრებულია. ის ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის ობიექტად გვექცია. ამან საშუალება მოგვცა ამ საკითხის სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დაგვედო. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებამ სულ სხვა დატვირთვა შეიძინა.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფია (1900-1921) შეიძლება წარმოადგენდეს ერთ პერიოდს, რომელიც პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება გაიყოს. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია. შეიძლება დაიყოს ორ პერიოდათ. მათ შორის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა. მისი განვითარება, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონეს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებაში. დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია შეიძლება იყოს. აქ, ბუნებრივია, სავსებით მართლზომიერად წამოიჭრება საკითხი. რამდენად გამართლებული იქნებოდა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიკუთვნება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის? ამ კითხვას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. თუ ივანე ჯავახიშვილი შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელიმე ისტორიულ სკოლას, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ის პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიასთან იქნა მოაზრებული. ჩვენ ეს საკითხი, სწორედ, ასე გვესახება. შეიძლება ის გაცდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს, მაგრამ მასთან შედარებით ყველაზე უფრო ახლოსა უნდა იყოს. ბევრი შეხების წერტილები გააჩნია.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საინტერესო ნიუანსს, რომელიც არსებობს ამ წლებში საქართველოს და მსოფლიო ისტორიის შესწავლას შორის. საქართველოს ისტორიის შესწავლა გაგრძელდა ისე როგორც ეს იყო, არანაირ წყვეტას არ ჰქონია ადგილი. მსოფლიო ისტორიის შესწავლის დროს საქმე გვაქვს წყვეტასთან, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დღის წესრიგში დადგა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა. ეს არ იყო ადვილი საქმე. პრაქტიკულად, ყველაფრის ნულიდან დაწყება

მოუწიათ. ახალი სახელმძღვანელოების გარეშე სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს იყო წმინდა პრაგმატული, პრაქტიული, ნაბიჯი.

საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის შესწავლის კულმინაციად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები გვევლინება. მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ერთ-ერთ წარმატებად მიგვაჩნია. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

1918-1921 წლებში საქართველოში მსოფლიოში ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრეს. პირველი ნაბიჯები სწორედ გადადგეს. კარგად გათვალეს. დასაწყისი ნამდვილად ურიგო არ იყო. რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისამდი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგროსულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ამ სახელმძღვანელოების აპოლოგეტური შეფასება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ორივე უკიდურსობა მიუღებელია. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. წინამდებარე ნაშრომი ამ ოქროს შუაგულის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა. სახელმძღვანელოებში საკითხისამდი ამგვარი მეცნიერული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა და, უმთავრესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, მასში, 1918-1921

წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს, თავისუფალი აზროვნების, გამოძახილს ვხედავთ. მეორეც ერთი, ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა, XX საუკუნის პირველი წლების ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, ექოდ გაისმა. ეს ძალიან მაღალი ევროპული დონე იყო. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, როგორც ეს დომინირებდა საბჭოთა წლებში, უადგილოა. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ისინი იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამ დარგში არსებული ვაკუუმის შევსებით პირველი მცდელობაა. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან. რომელსაც, ჩვენი აზრით ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. ეს სახელმძღვანელოები ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებზე კარგად დააკვალიანებდა და საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება საბჭოთა მიდგომის წისქვილზე ასხამს წყალს.

ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ გარემოებას, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. ფაქტობრივად, ამ სახელმძღვანელოებმა გადაარჩინა ქართული სკოლა მოსალოდნელ კოლაფსს, რისი დიდი ალბათობაც ნამდვილად არსებობდა. ეს არ იყო პატარა საქმე.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის შესწავლის დროს სწორი გზით მიდიოდა, სწორ აქცენტებს სვამდა და, უმთავრესად, იმ სიახლეებსა და ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელიც ხდებოდა ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება მის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში.

როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. იყო ხარვეზები. მიმდინარეობდა მუშაობა მის აღმოფხვრაზე, მაგრამ უკვე ცნობილ მიზეზთა გამო, მათ ამის დასრულება, ბოლომდე მიყვანა, ვეღარ მოასწრეს. ის დაუსრულებელი დარჩათ. ჩვენი აზრით, ისინი სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებოდნენ. ზოგიერთი საკითხის შემდეგი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პოლიტიკური ისტორიის პრიორიტეტი სოციალ-ეკონომიკურ ისტორიაზე და კულტურაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გამოძახილია. ამ საკითხს დაბალანსება ჭირდებოდა. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის მნიშვნელობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საქართველოში იქმნება მსოფლიო ისტორიის შესწავლის პირველი პრეცედენტი, რომელიც ასახვას პოვებს მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც იმდრინდელი ქართული სინამდვილის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამის წაყრუება, როგორც ამას ადგილი ქონდა, საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. იკვეთება საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და კარგად იკითხება. როგორც პირველი მცდელობა. ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. ამიტომ აპოლოგეტური ტონი საჭირო არაა. ამგვარად, საქართველო-

ში მსოფლიო ისტორიის შესწავლა პირველ ნაბიჯებს დგამს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ ცოტა უფრო ადრე. 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ეს მონაკვეთი დიდი ხნის მანძილზე ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა, რაც, ბუნებრივია, ამ დარგის განვითარების რეალურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დავდეთ.

საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა. მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა, რომელიც, როგორც მრავალგზის გვითქვამს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა მიმართულებას იძენს. ამიტომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობის ჰიპერბოლიზაცია, გაზვიადება, რაც ძალუმად შეინიშნებოდა, საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული უნდა იყოს. სინამდვილე ცოტა სხვაგვარი იყო, რომელზეც მაშინ ხმას ვერავინ ამოიღებდა და ტაბუდადებული თემა იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. შევეცადეთ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობისათვის სულ სხვაგვარად და გაცილებით უფრო რეალისტურად შეგვეხედა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი, საბჭოთა წლებში, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა. ეს იყო ერთი უკიდურესობა, რომელიც ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ერთი უკიდურესობი-

დან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ეს სწორი არ იქნება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის უშვერი ლანძღვა გინება, მოთხრა, მიწასთან გასწორება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ამუქებს საქმის ვითარებას. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა, რომელიც უფრო პოსტსაბჭოთა ხანასთან ასოცირდება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ". როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ვარდისფერებში, შელამეზებულად, წარმოჩენა ან შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამ შრომებში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, გამოვლენილი ახალი წყაროები და საარქივო მასალა, საინტერესოა. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მიუღებელია. ჩრდილი დომინირებს შუქზე. ეს საკითხი ჩვენ, სწორედ, ასე წარმოგვიდგენია.

ამან გამოიწვია მისი თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარ არქიტექტორად, სწორედ, სტალინი მოგვევლინა. ისაა მისი მთავარი იდეური სულისჩამდგმელი. სტალინმა კი არ განავითარა მარქსიზმი, როგორც მას ხაზს უსვამდნენ 30-იან 40-წლებში, არამედ მის სახელთან უნდა ასოცირდებოდეს მარქსიზმის ვულგარიზაცია. საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ბოლოს და ბოლოს კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიგრაფიის დონე, მაგრამ ის მარქსისტულ აპკში გაახვია. საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენდა ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჰიბრიდს. მისთვის დამახასიათებელმა ვიწრო ემპირიზმ-

მა, შიშველმა ფაქტოლოგიამ, ისტორია თხრობამ, უპრობლემო ისტორიამ, მარქსისტული ინტერპრეტაცია მიიღო. ისტორიამ როგორც შემგროვებელმა მეცნიერებამ მარქსისტულ-ლენინური იერსახე შეიძინა. განსხვავება მხოლოდ ეს იყო. მათ შორის გაცილებით მეტი შეხების წერტილები არსებობს, ვიდრე ეს აქამდე ეგონათ.

აქვე დავძენთ, რომ დღესაც ბევრ ქართველ ისტორიკოსს-პოზიტივისტების მსგავსად, გონია, რომ ისტორია შემგროვებელი მეცნიერებაა. ეს არცაა გასაკვირი. სავსებით ვეთანხმებით ცნობილ რუს ისტორიკოსს პროფ. არონ გურევიჩს, „ვშიშობთ, რომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის რუტინა ჯერ ისევ განსაკუთრებით ძლიერია“. (1. 120) ესეც, ვფიქრობთ, ამის გამოძახილი უნდა იყოს.

საბჭოთა ისტორიკოსები ილებდნენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებდნენ. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა და ამის გამო მათი გამტყუნება ძალიან ძნელი იქნებოდა. სხვა არჩევანი არ იყო. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი, პრაგმატული, რეალისტური, გამოსავალი. მათ ჩათრევას ჩაყოლა არჩიეს. არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. მათ ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ დარგი გადაარჩინა, ამის ალბათობა საკმაოდ რეალური იყო. ამ კომპრომისის გამო, მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. თუ არა ეს ნაბიჯი მსოფლიო ისტორიაში ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც დღეს გაგვაჩნია მშობლიურ ენაზე. მარქსისტული სტერეოტიპების და სქემების გამო მათი მკაცრად განსჯა სასურველი არაა. ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო სწორი იქნება.

ჩვენი საუბარი მიუახლოვდა ამ წიგნის დასკვნით აკორდს ქართული ისტორიოგრაფია ორი საუკუნის მიჯნაზე. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან

უარყოფითად შეფასება ძალზე სწორხაზოვნად მიგვაჩნია, საკმარისი არ იქნება და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას, ვერ გვიყალიბებს. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ ოქროს შუაგულის მიგნება ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ეს ნაშრომი ამის გაკეთების მოკრძალებული მცდელობაა. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის შუქჩრდილები და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუს-მინუსები ასე გვესახება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს შექმნილი რთული ვითარება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უწინარესად, ორი გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული. ერთი მხრივ, ეს არის ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ხოლო, მეორე მხრივ კი, რა თქმა უნდა, პოზიტივისტული ისტორიოგრაფია. მისთვის დამახასიათებელი ვიწრო ემპირიზმით, შიშველი ფაქტოგრაფიით, ისტორია თხრობით, უპრობლემო ისტორიით. პოლიტიკური ისტორიის პრიმატობით. ის არაა განპირობებული მხოლოდ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიით, როგორც ეს ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილული ნაწილია და გაცილებით უფრო ღრმა ფესვები გააჩნია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიასთან ასოცირდება. ეს მედლის ერთი მხარეა. მას გააჩნია მეორე მხარე. ამ რთული ვითარებიდან გამოსავალის მოძიების საკითხში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მნიშვნელობის შეუფასებლობა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს და ეს პროცესი ცალმხრივ ხასიათს შეიძენს და, რაც მთავარია, ამ რთულ ვითარებას თავს ვერ დავაღწევთ. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ როგორც გავთავისუფლდებით ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისგან ხელში, სწორედ, პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგრჩება.

როგორც ჩანს, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების მცდელობამ გადაფარა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრობლემა. ამან ნებსით თუ უნებლიეთ ამ პროცესს ცალმხრივი ხასიათი შეძინა, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე არსებულ სირთულეებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ჩვენ მასში ვცადეთ გარკვეული კორექტივები შეგვეტანა და კიდევ უფრო დაგვეზუსტებინა. მისი უფრო ადეკვატური სურათი დაგვედო. ფაქტობრივად, გავაგრძელეთ ის ხაზი, რომელიც მონიშნული გვქონდა „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ დღეს მარქსისტულ-ლენინური სტერეოტიპებისაგან და შტამპებისაგან გათავისუფლება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოებისაგან თავის დახსნა. ამიტომ ამ ფაქტორის მნიშვნელობის შეუფასებლობა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს სწორი ნაბიჯი არ იქნება. დღეს ქართულ-ისტორიოგრაფიაში ძალიან ბევრი საინტერესო გამოკვლევა იწერება, ამის უგულებელყოფა მართებული არ იქნებოდა, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში და სავსებით აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. ამაში, ცხადია, ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი. ქართული ისტორიოგრაფია კი არ უნდა ჩამორჩეს, საკმარისია რაც ჩამოვრჩით, არამედ წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. ამ საქმეში კი პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, უნდა ითქვას, რომ მოკავშირედ ვერ გამოგვადგება. ერთი ვიწრო-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის არასახარბიელო მემკვიდრეობის ბოლომდე დაძლევა ქართული ისტორიოგრაფიის ნომერ პირველ ამოცანად უნდა დავსახოთ. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რომელსაც გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გადავლახოთ ეს მოჯადოებული წრე?

რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ასეთი ადვილი საქმე. პირველ ყოვლისა, ამისათვის საჭირო იქნება არა პალიატური, ზედაპირული, გარდაქმნები, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ძირფესვიანი, საფუძვლიანი, რადიკალური რეფორმები. ის ასოცირდება არა ვიწრო ემპირიზმთან და ფაქტოლოგიასთან, არამედ, უწინარესად, უკავშირდება, ისტორიის თეორიულ საკითხებს, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიის მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეპისტემოლოგიის, ისტორიის შემეცნების, პრობლემატიკას, რომლის მიმართაც ქართველი ისტორიკოსები, როგორც წინათ, ისე ახლა, რბილად, რომ ვთქვათ, გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. გარდაქმნა გამოიხატება არა უბრალო რაოდენობრივ ცვლილებებში, როგორც ეს ზედაპირზე ძევს, არამედ „უკავშირდება არსებული სტერეოტიპების და შტამპების არსებით რღვევას. კვლევის მეთოდების სერიოზულ ტრანსფორმაციას. ისტორიკოსს მოუწევს ძირფესვიანად გადასინჯოს თავისი მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური პრინციპები და ორიენტირები. მთელი ამ პროცესის ყურადღების ცენტრი დგას თავად ისტორიკოსი“.

ისტორია არაა შემგროვებელი მეცნიერება, როგორც ამას პოზიტივისტები ფიქრობდნენ. ეს არაა უპრობლემო მეცნიერება. ეს მისი გუშინდელი დღეა. ისტორიული მეცნიერება ძალიან წინ წავიდა და ჩვენ კი, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ჩამოვრჩით, ჩავრჩით ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ფარგლებში. საბჭოთა რეჟიმის ძალისხმევით იზოლაციაში აღმოვჩნდით. ფეხი ვერ აუწყვეთ იმ სიახლეებს რომელიც ხდებოდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და ერთის მხრივ უკავშირდებოდა ნეოკანტიანელების ეპისტემოლოგიურ ძიებებს და მეორეს მხრივ კი ისტორიულ მეცნიერებაში „კოპერნიკისეულ გადატრიალებას“, რომელიც, პირველ რიგში „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების და, უწინარესად, რა თქმა უნდა, მათი დამაარსებლების ლუსიენ ფევრის და მარკ ბლოკის ძეიებებთან არის დაკავშირებული. მათ მოახდინეს ძირფესვიანი გადატრიალება ისტორიკოსის პროფესიაში, რაც იმით გამოიხატა, რომ სრულიად შეცვალეს ისტორიკოსის დამოკიდებულება

კვლევის ობიექტისადმი. მათ „უპრობლემო ისტორიას“ რომელსაც ქადაგებდნენ პოზიტივისტები, დაუპირისპირეს „ისტორია პრობლემა“. ეს სიახლეა. ისტორიული მეცნიერების ხვალინდელი დღეა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ან არაფერი არ კეთდება ან თუ კეთდება ეს ძალიან ცოტაა. დაბალი ხარისხისაა, უფრო კომპილაციაა, ვიდრე მეცნიერული კვლევა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით პოტენციალი არსებობს. საჭიროა მისი რეალიზება. გაკეთებული ცოტაა. გასაკეთებელი ძალიან ბევრია. (2.278. 3.22-34).

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა ადვილი საქმე არ იქნება და დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა რამდენად არის მზად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ამ თვისებრივ-ხარისხობრივი, ძვრებისთვის, კარდინალური ცვლილებებისათვის? ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფია, ასეთი რადიკალური ცვლილებისათვის, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, იმედი მაინც ბოლოს დავიტოვოთ, მზად არ არის. ეს არცაა გასაკვირი დიდი ხნის განმავლობაში სწორი გზით არ მივდიოდით. ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. პირველ ყოვლისა, ამისთვის საჭირო იქნება ახალ ყაიდის ისტორიკოსი. ვინ უნდა აღზარდოს ის? რა თქმა უნდა, სკოლამ და უნივერსიტეტმა. კი ბატონო პასუხი ძნელი არაა. სწორია. ის ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულაც არაა ისე მარტივად, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ის, პირველ ყოვლისა, იმ რთულ ვითარებასთან ასოცირდება, რომელსაც ადგილი აქვს განათლების სისტემაში.

საბჭოთა განათლების სისტემა იყო ძალიან კარგი და მას ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი, რომლის აღმოფხვრა საჭირო იყო. თანამედროვე განათლების სისტემა მარაზმია. მათ შორის მთავარი განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს, ეს გულისტკივილი ლაიტმოტივად გასდევს მთელ წიგნს. საბჭოთა განათლების სისტემის დადებითი მხარეები სადღაც გაქრა, გაუჩინარდა, ხოლო უარყოფითი მხარეები სახეზეა, არ შეჩერებულა. პირიქით, კიდევ უფრო

გაღრმავდა და შეუქცევად ხასიათს იძენს. ცოდნის შეფასების კრიტერიუმმა კიდევ უფრო დაბლა დაიწია. თამასა მეტად დაბლა დაეშვა. ეს კი დამაფიქრებელი უნდა ჩანდეს. პირდაპირ გეტყვით თუ რადიკალურად არ შეიცვალა საქმის ვითარება განათლების სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესს, წინსვლას, ამაოდ დაუწყებთ ლოდინს. ეს მხოლოდ ლამაზი ილუზია იქნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოს განათლების სისტემა, კვლავ გავმეორდებით და ვიტყვით, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ამისათვის, მზად არ არის. ისტორიის ცოდნა არის ძალიან დაბალ დონეზე, რაც, პირდაპირ ვიტყვი, რომ სუსტი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოძახილია. თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ შეიცვალა, ვითარება კი არ გაუმჯობესდება, არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. აი მაშინ კი შველა ძალზე გაძნელდება. ჯერჯერობით სასიკეთო ცვლილებები არ ჩანს და მოლოდინის რეჟიმში ვიმყოფებით. ღმერთმა ქნას ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს და ნელნელა, თანდათან დალაგებისკენ დაიწყოს სვლა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ რთული მდგომარეობის დალაგების პოტენციალი დალაგების პოტენციალი ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნია, მაგრამ არ არის ამისი პოლიტიკური ნება. აი, ეს არის მთავარი.

ვაჯამებთ რა ყოველვე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. ვითარება საკმაოდ რთულია და ეიფორიული განწყობილების საფუძველს ყველაზე უფრო ნაკლებად იძლევა. ის სამი მთავარი კომპონენტისაგან შედგება:

1. არშემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს მაღალგანვითარებული მეცნიერება და ხარისხიანი განათლება. უბრალოდ, ის მას არ ჭირდება. მას არ ძალუძს გამოძებნოს ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი. ეს მას არ აინტერესებს. ჩვენ გვინდა ვიყოთ არშემდგარი სახელმწიფო და გვქონდეს ხარისხიანი განათლება და განვითარებული მეცნიერება. ეს არ მოხდება. პრაქტიკაში მსგავსი რამე არ არსებობს.
2. მეცნიერება თუ არ მოკვდა, კვდება.
3. განათლების სისტემა თუ არ მოკვდა, კვდება.

საჭიროა დროზე შველა. დაგვიანება სასურველი არ იქნება. ავადმყოფობის მეტასტაზები კიდევ უფრო შორს წავა. მდგომარეობა რთულია და აქედან გამოსავალი ადვილი არ იქნება. ამას დიდი დრო და ძალისხმევა დაჭირდება, მაგრამ როგორც არა ერთხელ გვითქვამს გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, გამოსავალი არის. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. არსებული პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

როგორც უკვე ითქვა, ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალს გააჩნია ორი ასპექტი: წმინდა პოლიტიკური და აკადემიური. ჩვენი აზრით, პირველი გაცილებით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორე. პირველის გარეშე, მეორე ვერ გადაწყდება და იქნება სულ ასეთი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება კი არ გამოსწორდეს, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდეს და შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს. ეს კი დაუშვებელი იქნება.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სასურველია ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფოს შექმნა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვა არჩევანი არაა. გაჩნდება თანმდევი მოვლენები: ა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იქნება, პოლიტიკური ნება. მდგომარეობა თანდათან, ნელნელა, დაიწყებს დალაგებას, როგორც სახელმწიფოში, ისე ცხადია, მეცნიერებაში და განათლებაში. თანდათან განათლება გახდება ხარისხიანი. სუსტ შრომებს მწვანე შუქი აღარ მიეცემა. აქცენტი გაკეთდება არა მეცნიერული გამოკვლევების რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. ბ. მკვეთრ მეტამორფოზს განიცდის ჩვენი მენტალიტეტი. მთავარი იქნება ცოდნა და არა დიპლომი. როგორც ყველა ჩვენც ფულს ცოდნაში გადავიხდით და არა უცოდინრობაში, როგორც ამას დღეს ვაკეთებთ. მოთხოვნადი გახდება პროფესიონალიზმი არა სიტყვით, არამედ საქმით. გ. საკითხისადმი მიდგომა გახდება სახელმწიფოებრივი. მისი მთავარი ამოსავალი პოსტულატი იქნება ხარისხიანი განათლება და პროფესიონალიზმი. უხარისხო პროდუქცია ვერ წალეკავს ყველაფერს, როგორც ეს დღესაა. სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმი იქნება გაცილებით უფრო ობიექტური და მკაცრი. პირველ ყოვლისა, უნდა შეიქმნას მყარი საკანონმდებლო ბაზა. კანონი უნდა გახდეს მკაცრი, მაგრამ

სამართლიანი. ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს იდეა, რომ ამ ვითარების დალაგების პოტენციალი ქართულ ისტორიოგრაფიას, რა თქმა უნდა, ნამდვილად გააჩნია, მაგრამ ამას, სწორედ უნდა გამოყენება. მთავარი, პრობლემა სწორედ ეს გახლავთ.

პოლიტიკურ მხარესთან დაკავშირებით უნდა გავაკეთოთ ერთი პროგნოზი. სიმართლე გითხრათ მას ცოტა სკეპტიკურად უყურებთ, რადგან ამის წინაპირობას ვერ ვხედავთ. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივა მეტად ბუნდოვანი უნდა ჩანდეს და მხოლოდ კეთილი სურვილების დონეზეა. ასეთია ჩვენი სუბიექტური აზრი.

უნდა ითქვას, რომ გამოუვალი ვითარება არც აკადემიურ სფეროში, მეცნიერებასა და განათლების სისტემაში, არ გვაქვს. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ სასურველი იქნებოდა სამეცნიერო გამოკვლევის ხარისხის ამაღლება. ამისათვის საჭიროა შევიმუშავოთ მეცნიერული გამოკვლევების შეფასების, მკაცრი, ობიექტური, კრიტერიუმი. უხარისხო პროდუქციას გზა არ უნდა მიეცეს. განათლება უნდა გახდეს ხარისხოვანი. უცოდინრობაზე თვალს ნუ დავხუჭავთ. ეს არავის ჭირდება. „განათლების კრახი – ერის კრახია“. ამას, ვფიქრობთ, კარგად უნდა გაცნობიერება. აქ გულგრილობა დაუშვებელი იქნებოდა. „დავრჩებით შვილთაგან ჩვენი გინებით მოსაგონარი“. თუ იქნება პოლიტიკური ნება, ყველაფერი კარგად იქნება, ხოლო თუ არა და არც არაფერი მოხდება, არაფერი შეიცვლება და გამორიცხული არაა, რომ შესაძლოა, ის კიდევ უფრო დამძიმდება. ეს კი, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნება და მეტად არასახარბიელო პერსპექტივა უნდა ჩანდეს.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ ჩვენ პოზიციას. ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ინარჩუნებს ევროპულ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი. ქართული ისტორიოგრაფია კი არ უნდა ჩამორჩეს, არამედ უნდა განვითარდეს, წინ წავიდეს, გვეყოფა, რაც ჩამოვრჩით. სასურველი იქნებოდა ქართველმა ისტორიკოსებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ ისტორიის მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეპისტემოლოგიის, ისტორიის შე-

მეცნების საკითხებს. გადასინჯონ თავიანთი მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ორიენტირები და პრინციპები. გამოიკვეთონ თავისი ფილოსოფიური და მეცნიერული პოზიცია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვაგვარად ვერ გავცდებით ერთი ვიწრო დოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ და პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას და ვერ დავალაგებთ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ რთულ ვითარებას. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე და დიდი დრო და ძალისხმევა დაჭირდება. იოლი გზით სიარულმა სადაც მიგვიყვანა კარგად ვხედავთ.

***

ის პერმანენტული უსამართლობა, რაზეც გვქონდა საუბარი „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე ნაწილში და ამ წიგნში, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მასში, პირველ ყოვლისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკლი იკითხება. არჩევანი არის ცუდსა და უარესს შორის. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცუდ სახელმწიფოსთან. „ბოროტების იმპერიასთან“, ხოლო მეორეში კი არშემდგარ სახელმწიფოსთან. პირველისადმი ჩვენი დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. პირდაპირ გეტყვით მძულს. მეორე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ცუდთან. ეს არის არშემდგარი სახელმწიფო, რომელსაც წინამორბედისაგან ძალზე ცუდი მემკვიდრეობა ხვდა წილად. ცოტაა დადებითი. მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. ევროპულ ღირებულებებზე აპელირება მხოლოდ სიტყვიერად ხდება, ხოლო რეალობაში საბჭოთა სინამდვილის გამოძახილი, ძველი ინერციით, ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობა. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. საქართველო სიფილისტიკის და პარანოიკის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევების ქვეშ გმინავს. დაზუსტების მიზნით ვიტყვი. 1921 წლიდან დღემდე პარანოიკის და ღორეშელის თამადობით, ყველა

მთავრობას მოუკვდა დედა. სიფილისტიკი ამბობდა „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი“. საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა რეალობაში ის სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. ეს იყო ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით. ახლა პრიორიტე-ტული ყოფითი პრობლემები გახდა. ეს, ცხადია, ძალიან ცუდია, მაგრამ მის წინამორბედს სტალინურ ტერორს და მორალურ, უსისხლო, ტერორს, მაინც ჯობია. ტრადიციული სცენარია. ვირ-ჩევთ ცუდსა და უარესს შორის. მე ცხოვრება და საქმიანობა ამ ორ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ პერიოდში მომიწია. რას ვიზამთ სხვა არჩევანი არ იყო.

მე არასოდეს არ მქონია პრეტენზია, რომ ხელი შემიწყვეთ მეთქი. ვიცოდი, რომ ამას არ გააკეთებდნენ. ჩემი მოკრძალებუ-ლი სურვილი იყო ხელი არ შეეშალათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ხელის შეშლა ჩემი ცხოვრების თანმდევი აღმოჩნ-და. მე ჩემი პროფესიული ღირსებები არაფერში არ გამომადგა, ხოლო ის რასაც ჩემგან ითხოვდნენ, არაფერში მჭირდებოდა. ასე ამოვყავი თავი სულიერ სიცარიელეში, რომელიც ტრადიციულად საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის გამოძახილს წარმოადგენ-და. ეს რეალობა სულ თანმდევია ჩემი საქმიანობისათვის. მე რაც შემეძლო ყველაფერი გავიღე, როგორც მკვლევარმა ისტო-რიკოსმა და ლექტორმა, მაგრამ რა მივიღე. ბევრი არც არაფერი. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა და მეტი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ორ რთულ პერიოდში მოგვიწია საქმიანობა, რო-დესაც „ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“. „ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცა“. ორივე ეს სახელმწიფო ჩემთვის იყო ბოროტი დედინაცვალი. და მექცეოდა ისე როგორც გერს. ყველა სურვილი და მიზანი შევისრულე როგორც ისტორიკოსმა, ისე როგორც სპორტულმა ჟურნალისტმა, მაგრამ ცხოვრება მო-მიხდა ორ რთულ გარემოში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წლებ-ში, როდესაც სულიერი ღირებულებები გაუფასურებული იქნა და პრიორიტეტული გახდა მატერიალური ფაქტორი. ასე აღმოვჩნდით სიცარიელეში, რაც იმედგაცრუებით იყო გამოწვეული.

ჩვენი აზრით და, ალბათ, არა მარტო ჩვენი, თანამედროვე საქართველოს წინაშე ორი სერიოზული პრობლემა დგას, რომლის

გადაწყვეტაზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი მომავალი სვე-ბედი. ეს გახლავთ დემოგრაფიული საკითხი და განათლე-ბის სისტემა. ორივე პრობლემა აქტუალურია, სერიოზული სა-ფრთხის შემცველია და სასურველი არ იქნებოდა სირაქლემას პოზის დაკავება. პირველი მოსახლეობის რიცხვის კლებასთან ასოცირდება. მეორე ხარისხიან განათლებასთან. არსებობს იმის სერიოზული საფრთხე, რომ თუ დროზე არ მივხედეთ ამ აქ-ტუალურ საკითხებს, სულ ცოტა ხანში საქართველოში ქართ-ველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით, განათლების დაბალი ხარისხით. ამის პირველი სიმპტომები უკვე შესამჩნევია და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს საკმაოდ არასახარბიელო პერსპექტივაა და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე თავიდან ავიცილოთ. ამ შემთხვევაში ტვინების გადინებას ვერ შევაჩერებთ. აი კიდევ ერთი დიდი საფრთხე.

დღეს საქართველო წარმოადგენს არშემდგარ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილ საბჭოთა რეალობას ვერ გასცდა. ევროპულ ღირებულებებზე აპელირებას ადგილი აქვს მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. სხვათა შორის, ეს საბჭოთა რეალობისთვის იყო დამახასიათებელი. რა შეიცვა-ლა. ბევრი არც არაფერი. ეს გახლავთ ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით. უნდა შეჩერდეს „ნგრევა შენების სახელით“. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

თუ სახელმწიფოში ვითარება დალაგდება თანდათან დალაგ-დება მდგომარეობა მეცნიერებაში და განათლებაში. თუ არა და იქნება სულ ასე. ვარდნა უფრო გაღრმავდება და დასასრული არ ექნება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ეს უსიამოვნო პერსპე-ქტივა თავიდან იქნას აცილებული. პრობლემების ასეთი სიუხვე, ცხადია, შემთხვევითი არაა და გააჩნია თავისი მიზეზი. ჩვენი სუბიექტური აზრია, რომ ქართველებს დამოუკიდებლად ყოფნა არ შეგვიძლია, ძალიან გვიჭირს.

**მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საუბარი დავასრულოთ იმით, რითიც დავიწყეთ. ვფიქრობთ, ის ძალიან აქტუალური უნდა იყოს და სასურველი იქნება თუ გავითვალისწინებთ, თუმცა სიმართლე**

გითხრათ ამის დიდი იმედი არ გვაქვს, მაგრამ ცდას წინ რა უდგას. ჩვენც ვცდით ბედს.

„ნებისმიერი ერის გასანადგურებლად, არ არის საჭირო ატომური ბომბი ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება. ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა როდესაც სტუდენტი გამოცდაზე იტყუება.

ასეთი ექიმის ხელში პაციენტები იღუპებიან.

ასეთი ინჟინერის ხელში შენობები ინგრევა.

ასეთი ეკონომისტის და ბუღალტერის ხელში იკარგება ფული.

ასეთი მოსამართლის და იურისტის ხელში იკარგება სამართლიანობა.

განათლების კრახი – ერის კრახია“.

**ლიტერატურა:**

1. А. Гуревич, История историка, М., 2004.

2. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011.

3. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.

დანართი 1.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

9/2015 „22“ იანვარი 2015 წ.

**უნივერსიტეტის პროფესორის ნინო კილურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო'' ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მიღების თაობაზე“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის №46 დადგენილებით მიღებული და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 14 აგვისტოს №133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 14.11.2014, №39429/02 წერილით წარმოდგენილი 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნისა და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №1 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. უნივერსიტეტის პროფესორის ნინო კილურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ 2014 წლის 31 ივლისის №23620/02 განცხადებასთან (განცხადების

კანცელარია CHANCELLERY

ვჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
:havtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
ww.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

წარმომდგენი - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე) დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის №133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მიერ ჩატარებული წარმოების შედეგების - დარღვევის არსებობის შესახებ კომისიის დასკვნის საფუძველზე:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის №77/2014 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ამოღებულ იქნას „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებიდან XII ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი;

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ბ.ა. 2015 წლის 1 თებერვლამდე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, უზრუნველყოს ნინო კიღურაძის გაფრთხილება და ინფორმირება მასთან 2014 წლის 5 აგვისტოს №1519/07 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

ბ.ბ. ნინო კიღურაძის გაფრთხილებიდან 31-ე კალენდარულ დღეს უზრუნველყოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის მომზადება და გამოცემა მასში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი ოდენობის კომპენსაციის გათვალისწინებით.

2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. დაევალოს პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს შემდგომში სამსახურებრივი ურთიერთობის (დასაქმების) შესაძლო დამყარების შემთხვევაში, გაითვალისწინონ ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტი.

4. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ძალაში შედის ნინო კიღურაძის გაფრთხილებიდან 31-ე დღეს.

კანცელარია
CHANCELLERY

3

5. დადგენილება შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

კანცელარია
CHANCELLERY

3

დანართი 2.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14აგვისტოს № 133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა მერაბ კალანდაძის განცხადების თაობაზე

კომისიამ განიხილა ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძის განცხადება პროფესორ ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე.

კომისიამ შეისწავლა ამ საქმის გარშემო არსებული მასალები:მერაბ კალანდაძის განცხადება (2014 წლის 31 ივლისის წერილი), ნინო კიღურაძის განმარტებითი წერილი (2014 წლის 11 სექტემბრის წერილი), გიორგი სანიკიძის განმარტებითი წერილი (2014 წლის 2 სექტემბრის წერილი); წიგნები: გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის. თბ. „მერიდიანი". 2001.(ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო. სოციალურ მეცნიერებათა სერია); The Globalization of World Politics. An Introduction to International Relations, Second Edition. Edited by John Baylis and Steve Smith.OxfordUniversitypress.2001.(First published 1997);Современные международниеотношения. Учебник. Под Ред. А. В. Торкунова. М. (РОССПЕН). 1999.

მ. კალანდაძის განცხადებით, ნ. კიღურაძის და გ. სანიკიძის საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ზემორე ხსენებული სახელმძღვანელოების პირდაპირ თარგმანს, ამასთან ამ წიგნების მოხსენიების გარეშე.

კომისია მის ხელთ არსებული დამატებითი მასალების შესწავლის, ნ. კიღურაძის მოსმენის, სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორ მანანა მიქაბერიძის და ამავე პროგრამის მონაწილე პროფესორ ზურაბ დავითაშვილთან გასაუბრების შემდეგ მივიდა დასკვნამდე:

1. კომისიის მიერ წიგნების შედარების შედეგად გაირკვა: განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სახელმძღვანელო. ის ძირითადად წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს

კანცელარია
CHANCELLERY

3942/02

ტორკუნოვის რედაქტორობით გამოცემული რუსულენოვანი წიგნიდან (გვ. 5-6, 8-15, 25-36, 97-108, 133-146, 149-159, 168-172) და ბეილისის და სმიტის რედაქტორობით გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნიდან (გვ. 6-7, 16-24, 38-95, 110-131, 146-147, 161-167, 172-196, 211-212). ამასთან, წიგნის ბოლო ნაწილში არის მხოლოდ ერთი თავი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ორიგინალური. კომისიამ შეისწავლა ბ-ნი სანიკიძის განცხადება, რომ ნაშრომის საფუძვლად ასევე აღებულია ჯექსონის და სორენსენის "საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი". კომისიამ დაადგინა, რომ ნაშრომი რიგ შემთხვევებში ზედმიწევნით მისდევს ტორკუნოვის ნაშრომს, ხოლო იმის მტკიცება, ბ-ნ ტორკუნოვსაც საკუთარი ნაშრომი ჯექსონის და სორენსენის ნაშრომზე დაყრდნობით აქვს შექმნილი, თუ არა, კომისიის კომპეტენციას სცდება. ამასთან, ცალსახაა, რომ კიღურაძე და სანიკიძე თავიანთი ნაშრომის და (ყოველი თავის) ბოლოს მითითებული ლიტერატურის სიაში არ მოიხსენიებენ არც ჯექსონის და სორენსენის ნაშრომს.

2. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი აშკარად არ არის ორიგინალური, კომისია შეეცადა გაერკვია ნ. კიღურაძის და გ. სანიკიძის განმარტებითი წერილებში წამოჭრილი საკითხები, რათა მიეღო ცალსახა და გადაჭრილი პასუხი პლაგიატის არსებობა-არარსებობის შესახებ, კერძოდ: (ა) იყო თუ არა ნინო კიღურაძე მართლაც ამ პუბლიკაციის ავტორი; (ბ) რა ტიპის პუბლიკაცია იყო აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო; (გ) იცოდა თუ არა ავტორმა, რომ ეს პუბლიკაცია უნდა დაბეჭდილიყო და გამოცემულიყო და (დ) რამდენად შეეცადნენ ავტორები, რომ გამოქვეყნების შემდეგ მოეხდინათ თავიანთი ავტორობის კორექტირება.

(ა) პუბლიკაციის ავტორის ვინაობა: პუბლიკაციაზე ცალსახად არის მითითებული ქ-ნი ნინო კიღურაძის ვინაობა. პროექტის წარმომადგენელმა დაგვიდასტურა, რომ ქ-ნი ნინო კიღურაძე მონაწილეობდა პროექტში და რომ კონტრაქტით არ იყო განსხვავება ბ-ნი გ. სანიკიძის და ქ-ნი ნ. კიღურაძის ფუნქციებს შორის, რადგან მათ, ისევე როგორც სხვა კონტრაქტორებს მსგავსი ფუნქციები გააჩნდათ და დიფერენცირებული კონტრაქტი არ ჰქონდათ. ავტორობას ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქ-ნი ნ. კიღურაძე 2008 წელს ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებაზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ კი პუბლიკაციის ნუსხაში მიუთითებდა ამ ნაშრომს როგორც საკუთარს (ნუსხაში მითითებულია - ნ. კიღურაძე, გ. სანიკიძე. თანამედროვე



კანცელარია
CHANCELLERY

საერთაშორისო ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურისათვის. თბ. 2001). 2012 და 2013 წლის ზაფხულში ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე წარმოდგენილ საკონკურსო საბუთებში ცალკე გამოყოფილ სახელმძღვანელოების ჩამონათვალში ასევეა მითითებული იგივე სახელმძღვანელო, თუმცა იქვე დაკონკრეტებულია, რომ ქ-ნი ნ. კიღურაძე ამ პუბლიკაციის თანაშემდგენელია. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, რომელიც კომისიას ხელთ გააჩნდა, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ქ-ნი ნ. კიღურაძე წარმოადგენს ამ ნაშრომის ავტორს.

ქ-ნ მ. მიქაბერიძესთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კიღურაძესთან და სანიკიძესთან, ისევე როგორც სხვა ავტორებთან დაიდო ერთი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სალექციო კურსის და რიდერის მომზადებას, ასევე სტაჟირებაზე გამგზავრებას დამხმარე სახელმძღვანელოს მოსამზადებლად. შესაბამისად, მართალია, ბ-ნი გ. სანიკიძე თავის მომართვაში კომისიის მიმართ აღნიშნავს, რომ ნ. კიღურაძემ "შეიმუშავა კურსი, წარმოადგინა სილაბუსი და რიდერი... მე კი, როგორც პროექტის მონაწილეს, მევალებოდა დამატებითი სასწავლო მასალების წარმოდგენა ქართულად", კომისიამ ვერ მოიპოვა ვერცერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ბ-ნ გ. სანიკიძეს და ქ-ნ ნ. კიღურაძეს შორის შრომის ამგვარ გადანაწილებას და რომ მხოლოდ გ. სანიკიძე არის წიგნის ავტორი და არა ნ. კიღურაძე. აღსანიშნავია, რომ ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (გასულია 10 წელიწადზე მეტი), აღარ ინახება ამ პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

(ბ) **პუბლიკაციის არსი:** კომისია შეეცადა დაედგინა, თუ როგორი ტიპის პუბლიკაციასთან გვაქვს საქმე, რადგან, ბუნებრივია ყველა პუბლიკაცია და ნაშრომის ტიპი ვერ იქნება განსჯილი ერთიანი სტანდარტით.კომისიასთან შეხვედრაზე ქ-მა ნ. კიღურაძემ, ასევე კომისიისთვის მომართულ წერილში ბ-მა გ. სანიკიძემ აღნიშნეს, რომ ეს ნაშრომი მომზადდა არა როგორც ორიგინალური ნაშრომი, არამედ როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა არა გამოსაცემად, არამედ დამატებითი სასწავლო მასალების სახით იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც უჭირდათ უცხოენოვან ტექსტზე მუშაობა. კომისია იზიარებს იმ ლოგიკას, რომ

კანცელარია
CHANCELLERY

სალექციო კურსთან, კონსპექტთან, რიდერთან და მსგავს პუბლიკაციებთან მიმართებაში წყაროების გამოყენების ტესტი შეიძლება იყოს უფრო მოქნილი და ლიბერალური, ვიდრე სახელმძღვანელოების, ან დამხმარე სახელმძღვანელობის შემთხვევაში. სახელმძღვანელო ან დამხმარე სახელმძღვანელო თავისი შინაარსით გაცილებით უფრო მაღალი დონის ნაშრომია, ვიდრე მხოლოდ სალექციო კურსი/რიდერი, ამიტომ მასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მაღალი აკადემიური სტანდარტის და ციტირების წესის დაცვა. შეიძლება სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო არ იყოს ორიგინალური ნაშრომი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მასში დაცული იყოს გამოყენებული ლიტერატურის მითითების რაიმე ფორმა.

კომისიამ დაადგინა, რომ 2000 წელს ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველო", კონტრაქტი გააფორმა გ. სანიკიძესთან და ნ. კიღურაძესთან, რომელთაც მართლაც დაევალათ სალექციო კურსის მომზადება. ეს კარგად ჩანს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს 2001 წლის ანგარიშიდან, სადაც მითითებულია, რომ "2001 წლის აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით, ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი), გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა; წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, საქართველოს სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს". ავტორებს შორის, რომლებიც ჩამოთვლილია ანგარიშში, ასევე მოხსენიებული არიან გ. სანიკიძე და ნ. კიღურაძე.

"სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით:
- "საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში" – ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე

აქედან გამომდინარე, მართლაც დგინდება, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც მხოლოდ სალექციო კურსი და არა დამხმარე სახელმძღვანელო. თუმცა, მხოლოდ იმის დადგენა, თუ რა იყო აღნიშნული დოკუმენტის მომზადების თავდაპირველი მიზანი არ არის საკმარისი, რომ ავტორები გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან, თუ დადგინდება, რომ ავტორებმა იცოდნენ, რომ თავდაპირველად მომზადებული სალექციო კურსი მზადდებოდა გამოსაცემად და თუ ავტორმა პუბლიკაციის,

კანცელარია
CHANCELLERY

როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ არ სცადა შეცდომის გასწორება და პუბლიკაციაზე თავისი სახელის შეცვლა.

(გ) **ავტორების მიერ გამოცემის შესახებ ინფორმაციის ფლობა:** კომისია შეეცადა დაედგინა, თუ რამდენად იყო ცნობილი ავტორისთვის იმის შესახებ, რომ მის მიერ მომზადებული სალექციო კურსი მზადდებოდა დასაბეჭდად და გამოსაცემად. როგორც პროექტის მონაწილეებთან (ბ-ნი ზ. დავითაშვილი), ასევე პროექტის ხელმძღვანელთან (ქ-ნი მ. მიქაბერიძე) საუბრის შედეგად გაირკვა, შეუძლებელი იყო, რომ ეს გამოცემა დაბეჭდილიყო ავტორების ნებართვის და მათთან საბოლოო ტექსტის შეთანხმების გარეშე. უფრო მეტიც, თავის მიმართვაში კომისიის მიმართ ბატონი სანიკიძე აღნიშნავს, რომ "პროექტის დასკვნით ეტაპზე, რამდენადაც მახსოვს მის დასრულებამდე დაახლ. 1.5 თვით ადრე, ფონდის ხსენებული პროგრამის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი სასწავლო მასალების გამოცემის შესახებ", რაც ადასტურებს, რომ ავტორებისთვის ცნობილი იყო, რომ პროექტის ბოლო ეტაპზე იგეგმებოდა ამ ნაშრომის გამოცემა.

(დ) **ავტორობის უარყოფის მცდელობა:** კომისია ასევე შეეცადა დაედგინა, იყო თუ არა მცდელობები იმასთან დაკავშირებით, რომ ავტორს, მას შემდეგ, რაც გამოიცა პუბლიკაცია, მოეხდინა თავისი ავტორობის შესახებ ინფორმაციის კორექტირება. ამ თემასთან დაკავშირებით ქ-მა ნ. კიღურაძემ მოწერილ წერილში აღნიშნა შემდეგი:

> "პროტესტი გამოითქვა როგორც ჩვენი, ისე სხვა გრანტიორების მხრიდან პუბლიკაციის ჩვენთვის მოულოდნელ ფორმასთან დაკავშირებით, ოღონდ ის კოლეგიალობის პრინციპის პატივისცემის გამო, არ გასცდენია პროგრამის ფარგლებს. ასევე, როგორც გ. სანიკიძემ განმარტა თავის წერილში, ასეთ განზრახვაზე უარი ვთქვით პუბლიკაციის უმნიშვნელობის გამო, რადგან ვერ წარმოგვედგინა, რომ მავანნი ამას ოდესმე გამოიყენებდნენ ჩვენი დევნისა და პროფესიული რეპუტაციის შელახვისათვის..."

როგორც ამ პასუხიდან ჩანს, ავტორის მხრიდან არ ყოფილა მცდელობა, რომ თავის ავტორობასთან დაკავშირებით პროტესტი გამოეთქვა. ზემოთ, პუნქტ "ა"-ში მოყვანილი ინფორმაცია კი ნათლად აჩვენებს, რომ ქ-ნი ნ. კიღურაძე ამ ნაშრომს წლების განმავლობაში წარმოაჩენდა, როგორც საკუთარ ნაშრომს.

კანცელარია
CHANCELLERY

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომისია ასკვნის, რომ გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ წარმოადგენს პლაგიატს და ფიქსირდება აკადემიური ეთიკის დარღვევა.

კომისიას კარგად ესმის, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა დაკავშირებული იყო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგად წარმოქმნილ დავასთან. მივვაჩნია, რომ აკადემიური საბჭო, სანამ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის ამ დასკვნასთან დაკავშირებით, უნდა კარგად დაფიქრდეს, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ყოველი აკადემიური კონკურსის შემდეგ მსგავსი საჩივრები შემოვა უნივერსიტეტში. ვაძლევთ რეკომენდაციას აკადემიურ საბჭოს, რომ შეიმუშავოს კონკრეტული კრიტერიუმები მსგავს შემთხვევებში შემოსული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე

კომისიის მდივანი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

კომისიის წევრები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა რუსიეშვილი

იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პაატა ტურავა

სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამართლის დოქტორი იაკობ ფუტკარაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი

12 ნოემბერი, 2014 წელი

კანცელარია
CHANCELLERY

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

წლიური ანგარიში 2001

დანართი 3.

ახალი სამაგისტრო სალექციო კურსების მომზადება

2001 წლის ივლისსა და აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამამ ჩაატარა სამაგისტრო სალექციო კურსთა მომზადების თემატური მეოთხე კონკურსი (CDC4), რომელიც მიზნად ისახავდა სოციოლოგიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალ სამაგისტრო კურსთა მომზადების ხელშეწყობას. პროგრამამ დააფინანსა ოთხი სალექციო კურსის მომზადება:

| | | |
|---|---|---|
| პროფ. ზურაბ დავითაშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა; | "გლობალიზაცია და ნაციონალიზმი" | $ 1 696 |
| პროფ. მალხაზ მაცაბერიძე, თსუ პოლიტოლოგიის კათედრა; | "პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო ტექნოლოგიები" | $ 1 585 |
| მარინე ბურძენიძე, თსუ სოციოლოგიის კათედრა; | "გაზომვა რაოდენობრივ (ქვანტიტატურ) სოციოლოგიურ გამოკვლევებში" | $ 1 264 |
| დოც. მამუკა ბერიაშვილი, ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტი. | "თავისუფლების იდეა სოციალურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში (გერმანული ტრადიცია)" -- | $ 1 093 |

დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა

2001 წლის აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით, ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი), გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა; წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, საქართველოს სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს.

| | | |
|---|---|---|
| გამომცემლობა "ნეკერი | სამი დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა:<br>1. "კულტურის სოციოლოგია" - ედუარდ კოდუა<br>2. "პოლიტიკური ძალაუფლების თეორია"- მამუკა ბიჭაშვილი<br>3. "კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები)"- ლალი სურმანიძე | $ 2 491 |
| გამომცემლობა "მეცნიერება | სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით: - "საზოგადოებები გარდამავალ ეპოქებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში" – გია ჟორჟოლიანი, მარინა მუსხელიშვილი, თამარ ბერეკაშვილი - "სოციალური მოქმედების თეორია" – იაგო კაჭკაჭიშვილი - "პოლიტიკური კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღება"- რევაზ ჯორბენაძე | $ 1 807 |
| გამომცემლობა "[illegible]დიანი | სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით:<br>"საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში" – ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე<br>"გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში " – კახაბერ კაციტაძე<br>"ურბანული სოციოლოგია"- თამარ სულუხია | $ 2 142 |

12

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გიორგი სანიკიძე    ნინო კილურაძე

# თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები

## მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი
2001

УДК 316.2
ს 253

ავტორები მადლობას უხდიან ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" პროექტის მხარდაჭერისათვის, უპირველესად კი ფონდის სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის დირექტორს, პროფ. მარინე ჩიტაშვილს, პროგრამის კოორდინატორებს მაკო მიქაბერიძესა და ირაკლი ცერცვაძეს ნაშრომზე მუშაობისას და მისი გამოსაცემად მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

რედაქტორი ლია კაჭარავა

რეცენზენტი: პროფ. ლადო ვარდოსანიძე
პროფ. თინათინ ბოჭორიშვილი

© ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო", 2001

ISBN 99928-32-24-X

# შინაარსი


შესავალი.......................................................................5

I. თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ და გლობალიზაცია.......................................................................8

II. საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებანი.......................25

III. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.......................................38

IV. საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი ომის შემდგომ პერიოდში.......................................................................63

V. საერთაშორისო რეჟიმები.......................................................83

VI. საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.................................................97

VII. ტრანსნაციონალური აქტორები გლობალურ პოლიტიკაში.......................................................................110

VIII. სახელმწიფოთა სუვერენობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია გლობალიზაციის ეპოქაში.................................................133

IX. ეკონომიკის გლობალიზაცია...................................................148

X. რეგიონალიზმი და ინტეგრაცია................................................161

XI. ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.......................................................176

XII. კულტურული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში: დასავლეთი და ისლამი .......................................................................197



IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

დანართი 4.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის № 163/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა ნინო კიღურაძის განცხადების თაობაზე

კომისიამ განიხილა პროფესორ ნინო კიღურაძის განცხადება ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე.

კომისიამ განიხილა ამ საქმის გარშემო არსებული მასალები: მერაბ კალანდაძე. გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თსუ გამომცემლობა, 2002; ნინო კიღურაძე, ელენე მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია. საშუალო სკოლის მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. გამ. „ნიკე". 1997; ნინო კიღურაძე, ელენე მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია. საშუალო სკოლის მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. გამ. „კონა" 1998. გივი ბოლოთაშვილი, ნინო კიღურაძე, ელენე მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია (1919-1991). საშუალო სკოლის მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. გამ. „კონა" 2001.

ნ. კიღურაძის განცხადებით, მ. კალანდაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მთლიანად იმეორებს ნ. კიღურაძის დასახელებული სასკოლო სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე მასში დარღვეულია ციტირების წესები.

კომისია მის ხელთ არსებული მასალების შესწავლის, მ. კალანდაძის მოსმენისა და ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტის, სამართლის დოქტორ გვანცა გუგეშაშვილის კონსულტაციის საფუძველზე, მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომი. ის წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასპეციალისტებისთვის, კომპილაციური ხასიათისაა და ეფუძნება სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს (სულ 31 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს), მათ შორის ნ. კიღურაძის თანაავტორობით გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებს. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში სასკოლო სახელმძღვანელოების გამოყენების ფაქტს მ. კალანდაძე განმარტავს თავისი წიგნის შესავალში: „დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ გვინდოდა, შეგვეხსენებინა სტუდენტებისთვის საშუალო სკოლის მასალა".

2. კომისიის აზრით, მ. კალანდაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის სტრუქტურა (გვ. 118-138) ძირითადად არ ემთხვევა ნ. კიღურაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის (გვ. 55-67- X კლასი; გვ. 95-103 - IX კლასი;) სტრუქტურას.

კანცელარია
CHANCELLERY
3868/02
3 - 11 - 2014

ნ. კიღურაძის განცხადების მიხედვით, ავტორს დარღვეული აქვს ციტირების წესი. ამასთან კავშირებით აღვნიშნავთ, რომ მ. კალანდაძის ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია (გვ. 157), სადაც იგი მიუთითებს ნ. კიღურაძის ორივე შესაბამის ნაშრომს. განსახილველ ნაშრომში არსად არ გვხვდება სქოლიო და სწორედ ამ გარემოებას მიიჩნევს ნ. კიღურაძე ციტირების წესების დარღვევად. მიგვაჩნია, რომ ნაშრომში გამოყენებული მითითების წესი დამახასიათებელია კომპილაციური ხასიათის სახელმძღვანელოებისათვის. გამოყენებული ლიტერატურის ბოლოში მითითება ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, კომისიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ნ. კიღურაძის სახელმძღვანელოდან ტექსტის გამოყენებისთვის მ. კალანდაძეს არ სჭირდებოდა ნ. კიღურაძისგან ნებართვის მიღება.

4. ნ. კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს ტექსტი, თავის მხრივ, არის კომპილაციური, ძირითადად მოიცავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ნ. კიღურაძეს არ შეიძლება, ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება და მათი გამოყენება ამ უფლების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომისია დაასკვნის, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო „გერმანიის ისტორია კულტურა, გეოგრაფია“ არ წარმოადგენს პლაგიატს და არ არსებობს დარღვევა.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ასოცირებული პროფესორი ზონდო კუპატაძე

კომისიის მდივანი: ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა

კომისიის წევრები: პროფესორი გიორგი დავითაშვილი

ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე

ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ასმათ პაპიძე

ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი შოთა ვადაჭკორია

30 ოქტომბერი, 2014 წელი

კანცელარია
CHANCELLERY

დანართი 5.

მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის მიმართულებაზე
პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის
(რექტორის ბრძანება №:65/01-01, 2014 წლის 7 მაისი)
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს
(აკადემიური საბჭოს დადგენილება №63/2014, 2014 წლის 26 ივნისი),
პროფ. მურმან პაპაშვილს

ამავე კონკურსში მონაწილე
თსუ ასოცირებული პროფესორის,
მერაბ კალანდაძის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის მიმართულებაზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე ნინო კიღურაძეს ჩადენილი აქვს პლაგიატის შემთხვევა. კერძოდ, მის მიერ 2001 წელს გამოცემული საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელო: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (გამომცემლობა „მერიდიანი“) წარმოადგენს 1999 წელს მოსკოვში გამოცემული სახელმძღვანელოს „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ (Современные международные отношения. Под ред. А.В. Торкунова. – М.: «Российская политическая энциклопедия (РОССПЭН)», 1999) და ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელმძღვანელოს „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ (The Globalization of World Politics. An introduction to International Relations. Second Edition. Edited by John Baylis and Steve Smith. Oxford University Press, 2001) თარგმანს. აღნიშნული ნაშრომები ამ სახელმძღვანელოში მითითებულიც არ არის. კონკრეტულად, თავების მიხედვით, მდგომარეობა შემდეგია:

შესავალი – ნაწილი თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი – ინგლისურიდან.

I თავი – ნაწილი თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი – ინგლისურიდან.

II თავი – ნაწილი თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი – ინგლისურიდან.

III თავი – მთლიანად თარგმნილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

IV თავი – მთლიანად თარგმნილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

V თავი – მთლიანად თარგმნილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

VI თავი – მთლიანად თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან.

VII თავი – მთლიანად თარგმნილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

VIII თავი – მთლიანად თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან.

IX თავი – მთლიანად თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან.

X თავი – ნაწილი თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან, ნაწილი – ინგლისურიდან.

XI თავი – მთლიანად თარგმნილია ინგლისური სახელმძღვანელოდან.

ნიმუშის სახით, ორიგინალთან ერთად, დანართში წარმოგიდგენთ შესავლისა და პირველი თავის ნაწილს, რომლებიც თარგმნილია რუსული სახელმძღვანელოდან და IV თავს, რომელიც თარგმნილია ინგლისური სახელომძღვანელოდან.

პატივისცემით,

მერაბ კალანდაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის
ასოცირებული პროფესორი
ტელ.: 296-04-48
04.07.2014

## შესავალი

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა როგორც მკვლევრების, ისე პოლიტიკოსების წინაშე მთელი სიმწვავით წამოჭრა საკითხი ახალ ვითარებაში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათისა და კანონზომიერებათა შესახებ. ბერლინის კედელის დანგრევა „ცივის ომის“ დასრულების სიმბოლო გახდა. თუმცა, ოპტიმისტური და ხშირად იდეალისტური პროგნოზების მიუხედავად, ამ მოვლენას არ მოჰყოლია დასავლეთის და აღმოსავლეთის დაახლოება უნივერსალურ ფასეულობათა საფუძველზე და ასევე არ მომხდარა ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნებოდა ყველას ყველასთან ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას. ამ გარდამტეხ ეპოქას თან ახლდა მრავალი პოლიტიკოსისა და მკვლევრისათვის მოულოდნელი და ხშირად არაპროგნოზირებადი მოვლენები: საბჭოთა კავშირის დაშლა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების გაჩენა, ეთნიკური კონფლიქტების ესკალაცია, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდის ფონზე სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება, საერთაშორისო ტერორიზმის უკიდურესად მასშტაბური ხასიათი, ბოლოს კი საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის დასუსტება.

საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერებისათვის გლობალური ცვლილებათა მოულოდნელობამ, მათი წინასწარ განჭვრეტის სირთულემ ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა შექმნა ახალი საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ. პირველი საკმაოდ პესიმისტურია და მასზე დაფუძნებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევა ამჟამად უკვე არც თუ ისე ახალგაზრდა დარგია მეცნიერებისა[1], მას არა მარტო არ დაუგროვებია საკმარისი ცოდნა საკვლევ სფეროში, არამედ იძულებულია ეჭვიც კი შეიტანოს დარგის არსებობის მიზანშეწონილობაში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათსა და კანონზომიერებებს საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ, რომელიც მათ განასხვავებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სახეებისაგან. ეს კიდევ უფრო ამყარებს მათ პოზიციას, ვინც შეუძლებლად მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობათა ერთიანი უნივერსალური თეორიის შექმნას, რომლის ჭეშმარიტება ან სიმცდარე დამტ-

---

[1] მიიჩნევა, რომ დარგის ინსტიტუტიონალიზაცია დაიწყო 1919 წელს ეიბერისტვითში (დიდი ბრიტანეთი) საერთაშორისო პოლიტიკის კათედრის შექმნით.

კიცდებოდა საკუთრივ საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებითა და
ფაქტებით. ამ პოზიციის დამცველთა შეხედულებით, საერთაშორისო
ურთიერთობები იმდენად მრავალსახოვანია, მასში ჩაბმულნი არიან
იმდენად განსხვავებული სოციალური ჯგუფები, რომ საერთო თეორი-
ული დასკვნების გამოტანა, მით უმეტეს შეუმცდარი, სწორი პროგნო-
ზების გაკეთება მეტად არადამაჯერებელია. სწორედ ამიტომ უარი
უნდა ითქვას საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი თეორიის შე-
ქმნის ნებისმიერ მცდელობაზე (უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეხედ-
ულება ადრეც არსებობდა)

მაგრამ სწორედ მრავალ, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ
თეორიებთან არის დაკავშირებული მეორე დასკვნა, რომელიც ეფუძნე-
ბა საერთაშორისო არენაზე დღეს არსებული სიტუაციის შეფასებას. ამ
დასკვნის მიხედვით, სხვადასხვა თეორიული ტრადიციების, პარადიგ-
მების, კონცეფციებისა და თეორიების ურთიერთკრიტიკა სულაც არ
იწვევს მათ ნგრევასა და გაქრობას. პირიქით, ის სწავლულებს აიძულებს
გადააფასონ დაგროვილი ცოდნა, ხელს უწყობს მათი შეხედულებების
ურთიერგამდიდრებას და, ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობებ-
ის შესახებ მეცნიერების საერთო წინსვლას საკუთარი საკვლევი ობიექ-
ტის შემეცნების, მისი ხასიათისა და კანონზომიერებების გარკვევის მი-
მართულებით. ის მიუთითებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების
ხასიათის საკითხის ანალიზის დროს ჩვენ ვერ ავცდებით ურთიერთსაწ-
ინააღმდეგო თეორიული პოზიციების განხილვას.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევისას უპირველესი
ყურადღება ექცევა გლობალიზაციის პროცესებს. ჩვენი მიზანი იყო,
რომ სწორედ ამ კუთხით, გლობალიზაციის ჭრილიდან განგვეხილა
თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი ფუძემდე-
ბლური საკითხი. აქვე ხაზს გავუსვამთ, რომ დღევანდელი ვითარების
უფრო ობიექტურად წარმოსაჩენად, ზოგჯერ ვამჯობინებთ საერთა-
შორისო ურთიერთობების ნაცვლად ვიხმაროთ მსოფლიო პოლიტიკა.
დღეს ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ნაციონალურ სახ-
ელმწიფოებს შორის ურთიერთობებით (რაც თავისთავად გამომდინარ-
ეობს ტერმინიდან *საერთაშორისო პოლიტიკა*) და საერთაშორისო ურთ-
იერთობებში უკიდურესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი
აქტორები არიან ჩაბმულნი (მულტინაციონალური კომპანიები, საერ-
თაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგა-
ნიზაციები, სხვადასხვა კერძო სტრუქტურები და ფონდები, ტრანსნა-
ციონალური ტერორისტული დაჯგუფებები), ამდენად, უფრო უპრიანია
ყოველივე ზემოთქმულის გამოსახატავად გამოვიყენოთ ტერმინი,
მსოფლიო პოლიტიკა. ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობები არ
ნიშნავს, რომ ლაპარაკია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთო-
ბებზე, მაგრამ მხოლოდ *ერთა-შორის — ინტერნაციონალურ* ურთიერ-
თობებზე აქცენტის გაკეთება, მსოფლიოში დღეს არსებული სიტუაციის
განხილვისას, ბუნებრივია, არასწორი იქნება.

დასასრულ, გამოვყოფთ იმ ძირითად მიზნებს, რომლებსაც ისახ-
ავენ ნაშრომის ავტორები:

– მსოფლიო პოლიტიკის საერთო სურათის წარმოჩენა გლობალ-
იზაციის ეპოქაში;
– იმ თეორიებისა და მიდგომების განხილვა, რომლებიც მიზნად
ისახავს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ახსნას;
– იმ პროცესების განმარტება, რომლებითაც გლობალიზაცია
თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკის ტრანსფორმაციას ახდენს.

# I. თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ და გლობალიზაცია

საერთაშორისო-პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული მრავალი კონცეფცია და შეხედულება, საბოლოო ჯამში, შეიძლება **სამ ძირითად თეორიად** (ფილოსოფოს თომას კუნის მიერ **პარადიგმებად** მონათლული) დავაჯგუფოთ: რეალისტური (რომელიც მოიცავს კლასიკურ რეალიზმსა და ნეორეალიზმს), *ლიბერალური* (ტრადიციული იდეალიზმი და ნეოლიბერალიზმი) და *მსოფლიო სისტემის – იგივე ნეომარქსისტული*. მათგან თითოეულის ამოსავალი წერტილი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის მისეული ხედვაა. ეს თეორიები, ბუნებრივია, არ ამოწურავს საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ შინაარსს. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მის ჩარჩოებში ინტენსიურად ვითარდება ისეთი მიმართულებები, როგორიცაა *ტრანსნაციონალიზმი და ინსტიტუციონალიზმი, კონსტრუქტივიზმი და პოსტმოდერნიზმი*. სულ უფრო დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენენ *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია*. არსებობს განსხვავებები (და ხშირად მეტად თვალსაჩინო), კერძოდ, – ზემოაღნიშნული თეორიების შიგნითაც. იმავდროულად დღეისათვის ყველაზე გავრცელებული სწორედ ეს თეორიებია. დისკუსიათა შუაცეცხლში კი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საკითხების შესახებ, რომელიც უმეტესწილად განაპირობებს მისი განვითარების გზებს, რჩება **დისკუსია ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის**.

პოლიტიკური რეალიზმის თეორიისათვის, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელი 30-40-იან წლებში გახდა გ. მორგენთაუ (G. Morgenthau), ცენტრალური ადგილი უჭირავს *„ინტერესის ცნებას, რომელიც გამოიხატება ძალაუფლების ტერმინებით“* და მასთან დაკავშირებულ ძალთა ბალანსს, გეოპოლიტიკურ სტრატეგიას და ა.შ. ნეორეალიზმში, რომლის ძირითადი იდეები 70-იანი წლების ბოლოს ჩამოაყალიბა კ. უოლცმა (K. Waltz), ეს აქცენტები შედარებით შეცვლილია. იცავს რა ძალის სტრუქტურულ გაგებას, ნეორეალიზმს იგი არ დაჰყავს სამხედრო კომპონენტამდე და რთავს მასში აგრეთვე ეკონომიკურ, ინფორმაციულ-კომუნიკაციურ, სამეცნიერო, ფინანსურ და წარმოებით შემადგენელ ნაწილებს. ეს თეორია ახალი ცნებებითაც არის გამდიდრებული, როგორიცაა ურთიერთდამოკიდებულება, ახალი, ძველზე გაცილებით უფრო ეფექტური ძალაუფლების ტიპის ზეტერიტორიული ცნება – ძალაუფლება იდეებზე, კრედიტებზე, ტექნოლოგიებზე, ბაზრებზე და ა.შ. მიუხედავად ამისა, საკუთრივ არსი რეალისტური მიდგომისა, მსოფლიო პოლიტიკის მისთვის დამახასიათებელი გაცნობიერებით, როგორც უშეღავათო ბრძოლისა და სახელმწიფოების შორის ძალაუფლებისა და გავლენისათვის, კვლავაც უცვლელი რჩება.

პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია ცნება საერთაშორისო ურთიერთობების **ანარქიული** ხასიათის შესახებ. ამ თვალსაზრისით, სწორედ ანარქიულობა განასხვავებს საერთაშორისო ურთიერთობებს შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან, რომლებიც დამყარებულია იერარქიის, სუბორდინაციის, ბატონობისა და მორჩილების პრინციპებზე, რაც ფორმალიზებულია სამართლებრივი ნორმებით, რომელთაგან უმთავრესია სახელმწიფოს მონოპოლია ლეგიტიმურ ძალადობაზე საკუთარი შიდა სუვერენიტეტის ჩარჩოებში. საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა კი, პოლიტიკური რეალიზმის მხარდამჭერთა თვალსაზრისით, გამოიხატება ორი მთავარი ასპექტით. **პირველია** საერთო მთავრობის არარსებობა – მსოფლიოში ერთიანი მმართველი სტრუქტურის არარსებობა, რომლის განკარგულებათა შესრულება სავალდებულო იქნებოდა ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრობისათვის. **მეორე** კი ის, რომ თითოეულ სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების იმედი აქვს თავის ინტერესების დაცვის პროცესში. ამდენად, მსოფლიო მთავრობის, საერთო-სამართლებრივი და მორალური ნორმების არარსებობა, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო აარიდონ დამანგრეველ კონფლიქტებსა და ომებს, რეალიზმის მომხრეთათვის ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. ამ სფეროს რეფორმირების ნებისმიერი იმედი ფუჭია, ზენაციონალური ორგანიზაციები ვერ მოიპოვებენ დომინირებად როლს. არავინ, სახელმწიფოს გარდა, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელების სახით, არ არის დაინტერესებული მის უსაფრთხოებაში, რომლის გამტკიცებაც წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ინტერესს, მისი გაძლიერების მთავარ წინაპირობას. ზემოაღნიშნული თეორიის ჩარჩოებში ყოველივე ეს ნიშნავს, რომ რაციონალური თეორიის, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს იკვლევს, მთავარ შინაარსად რჩება სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებისა და ომების შესწავლა, მის ცენტრალურ პრობლემად კი – **უსაფრთხოების პრობლემა**. ამასთანავე, უსაფრთხოება განიხილება მხოლოდ მისი სამხედრო-ძალოვანი და სახელმწიფოებრივ-ცენტრისტული ფორმით. მთელი ყურადღება კონცენტრირდება **„უსაფრთხოების დილემაზე“**, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტ უსაფრთხოებას მიაღწევს სახელმწიფო (ან სახელმწიფოები), მით უფრო ნაკლებად უსაფრთხო ხდება სხვა სახელმწიფო (ან სახელმწიფოთა კავშირები).

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ პოლიტიკური რეალიზმის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაკნინდა. ნეორეალიზმის ზოგიერთმა წარმომადგენელმა საკუთარ თავს უწოდეს „ლიბერალური რეალისტები“ ან „უტოპიური რეალისტები“, რითაც ფაქტობრივად გამოავლინეს

მზადყოფნა რეალისტური თეორიის მთელი რიგი დებულებების გადასინჯვაზე, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული ბუნების თაობაზე. მაგალითისათვის, ბ. ბუზანი (B. Buzan), რომელსაც ეჭვი არ შეაქვს თეზისში პოლიტიკური ურთიერთობების განსხვავებული ხასიათის შესახებ სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო არენაზე, იმავდროულად თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათი იცვლება **„მომწიფებული ანარქიის“** მიმართულებით, რომლის ჩარჩოებშიც ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეასრულონ საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტების როლი, პროგრესი კი მიღწევადია ყველასათვის, მათ შორის სუსტი სახელმწიფოებისა და ინდივიდებისათვისაც.

ამგვარ ვითარებაში საერთაშორისო-პოლიტიკური მეცნიერების ლიბერალურ-იდეალისტური თეორია, რომელიც თითქოს მივიწყებული იყო ბიპოლარული ურთიერთდაპირისპირების პერიოდში, ისევ იქცევს ყურადღებას და სხვადასხვა ფორმებს იძენს. მისი მრავალი მიმდევარი აღიარებს, რომ ვინაიდან საერთაშორისო არენაზე არ არსებობს იძულების მექანიზმი, ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობები კვლავაც ანარქიული რჩება ბატონობისა და მორჩილების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, როგორც თვლის ა. უენდტი (A. Wendt), იდეათა პირველადობა და ინტერესთა ბალანსის მიღწევის საშუალება ნიშნავს, რომ ანარქია წარმოადგენს საკუთრივ სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგს. უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც ძირეულად განსხვავებული შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან. მაგალითად, ი. ფერგიუსონის (I. Ferguson) თვალსაზრისით, ნეორეალისტების მტკიცების მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ანარქიის ბატონობის შესახებ, ჭეშმარიტებასთან გაცილებით უფრო ახლოს სხვა რამ დგას. *„უკანონობასა და ძალადობას ყველაზე ხშირად ვაწყდებით ქალაქის ღარიბებს უბნებში, ორგანი ზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მოქმედებაში, ეთნიკურ კონფლიქტებში, ტერორიზმსა და სამოქალაქო ომებში. პერუსა და კოლუმბიის მსგავს ქვეყნებში, მთელ რიგ პროვინციებში ფაქტობრივად მოქმედებს არა სახელმწიფო კანონები, არამედ დანაშაულებრივი სამყაროს კანონები, და პირიქით, სახელმწიფოთაშორისო ომები დღეს იშვიათი მოვლენაა და ტრანსნაციონალურ ურთიერთობათა მრავალი სფერო ამჟამად მშვიდობიანი და პროგნოზირებადია.“*

უფრო მეტი კრიტიკული შენიშვნაა გამოთქმული ანარქიულობის მეორე ასპექტის თაობაზე. ლიბერალური პარადიგმის მხარდამჭერთა თვალსაზრისით, ძნელია იმის მიჩნევა, რომ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, ოკეანიისა და დასავლეთ ევროპის განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთობები იგება პრინციპზე – „საკუთარ თავს თავად დაეხმარე“. ანარქიის თანმხლები მრავალი მოვლენა გადაილახა მთელი რიგი ინსტიტუტების წყალობით, რომლებიც მართავენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს და უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმებს. ეს ინსტიტუტები გამოხატავენ სახელმწიფოთაშორის კონსენსუსს, უზრუნველყოფენ ამ კონსენსუსის შენარჩუნებასა და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს. ეს ინსტიტუტები, გარდა იმისა, რომ აღწევენ კონსენსუსს სახელმწიფოებს შორის, არბილებენ სახელმწიფოთა ფაქტობრივი არათანასწორობის შედეგებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ნეოლიბერალი მიიჩნევს, რომ მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი და დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების შეწყვეტის პირობებში, ბოლოს და ბოლოს გახდა შესაძლებელი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება იდეალისტური კონცეფციების საფუძველზე. მათი თვალსაზრისით, თანამშრომლობის იდეებს წარმატების გაცილებით უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე რეალისტების კლასიკურ შეხედულებებს კონფლიქტებზე.

ლიბერალური თეორიის სხვა მომხრეები ისწრაფვიან გამოიკვლიონ მიმდინარე ცვლილებების ხასიათი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ტენდენციები. მაგ., ჯ. როზენაუ (J.N. Rosenau) ხაზს უსვამს, რომ დღეს წარმოქნის პროცესში მყოფი **„პოსტსაერთაშორისო“** პოლიტიკაში კონტაქტები სხვადასხვა სტრუქტურებსა და აქტორებს შორის პრინციპულად ახლებურად ხორციელდება. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული სამყაროს გვერდით, ჩვენ წინაშე იბადება „მეორე, პოლიცენტრიული მსოფლიო“, „პოსტსაერთაშორისო“ ურთიერთობათა სამყარო. იგი გამოირჩევა ქაოტურობითა და არაპროგნოზირებადობით, იდენტურობის დამახინჯებით, ახალი ტიპის ძალაუფლებათა წარმოქმნით, ლოიალურობის ორიენტაციების შეცვლით. ამასთან, „პოსტსაერთაშორისო“ ურთიერთობათა საბაზისო სტრუქტურები თითქოს იხლიჩება ეტატისტურ და პოლიცენტრულ სამყაროებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, მაგრამ ვერ ნახულობენ და არ შეუძლიათ მონახონ ერთმანეთში ჭეშმარიტი შერიგების მიღწევის გზები.

ამასთანავე, ლიბერალური პარადიგმის მიმდევართა პოზიციების შეფასებებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, საერთო ჯამში, ნეოლიბერალები უმთავრეს პოზიციებში (საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა, სახელმწიფოს წინამავალი როლი, ხელისუფლებისა და ძალის მნიშვნელობა) უფრო ახლოს დგანან ნეორეალიზმთან, ვიდრე ტრადიციულ ლიბერალ-იდეალისტებთან.

რეალისტური თეორიის ძირითადი დებულებების კრიტიკით გამო-

დის ნეომარქსიზმი. მის მომხრეებს მსოფლიო წარმოუდგენიათ მრავალგვარი ეკონომიკების, სახელმწიფოების, საზოგადოებების, იდეოლოგიებისა და კულტურების გლობალური სისტემის სახით. ამ რთულ მრავალგვარობაში გარკვევისათვის გამოიყენება საბაზისო ცნებები – **„მსოფლიო-სისტემა"** და **„მსოფლიო-ეკონომიკა"**. ეს უკანასკნელი ასახავს არა იმდენად მსოფლიოში ეკონომიკურ ურთიერთობათა ჯამს, არამედ ურთიერთქმედების უკიდურესად ფართო სისტემას საერთაშორისო აქტორებს შორის, რომელშიც წინამავალ როლს ასრულებენ ყველაზე ძლიერნი. „მსოფლიო-ეკონომიკის" მთავარი ნიშნებია: წარმოების მსოფლიო ორგანიზაცია, სამრეწველო კომპლექსების მზარდი კოორდინაცია, კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია და ფინანსთა სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობის შემცირება. ნეომარქსისტთა მტკიცებით, სახელმწიფოები, რომელიც ადრე საკუთარ თავს იცავდნენ გარეგანი ჩარევისაგან, ამ ჟამად იქცევიან აგენტებად, რომლებიც გადასცემენ ნაციონალურ ეკონომიკებს „მსოფლიო-ეკონომიკის" მოთხოვნებს, რათა მოახდინონ მათი ადაპტირება მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პირობებისადმი. ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროცესები და მათი შესაბამისი სტრუქტურები წარმოადგენენ ადამიანთა მოღვაწეობის შედეგს, ისტორიის პროდუქტს. იმავდროულად, ხაზს უსვამენ ნეომარქსისტები, არსებობს გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროცესებიც – ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციოკულტურული და სხვა სახის ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების დივერსიფიკაცია, განვითარების განსხვავებული გზების ძიება.

ჰიპერლიბერალურ „მსოფლიო-ეკონომიკას", როგორც აღნიშნავს ნეომარქსიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რ. კოქსი (R. Cox), ესაჭიროება ლიდერი, რომელსაც შესწევს უნარი სხვები აიძულოს პატივი სცენ მის მიერ შემოღებულ წესებს. „ცივი ომის" შემდეგ ეს როლი გაითავისა აშშ-მა. რეალურად, საერთაშორისო ურთიერთობები იძენს აშშ-საგან დამოკიდებულ ხასიათს. ეს დამოკიდებულება ეხება მსოფლიო სისტემის არა მხოლოდ „მარგინალურ" ზონებს, ანუ „მესამე სამყაროს" განვითარებად ქვეყნებს, არა მარტო მის „აქტიურ" და „მთავარ" პერიფერიულ ზონებს, როგორებიც ხდებიან აღმოსავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნები, რუსეთი თუ ინდოეთი, არამედ ისეთ ტრადიციულ „სისტემის ცენტრებს", როგორიცაა იაპონია და დასავლეთ ევროპა. ნეომარქსისტთა შეხედულებით, მსოფლიო სისტემის მომავალი ევოლუცია უმეტესწილად დამოკიდებული იქნება „პერიფერიულ" ზონათა და რეგიონთა პოლიტიკურ ნებასა და უნარზე კავშირი გაწყვიტონ მათთვის თავსმოხვეულ განვითარების სტრატეგიასთან როგორც შიდა სფეროში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ზემოაღნიშნული თეორიების მომხრეთა მრავალი სხვა მოსაზრება შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ ზემოთ მოყვანილებიც საკმარისია იმის მკაფიოდ დასანახად, რომ ურთიერთკრიტიკის საფუძველზე იქმნება მთელი რიგი საერთო დებულება, რომელსაც სამივე თეორიის მიმდევრები იზიარებენ.

პირველ რიგში ეს არის დებულება იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის არსებობისა და მისი ნაირობრივი გაზრდის მიუხედავად, მათი რეგულირების შესაძლებლობები არსებობს.

მეორე, ეს არის თეზისი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეთა რიცხვი იზრდება და მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოებსა და სამთავრობათშორის ორგანიზაციებს, არამედ ახალ, არატრადიციულ აქტორებსაც – საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ფირმებსა და საწარმოებს, მრავალ საწარმოო, ფინანსურ, პროფესიულ და სხვა სახის ასოციაციას, ასევე რიგით ინდივიდებს.

მესამე, ეს არის აღიარება ამ გამოწვევებისა და პრობლემების მსოფლიო ხასიათის, რის წინაშეც აღმოჩნდნენ დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილენი.

იმავდროულად საერთო დებულებების არსებობა არ ნიშნავს განსხვავებათა გაქრობას. თითოეული თეორიის მომხრენი უპირველესად ხაზს უსვამენ იმ ასპექტებს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ამა თუ იმ პარადიგმის ტრადიციებთან.

ახალმა მოვლენებმა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებსაც ყურადღება მიაქციეს ლიბერალური პარადიგმის მომხრეებმა, აიძულეს ნეორეალიზმის თეორეტიკოსები შეემსუბუქებინათ ზოგიერთი საკუთარი დებულება და შეეცვალათ სხვები. მაგ., კოლინ გრეი (C. Gray) ლაპარაკობს სამხედრო ძალის მნიშვნელობის შემცირებაზე, ყოველ შემთხვევაში იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ბირთვულ იარაღს. მეორე მხრივ, ბარი ბუზანი და ჯონ მირშაიმერი (J. Mearsheimer) აღნიშნავენ, რომ დღეს ნეორეალიზმმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ეთნიკური კონფლიქტების შესწავლასა და მათ გავლენაზე საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციაზე. მ. ბრეჩერი (M. Brecher) ხაზს უსვამს „პერიფერიული" კონფლიქტების (ე.ი. რომლებიც დიდი სახელმწიფოების ინტერესებში არ შედიან) ანალიზის აუცილებლობას. 70-იან წლებში ნეორეალიზმის მამამთავრის კ. უოლცის (K. Waltz) მიერ გამოთქმული დებულების – რომ ნეორეალიზმისათვის არსებობს მხოლოდ ორი ზესახელმწიფო და შესაბამისად ნეორეალიზმი წარმოადგენს ამ ორი ზესახელმწიფოს თეორიას, ფონზე ზემოაღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებები სერიოზულ ნოვაციად ჩანს. იმავდროულად

„ცივის ომის“ დასრულებასთან დაკავშირებული ილუზიების სწრაფმა მარცხმა რეალისტური თეორიის მნიშვნელობა აქტუალური გახადა. ნეორეალიზმი საჭირო გახდა სხვადასხვა ქვეყნების როგორც სახელმწიფო ლიდერთათვის, ისე ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისათვის. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

**პირველი** – თანამედროვე საერთაშორისო სიტუაციის მრავალი ნიშან-თვისება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში ვითარება გაცილებით უფრო სახიფათო გახდა და ნებისმიერი მოვლენა, რომლის ახსნაც შეუძლებელია, წარმოადგენს საფრთხეს. საერთაშორისო ურთიერთობათა ადრე არსებული მექანიზმების მოშლის პირობებში დაირღვა ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიოში არსებული ძალთა ბალანსი, რასაც ყველა მიჩვეული იყო. მსოფლიო არენაზე გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფოები და საერთაშორისო ურთიერთობების არასახელმწიფოებრივი მონაწილეები, დაბოლოს, წარმოიქმნა ახალი ტიპის მრავალგვარი და ურიცხვი კონფლიქტები. მეორე მხრივ, ამ მოვლენებმა გამოაჩინა გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების არაეფექტურობა ახალი საერთაშორისო წესრიგის აღმშენებლობის საქმეში, რომელიც დაეფუძნებოდა უნივერსალურ ფასეულობათა უზენაესობასა და სახელმწიფოთა საერთო ინტერესებს, კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივ გზას და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

**მეორე** – პოლიტიკური რეალიზმი ტრადიციულად წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის საქმეში ამა თუ იმ სახელმწიფოში „საკუთარი“ ხელისუფლების სასარგებლოდ, რომელიც იცავს სახელმწიფოს „ნაციონალურ“ ინტერესებს. იგი ხელისუფლებას უზრუნველყოფს არა მხოლოდ მხარდაჭერით საზოგადოების მხრიდან, არამედ ხელს უწყობს სახელმწიფო ერთიანობის შენარჩუნებას გარეგანი საფრთხის წინაშე.

**მესამე** – პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი დებულებები – საერთაშორისო პოლიტიკის, როგორც ძალაუფლებისა და ძალის მოპოვების ინსტრუმენტის შესახებ; სახელმწიფოს, როგორც მთავარი და არსებითად ერთადერთი რეალურად მოქმედ ძალის თაობაზე ამ პოლიტიკაში, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს; სახელმწიფოთა შორის ინტერესთა არათანმთხვევობის შესახებ და ამით განპირობებული საერთაშორისო გარემოს გარდაუვალი კონფლიქტოგენურობა – მისაღები გამოდგა დასავლეთისა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტისათვის.

**მეოთხე** – მნიშვნელოვან როლს პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი დებულების შენარჩუნების საქმეში ასრულებს გენერალიტეტის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენელთა, ექსპერტთა და ძალოვანი სტრუქტურების მრჩეველთა, უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა, დამოუკიდებელ ანალიტიკურ ცენტრთა და ცალკეულ აკადემიურ მკვლევართა შეხედულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი ეყრდნობიან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა დეტალურ ანალიზს და არკვევენ ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებს ამ ურთიერთობებში.

> უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახდა ორი კონცეფცია: ეს არის ფ. ფუკუიამას (F. Fukuyuama) **„ისტორიის დასასრული“** და ს. ჰანთინგთონის (S. Huntington) **„ცივილიზაციათა შეჯახება“**. ფ. ფუკუიამა ლაპარაკობს დასავლურ ფასეულობათა ტრიუმფის შესახებ, პლურალისტული დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებაზე, ინდივიდუალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის იდეალების შესახებ. ს. ჰანთიგთონი ხაზს უსვამს აღმავალ საფრთხეს, რომელიც მოდის სამხრეთიდან და უკავშირდება მუსლიმურ და კონფუციანური ცივილიზაციებს, რომლებიც უპირისპირდებიან მათთვის მტრულ და უცხო დასავლეთს. ორივე თეორია, მიუხედავად მთელი რიგი სადავო დებულებებისა, აუცილებლად ანგარიშგასაწევია და გასათვალისწინებელი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის შესწავლისას.

ზ. ბჟეზინსკისა (Z. Brzezinski) და ჩ. კრაუტჰამერის (C. Crauthammer) შეხედულებით, დასავლეთის საბჭოთა კავშირზე გამარჯვების უმნიშვნელოვანესი შედეგი „ცივ ომში“ და ერთ-ერთი ზესახელმწიფოს გაქრობა ისაა, რომ ამიერიდან პასუხიმგებლობა მსოფლიო წესრიგზე ეკისრება ერთადერთ ზესახელმწიფოს – აშშ-ს. მას კი გააჩნია შესაძლებლობა არა მარტო დაიცვას მსოფლიო, არამედ გაავრცელოს დემოკრატიის, ინდივიდუალიზმისა და საბაზრო საზოგადოების ფასეულობებიც მთელ მსოფლიოში. ჰ. კისინჯერის (H. Kissinger) აზრით კი, „ცივ ომში“ აშშ-ის გამარჯვებამ მას დააკისრა მძიმე, მაგრამ მისთვის შესაძლებელი მისია ერთადერთი ლიდერისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის დაცვა.

> **საკვანძო საკითხები:**
> – საერთაშორისო-პოლიტიკურ მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამი თეორია (პარადიგმა): რეალისტური, ლიბერალური და ნეომარქსისტული ანუ მსოფლიო სისტემის.
> – დღეს უმთავრესი დისკუსია მიმდინარეობს ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის.
> – არსებობს მთელი რიგი დებულებებისა, რომლებსაც სამივე თეორიის მიმდევრები იზიარებენ.

ლიტერატურა:

M. Albrow, Introduction in M. Albrow and E. King (eds.), *Globalization, Knowledge and Society*, (London: Sage, 1990)

M. Beisheim, G. Walter, "Globalisierung" – Kinderrankheit eines Konzeptes? in: ZfIB, 1997, 1, (4), 153-180.

I. Carlsson et al., Our Global Neighbouring (Oxford: Univ. Press, 1995).

A. Giddens,The Consequences of of Modernity: Self and Society in the Late Modern Age (Cambridge: Polity Press 1990).

R. Cox, United States Foreign Policy Since the End of the Cold War (London: Pinter and the Royal Institute of International Affairs, 1995)

D. Harvey, The Condition of Postmodernity: An Enquiry into the Conditions of Cultural Change, (Oxford: Balakwell, 1989).

P. Hirst & G. Thompson, Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance (Cambridge: Polity Press 1996).

M. Featherstone (ed.), Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity (London: Sage 1990).

E. Kofman & G. Youngs (eds.), Globalization: Theory and Practice (London: Pinter, 1996).

G. Modeski, Sea Power in Global Politics, (Seattle, Univ. of Washington Press, 1988).

K. Ohmae, The Borderless Word: Power and Strategy in the Interlinked Economy (London: Fontana, 1990)

R. Robertson, Globalization: Social Theory and global Culture, (London: Sage, 1992).

J.N. Rosenau, Turbulence in World Politics (Princeton: Univ. Pres, 1990).

J.N. Rosenau & E.O. Czempiel (eds.), Governance without Government: Order and Change in World Politics (Cambridge: Univ. Press, 1992).

J.A. Scholte, Globalization: A Critical Introduction (London: Macmillan, 1997).

M. Waters, Globalization (London: Rouledge 1995).

# Раздел I. Современная система международных отношений

## *ГЛАВА 1. ПРИРОДА И ЗАКОНОМЕРНОСТИ МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ*

Кардинальные перемены, происшедшие в мировом развитии на рубеже 1980 - 1990-х годов, со всей остротой поставили как перед исследователями, так и перед политиками вопрос о характере и закономерностях международных отношений. Падение Берлинской стены стало символом окончания холодной войны. Однако, вопреки оптимистическим ожиданиям некоторых идеалистически настроенных политиков и части научной общественности, за ним последовали не сближение Востока и Запада на основе универсальных ценностей и не становление общемирового сообщества, основанного на принципах взаимопомощи и сотрудничества всех со всеми, а совсем иные события, во многом неожиданные как для практических политиков, так и для научного сообщества. Среди них распад СССР и возникновение на политической карте мира новых независимых государств, разрастание этнических конфликтов и усиление сепаратистских тенденций на фоне роста глобальной взаимозависимости, приобретение международным терроризмом угрожающих масштабов, наконец, подрыв всей прежней структуры международной безопасности.

Начавшийся распад прежней системы международных отношений, а также основанного на ней миропорядка поставил множество сложных вопросов перед учеными, экспертами и государственными деятелями. Под сомнением оказались все прошлые завоевания теоретической мысли и сложившиеся за полвека стереотипы международно-политической практики. Возникла настоятельная необходимость переосмысления базовых понятий науки. Это коснулось прежде всего такого исходного понятия, как «международные отношения», ибо от понимания того смысла, который в него вкладывается, зависит и международная деятельность политиков. С другой стороны, подобное переосмысление потребовало признания изменения роли государства и влияния других нетрадиционных участников международных отношений.

Неожиданность глобальных перемен для международно-политической науки, непредвиденность их характера привели к двум важным выводам, касающимся представлений о природе международных отношений. Первый из них - довольно пессимистический - состоит в том, что, несмотря на теперь уже относительно немолодой возраст науки о международных отношениях[2], она не только не накопила достаточных знаний об изучаемом ею объекте, но вынуждена даже сомневаться в самом его существовании. Иначе говоря, появились сомнения в том, что природа и закономерности международных отношений имеют свою специфику, отличающую их от других видов общественных взаимодействий. Это еще больше укрепляет позиции тех, кто прежде считал невозможным создание единой универсальной теории международных отношений, правильность положений которой могла бы подтверждаться или опровергаться самими событиями и фактами международной жизни. Согласно взглядам стоящих на этих позициях, международные отношения настолько многообразны, в них принимают участие настолько разные социальные субъекты, что общие теоретические выводы, а тем более достоверные прогнозы здесь маловероятны. Вот почему следует отказаться от всяких попыток создания единой теории международных отношений. (Отметим, что подобные взгляды были широко распространены и раньше.)

Однако именно с многочисленными конкурирующими теориями связан второй вывод, который может быть сделан на основе оценки ситуации, складывающейся сегодня на международной арене. Он состоит в том, что взаимная критика различных теоретических традиций, парадигм, концепций и теорий вовсе не приводит к их разрушению и исчезновению. Напротив, она заставляет ученых пересматривать накопленный багаж знаний, способствует взаим-

[2] Считается, что ее институционализация началась с создания в 1919 г. специальной кафедры в Эйберсвите (Великобритания).

ному обогащению их взглядов и, таким образом, общему продвижению науки о международных отношениях в познании своего объекта, его природы и закономерностей. Это означает, что при анализе вопроса о природе международных отношений и их закономерностей нам не избежать рассмотрения противоположных теоретических позиций.

### *Природа международных отношений*

Многообразие существующих сегодня в международно-политической науке теорий и взглядов в конечном счете может быть сведено к трем известным парадигмам: реалистской (включающей в себя классический реализм и неореализм), либеральной (традиционный идеализм и неолиберализм) и неомарксистской, каждая из которых исходит из своего понимания природы и характера международных отношений. Эти парадигмы, естественно, не исчерпывают содержания теории международных отношений. Последние два десятилетия отмечены интенсивным развитием в ее рамках таких направлений как транснационализм и институционализм, конструктивизм и постмодернизм, все более самостоятельное значение приобретают международная политическая экономия и социология международных отношений; различия, и нередко довольно существенные, имеются и в рамках самих указанных парадигм. В то же время наиболее распространенными и на сегодняшний день остаются именно указанные парадигмы, а сердцевинной дискуссией по вопросам теории международных отношений, во многом определяющей пути ее развития, остается дискуссия между неореализмом и неолиберализмом. Это дает основания не только рассматривать указанные выше три парадигмы как «базовые» для международно-политической науки, но и анализировать на их основе и само состояние последней.
Центральными для теории политического реализма, одним из самых авторитетных представителей которой стал в 30-е и особенно в послевоенные 40-е годы Г. Моргентау, являются «понятие интереса, определенного в терминах власти», и связанные с ним понятия баланса сил, геополитической стратегии и т.п. В неореализме, основные идеи которого сформулировал в конце 70-х годов К. Уолц, эти акценты несколько смещены. Отстаивая структурное понимание силы, неореализм не сводит ее к военному компоненту, а включает в нее также экономическую, информационно-коммуникативную, научную, финансовую и производственную составляющие. В нем нашли место и другие новые для этой парадигмы положения, например о взаимозависимости, о внетерриториальной сущности нового, гораздо более эффективного, чем прежний, типа власти - власти над идеями, кредитами, технологиями, рынками и др. И все же сама суть реалистического подхода с характерным для него пониманием мировой политики как бескомпромиссной борьбы государств за власть и влияние остается прежней.

Одним из исходных для политического реализма является положение об анархической природе международных отношений. С этой точки зрения, именно анархичность отличает их от внутриобщественных отношений, построенных на принципах иерархии, субординации, господства и подчинения, формализованных в правовых нормах, главной из которых является монополия государства на легитимное насилие в рамках своего внутреннего суверенитета. Анархичность же международных отношений, по мнению сторонников политического реализма, проявляется в двух главных аспектах. Во-первых, это отсутствие общего правительства, единой правящей во всем мире структуры, распоряжения которой были бы обязательны для неуклонного исполнения правительствами всех государств. Во-вторых, это неизбежная для каждого государства необходимость рассчитывать только на себя, на собственные возможности в отстаивании своих интересов. Приверженцы парадигмы политического реализма исходят из того, что при отсутствии верховной власти, правовых и моральных норм, способных на основе общего согласия эффективно регулировать взаимодействия основных акторов, предотвращать разрушительные для них и для мира в целом конфликты и войны, природа международных отношений не претерпела существенных изменений со времен Фукидида. Поэтому следует оставить все надежды на реформирование

FACULTY OF HUMANITIES TBILISI STATE UNIVERSITY

данной сферы, на построение международного порядка, основанного на правовых нормах, коллективной безопасности и решающей роли наднациональных организаций. Никто, кроме самого государства (в лице его политического руководства), не заинтересован в его безопасности, укрепление которой - а следовательно, и усиление государства, его власти как способности оказывать влияние на другие государства - остается главным элементом его национальных интересов. В рамках указанной парадигмы все это означает, что главным содержанием рациональной теории, исследующей международные отношения, остается изучение межгосударственных конфликтов и войн, а ее центральной проблемой - проблема безопасности. При этом безопасность рассматривается прежде всего в ее военно-силовом и государственно-центристском виде. В этом случае внимание концентрируется на «дилемме безопасности», в соответствии с которой чем большей безопасности добивается для себя одно государство (или один союз государств), тем в меньшей безопасности оказывается другое государство (или союз).

Несколько забегая вперед, заметим, что если первая позиция реалистов относительно анархической природы международных отношений разделяется практически всеми направлениями международно-политической науки, то этого нельзя сказать о второй позиции. Так, даже для близкой к политическому реализму «английской школы» теории международных отношений наиболее характерным всегда был анализ международной среды как относительно целостного «общества», в котором господствуют единые нормы поведения его членов - государств. В своей наиболее известной работе - «Анархическое общество» X. Булл высказывает взгляды, близкие, с одной стороны, политическому реализму, а с другой - получившему распространение в 90-е годы так называемому конструктивистскому направлению в науке о международных отношениях. При этом речь не идет об экстраполяции государственной модели. Международное «общество», с позиций сторонников «английской школы», предстает как хотя и единый, но далеко не однородный социум, поэтому теория международного «общества» не противоречит представлениям об анархичности международных отношений (хотя о степени этой анархичности ведутся интенсивные дискуссии). Следует также отметить, что она стимулирует исследование природы этих отношений.

С окончанием холодной войны авторитет политического реализма был серьезно поколеблен. Некоторые из представителей неореализма даже стали называть себя «либеральными реалистами», или же «утопическими реалистами», показывая тем самым готовность к определенному пересмотру ряда положений реалистической парадигмы, в том числе и положения об анархичности природы международных отношений. Так, Б. Бузан, не подвергая сомнению реалистический тезис о радикальном отличии политических взаимодействий в рамках государства и на международной арене, в то же время считает, что в целом природа международных отношений меняется в сторону «зрелой анархии», в рамках которой западные либерально-демократические государства способны играть роль гаранта международной безопасности, а достижения прогресса становятся доступными для всех, в том числе слабых государств и рядовых индивидов. Однако критики указывают, что если тот факт, что западные демократии не имеют никакого желания сражаться друг с другом, возможно, отчасти подтверждает тезис о «зрелой анархии», то это не относится к отношениям между ними и остальным миром. Они подчеркивают отсутствие каких-либо гарантий того, что богатые и сильные демократические державы станут помогать более слабым государствам в других регионах, когда возникнет угроза их безопасности.

В этих условиях либерально-идеалистическая парадигма международно-политической науки, как бы забытая в период биполярного противостояния, вновь привлекает внимание, приобретает самые различные формы. Многие ее сторонники соглашаются с тем, что, поскольку в международном обществе до сих пор отсутствует принудительная сила, постольку международная система и сегодня остается анархичной с точки зрения отношений господства и подчинения. Однако, как считает А. Вендт, первичность идей и возможность достижения баланса интересов означают, что анархия является следствием политики самих государств. Более того, анархичность международных отношений уже не может рассматриваться как то,

FACULTY OF HUMANITIES TBILISI STATE UNIVERSITY

что коренным образом отличает их от внутриобщественных отношений. Так, по мнению Й.. Фергюсона, несмотря на утверждения неореалистов о господстве анархии в сфере международных отношений, гораздо более правдоподобным является другое. «С беззаконием и насилием чаще всего сталкиваются в городских трущобах, в действиях организованной преступности, в этнических конфликтах, в беспорядочном терроризме и в гражданских войнах. В странах, подобных Перу и Колумбии, в целых провинциях фактически действуют не государственные законы, а законы преступного мира. И наоборот, межгосударственные войны - сегодня редкий случай, и многие сферы транснациональных отношений являются мирными и предсказуемыми». Формальные и неформальные правила игры ограничивают степень анархии в различных зонах риска, результатом чего является значительная регулярность и, как правило, преобладание отношений делового сотрудничества.

Еще больше критики высказывается по поводу второго аспекта анархичности. С точки зрения сторонников либеральной парадигмы, отношения между развитыми демократическими странами Азии, Северной Америки, Океании и Западной Европы трудно характеризовать как строящиеся по принципу «помоги себе сам». Многие якобы неизбежные последствия анархии были по большей части преодолены благодаря целому комплексу институтов, которые управляют межгосударственными отношениями и обеспечивают механизмы принятия решений. Эти институты отражают существование межгосударственного консенсуса и помогают поддерживать его, используя взаимные консультации и компромиссы, смягчающие последствия фактического неравенства государств. Более того, некоторые из неолибералов полагают, что наступил момент для нового витка в развитии мирового сообщества и что с прекращением борьбы Запада с Востоком наконец-то стало возможным развитие международных отношений на основе идеалистических концепций. Идеи сотрудничества, по их мнению, имеют больше шансов на успех, чем классические взгляды реалистов на конфликт, а также игры с нулевой и ненулевой суммой.

Другие сторонники либеральной парадигмы стремятся исследовать характер и долговременные тенденции происходящих изменений. Так, Дж. Розенау подчеркивает, что в рамках возникающей сегодня новой, «постмеждународной», политики контакты между различными структурами и акторами осуществляются принципиально по-новому. На наших глазах рождается и уже существует наряду с традиционным миром межгосударственных взаимодействий «второй, полицентричный» мир, мир «постмеждународных» отношений. Он характеризуется хаотичностью и непредсказуемостью, искажением идентичностей, возникновением новых авторитетов, переориентацией лояльностей. При этом базовые структуры «постмеждународных» отношений как бы расщепляются между этатистским и полицентрическим мирами, которые влияют друг на друга, но не находят и не могут найти подлинного примирения между собой.

Впрочем, оценивая позиции сторонников либеральной парадигмы, не следует забывать и о том, что в целом неолибералы по ключевым позициям (анархичность международных отношений, ведущая роль государства, значение власти и силы) гораздо ближе к неореализму, чем к традиционным либералам-идеалистам.

С критикой основных положений реалистической парадигмы выступает и неомарксизм. Его сторонники представляют мир в виде глобальной системы многообразных экономик, государств, обществ, идеологий и культур. Разобраться в этом сложном многообразии помогают базовые понятия «мир-система» и «мир-экономика». Последнее отражает не столько сумму экономических отношений в мире, сколько самую обширную систему взаимодействия международных акторов, ведущую роль в которой играют экономически наиболее сильные. Основные черты мир-экономики - это всемирная организация производства, рост значения ТНК в мировом хозяйственном развитии, усиливающаяся координация производственных комплексов, интернационализация капиталов и уменьшение возможностей государственного вмешательства в сферу финансов. По утверждению неомарксистов, государства, которые ранее защищали себя от внешних потрясений, сегодня превращаются в агентов, передающих национальным экономикам требования мир-экономики с целью адаптации к условиям кон-

FACULTY OF HUMANITIES

куренции на мировом рынке. При этом указанные процессы, как и соответствующие структуры, являются результатом деятельности людей, продуктом истории. В то же время, подчеркивают неомарксисты, существуют и процессы, противоположные глобализации, - диверсификация экономических, политических, общественных, социокультурных и иных организаций и структур, поиски иных путей развития. Однако радикально-либеральная идеология стремится завуалировать эти процессы. Она внушает людям, что альтернативы глобализации нет, что в основе наблюдающихся на мировой арене жесткой конкуренции, дерегламентации взаимодействий и эгоизма лежит неумолимая экономическая логика.

Гиперлиберальная мир-экономика, пишет один из видных представителей неомарксизма Р. Кокс, нуждается в лидере, способном заставить уважать ее правила. После холодной войны эту роль присвоили себе США. Она позволяет им претендовать на привилегии в виде исключений из общих правил поведения на международной арене. Являясь самым крупным в мире должником, США рассчитывают на дальнейшее получение кредитов и продолжают жить, тратя гораздо больше, чем это позволяют их собственные возможности. Их лидеры объясняют это «тяжестью военной ноши», которую Соединенные Штаты вынуждены нести, защищая остальное человечество (и прежде всего западный мир) от многочисленных угроз его безопасности. На самом же деле международные отношения приобретают зависимый от США характер. Эта зависимость касается не только «маргинальных» (традиционных) периферийных зон мировой системы, т.е. слаборазвитых стран «третьего мира», не только ее «активных» или «главных» периферийных зон, какими становятся страны Восточной Азии, Восточной Европы, Латинской Америки, Россия, Индия, но и таких традиционных «центров системы», как Япония и Западная Европа. Выстраиваясь в кильватере политики Вашингтона, последние рискуют в долгосрочной перспективе обострить этим не только японо-европейское соперничество, но и смягчившиеся в последние десятилетия противоречия между западноевропейскими странами. Вместе с тем, считают неомарксисты, положение все же не так фатально, как его представляют сторонники радикал-либеральной концепции «мондиализации». Дальнейшая эволюция мировой системы во многом будет зависеть от политической воли и способности «периферийных» стран и регионов порвать с навязываемой им стратегией развития в сфере как внутренних, так и международных отношений, а также от эффективности сопротивления этой стратегии со стороны трудящихся.

Можно было бы привести и другие суждения сторонников рассматриваемых парадигм по поводу природы современных международных отношений. Однако и приведенных выше достаточно, чтобы показать, что в результате взаимной критики вырабатывается ряд общих положений, разделяемых представителями всех трех парадигм.

Во-первых, это положение о том, что, хотя анархия международных отношений и продолжает существовать и даже отчасти возрастает, возможности для их регулирования все же существуют.

Во-вторых, это тезис, согласно которому число участников международных отношений расширяется, включая в себя не только государства и межправительственные организации, но и новых, нетрадиционных акторов - международные правительственные и неправительственные организации, транснациональные корпорации, фирмы и предприятия, многочисленные производственные, финансовые, профессиональные и иные ассоциации и объединения, а также рядовых индивидов.

В-третьих, это признание всемирного характера тех вызовов и проблем, с которыми сталкиваются сегодня участники международных отношений.

Наконец, это указание на переходный характер современного состояния этих отношений.

В целом вышеизложенные взгляды на характер и природу международных отношений могут быть представлены в виде следующей схемы:

FACULTY OF HUMANITIES TBILISI STATE UNIVERSITY

| Природа современных международных отношений | Реализм и неореализм | Неолиберализм | Неомарксизм | Положения, разделяемые в той или иной мере всеми парадигмами |
|---|---|---|---|---|
| **Характер международной среды** | Анархия (полная ["помоги себе сам"] или "зрелая") | Анархия ограничена или смягчена международными институтами | Анархия в рамках "мир-системы" с преобладающим доминированием единственной сверхдержавы | а) Система международных отношений находится в процессе фундаментальных изменений после 1989 г<br>б) Анархия в международых отношениях сохраняется, но есть возможности их регулирования |
| **Главные действующие лица (акторы)** | Государство как главный и, по сути, единственно значимый актор | Государство - главный, но не единственно значимый актор | Государство сохраняет свое значение, но это относится главным образом к великим державам | Государство сохраняет свою роль главного действующего лица, определяющего природу и характер международных отношений |
| **Способ взаимодействия международных акторов** | Конфликтность взаимодействий между государствами, опирающимися на национальные интересы и озабоченными национальной безопасностью | Конфликтность сохраняется, но сотрудничество как ведущий международный процесс возможно и необходимо | Конфликтный характер "мир-системы", обусловленный целенаправленной стратегией США и других стран, составляющих центр "мир-системы" | Остается преимущественно конфликтным |
| **Основная проблема международных отношений** | Дилемма безопасности (главным образом в ее военном измерении) | Дилемма безопасности (главным образом в ее экономическом измерении) | Несправедливое распределение ресурсов между центром и периферией мир-системы | Всемирный характер вызовов и проблем, с которыми сталкиваются сегодня международные акторы |
| **Представители рассматриваемых парадигм** | Г. Моргентау, Р. Арон, К. Уолц, Б. Бузан, Р. Греко, Дж. Миршаймер и др. | Р. Кеохейн, Дж. Най, М. Николсон, М.-К. Смуте, Ч. Липсон, С. Стрендж | И. Валерстайн, С. Амин, Р. Кокс, М. Рогальски, Ф. Кардозо, Т. Фалето | |

В то же время наличие общих положений не означает исчезновения различий. Признавая их, сторонники каждой из парадигм подчеркивают прежде всего те аспекты, которые наиболее близки именно ее традициям. Кроме того, если все они так или иначе влияют на практику международных взаимодействий, то одни в большей, а другие - в меньшей мере, одни привлекают внимание государственных акторов, другие - нетрадиционных. В этой связи следует подчеркнуть, что высказываемые средствами массовой информации оценки, согласно которым «фактически уже началось самоформирование системы международной безопасности, основанной не столько на теориях, сколько на частных прагматических решениях и прецедентах», вряд ли полностью соответствуют действительности. Международные

акторы, принимая решения как на государственном, так и на негосударственном уровне, находятся под воздействием многочисленных экспертов и советников, имеющих те или иные теоретические предпочтения. Оценка ими ситуации и прогнозы ее развития в той или иной степени влияют на поведение международных акторов, а следовательно, и на состояние международных отношений. Новые явления в международных взаимодействиях, на которые обратили внимание сторонники либеральной парадигмы, заставили теоретиков неореализма смягчить одно из своих положений и видоизменить другие. Так, Колин Грей говорит об уменьшении значения военной силы, по крайней мере, в решении вопросов, связанных с ядерным оружием. С другой стороны, Барри Бузан и Джон Миршаймер отмечают, что сегодня неореализм должен обратить особое внимание на изучение этнических конфликтов и их влияния на трансформацию международной системы. В свою очередь, М.Бречер настаивает на необходимости анализа роли "периферийных" конфликтов (т.е. находящихся за пределами интересов великих держав). В свете высказанного отцом-основателем неореализма К. Уолцем в конце 70-х годов положения о том, что для неореализма существуют только две супердержавы, и что, соответственно, неореализм - это теория двух государств, призывы указанных исследователей выглядят как серьезные новации. В то же время быстрое крушение первоначальных иллюзий, связанных с прекращением холодной войны, актуализировало значение реалистической парадигмы. Неореализм оказался востребованным как государственными лидерами, так и оппозиционными политиками разных стран. Тому есть несколько причин.

Во первых, многие черты современной международной ситуации создают впечатление, что после окончания холодной войны положение в мире стало гораздо опаснее и что всякое явление, которое нельзя объяснить, представляет собой угрозу. С одной стороны, широко распространенными стали тревоги и сомнения, связанные с разрегулированием прежних механизмов функционирования международных отношений, разрушением ставшего привычным за полвека своего существования баланса сил, возникновением на мировой арене новых государств и негосударственных участников международного взаимодействия, наконец, всплеском многообразных и многочисленных конфликтов нового типа. С другой стороны, все эти явления высветили неэффективность ООН и других международных организаций в деле построения нового международного порядка, основанного на верховенстве универсальных ценностей и общих интересов государств, на правовом урегулировании конфликтов и создании системы коллективной безопасности.

Во-вторых, политический реализм традиционно является эффективным инструментом в деле мобилизации общественного мнения того или иного государства в пользу «своего» правительства, защищающего «национальные» интересы страны. Тем самым он помогает ее руководству не только обеспечивать поддержку своей власти со стороны общества, но и сохранять государственное единство перед лицом внутреннего сепаратизма.

В-третьих, основные положения теории политического реализма - о международной политике как орудии борьбы за власть и силу, о государстве как главном и по сути единственном действующем лице этой политики, которое следует принимать во внимание, о несовпадении национальных интересов государств и обусловленной этим неизбежной конфликтогенности международной среды и др. - оказались востребованными политической элитой Запада и прежде всего Соединенных Штатов. В США политический реализм позволяет трактовать международные отношения в соответствии с американскими представлениями о международном порядке как о совокупности совпадающих с национальными интересами Америки либеральных идеалов, которые она призвана продвигать, опираясь, если необходимо, на использование экономической или военной силы. В других странах (как, впрочем, и в самих США) политические элиты привлекает то положение теории политического реализма, в соответствии с которым единственным полномочным и полноправным выразителем национального интереса государства на международной арене является его правительство, обладающее на основе суверенитета монопольным правом представлять внутреннее сообщество, заключать договоры, объявлять войны и т.п.

UNIVERSITY OF HUMANITIES (TBILISI STATE UNIVERSITY)

Наконец, в-четвертых, немаловажную роль в сохранении основных понятий политического реализма в лексиконе государственных и политических деятелей играют представители генералитета и военно-промышленного комплекса, многочисленные эксперты и советники как силовых ведомств, так и высших государственных руководителей, «независимые» частные аналитические центры и отдельные академические исследователи. Представители влиятельных социальных групп стремятся либо сохранить свою власть, свой статус, либо удовлетворять спрос на рынке государственных идеологий и притом воздействовать на его формирование. И в том, и в другом случае наиболее подходящими в период нестабильности международных отношений оказываются алармистские мотивы, рассуждения на тему возрастающих угроз как мировой системе в целом, так и Западу, и США в частности. В этом контексте широко используются снова вошедшие в моду геополитические построения, многообразные сценарии грядущего миропорядка и т.п.

Разумеется, сказанное не означает, что все сценарии или исследования, о которых идет речь, не имеют отношения к действительности. Напротив, чаще всего они опираются на весьма добротный анализ современного международного положения и внешнеполитических интересов соответствующих стран. В то же время односторонняя ориентированность таких исследований, их идеологическая ангажированность вполне очевидны.

Приведем в качестве примера две концепции, которые получили, пожалуй, наиболее широкий резонанс и к которым иногда ошибочно сводится многообразие выдвинутых за эти годы положений об изменении природы международных отношений. Речь идет о «конце истории» Ф. Фукуямы и «столкновении цивилизаций» С. Хантингтона. Внешне они выглядят как конкурирующие, даже как противоположные. Действительно, у Фукуямы речь идет о триумфе западных ценностей, всеобщем распространении плюралистической демократии, идеалов индивидуализма и рыночной экономики. Хантингтон же говорит о нарастающей угрозе с Юга, связанной с усилением мусульманской и конфуцианской цивилизаций, чуждых Западу и враждебных ему. Однако по своей внутренней сущности они весьма близки. В обоих случаях в основе теоретических построений лежит этно-, а вернее, западо-центризм, связанный с созданием образа врага, роль которого призваны играть все те, кто так или иначе противится унификации образа жизни и мыслей по западному образцу, кто отстаивает свои национальные или цивилизационные особенности. Обе концепции имеют самое прямое отношение к установкам власти и легитимации мероприятий, основанных на устаревшем понимании международной безопасности, что указывает на их прямую связь с парадигмой политического реализма.

В этом свете обращает на себя внимание, что обе названные концепции исходят в своей трактовке природы международных, отношений именно из распределения силы и решающей роли насилия в мировой политике. В обеих концепциях рассуждения о необходимости сохранения мира и демократии выливаются в апологию однополярного мира под эгидой США или же в поиски врага, утраченного с окончанием холодной войны.

Подобные взгляды характерны и для других видных экспертов и советников, обслуживающих внешнеполитические государственные структуры Запада. Так, по мнению Зб. Бжезинского и Ч. Краутхамера, важнейшим следствием победы Запада над Советским Союзом в холодной войне и исчезновения одной из двух сверхдержав является то, что ответственность за судьбы мира ложится на оставшуюся единственной сверхдержаву - США, а ее возможности позволяют обеспечить не только защиту, но и распространение ценностей демократии, индивидуализма и рыночного общества во всем мире. Наступление Pax Americana продемонстрировал уже вооруженный конфликт в зоне Персидского залива, в результате которого стало ясно, что миру придется согласиться с мягкой американской гегемонией, утверждает Бжезинский. Близких позиций придерживается и Г. Киссинджер, хотя он не столь прямолинеен в их обосновании. С его точки зрения, победа США в холодной войне возлагает на них нелегкую, но вполне посильную миссию единственного лидера в поддержании равновесия сил в мире. В то же время он выступал против ведущей роли США в экспансии НАТО, полагая, что это дело прежде всего самой Западной Европы.

FACULTY OF HUMANITIES

Если же обратить внимание на то, что вышеуказанные авторы, по справедливому замечанию К. Брутенца, формируют у своих читателей подозрения в отношении России, то становятся более понятными и настойчивые попытки изолировать ее от «цивилизованного мира» путем заполнения «вакуума силы», в том числе и посредством расширения НАТО.

Таким образом, рассмотрение современных представлений о природе международных отношений обнаруживает достаточно неоднозначную картину. Несмотря на огромные тиражи публикаций с изложением указанных представлений и их популярность среди определенного круга политиков, а также несмотря на широкий резонанс в академических кругах, они все же не являются для них ни репрезентативными, ни, тем более, единственными или господствующими. Вот почему знакомство с ними не должно служить основой для выводов о состоянии международно-политической науки и заслонять необходимость изучения действительного многообразия существующих воззрений на природу международных отношений и закономерности их эволюции.

### *Закономерности международных отношений*

Проблема закономерностей международных отношений остается одной из наименее разработанных и наиболее дискуссионных в науке. Это объясняется прежде всего самой спецификой данной сферы общественных отношений, где особенно трудно обнаружить повторяемость тех или иных событий и процессов и где поэтому главными чертами закономерностей являются их относительный, вероятностный, непредопределенный характер. Главными признаками социальных законов, объединяющих их с законами природы, считаются наличие строго определенных условий, при которых их проявление становится неизбежным, а также частичная, приблизительная реализация условий, при которых действует закон. Подчеркнем в этой связи, что степень этой приблизительности в сфере международных отношений так велика, что многие исследователи склонны говорить не столько о законах и закономерностях, сколько о вероятности наступления тех или иных событий. Но и тогда, когда наличие закономерностей не подвергается сомнению, существуют разногласия относительно их содержания. Как и в предыдущем разделе, мы сначала рассмотрим здесь соответствующие положения различных теоретических парадигм, а затем попытаемся вычленить те общие закономерности, которые не вызывают сомнения (хотя и могут трактоваться по-разному) ни у либералов и «транснационалистов», ни у неомарксистов и сторонников мир-системного подхода, ни у реалистов и неореалистов.

Одной из наиболее привлекательных черт теории политического реализма стало стремление обосновать мысль о том, что в основе международной политики лежат объективные и неизменные законы политического поведения, корни которых следует искать в самой человеческой природе. Центральное понятие политического реализма - «интерес, определенный в терминах власти», - связывает существование законов международных отношений с потребностями людей в безопасности, процветании и развитии, которые и должно защищать государство в своей внешнеполитической деятельности. О стремлении к научной объективности говорит и другое положение политического реализма - о необходимости рассматривать международные отношения не с точки зрения какого-либо идеала, сколь бы хорош он ни был, а с точки зрения сущности всякой - в том числе и международной - политики. «Международная политика, подобно любой другой политике, есть борьба за власть; какой бы ни была конечная цель международной политики, ее непосредственной целью всегда является власть», - пишет Г. Моргентау. Не отрицая необходимости создания гармоничного и мирного международного порядка, основанного на демократии, универсальных ценностях и верховенстве права, политические реалисты настаивают на том, что в современном мире одной из главных особенностей международной политики является постоянное стремление великих держав к сохранению существующей на мировой арене ситуации - в том случае, если они считают ее благоприятной для своих интересов, или же - к ее изменению в свою пользу, если

FACULTY OF HUMANITIES
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

დანართი 6.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 11 ოქტომბრის №200/01-01 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 11 ოქტომბრის №200/01-01 ბრძანებით შეიქმნა ყოფილი პროფესორის ნინო კიღურაძის 2017 წლის 14 მარტის #3392/10-02 განცხადებაში დასმული საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ლევან გორდეზიანი (კომისიის თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი),

ირინე დარჩია (კომისიის მდივანი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი),

ქეთევან ნადირაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი),

კახაბერ ჭეიშვილი (რექტორის კონსულტანტი),

თემურ ცქიტიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი).

კომისია მუშაობას შეუდგა 2017 წლის 27 ოქტომბერს. კომისია გაესაუბრა განმცხადებელს, ქალბატონ ნინო კიღურაძეს, მის წარმომადგენელს, ქალბატონ ირმა მახათაძეს, თსუ ყოფილ რექტორს, ბატონ ლადო პაპავას. კომისიამ საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე გასაუბრება იმ პირებთან, ვისაც გარკვეული შემხებლობა ჰქონდა ქალბატონ ნინო კიღურაძის განცხადებაში აღნიშნულ საქმეებთან: ვასილ ბარამიძე, ია ბაღაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, მერაბ კალანდაძე, არჩილ კუკულავა, ბონდო კუპატაძე, ელენე მეძმარიაშვილი, თეიმურაზ პაპასქირი, გიორგი ღვედაშვილი, შოთა ჭანტურიძე, ქეთევან ხუციშვილი. სამწუხაროდ, მათ არ ითანამშრომლეს კომისიასთან. კომისიისთვის უცნობია, ადმინისტრაციამ დროულად მიაწოდა თუ არა ინფორმაცია გასაუბრებაზე მოწვეულ პროფესორებს (მერაბ კალანდაძე, ბონდო კუპატაძე, ელენე მეძმარიაშვილი, ქეთევან ხუციშვილი). თავად ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კი სხვადასხვა მიზეზით უარი განაცხადეს კომისიასთან შეხვედრაზე (წერილები თან ერთვის). აღსანიშნავია, რომ ხუთმა პირმა (ვასილ ბარამიძე, ია ბაღაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, არჩილ კუკულავა, გიორგი ღვედაშვილი) ერთობლივი პასუხი შეიმუშავა კომისიის მოწვევაზე, რითიც ეჭვქვეშ დააყენა კომისიის და, ფაქტობრივად, რექტორის უფლებამოსილება შეისწავლოს ადმინისტრაციის ძველი საქმეები.

ქალბატონმა ნინო კილურაძემ კომისიას გადასცა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. კომისიამ გამოითხოვა ადმინისტრაციიდან დამატებითი დოკუმენტები. ეს მოთხოვნაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აკადემიური საბჭოს სამდივნომ კომისიას გადასცა საბჭოს დადგენილებებისა და ოქმების ასლები. დოკუმენტაციის დიდი ნაწილის მიწოდებაზე სამჯერ მივიღეთ ზოგადი პასუხი - ორჯერ ბატონი არჩილ კუკულავასგან, ერთხელაც ხუთი ავტორის ხელმოწერით (წერილები თან ერთვის).

წარმოდგენილი მასალის განხილვისა და ზემოაღნიშნულ პირებთან გასაუბრების შედეგად კომისია მივიდა შემდეგ დასკვნებამდე:

1. ქალბატონი ნინო კილურაძის სამსახურიდან განთავისუფლება მოხდა უსამართლოდ - დაუხვეწავი დებულების საფუძველზე არასათანადოდ წარმოებული პროცედურით, რაც კარგად დასტურდება დოკუმენტურად. უნივერსიტეტს არ აქვს არანაირი პერსპექტივა დაიცვას საკუთარი გადაწყვეტილება სასამართლოში. შესაბამისად, კომისია რეკომენდაციას უწევს რექტორსა და აკადემიურ საბჭოს დაკმაყოფილდეს ქალბატონი ნინო კილურაძის მოთხოვნა და გაუქმდეს მის მიმართ მიღებული უსამართლო გადაწყვეტილება.

დასაბუთება:

პლაგიატი სრულიად შეუწყნარებელი და, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული სენია ჩვენ აკადემიურ სივრცეში. ქართული კანონმდებლობა არ გვთავაზობს მკაფიო ნორმატიულ ბაზას ამ სენთან საბრძოლველად. უნივერსიტეტის მიერ მიღებული რეგულაციაც (აკადემიური საბჭოს დადგენილება # 46/2014, აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ) მალზე ზოგადია, გამოდგება მხოლოდ დეკლარაციად და არა ბაზად კონკრეტული სამართლებრივი ნაბიჯების გადასადგმელად.

აუცილებელია უფრო ზუსტი დეფინიცია, აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რა კატეგორიის ნაშრომებში შეიძლება პლაგიატზე თუ აკადემიური ეთიკის სხვა დარღვევაზე საუბარი, რა ტიპის იდეების მითვისებაა შესაძლებელი, სად გადის ზღვარი აკადემიური ეთიკის დარღვევასა და საავტორო უფლების ხელყოფას შორის, როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა ავტორი/შემდგენელი, პუბლიკაციისათვის გრიფის/ სტატუსის მიმნიჭებელი და საავტორო უფლების (copyright) მფლობელი სხვადასხვა პირია. ყოველივე ამის გარეშე ჩვენი რეგულაცია იძლევა ძალზე სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობას, რაც მკაფიოდ გამოჩნდა განსახილველ შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ახალ, შემზღუდველ რეგულაციას ვერ ექნება უკუქმედების ძალა. შესაბამისად, დღეს შემოღებული მკაცრი შეზღუდვა ვერ გავრცელდება ადრე გამოცემულ ნაშრომებზე. ძველი პროდუქციიდან პლაგიატი თუ აკადემიური ეთიკის სხვა დარღვევა შეიძლება გახდეს განხილვის საგანი მხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომებში, დისერტაციებში, რადგანაც ამ ტიპის ნაშრომებისთვის ოდითგანვე არსებობდა მკაფიო ნორმები.

პროფ. ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები სამი მიმართულებით:

ა. კომისიის დაკომპლექტება და ურთიერთქმედება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, ბატონი ლადო პაპავას თქმით, შეიქმნა ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების ადმინისტრაციის მიერ ცენტრალური ადმინისტრაციისათვის მიწოდებული სიების საფუძველზე, ე.ი. მკაფიო კრიტერიუმების გარეშე, გაუმჭვირვალედ.

კონკრეტული საქმის განსახილველად ამ სიიდან ასევე გაურკვეველი პრინციპით შეირჩა კოლეგების ჯგუფი. თუ ეს კომისია, მალზე ზოგადი დებულების ფონზე, მოიაზრებოდა ექსპერტების კრებულად, ვისაც გამოწვლილვით უნდა შეესწავლა საქმის ყველა ნიუანსი, მაშინ მისი წევრები სადავო ნაშრომის სფეროში ვიწრო სპეციალისტები და საავტორო უფლებათა ექსპერტები უნდა ყოფილიყვნენ.

სრულიად გაუგებარი და პრინციპულად გაუმართლებელია ადმინისტრაციის, კერძოდ, სამეცნიერო და იურიდიული დეპარტამენტების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა კომისიის მუშაობაში, მათი ერთგვარად შუამავალი როლი რექტორსა და კომისიას შორის: კორესპონდენცია რექტორსა და კომისიას შორის მიდიოდა ამ დეპარტამენტების მეშვეობით, დეპარტამენტებს ევალებოდათ კომუნიკაცია და ახსნა-განმარტებითი მუშაობა კომისიის წევრებთან, კომისიის დასკვნა რექტორმა გაუგზავნა ვიზირებისთვის ამ დეპარტამენტებს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიტანა აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე კომისიის დასკვნა გაიტანა კომისიის წარმომადგენელმა, განხილვა იყო ზედაპირული, საბჭო არ გასცნობია მასალას სრულად, დაინტერესებულ მხარეს არ მიეცა საშუალება გამოეთქვა თავისი არგუმენტები.

ეს ყოველივე საეჭვოდ ხდის კომისიის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და თეორიულად შანსს აძლევდა ადმინისტრაციის არაკეთილსინდისიერ თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა

კომისიის მუშაობის შედეგზე და, შესაბამისად, აკადემიური საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ბ. ფორმალური დარღვევები, რომლებზეც განმცხადებელი მიუთითებს, დასტურდება დოკუმენტურად და, რამდენადაც კომისიისათვის ცნობილია, განიხილება სასამართლოში. ფორმალურად, მხოლოდ ესეც საკმარისია, რათა კომისიის დასკვნა გაბათილდეს, ხოლო ცალკეული ქმედება, თუ ამას მხარეები (თსუ ან ქალბატონი ნინო კიღურაძე) მოისურვებენ, შეიძლება კონკრეტული პირების მიმართ სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდეს.

გ. არსობრივი შეუსაბამობები და ორმაგი სტანდარტი

აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია, ცხადია, ხედავდა საუნივერსიტეტო დებულების ხარვეზს და დაინტერესდა, სავსებით სამართლიანადაც, სადავო პუბლიკაციის წარმოშობის ისტორიით. ფონდში „ღია საზოგადოება - საქართველო“, რომლის დაფინანსებითაც განხორციელდა პროექტი, შესაბამისი დოკუმენტაცია აღარ ინახება, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ხოლო ფონდის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა: „2000-2001 წლებში ფონდმა სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგია, პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები) ახალი სამაგისტრო კურსების მოსამზადებლად გასცა სტიპენდიები. კურსის მომზადება გულისხმობდა სილაბუსის და ორენოვანი რიდერის (ქართულ-ინგლისური) შექმნას. გათვალისწინებული იყო 3-თვიანი სტაჟირება ევროპულ უნივერსიტეტში მენტორის დახმარებით კურსის მოსამზადებლად. სტიპენდია არ გულისხმობდა წიგნის გამოცემას... 2001 წელს თსუ მეთოდსაბჭომ 24 სამაგისტრო კურსს მიანიჭა დამხმარე სახელმძღვანელოს სტატუსი. ამ ფაქტმა დაბადა მათი გამოცემის იდეა... ამ პროექტის წარმატება გახდა საფუძველი, რომ შემდგომ წლებში გრანტშივე გათვალისწინებული იყო სამაგისტრო კურსების წიგნად გამოცემა.“ (ოქმი # 3, 05.11.2014).

ოქმის ამ ჩანაწერს დასკვნაში შეესაბამება: „ქ-ნ მანანა მიქაბერიძესთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ... ავტორებთან დაიდო ერთი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სალექციო კურსის და რიდერის მომზადებას, ასევე სტაჟირებაზე გამგზავრებას დამხმარე სახელმძღვანელოს მოსამზადებლად.“

ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო განსხვავებები უაღრესად არსებითია და ამზადებს შემდეგ, თავისთავად ძალზე სადავო მტკიცებას: „კომისია იზიარებს იმ ლოგიკას, რომ სალექციო კურსთან, კონსპექტთან, რიდერთან და მსგავს პუბლიკაციებთან მიმართებაში წყაროების გამოყენების ტესტი შეიძლება იყოს უფრო მოქნილი და ლიბერალური, ვიდრე სახელმძღვანელოების ან დამხმარე

სახელმძღვანელოების შემთხვევაში, სახელმძღვანელო ან დამხმარე სახელმძღვანელო თავისი შინაარსით გაცილებით უფრო მაღალი დონის ნაშრომია, ვიდრე მხოლოდ სალექციო კურსი/ რიდერი, ამიტომ მასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მაღალი აკადემიური სტანდარტის და ციტირების წესის დაცვა. შეიძლება სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო არ იყოს ორიგინალური ნაშრომი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მასში დაცული იყოს გამოყენებული ლიტერატურის მითითების რაიმე ფორმა."

შემდეგ დასკვნაში მოცემულია მცდელობა იმის დამტკიცებისა, რომ ავტორებს თავიდანვე უნდა სცოდნოდათ პუბლიკაციის სტატუსი და ეზრუნათ შეცდომის გასწორება-გაპროტესტებაზე.

საბოლოოდ კომისია ასკვნის: „გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელო ... წარმოადგენს პლაგიატს და ფიქსირდება აკადემიური ეთიკის დარღვევა."

უაღრესად საინტერესოა დასკვნითი ფრაზა, რომლითაც კომისია ერთგვარად ანეიტრალებს გამოტანილ განაჩენს: „კომისიას კარგად ესმის, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა დაკავშირებული იყო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგად წარმოქმნილ დავასთან. მიგვაჩნია, რომ აკადემიური საბჭო, სანამ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის ამ დასკვნასთან დაკავშირებით, უნდა კარგად დაფიქრდეს, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ყოველი აკადემიური კონკურსის შემდეგ მსგავსი საჩივრები შემოვა უნივერსიტეტში. ვაძლევთ რეკომენდაციას აკადემიურ საბჭოს, რომ შეიმუშავოს კონკრეტული კრიტერიუმები მსგავს შემთხვევებში შემოსული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით."

აკადემიურ საბჭოს ეს უკანასკნელი რეკომენდაცია დღემდე არ გაუთვალისწინებია, ხოლო ნინო კიღურაძე დამრღვევად ცნო და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დაავალა (დადგენილება 9/2015, 22.01.2015).

აღსანიშნავია, რომ კომისიის დასკვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია პლაგიატად აღიარებული წიგნის მეორე თანაავტორისთვის.

ორმაგი სტანდარტებისა თუ შერჩევითი სამართლის მკაფიო ნიმუშებად გვესახება აგრეთვე აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი სხვა კომისიების დასკვნები:

„კომისია მის ხელთ არსებული მასალების შესწავლის, მ. კალანდაძის მოსმენისა და ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტის, სამართლის

დოქტორ გვანცა გუგეშაშვილის კონსულტაციის საფუძველზე, მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომი. ის წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასპეციალისტებისთვის, კომპილაციური ხასიათისაა და ეფუძნება სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს...
2. მ. კალანდაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის სტრუქტურა ძირითადად არ ემთხვევა ნ. კიღურაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის სტრუქტურას.
3. ... მ. კალანდაძის ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, სადაც იგი მიუთითებს ნ. კიღურაძის ორივე შესაბამის ნაშრომს... მიგვაჩნია, რომ ნაშრომში გამოყენებული მითითების წესი დამახასიათებელია კომპილაციური ხასიათის სახელმძღვანელოებისათვის. გამოყენებული ლიტერატურის ბოლოში მითითება ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, კომისიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ნ. კიღურაძის სახელმძღვანელოდან ტექსტის გამოყენებისთვის მ. კალანდაძეს არ სჭირდებოდა ნ. კიღურაძისაგან ნებართვის აღება.
4. ნ. კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს ტექსტი, თავის მხრივ, არის კომპილაციური, ძირითადად მოიცავს ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ნ. კიღურაძეს არ შეიძლება ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება და მათი გამოყენება ამ უფლების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომისია დაასკვნის, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო არ წარმოადგენს პლაგიატს და არ არსებობს დარღვევა."

ამ კომისიამაც შეიმუშავა რეკომენდაცია აკადემიური საბჭოსათვის, რაც, სამწუხაროდ, ასევე გაუთვალისწინებელი დარჩა:

„კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის წევრებს ჩამოუყალიბდათ აზრი იმის შესახებ, რომ სასურველია სამომავლოდ შეიქმნას სახელმძღვანელოს შედგენის ერთიანი სტანდარტი, რომლის შესაბამისად მოხდება სტანდარტის დადგენის შემდგომ შედგენილ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავების განხილვა." (რექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის #163/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა)

„წიგნი ... არის გადამუშავებული სადიპლომო ნაშრომი, რომელიც მონოგრაფიას არ წარმოადგენს. თვითონ ავტორი ანოტაციაში უთითებს „წიგნს" და არა

„მონოგრაფიას". მას სქოლიო არ აქვს, თუმცა ბიბლიოგრაფია ბოლოში აქვს დართული, რაც მსგავსი კატეგორიის წიგნისთვის სავსებით საკმარისია. ამის გამო მას ნ. კიღურაძე პლაგიატობას აბრალებს. მაგრამ, ვინაიდან წიგნი, ფაქტობრივად, უფრო სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, ვიდრე სამეცნიერო, მისთვის სქოლიოს დართვა აუცილებელი არ არის... მთავარია, ავტორს ბიბლიოგრაფიაში მითითებული აქვს ყველა გამოყენებული წიგნი. ამგვარად, თ. პაპასქირის პლაგიატში დადანაშაულება უსაფუძვლოა."

„წიგნი ... არის თ. პაპასქირის საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან უცვლელად გამოაქვეყნა..., ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისია ასკვნის, რომ ზემოთ მითითებულ ნაშრომში არის პერეფრაზირება, ფაქტების კონსტანტაცია და არა რომელიმე მკვლევარის ანალიზის მიტაცება; ავტორი არასოდეს იყენებს სხვა ავტორთა დასკვნებს კომპილაციის შენიღბვის მიზნით. იგი ყოველთვის იმოწმებს პირველწყაროებს, რაც კომპილაციად ვერ ჩაითვლება. ამგვარად, თ. პაპასქირის აღნიშნულ წიგნში კომპილაციის ფაქტები დადასტურებული არ არის." (რექტორის მ/შ 2014 წლის 7 ნოემბრის #199/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა)

სამივე დასკვნას აერთიანებს მოსაზრება, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის ნაშრომში, რას და რა დოზით ესესხები სხვას, „აუცილებელია, დაცული იყოს გამოყენებული ლიტერატურის მითითების რაიმე ფორმა." ჩვენი აზრით, ეს პოზიცია თავისთავადაც მცდარია და ეწინააღმდეგება საკმაოდ ზოგად საუნივერსიტეტო რეგულაციასაც:

მუხლი 2, აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები

1. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.
2. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

2. კომისია ადასტურებს, რომ განხილული მასალის საფუძველზე იკვეთება პირთა ჯგუფის კოორდინირებული ქმედებები ქალბატონი ნინო კიღურაძის წინააღმდეგ, მაგრამ კომისიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ამ ქმედებებისათვის სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა. კომისიასთან გასაუბრებისას ბატონმა ლადო პაპავამ აღნიშნა, რომ 2014 წლის გაზაფხულზე მან ქალბატონი ნინო უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნია და ამიტომაც გამოუცხადა პროფესორის თანამდებობა არა იმ კათედრაზე, სადაც იგი ადრე მუშაობდა, არამედ ცალკე. ამ კონკურსის დროს ქალბატონი ნინოს კონკურენტი იყო ბატონი მერაბ კალანდაძე, რომელმაც კომისიას მიმართა განცხადებით ნინო კიღურაძის მიერ ჩადენილი პლაგიატის შესახებ. მას შემდეგ, რაც კომისიამ არ განიხილა ეს საჩივარი, რადგან იგი არ ეხებოდა საკონკურსო მასალას, ბატონმა მერაბმა იგივე განცხადებით მიმართა რექტორს. რექტორმა განცხადება იურიდიულ დეპარტამენტს დააწერა, ბატონმა არჩილ კუკულავამ კი ის კომისიას გადაუგზავნა. ამჯერად კომისიამ განიხილა საჩივარი და უსაფუძვლოდ სცნო იგი. ამ თემაზე იყო საუბარი აკადემიურ საბჭოზეც, სადაც კომისიის გადაწყვეტილება დამტკიცდა. საინტერესოა, რომ ბატონ ლადოს გასაუბრების დროს ამ საჩივრის ავტორად ბატონი თეიმურაზ პაპასქირი ახსოვდა და ამ შეცდომას აქვს რეალური საფუძველი. ანალოგიური განცხადებით ბატონმა თეიმურაზმა ჯერ კიდევ 2010 წელს მიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს. მაშინაც საჩივარს შედეგი არ მოჰყოლია. 2014 წლის კონკურსში გამარჯვებულად ქალბატონი ნინოს გამოცხადების შემდეგ ბატონმა მერაბმა იმავე საჩივრით უკვე ახლადშექმნილ აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენ კომისიას მიმართა. მეოთხე ცდიდან საჩივარმა შედეგი გამოიღო. აღსანიშნავია, რომ ბატონ მერაბს კონკურენტის ამგვარად ჩამოცილების შემდეგ აღარ გამოუთქვამს ინტერესი გამოთავისუფლებული ვაკანსიის მიმართ.

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ 2013 წლის კონკურსი, რომელიც სასამართლომ ბათილად სცნო და ამ გადაწყვეტილების ორიგინალური აღსრულება, რომელიც სასამართლომ არასათანადო აღსრულებად მიიჩნია. საქალაქო სასამართლოს ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში მაშინ, როდესაც რექტორის #200/01-01 ბრძანებით შექმნილი კომისია უკვე სწავლობდა ქალბატონი ნინო კიღურაძის საქმეს. ეს კარგად ეთანხმება იმ ფაქტობრივ ბოიკოტს, რომელიც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ვისაც რამე შემხებლობა მაინც ჰქონდა საქმესთან, გამოუცხადეს კომისიას.

3. კომისიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ბატონი თეიმურაზ პაპასქირის მიერ აკადემიური ეთიკის იმ შესაძლო დარღვევების შეფასება, რაზეც ქალბატონი ნინო კიღურაძე მიუთითებს თავის განცხადებებში (28.10.2014 და 23.03.2016).

კომისია მიიჩნევს, რომ ბრალდებები საკმაოდ სერიოზულია, ხოლო უნივერსიტეტის რეაგირება - არასათანადო (პირველი წერილის პასუხად შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის ძირითადი დასკვნა ზემოთაა მოტანილი, ხოლო მეორე წერილი პრაქტიკულად პასუხის გარეშე დარჩა: ფაკულტეტის დეკანმა ცნობად მიიღო, ხოლო შიდა აუდიტის სამსახურის პასუხი ნაწილობრივი და ზედაპირულია). შესაბამისად, ამ საკითხის განსახილველად სასურველი იქნებოდა კომპეტენტური და დამოუკიდებელი დარგობრივი კომისიის შექმნა.

4. კომისიის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა უნივერსიტეტში არსებული სისტემური პრობლემები და კომისია საჭიროდ მიიჩნევს წარუდგინოს რექტორსა და აკადემიურ საბჭოს რეკომენდაციები ამ პრობლემათა დასაძლევად:

ა. პლაგიატისა და სხვა სახის აკადემიური ეთიკის დარღვევების პრევენციისა თუ აღმოფხვრის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, ერთი მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან, მეორე მხრივ, სამართლის პრინციპებთან.

ბ. შესაცვლელია სხვადასხვა კომისიების (მ.შ. საკონკურსო, აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი, დისციპლინარული, დაცვის და სხვ.) შექმნის არსებული სისტემა. სასურველია, კომისიები (ან მათი ბირთვი მაინც), შეძლებისდაგვარად, იყოს მუდმივმოქმედი ან კომპლექტდებოდეს მკაფიო კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ძირითადად ex officio. ეს გაზრდის კომისიის წევრთა კომპეტენციასა და პასუხისმგებლობას, შესაბამისად, კომისიებისადმი ნდობასაც. საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოვიწვიოთ ასევე მკაფიო კრიტერიუმებით შერჩეული გარე ექსპერტები. კომისიები უნდა მუშაობდნენ ადმინისტრაციული ერთეულებისგან მაქსიმალურად დისტანცირებულად. მოხელეს დაქვემდებარებული (de jure ან de facto), მკაფიო კრიტერიუმების გარეშე დაკომპლექტებული კომისიის შექმნას სჯობია, თავად ამ მოხელემ მიიღოს გადაწყვეტილება და აიღოს შესაბამისი პასუხისმგებლობა.

გ. ეთიკის თუ დისციპლინარული კომისიის მიერ დამრღვევად ცნობის შემდეგ, პირს საშუალება უნდა ჰქონდეს თავისი კონტრარგუმენტები წარმოადგინოს, სანამ აკადემიური საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. ამისათვის ან სააპელაციო კომისია უნდა არსებობდეს, საკონკურსო წესების ანალოგიით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მექანიზმი საკუთარი პოზიციის თავად აკადემიური საბჭოსათვის მისაწოდებლად.

დ. დასახვეწია საკონკურსო წესებიც, არა მხოლოდ კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები (შესაძლოა, ეს კომპონენტი კიდევ ყველაზე ნაკლებად საჭიროებს შეცვლას. უნივერსიტეტი სასამართლო პროცესებს აგებს არა დაუხვეწავი

კრიტერიუმების, არამედ კომისიების დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებისა და ჩვენი იურისტების არაკვალიფიციური ქმედებების გამო, რაც გამოჩნდა კიდეც განსახილველი საქმის მასალებიდან), არამედ მთელი პროცედურა, რაც გულისხმობს როგორც საკონკურსო ადგილის გამოცხადებასა და შესაბამისი მკაფიო მოთხოვნების გამოქვეყნებას, ასევე კომისიის დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესს.

ე. დასახვეწია საქმის წარმოების წესი, რაც გულისხმობს როგორც ცალკეულ საბჭოებს, კოლეგიებს, კომისიებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის უფლება-მოვალეობის გამიჯვნასა და მათი ურთიერთქმედების სრულყოფას, ასევე დოკუმენტაციის წარმოებას. ასე მაგალითად, სრულიად შეუფერებლად მიგვაჩნია ყველა ტიპის დოკუმენტაციაში კოდიფიცირების პრინციპის გამოყენება. თუ ეს პრინციპი ნორმატიული აქტების შემთხვევაში მისაღებია, სხვაგან ის მხოლოდ სირთულეს ქმნის და მისი გამართლება ერთადერთია: ამგვარად ადმინისტრაციას შეუძლია დრო და ნერვები დააკარგვინოს ადამიანს, რომელიც უნივერსიტეტისგან გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს.

ვ. აუცილებელია, ადმინისტრაციული პერსონალი პასუხისმგებელი იყოს საკუთარი ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე და, შესაბამისად, არსებობდეს პირადი პასუხისმგებლობა კონკრეტული საქმეზე. დღეს მოხელის მიერ მომზადებული მასალის საფუძველზე პრინციპულ გადაწყვეტილებებს საბოლოოდ კოლექტიური ორგანოები - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები იღებენ, მატერიალური თუ ფინანსური ზარალის ანაზღაურება სტუდენტებისა და პროფესორების ხარჯზე ხდება, პოლიტიკური პასუხისმგებლობა პირველ პირს - რექტორს ეკისრება, სახელი უნივერსიტეტს უტყდება.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

ლევან გორდეზიანი (კომისიის თავმჯდომარე)

ირინე დარჩია (კომისიის მდივანი)

ქეთევან ნადირაძე

კახაბერ ჭეიშვილი

თემურ ცქიტიშვილი

საქმე №330210015792917
საქმე N2/ბ-2215-22

**თბილისის სააპელაციო სასამართლო**
**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით

28 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი

**სამოქალაქო საქმეთა პალატამ**
**შემდეგი შემადგენლობით :**

თავმჯდომარე (მომხსენებელი) - ლაშა თავართქილაძე
მოსამართლეები - გოჩა ჯეირანაშვილი, ოთარ სიჭინავა

**სხდომის მდივანი** - ლანა ჩერქეზიშვილი

**აპელანტები (მოსარჩელეები)** - ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე
**წარმომადგენელი** - ირმა მახათაძე

**მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე)** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**წარმომადგენელი** - მერი კაპანაძე

**დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი** - მერაბ კალანდაძე

**დავის საგანი** - აქტების ბათილად ცნობა

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება

**აპელანტების მოთხოვნა** - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :**

**1.** 2014 წლის 9 დეკემბერს ნინო კიღურაძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და მოითხოვა:

**1.1.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის დასკვნა პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის არარსებობის თაობაზე;

**1.2.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის N112/2014 დადგენილება.

2. 2014 წლის 22 დეკემბერს ნინო კიღურაძემ და გიორგი სანიკიძემ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და მოითხოვეს:

**2.1.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს №133/01-01 ბრძანება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ, ასევე მასში ცვლილებების შეტანის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 02 სექტემბრის №142/01-01 და 2014 წლის 16 ოქტომბრის №190/01-01 ბრძანებები;

**2.2.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს №133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენელი კომისიის 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნა - გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელოს „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ პლაგიატის და აკადემიური ეთიკის დარღვევის დაფიქსირების შესახებ;

**2.3.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №9/2015 დადგენილება.

**2.4.** ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 12 მარტის N193/02-03 ბრძანება ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**3.** აღნიშნული საქმეები, განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემის შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 09.03.2016წ. განჩინებით ერთ წარმოებად ერთად განსახილველად გაერთიანდა.

**4. ნინო კიღურაძემ და გიორგი სანიკიძემ სარჩელი შემდეგ გარემოებებზე დააფუძნეს:**

**4.1.** მოსარჩელეთა მოსაზრებით, სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 02 სექტემბრის N142/01-01 ბრძანება და 2014 წლის 16 ოქტომბრის N190/01-01 ბრძანება ეწინააღმდეგება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი

საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის N46/2014 დადგენილების მოთხოვნებს, ვინაიდან აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მხოლოდ ერთი წევრი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტს, ხოლო კომისიის 6 წევრი არ არის შესაბამისი დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. მაშასადამე, საკითხი განხილულია შესაბამისი კვალიფიკაციის არ მქონე სუბიექტების მიერ. სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 02 სექტემბრის N142/01-01 ბრძანებით სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ა) ბონდო კუპატაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 ოქტომბრის N190/01-01 ბრძანებით სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გ) პაატა ტურავა - იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დ) ლელა გაფრინდაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. განხორციელებული ცვლილებების შედეგად აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია შემდეგი სუბიექტებით: ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე; ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა რუსიეშვილი; გ) იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პაატა ტურავა (ნაცვლად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორ ქეთევან ხუციშვილისა); დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი (ნაცვლად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორისა იოსებ სალუქვაძე); ე) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე; ვ) იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ხუციშვილი; ზ) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი იაკობ ფუტკარაძე.

**4.2.** მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 29 ოქტომბრის N2 სხდომის ოქმით, 2014 წლის 5 ნოემბრის სხდომის N3 ოქმით, 2014 წლის 12 ნოემბრის N4 სხდომის ოქმით და 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნით დადგენილი და დადასტურებულია, რომ კომისიის სხდომებს ესწრება, მონაწილეობს და სხდომის ოქმებს, კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის წევრი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, რომელიც 2014 წლის 16 ოქტომბრის N190/01-01 ბრძანების მიხედვით აღარ წარმოადგენს კომისიის წევრს. მაშასადამე, სადავო საკითხი განხილულია კომისიის მიერ, რომელიც არ არის კენტი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ლელა გაფრინდაშვილის 2014 წლის 28 ოქტომბრისა და 2014 წლის 6 ნოემბრის განცხადებებით დადგენილია, რომ იგი ძალიან გადატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს და მოითხოვს წევრობიდან გათავისუფლებას. კომისიის სხდომის ოქმებით დადგენილი და დადასტურებულია, რომ

3

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი კომისიის არც ერთ სხდომას არ დასწრებია, შესაბამისად არც დასკვნის მიღებაში მიუღია რაიმე მონაწილეობა. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ ფაქტიურად კომისია დასკვნის შედგენისას არ იყო კენტი შემადგენლობის.

**4.3.** მოსარჩელეების განმარტებით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს №133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მიერ 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნის შედგენისას, რომლითაც დაფიქსირებულ იქნა გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელოს „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია" პლაგიატი და აკადემიური ეთიკის დარღვევა - ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო უფლებამოსილება განახორციელა აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის N46/2014 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების 1.2 მუხლის, რომლითაც განსაზღვრულია დებულების მიზანი და ამავე დებულების 1.4 მუხლის, რომლითაც განსაზღვრულია დებულების დანიშნულება - უხეში დარღვევით, რის გამოც სახეზეა მისთვის მინიჭებული მიზნის მისაღწევად დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულების უხეში დარღვევა.

**4.4.** მოსარჩელეებს მიაჩნიათ, რომ განმცხადებელი, მერაბ კალანდაძე არ წარმოადგენს დაინტერესებულ პირს განსახილველ საკითხთან მიმართებაში თანახმად სზაკ-ის 2.1 მუხლის „გ" ქვეპუნქტისა, ვინაიდან იგი არ არის სადავო საავტორო უფლების მქონე და საგულისხმოა, რომ არც ნინო კიღურაძეს და არც გიორგი სანიკიძეს გააჩნიათ საავტორო უფლება სადავო გამოცემაზე, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონდარღვევით „პლაგიატად" გამოაცხადა. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნები და ნაცვლად იმისა, რომ ამ საფუძვლით განუხილველად დაეტოვებინა მერაბ კალანდაძის განცხადება, განიხილა და მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება ბათილად ცნობას.

**4.5.** მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის N9/2015 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 აგვისტოს N69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის N77/2014 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომლითაც დამტკიცდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება - უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე გამოცხადებულ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევ კონკურსში ნინო კიღურაძის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ და ამოღებული იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N69/2012 დადგენილებიდან მე-12 ნაწილის „დ" ქვეპუნქტი - ისტორიის თეორია და დიდაქტიკა დ.ა) ნინო კიღურაძე - პროფესორი. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა ნინო კიღურაძესა და ადმინისტრაციულ ორგანოს

შორის ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოშობილი ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა. ამ დროისთვის ჯერ კიდევ 2015 წლის 15 იანვარს მოპასუხე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ცნობილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში ნინო კიღურაძის მიერ სარჩელის აღძვრის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო აღარ იყო უფლებამოსილი ნინო კიღურაძესთან დაკავშირებით განეხორციელებინა რაიმე სახის ადმინისტრირების ღონისძიებები სადავო საკითხზე სასამართლოს მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე.

**4.6.** მოსარჩელეთა მითითებით, სხვა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება განაპირობებს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 12 მარტის N193/02-03 ბრძანების ბათილად ცნობას, ვინაიდან, აღნიშნული ბრძანების გამოცემასა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

**4.7.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის დასკვნის ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით სარჩელში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობა არ იძლევა ნაწარმოების ზუსტ ცნებას, რადგან ნაწარმოები წარმოადგენს რთული, მრავალმხრივი შინაარსის ობიექტს და ამა თუ იმ განსაზღვრებამ შეიძლება წინ წამოწიოს მხოლოდ მისი რამდენიმე ნიშანი. ნაწარმოები უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის საქმიანობის განსაზღვრულ სფეროს - მეცნიერებას, ლიტერატურას ან ხელოვნებას, თუმცა საავტორო სამართლის მიზნებისათვის ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების გამოცალკევება შეუძლებელია. საავტორო დავის განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ და შესაბამისად, სასამართლომ, უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა დაცვის ობიექტი ნაწარმოებს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს. ხოლო იმისათვის, რომ იყოს დაცვის ობიექტი, შემოქმედებას უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხასიათი და გამოსახავდეს ავტორის ინდივიდუალობას. ნაწარმოების ორიგინალობა არ არის აბსოლუტური ხასიათის, საავტორო სამართალი შესაძლებლად მიიჩნევს ინტელექტუალურ შემოქმედებას უკვე არსებული ელემენტების საფუძველზე. აქ მთავარია, რომ ნაწარმოებები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ერთმანეთის ასლებს ან მიახლოებულ გამეორებას. ორიგინალობა მდგომარეობს გამოხატვის შემოქმედებით და ინდივიდუალიზებულ ხერხში და მასალის შერჩევა და განლაგება, მასალის დამუშავება და სიტყვა-სტატიების, განმარტებების შექმნა ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას წარმოადგენს. თუ ავტორი არა მხოლოდ გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს, არამედ აძლევს მათ შეფასებას, კომენტარებს, პროგნოზებს, განმარტებებს, ამ შემთხვევაში შეიძლება განხილული იქნეს ამ ნამუშევრის, როგორც ნაწარმოების, დაცვის საკითხი. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით არ უნდა იქნეს გაზიარებული კომისიის დასკვნა მასზედ, რომ მერაბ კალანდაძის ნაშრომი არ არის ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომი. ის წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასპეციალისტებისათვის, კომპილაციური ხასიათისაა, ასევე ნინო კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს ტექსტი არის კომპილაციური, ძირითადად მოიცავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს და ნინო კიღურაძეს არ შეიძლება ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება,

შესაბამისად მათი გამოყენება ამ უფლებების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

**5.** მოპასუხემ შესაგებლით სარჩელის მოთხოვნები არ ცნო და აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის 30 სექტემბერს სარეგისტრაციო ნომრით N33882/02 შემოვიდა უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის თავმჯდომარის ზონდო კუპატაძის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომისიის წევრი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, ქეთევან ხუციშვილი მიმდინარე სემესტრში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწვევის გამო, ვერ შეძლებდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობას და აუცილებელი იყო მისი სხვა წევრით ჩანაცვლება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობაში შედიოდა ორი ქეთევან ხუციშვილი, რომელთაგან ერთი (ბრძანებაში მოხსენიებული „გ“ ქვეპუნქტად) არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე (ბრძანებაში მოხსენიებული „ვ“ ქვეპუნქტად) - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. ზონდო კუპატაძის ზემოხსენებული კორესპონდენციის საფუძველზე, მომზადდა ცვლილება შესაბამის ბრძანებაში, (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 ოქტომბრის N190/01-01 ბრძანება) რომელშიც, როგორც ნინო კიღურაძის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვისას გამოირკვა, დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ნაცვლად რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა, შეცდომით იყო ამავე ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ტექნიკური შეცდომა გამოსწორებულია უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 16 იანვრის N08/01-01 ბრძანებით. ამდენად, ტექნიკური შეცდომა არ შეიძლება სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველი გახდეს. ლელა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით, კომისიის 4 სხდომის ოქმში არ არის ასახული მისი განცხადებებისაგან განსხვავებული მოსაზრებები. ოქმში აღნიშნულია, რომ ლელა გაფრინდაშვილი არ ესწრებოდა სხდომებს მიუხედავად მოწვევისა.

**5.1.** მოპასუხის განმარტებით, კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის წევრთა რიცხვი უნდა იყოს კენტი. უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებით (ცვლილებები განხორციელებულია 2014 წლის 2 სექტემბრის N142/01-01 და 2014 წლის 16 ოქტომბრის N190/01-01 ბრძანებებით) შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია განისაზღვრა 7 წევრით. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, კომისიის წევრთა რაოდენობა არ შემცირებულა. ის გარემოება, რომ ლელა გაფრინდაშვილმა ვერ შეძლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა გადატვირთული გრაფიკის გამო, არ მიუთითებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევაზე. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენ კომისიაში, გარდა ბატონი სერგი კაპანაძისა, არ შედიოდნენ დარგის სპეციალისტები, მოპასუხემ განმარტა, რომ დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შესაბამისი დარგის (მათ შორის, შესაძლებელია უცხოელი) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება აკადემიური ეთიკის სავარაუდო დარღვევას, შესაბამის კომისიაში აუცილებელია იმ დარგის სპეციალისტთა ყოფნა,

რომლებიც ადეკვატურად გააანალიზებენ, რამდენად იდენტურია სხვადასხვა ენაზე არსებული ტექსტების შინაარსი. ასევე, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ასპექტი, რაც იწვევს კომისიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის არსებობის საჭიროებას. კომისიაში, ზოგადად, გასათვალისწინებელია იმ მიმართულების სპეციალისტებიც, რომელ მიმართულებასაც აკადემიური ეთიკის სავარაუდო დამრღვევი წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტმა უზრუნველყო კომისიის დაკომპლექტება იმ პირებით, რომელთაც ჰქონდათ კომპეტენცია განეხილათ საკითხი და მიეღოთ სწორი, ობიექტური გადაწყვეტილება. აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენმა კომპეტენტურმა კომისიამ, ყოველმხრივ და სრულყოფილად შეისწავლა საკითხი, რის შედეგადაც მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

**5.2.** აკადემიური ეთიკის დამდგენი კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის დასკვნისა და აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის მიმართ წარდგენილ შესაგებელში მოპასუხემ მიუთითა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 2.2 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებმა, მოწვეულმა პედაგოგებმა და სხვა.აკადემიური პერსონალი ვალდებულია, შექმნას ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისათვის, შეიმუშავოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას, გამორიცხავს პლაგიატსა და პროფანაციას. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის N46 დადგენილებით დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულება. აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, წინამდებარე დადგენილებით დარეგულირებული საკითხი, როგორც შრომითი ურთიერთობების ცალკეული გარემოებები, მიჩნეულ იქნა შესაბამისის შრომითი ხელშეკრულების პირობად. დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დებულების მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის, შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, საერთაშორისო-სამეცნიერო სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

**6.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, ნინო კიღურაძის და გიორგი სანიკიძის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

**6.1.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის N163/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის დასკვნით ირკვევა, რომ კომისიამ განიხილა პროფესორ ნინო კიღურაძის განცხადება ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე. ნინო კიღურაძის განცხადებით, მერაბ კალანდაძის საუნივერსიტეტო

სახელმძღვანელო მთლიანად იმეორებს ნინო კიღურაძის სასკოლო სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე მასში დარღვეულია ციტირების წესები. კომისია, მის ხელთ არსებული მასალების შესწავლის, მერაბ კალანდაძის მოსმენისა და ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტის, სამართლის დოქტორ გვანცა გუგეშაშვილის კონსულტაციის საფუძველზე, მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომი. ის წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასპეციალისტებისთვის, კომპილაციური ხასიათისაა და ეფუძნება სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს (სულ 31 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს), მათ შორის ნ. კიღურაძის თანაავტორობით გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებს. კომისიის აზრით, მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის სტრუქტურა (გვ. 118 -138) ძირითადად არ ემთხვევა ნინო კიღურაძის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილის (გვ. 55-67- XI კლასი; გვ. 95-103 - IX კლასი;) სტრუქტურას. მერაბ კალანდაძის ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია (გვ. 157), სადაც იგი მიუთითებს ნ. კიღურაძის ორივე შესაბამის ნაშრომს. ნაშრომში გამოყენებული მითითების წესი დამახასიათებელია კომპილაციური ხასიათის სახელმძღვანელოებისათვის. გამოყენებული ლიტერატურის ბოლოში მითითება ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. კომისიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ნ.კიღურაძის სახელმძღვანელოდან ტექსტის გამოყენებისთვის მ. კალანდაძეს არ სჭირდებოდა ნ. კიღურაძისგან ნებართვის მიღება. შესაბამისად, ციტირების წესი არ დარღვეულა. ამასთან, კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს ტექსტი, თავის მხრივ, არის კომპილაციური, ძირითადად მოიცავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ნ. კიღურაძეს არ შეიძლება, ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება და მათი გამოყენება ამ უფლების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო „გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, არ წარმოადგენს პლაგიატს და არ არსებობს დარღვევა.

**6.2.** თსუ-ს ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ ივანე ჯავაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის N112/2014 წლის დადგენილებით აკადემიურმა საბჭომ დაადგინა, რომ მიღებულ იქნას დარღვევის არ არსებობის თაობაზე რექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის N163/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა ინფორმაციის სახით (ცნობად) (1-ლი პუნქტი). ხოლო განმცხადებლის (თსუ-ს პროფესორი ნინო კიღურაძე) მიერ მცდარი მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე ინფორმაცია გამოსაქვეყნებლად გადაეცათ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტისათვის“ (მე-2 პუნქტი).

**6.3.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 14.08.2014 წლის N133/01-01 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის 2014 წლის 31 ივლისის N23620/02 წერილში დასმული საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) გოჩა ჯაფარიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ბ) მანანა რუსიეშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; გ) ქეთევან

ხუციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) იოსებ სალუქვაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ე) სერგი კაპანაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ვ) ქეთევან ხუციშვილი - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; ზ) იაკობ ფუტკარაძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

**6.4.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 02.09.2014 წლის N142/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა)'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) ბონდო კუპატაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი“.

**6.5.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 16.10.2014 წლის N190/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „გ)“ და „დ)“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გ) პაატა ტურავა – იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი”; დ) ლელა გაფრინდაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.”

**6.6.** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მიერ განხილული იქნა ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის განცხადება პროფესორ ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე. ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნის თანახმად, კომისიამ დაადგინა, რომ გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ წარმოადგენს პლაგიატს და ფიქსირდება აკადემიური ეთიკის დარღვევა. ეთიკის კომისიამ აღნიშნულ დასკვნას საფუძვლად დაედო შემდეგი საქმის მასალების გამოკვლევა და დასაბუთება: მერაბ კალანდაძის განცხადება (2014 წლის 31 ივლისის წერილი), ნინო კიღურაძის განმარტებითი წერილი (2014 წლის 11 სექტემბრის წერილი), გიორგი სანიკიძის განმარტებითი წერილი (2014 წლის 2 სექტემბრის წერილი); წიგნები: გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალური მეცნიერებების

მაგისტრანტებისთვის. თბ. „მერიდიანი" 2001 (ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა სერია). მ. კალანდაძის განცხადებით, ნ. კიღურაძის და გ. სანიკიძის საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს სხვა სახელმძღვანელოების პირდაპირ თარგმანს, ამასთან, ამ წიგნების მოხსენიების გარეშე.

**6.7.** კომისია, მის ხელთ არსებული დამატებითი მასალების შესწავლის, ნ. კიღურაძის მოსმენის, სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორ მანანა მიქაბერიძის და ამავე პროგრამის მონაწილე პროფესორ ზურაბ დავითაშვილთან გასაუბრების შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სახელმძღვანელო. ის ძირითადად წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს ტორკუნოვის რედაქტორობით გამოცემული რუსულენოვანი წიგნიდან (გვ. 5-6, 8-15, 25-36, 97-108, 133-146, 149-159, 168-172) და ბეილისის და სმიტის რედაქტორობით გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნიდან (გვ. 6-7, 16-24, 38-95, 110-131, 146-147, 161-167, 172-196, 211-212). ამასთან, წიგნის ბოლო ნაწილში არის მხოლოდ ერთი თავი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ორიგინალური.

**6.8.** კომისიამ შეისწავლა გ. სანიკიძის განცხადება, რომ ნაშრომის საფუძვლად ასევე აღებულია ჯექსონის და სორენსენის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი". კომისიამ დაადგინა, რომ ნაშრომი, რიგ შემთხვევებში ზედმიწევნით მისდევს ტორკუნოვის ნაშრომს, ხოლო იმის მტკიცება, ბ-ნ ტორკუნოვსაც საკუთარი ნაშრომი ჯექსონის და სორენსენის ნაშრომზე დაყრდნობით აქვს შექმნილი, თუ არა, კომისიის კომპეტენციას სცდება. ამასთან, ცალსახაა, რომ კიღურაძე და სანიკიძე თავიანთი ნაშრომის და (ყოველი თავის) ბოლოს მითითებული ლიტერატურის სიაში არ მოიხსენიებენ არც ჯექსონის და სორენსენის ნაშრომს.

**6.9.** მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი აშკარად არ არის ორიგინალური, კომისია შეეცადა გაერკვია ნ. კიღურაძის და გ. სანიკიძის განმარტებით წერილებში წამოჭრილი საკითხები, რათა მიეღო ცალსახა და გადაჭრილი პასუხი პლაგიატის არსებობა-არარსებობის შესახებ, კერძოდ: (ა) იყო თუ არა ნინო კიღურაძე მართლაც ამ პუბლიკაციის ავტორი; (ბ) რა ტიპის პუბლიკაცია იყო აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო; (გ) იცოდა თუ არა ავტორმა, რომ ეს პუბლიკაცია უნდა დაბეჭდილიყო და გამოცემულიყო და (დ) რამდენად შეეცადნენ ავტორები, რომ გამოქვეყნების შემდეგ მოეხდინათ თავიანთი ავტორობის კორექტირება. დასკვნის მიხედვით, პუბლიკაციაზე ცალსახად არის მითითებული ქ-ნი ნინო კიღურაძის ვინაობა. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, რომელიც კომისიას ხელთ გააჩნდა, შესაძლებელი იყო დასკვნის გაკეთება, რომ ქ-ნი ნ. კიღურაძე წარმოადგენს ამ ნაშრომის ავტორს. ქ-ნ მ. მიქაბერიძესთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კიღურაძესთან და სანიკიძესთან, ისევე როგორც სხვა ავტორებთან, დაიდო ერთი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სალექციო კურსის და რიდერის მომზადებას, ასევე სტაჟირებაზე გამგზავრებას დამხმარე სახელმძღვანელოს მოსამზადებლად. შესაბამისად, მართალია, ბ-ნი გ. სანიკიძე თავის მომართვაში კომისიის მიმართ აღნიშნავს, რომ ნ. კიღურაძემ "შეიმუშავა კურსი, წარმოადგინა სილაბუსი და რიდერი... მე კი, როგორც პროექტის მონაწილეს, მევალებოდა დამატებითი სასწავლო მასალების წარმოდგენა ქართულად", კომისიამ ვერ მოიპოვა ვერცერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ბ-ნ გ. სანიკიძეს და ქ-ნ ნ. კიღურაძეს შორის შრომის ამგვარ გადანაწილებას და რომ მხოლოდ გ. სანიკიძე არის წიგნის ავტორი და არა ნ. კიღურაძე. აღსანიშნავია, რომ ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (გასულია 10 წელიწადზე მეტი), აღარ ინახება ამ პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დასკვნის მიხედვით, კომისიასთან

შეხვედრაზე ქ-მა ნ. კიღურაძემ, ასევე კომისიისთვის მომართულ წერილში ბ-მა გ. სანიკიძემ, აღნიშნეს, რომ ეს ნაშრომი მომზადდა არა როგორც ორიგინალური ნაშრომი, არამედ როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა არა გამოსაცემად, არამედ დამატებითი სასწავლო მასალების სახით იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც უჭირდათ უცხოენოვან ტექსტზე მუშაობა. ხოლო კომისიის მოსაზრებით, შეიძლება სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო არ იყოს ორიგინალური ნაშრომი, თუმცა დაცული იყოს გამოყენებული ლიტერატურის მითითების რაიმე ფორმა.

**6.10.** კომისიამ დაადგინა, რომ 2000 წელს ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველო", კონტრაქტი გააფორმა გ. სანიკიძესთან და ნ. კიღურაძესთან, რომელთაც მართლაც დაევალათ სალექციო კურსის მომზადება, რაც ჩანს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს 2001 წლის ანგარიშიდან, სადაც მითითებულია, რომ „2001 წლის აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით, ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი), გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა; წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, საქართველოს სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს". ავტორებს შორის, რომლებიც ჩამოთვლილია ანგარიშში, ასევე მოხსენიებული არიან გ. სანიკიძე და ნ. კიღურაძე. „სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით: „საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში"" – ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სახელმძღვანელო თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც მხოლოდ სალექციო კურსი და არა დამხმარე სახელმძღვანელო.

**6.11.** დასკვნის მიხედვით, დოკუმენტის მომზადების თავდაპირველი მიზანი არ არის საკმარისი, რომ ავტორები გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან, თუ ავტორებმა პუბლიკაციის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ, არ სცადეს შეცდომის გასწორება და პუბლიკაციაზე თავისი სახელის შეცვლა. შეუძლებელი იყო, რომ ეს გამოცემა დაბეჭდილიყო ავტორების ნებართვის და მათთან საბოლოო ტექსტის შეთანხმების გარეშე. უფრო მეტიც, თავის მიმართვაში კომისიის მიმართ ბატონი სანიკიძე აღნიშნავს, რომ „პროექტის დასკვნით ეტაპზე, რამდენადაც მახსოვს, მის დასრულებამდე დაახლოებით 1.5 თვით ადრე, ფონდის ხსენებული პროგრამის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი სასწავლო მასალების გამოცემის შესახებ",რაც ადასტურებს, რომ ავტორებისთვის ცნობილი იყო, რომ პროექტის ბოლო ეტაპზე იგეგმებოდა ამ ნაშრომის გამოცემა.

**6.12.** კომისია ასევე შეეცადა დაედგინა, იყო თუ არა მცდელობები იმასთან დაკავშირებით, რომ ავტორს, მას შემდეგ, რაც გამოიცა პუბლიკაცია, მოეხდინა თავისი ავტორობის შესახებ ინფორმაციის კორექტირება. ამ თემასთან დაკავშირებით ქ-მა ნ. კიღურაძემ მოწერილ წერილში აღნიშნა შემდეგი: - „პროტესტი გამოითქვა როგორც ჩვენი, ისე სხვა გრანტიორების მხრიდან პუბლიკაციის ჩვენთვის მოულოდნელ ფორმასთან დაკავშირებით, ოღონდ ის კოლეგიალობის პრინციპის პატივისცემის გამო, არ გასცდენია პროგრამის ფარგლებს. ასევე, როგორც გ. სანიკიძემ განმარტა თავის წერილში, „ასეთ განზრახვაზე უარი ვთქვით პუბლიკაციის უმნიშვნელობის გამო, რადგან ვერ წარმოგვედგინა, რომ მავანნი ამას ოდესმე გამოიყენებდნენ ჩვენი დევნისა და პროფესიული რეპუტაციის შელახვისათვის..." როგორც ამ პასუხიდან ჩანს, ავტორის მხრიდან არ ყოფილა მცდელობა, რომ თავის ავტორობასთან დაკავშირებით პროტესტი გამოეთქვა და ნ. კიღურაძე ამ ნაშრომს წლების განმავლობაში წარმოაჩენდა, როგორც საკუთარ ნაშრომს.

**6.13.** უნივერსიტეტის პროფესორის ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ 2015 წლის 22 იანვრის N9/2015 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის N77/2014 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და ამოღებულ იქნა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N69/2012 დადგენილებიდან XII ნაწილის „დ" ქვეპუნქტი; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალა ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

**6.14.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 12.03.2015 წლის N193/02-03 ბრძანებით, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის N9/2015 დადგენილების საფუძველზე შრომითი ურთიერთობა შეუწყდა 2015 წლის 14 მარტიდან სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს ნინო კიღურაძეს. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით ნინო კიღურაძეზე გაიცა კომპენსაცია ერთი თვის შრომის ანაზღაურების 1830 ლარის ოდენობით.

**6.15.** ნაშრომის „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები" შექმნის შესახებ მხარეთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000-2003 წლებში ნინო კიღურაძე მონაწილეობდა ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო" სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის მიერ განხორციელებულ აქტივობებში, მათ შორის, მთარგმნელობით საქმიანობაში; გამომცემლობა თბ. „მერიდიანი" 2001 (ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა სერია) მიერ გიორგი სანიკიძისა და ნინო კიღურაძის ავტორობით გამოცემული იქნა დამხმარე სახელმძღვანელო (სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის) თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია; ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს" 2001 წლის წლიური ანგარიშის თანახმად, სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი) გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა, წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს.

**6.16.** სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველი ნაშრომი არ არის ორიგინალური სახელმძღვანელო და წარმოადგენს უცხოენოვანი ნაშრომების პირდაპირ თარგმანს, თუმცა დამხმარე სახელმძღვანელო მითითებას, რომ იგი თარგმანია, ან იმ ნაშრომების ავტორების შესახებ აღნიშვნას, საიდანაც იგი ითარგმნა, არ შეიცავს. აღნიშნულ სახელმძღვანელოზე ავტორებად გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის მითითების შესახებ ცნობილი იყო მოსარჩელეებისათვის. მოსარჩელეები არ უარყოფენ მითითებული

სახელმძღვანელოს გამოყენების ფაქტს. საქმის მასალებით, პუბლიკაციის ნუსხაში ნინო კიღურაძეს მითითებული აქვს დამხმარე სახელმძღვანელო (სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის) თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის ავტორობით.

**6.17.** სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება ადმინისტრაციული წარმოების არაუფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე დაწყების შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის 46/2014 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულება ადგენს აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ საკითხის განხილვის პროცედურებს. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია პირის წერილობითი და კანონმდებლობით დადგენილი წესით საკანცელარიო გზით რეგისტრირებული განცხადება, ხოლო მე-4 მუხლის საფუძველზე, განცხადების რეგისტრაციის შემდგომ, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში იქმნება „აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია“, რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე. ამდენად, დებულება, რომელიც ადგენს აკადემიური ეთიკის დარღვევის პროცედურის დაწყების წესებს, არ განსაზღვრავს კონკრეტულ პირთა წრის ჩამონათვალს, თუ ვინ შეიძლება მიმართოს ეთიკის კომისიას ეთიკის დარღვევის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის გარემოება, რომ სადავო ნაშრომი არ ეხებოდა უშუალოდ განმცხადებლის საავტორო უფლებებს, ვერ მიიჩნევა ეთიკის დამრღვევის კომისიის შექმნის შესახებ აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად.

**6.18.** „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის თანახმად, კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შესაბამისი დარგის (მათ შორის, შესაძლებელია უცხოელი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან. (მე-3 პუნქტი), კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისია კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავის პირველ სხდომაზე. კომისიის წევრთა რიცხვი უნდა იყოს კენტი (მე-4 პუნქტი). კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც, ამასთან, უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი კომისიის წევრის მიერ კომისიის მუშაობაში არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არმიღება საფუძველია, რათა უნივერსიტეტმა იმსჯელოს ამ კომისიის წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ (მე-8 პუნქტი). კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ამასთან კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით (მე-9 პუნქტი).

13

**6.19.** მოცემულ შემთხვევაში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 14.08.2014 წლის N133/01-01 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის 2014 წლის 31 ივლისის N23620/02 წერილში დასმული საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) გოჩა ჯაფარიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ბ) მანანა რუსიეშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; გ) ქეთევან ხუციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) იოსებ სალუქვაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ე) სერგი კაპანაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ვ) ქეთევან ხუციშვილი - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; ზ) იაკობ ფუტკარაძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. უნივერსიტეტის რექტორის 02.09.2014 წლის N142/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა)" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) ბონდო კუპატაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი". 16.10.2014 წლის N190/01-01 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „გ)" და „დ)" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გ) პაატა ტურავა – იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) ლელა გაფრინდაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი."

**6.20.** ამდენად, დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნა ეთიკის დამრღვევი კომისია 7 წევრის შემადგენლობით და წევრთა ცვლილების მიუხედავად, აღნიშნული რიცხვი არ შეცვლილა. უდავოა, რომ კომისიის ერთმა წევრმა, მისი განცხადების საფუძველზე (რაც ადმინისტრაციამ საპატიოდ მიიჩნია) ვერ მიიღო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა, თუმცა დებულების საფუძველზე, (წევრთა 2/3-ზე მეტის მონაწილეობით) კომისია უფლებამოსილი იყო განეხილა საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროცედურული დარღვევების მოტივით აკადემიური საბჭოს შექმნისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ მოპასუხის მიერ გამოცემული ბრძანებების, ასევე კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

**6.21.** „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლით ეს კანონი ვრცელდება: ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზაზე, რომლებზედაც უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და

ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოქვეყნებულად, თუ უცხო ქვეყანაში პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში ისინი გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე.

**6.22.** ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ავტორი – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები (მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი); გამოცემა – ავტორის, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების ანდა ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს (მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

**6.23.** „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. ამავე კანონის 6.1. მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია: გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად (6.3. მუხლი). ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

**6.24.**საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი იცავს გადამუშავებულ ნაწარმოებზე (მათ შორის თარგმანზე) როგორც გადამამუშავებლის, ისე იმ ავტორის საავტორო უფლებებს, რომლის ნაწარმოების გადამუშავებაც მოხდა. დასახელებული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, 1. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე; 2. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების საავტორო უფლება.

**6.25.** მოცემულ შემთხვევაში, გამომცემლობა თბ. „მერიდიანი“ 2001 (ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა სერია) მიერ გამოცემული იქნა დამხმარე სახელმძღვანელო (სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის) თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები,მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. სახელმძღვანელოზე გიორგი სანიკიძე და ნინო კიღურაძე მითითებული არიან, როგორც ავტორები. ასევე უდავოა, რომ განსახილველი ნაშრომი წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს უცხოური ავტორების მიერ

შექმნილი სამეცნიერო ნაწარმოებიდან. ამასთან, მათ (ავტორების) შესახებ მითითებას სახელმძღვანელო არ შეიცავს.

**6.26.** ასევე დადგენილია, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოზე ავტორებად გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის მითითების შესახებ ცნობილი იყო მოსარჩელეებისათვის. ამასთან, სახელმძღვანელოზე ავტორებად გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის მითითების შეცვლის შესახებ მოსარჩელეებს კონკრეტული ქმედებები არ განუხორციელებიათ. მოსარჩელეები არ უარყოფენ მითითებული სახელმძღვანელოს გამოყენების ფაქტს. საქმის მასალებით, პუბლიკაციის ნუსხაში ნინო კიღურაძეს მითითებული აქვს დამხმარე სახელმძღვანელო (სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის) თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის ავტორობით.

**6.27.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო - საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი აკადემიური ეთიკის დარღვევის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს პლაგიატს. დებულების 2.1. მუხლით კი პლაგიატი გულისხმობს - სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული,წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენას და გამოყენებას, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დებულების საფუძველზე კომისია უფლებამოსილი იყო დაედგინა ეთიკის დარღვევა.

**6.28.** ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის საფუძველზე, კომისიის დასკვნა ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხოლო მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე - კომისიის დასკვნაზე მისაღები გადაწყვეტილებების სახეობებია: ბ) აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების - დარღვევის არსებობის თაობაზე კომისიის დასკვნის საფუძველზე: ბ.ა) წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის (რექტორი, კანცლერი, აკადემიური საბჭო) დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება (მათ შორის აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება).

**6.29.** მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნის, ასევე მისი თანამდევი შედეგების სახით მიღებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №9/2015 წლის დადგენილებისა და ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების

შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 12 მარტის N193/02-03 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

**6.30.** მოსარჩელე ნინო კიღურაძე ასევე მოითხოვდა პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის არარსებობის თაობაზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის დასკვნისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის 112/2014 დადგენილების ბათილად ცნობას.

**6.31.** უდავოა, რომ დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა ნინო კიღურაძის განცხადება ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მერაბ კალანდაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მთლიანად იმეორებდა ნინო კიღურაძის სასკოლო სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე მასში დარღვეული იყო ციტირების წესები.

**6.32.** კომისია, საკითხის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო ,,გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია", არ წარმოადგენდა პლაგიატს და არ არსებობდა დარღვევა. კომისიის დასკვნა დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ მერაბ კალანდაძის ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, სადაც იგი მიუთითებს ნ. კიღურაძის ორივე შესაბამის ნაშრომს. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნაშრომში გამოყენებული მითითების წესი დამახასიათებელია კომპილაციური ხასიათის სახელმძღვანელოებისათვის. გამოყენებული ლიტერატურის ბოლოში მითითება ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს და ნ. კიღურაძის სახელმძღვანელოდან ტექსტის გამოყენებისთვის მ. კალანდაძეს არ სჭირდებოდა ნ. კიღურაძისგან ნებართვის მიღება. შესაბამისად, ციტირების წესი არ დარღვეულა. ამასთან, კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს ტექსტი, თავის მხრივ, არის კომპილაციური, ძირითადად მოიცავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ნ. კიღურაძეს არ შეიძლება, ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება და მათი გამოყენება ამ უფლების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

**6.33.** სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ საკითხის შესწავლის დროს კომისიის წევრთა მოსაზრებებზე, კერძოდ, როგორც 2014 წლის 9 ოქტომბრის ოქმიდან ირკვევა (ტ.1. ს.ფ. 26), იმის გათვალისწინებით, რომ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შედგენის სტანდარტი არ არსებობდა, რეკომენდებული იქნებოდა მისი შემუშავების ინიცირება აკადემიური საბჭოს წინაშე. ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის „ლ" ქვეპუნქტით განმარტებულია შედგენილი ნაწარმოების ცნება და მას წარმოადგენს კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. ამავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად, შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

**6.34.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო - საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით კომპილაცია, გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

**6.35.** მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მერაბ კალანდაძის შედგენილი ნაშრომი (კომპილაციური ხასიათის) - „გერმანიის ისტორია კულტურა, გეოგრაფია", ეფუძნება სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს (სულ 31 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს), მათ შორის, გამოყენებულია ნინო კიღურაძის თანაავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები. ამავდროულად, ასევე სადავოს არ წარმოადგენს, რომ ნაშრომი შეიცავს მითითებას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ, აღნიშნულია ნინო კიღურაძის ორივე ნაშრომის გამოყენების თაობაზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთ პირობებში, როდესაც ციტირების კონკრეტული წესი დადგენილი არ ყოფილა, ავტორის მითითების პირობებში, ნაშრომში სხვისი შემოქმედების, როგორც საკუთარის წარმოდგენა/გამოყენებას და მის საფუძველზე პლაგიატის სახით ეთიკის დარღვევას, კომისია ვერ დაადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა სადავო დასკვნისა და მისი ცნობად მიღების შესახებ აკადემიური საბჭოს გასაჩივრებული დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველი.

**7.** პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნინო კიღურაძემ და გიორგი სანიკიძემ, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

**8. ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის სააპელაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:**

**8.1.** აპელანტები აღნიშნავენ, რომ მერაბ კალანდაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო წარმოადგენს აკადემიურ გამოცემას, ჰყავს სამეცნიერო რედაქტორი და რეცენზენტები. მერაბ კალანდაძემ თავად წარუდგინა ნაშრომი თსუ მეთოდსაბჭოს, თანაც საკუთარი წიგნის რეცენზენტთან შეუთანხმებლად და თავად გამოსცა. ნინო კიღურაძემ იმთავითვე, ანუ გამოცემამდე, არ მისცა მერაბ კალანდაძეს მისი სახელმძღვანელოს მასალების გამოყენების უფლება, ვინაიდან მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო მთლიანად იმეორებს ნინო კიღურაძის სასკოლო სახელმძღვანელოს შინაარსსა და სტრუქტურას, შეცვლილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები, თავებისა და ქვეთავების სათაურები. სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია სადავო ფაქტობრივი გარემოება - კომისიის დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ ნინო კიღურაძის სახელმძღვანელო ძირითადად მოიცავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ნინო კიღურაძეს არ შეიძლება ასეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ჰქონდეს საავტორო უფლება და მათი გამოყენება ამ უფლების დარღვევად და პლაგიატად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ნინო კიღურაძეს სახელმძღვანელოზე ნამდვილად აქვს საავტორო უფლება, რადგან სახელმძღვანელოს შედგენა მოითხოვს მასალების მოძიებას, სასწავლო შინაარსების განსაზღვრას, სტრუქტურირებას და სხვა პროფესიულ-შემოქმედებით უნარებს. კომისიას არ უცდია გამოეკვლია, თუ როგორ განკარგა მერაბ კალანდაძემ გამოცემული 250

ეგზემპლარი და რა კატეგორიის პუბლიკაციების ჩამონათვალში უთითებდა იგი ამ სახელმძღვანელოს საკუთარ ნაშრომად. მერაბ კალანდაძე გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უთითებს სახელმძღვანელოებს, თუმცა არ უთითებს, რომ ეს სასკოლო სახელმძღვანელოებია და არსად უთითებს, რომ ნინო კიღურაძეა გამოყენებული თავების ავტორი. კომისიას არ დაუდგენია, მერაბ კალანდაძის წიგნის ბოლოს მითითებული „31 ბიბლიოგრაფიული ერთეულიდან" რომელს ეფუძნება მისი ნაშრომი, ნინო კიღურაძის IX და XI კლასის სახელმძღვანელოების შესაბამისი თავების გარდა. აპელანტის მოსაზრებით, შეუსაბამობაა იმ ლიტერატურის მითითებაც, რომელიც სინამდვილეში არ გამოყენებულა.

**8.2.** აპელანტების განმარტებით, სასამართლომ არ იმსჯელა და არ შეაფასა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გიორგი სანიკიძისა და ნინო კიღურაძის სადავო პუბლიკაცია წარმოადგენს მათი სამაგისტრო კურსის ერთ-ერთ კომპონენტს, კერძოდ, ქართულ ენაზე თარგმნილი სასწავლო მასალების კრებულს (რიდერს), რომელიც განკუთვნილი იყო უშუალოდ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის სტუდენტების პირადი მოხმარებისთვის. რიდერი დაიბეჭდა ავტორებისგან დამოუკიდებლად „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ, ასევე ავტორებისგან დამოუკიდებლად „ფონდმა" წარუდგინა თსუ მეთოდსაბჭოს, რომელმაც დაუშვა ის დამხმარე სახელმძღვანელოდ. აპელანტები მიუთითებენ, რომ ნინო კიღურაძე „ფონდმა", მცირე გრანტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სამაგისტრო კურსის მომზადებას, 2000 წლის 2 დეკემბრიდან 2001 წლის 2 მარტამდე მიავლინა კურსის შესამუშავებლად და მისი საჭირო სასწავლო რესურსებით უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში შემუშავებული სილაბუსი და უცხოენოვანი „რიდერის" ყველა ეგზემპლარი (იმ ოდენობით, რაც საჭირო იყო უშუალოდ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის სტუდენტების პირადი მოხმარებისთვის) გადაეცა ფონდს. ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის პროექტის დასრულების შემდეგ (2001 წლის თებერვალი), ახლადშექმნილი სამაგისტრო კურსების ავტორებს, მათ შორის ნინო კიღურაძესა და გიორგი სანიკიძეს, ეთხოვათ ქართულ ენაზე სასწავლო მეთოდური მასალების მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის საგრანტო ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა რაიმე დამატებითი სასწავლო-მეთოდური აპარატის შექმნას, ეს მასალებიც გადაეცა ფონდს. ამით დასრულდა ნინო კიღურაძის და გიორგი სანიკიძის ურთიერთობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის შექმნის პროექტთან. პროექტის დასრულებიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, 2001 წლის აგვისტოში, სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით გამოცემული სამაგისტრო სალექციო კურსები თავად ფონდის მიერ უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე დაწესებულებებს. საავტორო ეგზემპლარები აპელანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დაბეჭდვიდან ერთი თუ მეტი წლის შემდეგ ფონდის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც გამოფენილი იყო ფონდის მიერ გამოცემული პროდუქცია. შესაბამისად, მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ თსუ მეთოდსაბჭომ მათ მიერ შედგენილი რიდერი დაუშვა დამხმარე სახელმძღვანელოდ. აპელანტებს მიაჩნიათ, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, არავის აუკრძალავს თარგმნილი და ადაპტირებული სასწავლო ლიტერატურის მისი უშუალო დანიშნულებით - სასწავლო პროცესში გამოყენება. ამასთან, აღნიშნული სახელმძღვანელო თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც მხოლოდ სალექციო კურსი და არა დამხმარე სახელმძღვანელო.

**8.3.** რაც შეეხება გამოცემის შემდგომ ავტორების ცვლილებას სახელმძღვანელოზე და აპელანტთა მცდელობას ამ მიმართულებით, აპელანტები მიუთითებენ, რომ 500 ეგზემპლარის

მოძიება, რომელიც ფონდმა საკუთარი სურვილისამებრ განკარგა და უსასყიდლოდ დაურიგა მხოლოდ მისთვის ცნობილ სამიზნე ორგანიზაციებს, შეუძლებელი იყო. მოცემულ შემთხვევაში აპელანტები არ უარყოფენ, რომ მათი რიდერი იბეჭდებოდა, თუმცა არ ფლობდნენ ინფორმაციას გამოცემის ფორმასთან დაკავშირებით, რადგან არ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესში, კერძოდ, არავითარი შეხება არ ჰქონდათ არც გამომცემლობასთან და არც მეთოდსაბჭოსთან. გარდა ამისა, თარგმანის შემთხვევაში, საავტორო უფლებების დაცვა ნიშნავს არა ავტორის „რაიმე ფორმით" მითითებას, არამედ გულისხმობს საავტორო-ქონებრივი ურთიერთობების მოგვარების წესის დაცვას, რაც ხორციელდებოდა კიდეც ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს მიერ მთარგმნელობითი პროექტების შემთხვევაში. სტუდენტების პირადი მოხმარებისთვის უსასყიდლოდ დარიგებული სასწავლო მასალების კრებულის (რიდერის) შემთხვევაში, არ იყო საჭირო არც თარგმნილი ნაშრომების ავტორების ნებართვა და არც მათთვის, ისევე როგორც მთარგმნელისთვის, ჰონორარის გადახდა.

**8.4.** აპელანტების მოსაზრებით, სასამართლომ არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება (ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის წევრთა რაოდენობა და კვალიფიკაცია/შესაბამისობა) და არასწორად დაადგინა, რომ პროცედურული დარღვევების მოტივით აკადემიური საბჭოს შექმნისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ მოპასუხის მიერ გამოცემული ბრძანებების, ასევე კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა. ასევე სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კომისიამ ლ. გაფრინდაშვილი არ ჩაანაცვლა და მუშაობა დაასრულა ისე, რომ კომისია ბოლომდე არ იყო დაკომპლექტებული. შესაბამისად, კომისიის წევრთა რაოდენობა არ იყო კენტი. გარდა ამისა, „ტექნიკური შეცდომის" გამო ქეთევან ხუციშვილი ფორმალურად აღარ იყო კომისიის წევრი.

**8.5.** აპელანტებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას მოსარჩელის მიერ მერაბ კალანდაძის არაუფლებამოსილების დასადასტურებლად სარჩელში წარმოდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით (დაინტერესებულმა პირმა არ იცის ინგლისური ენა და მისი საავტორო უფლება არ არის დარღვეული). მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას იმ საფუძვლით, რომ მერაბ კალანდაძე არ იყო უფლებამოსილი წარმოედგინა მოთხოვნა ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ, რაც წარმოადგენდა კომისიის მიერ მ. კალანდაძის განცხადების მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის საფუძველს.

**8.6.**აპელანტები განმარტავენ, რომ სასამართლომ ნინო კიღურაძის ქართულ ენაზე თარგმნილი სასწავლო მასალების კრებული (რიდერი) არასწორად მიაკუთვნა გადამუშავებული ნაწარმოების, კერძოდ, თარგმანის კატეგორიას. შესაბამისად, არასწორად განსაზღვრა, როგორც საავტორო უფლებების ობიექტი, ისე საავტორო უფლებების დაცვის ფორმა. აპელანტების მოსაზრებით, ნინო კიღურაძის რიდერი არ შეიძლება ჩაითვალოს გამოცემად, რადგან ფონდს ასლები სამოქალაქო ბრუნვაში არ გაუშვია გაყიდვის ან გაქირავების გზით და არც ასლებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით. რიდერი ერთჯერადად დაიბეჭდა 500 ეგზემპლარის ოდენობით და უსასყიდლოდ გადაეცათ სამიზნე ორგანიზაციებს. ამასთანავე, ფონდი უფლებამოსილი იყო გამოეცა ავტორების თანხმობის გარეშე. ამდენად, სასამართლომ არ მისცა შეფასება იმ გარემოებას, რომ თუ „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია" სახელმძღვანელოს გარეკანზე მითითებული გიორგი სანიკიძე და ნინო კიღურაძე წარმოადგენენ ამ სახელმძღვანელოს

ავტორებს, მაშინ გარეკანის მეორე (შიდა) მხარეს რატომ იყო მითითებული საავტორო უფლების სიმბოლოს გამომხატველი სიმბოლოს (საავტორო უფლების დაცვის სიმბოლო) გასწვრივ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და არა გიორგი სანიკიძე და ნინო კიღურაძე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტებს მიაჩნიათ, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების შედეგად, რის გამოც უნდა გაუქმდეს.

### ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი :

**9.** სააპელაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამეთუ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოშობს აპელანტის მტკიცების გაზიარების საფუძველს მერაბ კალანდაძის მხრიდან ნინო კიღურაძის საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ, ასევე კომისიის საქმიანობაში არსებული პროცედურული დარღვევებისა და იმ გარემოების თაობაზე, რომ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის დამხმარე სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ არ წარმოადგენს პლაგიატს. აღნიშნული საკითხების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების მიზნით, სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

**9.1.** ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ 2001 წლის წლიური ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2001 წლის აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი) გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა, წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს. აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოებს შორისაა მითითებული საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის ავტორობით (ტ. II, ს.ფ. 122).

**9.2.** 2001 წელს გამომცემლობა თბ. „მერიდიანის“ მიერ გამოცემული იქნა (ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა სერია) გიორგი სანიკიძისა და ნინო კიღურაძის ავტორობით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის სახელწოდებით დამხმარე სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელოს წინასიტყვაობისას ავტორები მადლობას უხდიან ფონდს მხარდაჭერისთვის, ასევე ცალკეულ პიროვნებებს ნაშრომზე მუშაობისას და მისი გამოსაცემად მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის (ტ. III, ს.ფ. 7-8).

**9.3.** ნინო კიღურაძე მის მიერ შედგენილ პუბლიკაციათა ნუსხაში თავადვე მიუთითებს მისი და გიორგი სანიკიძის ავტორობით გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურისთვის სახელწოდებით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები (ტ. III, ს.ფ. 128-129).

**9.4.** დადგენილია, რომ ავტორებს ნინო კიღურაძესა და გიორგი სანიკიძეს გადაეცათ მათი ავტორობით შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელო. შესაბამისად, მათთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ნაშრომის მათი ავტორობით გამოცემისა და დამხმარე სახელმძღვანელოდ დაშვების შესახებ, ასევე ნინო კიღურაძე თავად მიუთითებდა ხსენებულ სახელმძღვანელოს მისი პუბლიკაციის ნუსხაში. ამდენად, პალატა იზიარებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ მიუხედავად აპელანტების თავდაპირველი განზრახვისა - გამოეცათ მხოლოდ სალექციო კურსი, ნაშრომი შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოს სახით და იგი წარმოადგენდა უცხოენოვანი ნაშრომების პირდაპირ თარგმანს შესაბამისი ნაშრომების ავტორების მითითების გარეშე. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ ნინო კიღურაძე ამ ნაშრომს წლების განმავლობაში წარმოაჩენდა, როგორც საკუთარს.

**9.5.** მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელოს (გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია) ქსეროასლიდან ირკვევა, რომ ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მათ შორის მითითებულია ნ. კიღურაძის თანაავტორობით შექმნილი უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები (ტ. I, ს.ფ. 102).

**9.6.** ნინო კიღურაძემ განცხადებით მიმართა აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენ კომისიას ასოცირებულ პროფესორ მერაბ კალანდაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე და აღნიშნა, რომ მერაბ კალანდაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მთლიანად იმეორებდა ნინო კიღურაძის სასკოლო სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე მასში დარღვეული იყო ციტირების წესები.

**9.7.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბ[illegible]წიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ივანე ჯავახიშვილის [illegible]ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 19 სექტ[illegible] ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისი[illegible] ოქტომბრის დასკვნით, კომისიამ მიიჩნია, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძ[illegible]ის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია", არ წარმოადგენდა პლაგიატს და არ არსე[illegible] (ტ. I, ს.ფ. 28-29).

**9.8.** სსიპ ივანე ჯავაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის N112/2014 წლის დადგენილებით აკადემიურმა საბჭომ ინფორმაციის სახით (ცნობად) მიიღო აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის ზემოაღნიშნული დასკვნა და განმცხადებლის (თსუ-ს პროფესორი ნინო კიღურაძე) მიერ მცდარი მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე ინფორმაცია გამოსაქვეყნებლად გადასცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს" (ტ. I, ს.ფ. 30-31).

**9.9.** 2014 წლის 31 ივლისს მერაბ კალანდაძემ განცხადებით მიმართა აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენ კომისიას პროფესორ ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის (დარღვევის სახეობა-პლაგიატი) თაობაზე და აღნიშნა, რომ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ტორკუნოვას და ბეილისის და სმიტის რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელოების პირდაპირ თარგმანს, ამასთან, ამ წიგნების მოხსენიების გარეშე.

**9.10.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 14.08.2014 წლის N133/01-01 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის 2014 წლის 31 ივლისის N23620/02 წერილში დასმული საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) გოჩა ჯაფარიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ბ) მანანა რუსიეშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; გ) ქეთევან ხუციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) იოსებ სალუქვაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ე) სერგი კაპანაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ვ) ქეთევან ხუციშვილი - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; ზ) იაკობ ფუტკარაძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (ტ. II, ს.ფ. 20-21).

**9.11.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 02.09.2014 წლის N142/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა)" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) ბონდო კუპატაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი" (ტ. II, ს.ფ. 22).

**9.12.** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 16.10.2014 წლის N190/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „გ)" და „დ)" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გ) პაატა ტურავა – იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) ლელა გაფრინდაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი" (ტ. II, ს.ფ. 23).

**9.13.** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებით შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნის თანახმად, კომისიამ დაადგინა, რომ გიორგი სანიკიძის და ნინო კიღურაძის დამხმარე სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია" წარმოადგენდა პლაგიატს და ფიქსირდებოდა აკადემიური ეთიკის დარღვევა. დადასტურდა ის გარემოება,

რომ სახელმძღვანელო წარმოადგენდა პირდაპირ თარგმანს ტორკუნოვის რედაქტორობით გამოცემული რუსულენოვანი წიგნიდან (გვ. 5-6, 8-15, 25-36, 97-108, 133-146, 149-159, 168-172) და ზეილისის და სმიტის რედაქტორობით გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნიდან (გვ. 6-7, 16-24, 38-95, 110-131, 146-147, 161-167, 172-196, 211-212), ამასთან, მათი მითითების გარეშე (ტ. II, ს.ფ. 40-45).

**9.14.** ზემოაღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის N9/2015 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის N77/2014 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და ამოღებული იქნა „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ." აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N69/2012 დადგენილებიდან XII ნაწილის „დ" ქვეპუნქტი; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალა ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა (ტ. II, ს.ფ. 121).

**9.15.** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 12.03.2015 წლის N193/02-03 ბრძანებით, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის N9/2015 დადგენილების საფუძველზე შრომითი ურთიერთობა შეუწყდა 2015 წლის 14 მარტიდან სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს ნინო კიღურაძეს (ტ. II, ს.ფ. 168).

**10.** სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინარეს საფუძველს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები,მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით) *(იხ. სუსგ №ას-53-49-2017, 07 აპრილი 2017 წელი).*

**11.**განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პრეტენზია წარმოდგენილია როგორც ფაქტობრივი გარემოებების თვალსაზრისით, ასევე სამართლებრივი კუთხით. აპელანტებს მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მხრიდან, როგორც პროცედურული ნორმები, ასევე არსებითად არასწორადაა შეფასებული სადავო გარემოებები მასზედ, რომ

მერაბ კალანდაძის მიერ ადგილი არ ჰქონდა აკადემიური ეთიკის დარღვევას, ხოლო მათი ნაშრომი წარმოადგენდა პლაგიატს.პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით აპელანტები მიუთითებენ, რომ კომისიამ სრული სახით დაკომპლექტების გარეშე, ისე რომ არ ჩაანაცვლა ლ. გაფრინდაშვილი, განიხილა საკითხი და გადაწყვეტილება მიიღო იმ პირობებში, როდესაც კომისიის წევრთა რაოდენობა არ იყო კენტი. ამასთან, ქეთევან ხუციშვილიც ფორმალურად აღარ იყო კომისიის წევრი, თუმცა ხელს აწერდა ოქმებს. გარდა ამისა, მერაბ კალანდაძე იყო არაუფლებამოსილი პირი წარედგინა განცხადება ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის ნაშრომთან დაკავშირებით, ვინაიდან მან არ იცოდა ინგლისური ენა და ამასთან, მისი საავტორო უფლებაც არ იყო დარღვეული.

**12.** სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის 46/2014 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულება ადგენს აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ საკითხის განხილვის პროცედურებს.

**13.** მითითებული დებულების 3.1. მუხლის თანახმად, აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია პირის წერილობითი და კანონმდებლობით დადგენილი წესით საკანცელარიო გზით რეგისტრირებული, განცხადების შემომტანი პირის პირადად შესრულებული ხელმოწერის მქონე განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რომლებიც გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) განცხადებაში მითითებული უნდა იქნას წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული კონკრეტული დარღვევის/დარღვევების სახეობა; ბ) განცხადებას უნდა ერთვოდეს იმ ნაშრომების ორიგინალები, რომლებითაც განმცხადებლის აზრით დასტურდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დარღვევა.

**14.** ამავე დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე, განცხადების რეგისტრაციის შემდგომ, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში იქმნება „აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია“, რომლის შემადგენლობა მტკიცდება, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე. კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შესაბამისი დარგის (მათ შორის შესაძლებელია უცხოელი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან. კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, ხოლო იგი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

**15.** მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მერაბ კალანდაძემ 2014 წლის 31 ივლისს მიმართა განცხადებით მოპასუხეს, მიუთითა დებულებით გათვალისწინებული კონკრეტული დარღვევის სახეობა და წარადგინა იმ ნაშრომების ორიგინალები, რომლებითაც განმცხადებლის აზრით დასტურდებოდა დებულებით განსაზღვრული დარღვევა, კერძოდ, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის საუნივერსიტეტო

დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენდა ტორკუნოვას და ბეილისის და სმიტის რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელოების პირდაპირ თარგმანს ამ წიგნების მოხსენიების გარეშე. სწორედ აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაიწყო აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება ზემოხსენებული დებულების 3.1. მუხლით დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით, ვინაიდან დებულება, რომელიც ადგენს აკადემიური ეთიკის დარღვევის პროცედურის დაწყების წესებს, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავალდებულო წინაპირობად არ მიიჩნევს, რომ ნაშრომი ეხებოდეს უშუალოდ განმცხადებლის საავტორო უფლებებს, უფრო მეტიც, კუმულაციურად ორივე პირობის დაკმაყოფილებისას (კონკრეტულ დარღვევაზე მითითება და ნაშრომის ორიგინალების წარდგენა)მოპასუხეს წარმოეშობა ვალდებულება დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და არაა უფლებამოსილი განუხილველად დატოვოს განცხადება, როგორც ამას აპელანტები მიუთითებენ. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას არაუფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, რაც გამორიცხავდა ხსენებული მოტივით პროცედურული დარღვევის დადგენის შესაძლებლობას. ამგვარ წინაპირობებს არ ქმნის ასევე არც ის გარემოება, რომ როგორც აპელანტები მიუთითებენ მერაბ კალანდაძემ არ იცის ინგილისური ენა, რამეთუ განმცხადებლის მიერ უცხო ენის არ ცოდნა არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ მისთვის ცნობილი იყოს ორიგინალი ნაშრომების შინაარსი, ამასთან, აღნიშნული გარემოება არ არის რელევანტური და რაიმე სახით შემხებლობაში ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის მხრიდან ჩადენილი დარღვევის დადგენასთან.

**16.** რაც შეეხება სხვა პროცედურულ დარღვევებს, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 14.08.2014 წლის N133/01-01 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ კალანდაძის 2014 წლის 31 ივლისის N23620/02 წერილში დასმული საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) გოჩა ჯაფარიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ბ) მანანა რუსიეშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; გ) ქეთევან ხუციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) იოსებ სალუქვაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ე) სერგი კაპანაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ვ) ქეთევან ხუციშვილი - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; ზ) იაკობ ფუტკარაძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. ამასთან, უნივერსიტეტის რექტორის 02.09.2014 წლის N142/01-01 ბრძანებით ცვლილება შევიდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა)" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) ზონდო კუპატაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი", ხოლო 16.10.2014 წლის N190/01-01 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების

პირველი პუნქტის „გ)" და „დ)" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გ) პაატა ტურავა – იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) ლელა გაფრინდაშვილი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი."

**17.** ამდენად, უდავოა, რომ ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია შეიქმნა 7 წევრის შემადგენლობით და წევრთა ცვლილების მიუხედავად, აღნიშნული რიცხვი არ შეცვლილა. ასევე დადგენილია, რომ ლელა გაფრინდაშვილმა არ მიიღო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა, თუმცა დებულების საფუძველზე, (კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც) კომისია უფლებამოსილი იყო განეხილა საკითხი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, ხოლო განსახილველ შემთხვევაში შექმნილი აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია დაკომპლექტდა 7 წევრით, ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, კომისიის წევრთა რაოდენობა არ შემცირებულა, მხოლოდ ის გარემოება, რომ ლელა გაფრინდაშვილმა ვერ შეძლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუთითებს დებულებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევაზე.

**18.** პალატა მიიჩნევს, რომ მართალია, აპელანტის პრეტენზია ქეთევან ხუციშვილთან მიმართებით მასზედ, რომ განხორციელებული ცვლილებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი კვლავ დარჩა კომისიის შემადგენლობაში, თუმცა აღნიშნული განპირობებული იყო ტექნიკური შეცდომით, კერძოდ, აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობაში შედიოდა ორი ქეთევან ხუციშვილი, რომელთაგან ერთი (ბრძანებაში მოხსენიებული „გ" ქვეპუნქტად) არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე (ბრძანებაში მოხსენიებული „ვ'' ქვეპუნქტად) - იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. რეალურად განხორციელდა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ჩანაცვლება, თუმცა ნაცვლად „ვ" ქვეპუნქტისა, შეცდომით მიეთითა „გ" ქვეპუნქტი. აღნიშნული ტექნიკური შეცდომა არ შეიძლება გახდეს იმგვარ პროცედურულ დარღვევად მიჩნევის საფუძველი, რაც არსებითად შეცვლიდა კომისიის გადაწყვეტილებას, მით უფრო, რომ უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 16 იანვრის N08/01-01 ბრძანებით (ტ. III, ს.ფ. 294-295), აღნიშნული უზუსტობა აღმოფხვრილი იქნა, კერძოდ, გასწორდა 16.10.2014 წლის N190/01-01 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, შევიდა ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დამტკიცების შესახებ რექტორის 2014 წლის 14 აგვისტოს N133/01-01 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „დ)" და „ვ)" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,დ) ლელა გაფრინდაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ვ) პაატა ტურავა – იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი."

**19.** პალატა მიუთითებს, რომ, როდესაც საკითხი ეხება აკადემიური ეთიკის სავარაუდო დარღვევას, კომისია კომპლექტდება იმ დარგის სპეციალისტებით, რომლებიც ადეკვატურად გააანალიზებენ, რამდენად იდენტურია სხვადასხვა ენაზე არსებული ტექსტების შინაარსი. ასევე, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ასპექტი, რაც იწვევს კომისიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის არსებობის საჭიროებას. კომისიაში, ზოგადად, გასათვალისწინებელია იმ მიმართულების სპეციალისტებიც, რომელ მიმართულებასაც აკადემიური ეთიკის სავარაუდო დამრღვევი წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტმა უზრუნველყო

ომისიის დაკომპლექტება იმ პირებით, რომელთაც ჰქონდათ კომპეტენცია განეხილათ აკითხი და მიეღოთ სწორი, ობიექტური გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ პროცედურული დარღვევების ტივით აკადემიური საბჭოს შექმნისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ მოპასუხის ერ გამოცემული ბრძანებების, ასევე კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის საფუძველი არ სებობდა.

). სააპელაციო პალატა პროცედურული დარღვევების გამორიცხვის შემდგომ არსებითად ჯელობას იქონიებს, როგორც მერაბ კალანდაძის მხრიდან ნინო კიღურაძის საავტორო ფლებების დარღვევის თაობაზე, ასევე ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის დამხმარე ხელმძღვანელოს პლაგიატად მიჩნევის მართებულობაზე.

. ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნქტით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმოებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის დეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, მოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ამავე კანონის 6.1. მუხლის ,,ლ" და ,,მ" ქვეპუნქტებით ცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებია გადამუშავებული ნაწარმოები, რმოდ, თარგმანი, ხოლო შედგენილი ნაწარმოებია: კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, ნაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

. ხსენებული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, შედგენილი ნაწარმოების ავტორს ემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. შემდგენელმა უნდა აიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება, ხოლო -13 მუხლიდან გამომდინარე, გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო ფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე, თავის მხრივ, გადამუშავებული წარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება. ამდენად, ნონი იცავს როგორც გადამუშავებულ, ასევე შედგენილ ნაწარმოებზე როგორც დამამუშავებლის/შემდგენელის, ისე იმ ავტორის საავტორო უფლებებს, რომლის წარმოების გადამუშავებაც მოხდა ანდა რომლის საფუძველზეც შედგენილი იქნა ახალი შრომი. ამასთან, თვით ნაწარმოებია ერთადერთი უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც, ფასებული უნდა იქნეს ნებისმიერ სადავო შემთხვევაში მისი ბუნებიდან გამომდინარე მდენად წარმოშობს საავტორო უფლებების დაცვის საჭიროებას.

. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო - განმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი სუხისმგებლობის შესახებ დებულების 2.1. და 2.2. მუხლების თანახმად, პლაგიატი ულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის როგორც საკუთარის რმოდგენასა და გამოყენებას, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების მთხვევაში, ნებართვის გარეშე, ხოლო კომპილაცია არის საავტორო უფლებით დაცული, ვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენება, დაჯგუფება, წყაროების კუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

შემთხვევაში - უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის/ორგანოს (რექტორი, კანცლერი, აკადემიური საბჭო) მიერ დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება (მათ შორის აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება).

**27.** საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ, იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია აპელანტთა მხრიდან ნაშრომის გამოცემა სხვისი ნაწარმოების თარგმნის შედეგად ავტორთა მითითების გარეშე, შესაბამისად, კანონიერია ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის 2014 წლის 12 ნოემბრის დასკვნა და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის წინაპირობები. ამასთან, ეთიკის დარღვევის უდავოდ დადასტურების პირობებში, საფუძველი გამოეცალა თანამდევი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას და დასკვნაზე დაყრდნობით მიღებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №9/2015 წლის დადგენილებისა და ნინო კიღურაძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 12 მარტის N193/02-03 ბრძანების ბათილად ცნობას.

**28.** რაც შეეხება აპელანტების მითითებას მერაბ კალანდაძის მიერ ნაშრომის - „გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია" შექმნით ნინო კიღურაძის საავტორო უფლებების შელახვის თაობაზე, სააპელაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ქსეროასლიდან ირკვევა, რომ ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მათ შორის მითითებულია ნ. კიღურაძის თანაავტორობით შექმნილი უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები (ტ. I, ს.ფ. 102). ამდენად, პალატა იზიარებს კომისიის დასკვნას, რომ მერაბ კალანდაძის სახელმძღვანელო ,,გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია", არ წარმოადგენდა პლაგიატს და არ არსებობდა ნინო კიღურაძის საავტორო უფლებების დაცვის საჭიროება, ვინაიდან მერაბ კალანდაძის მხრიდან ნინო კიღურაძის, როგორც ავტორის (და არა მხოლოდ ნინო კიღურაძის, მთელი რიგი ბიბლიოგრაფიის, სულ 31 ნაშრომის) მითითების პირობებში, ნაშრომში სხვისი შემოქმედების, როგორც საკუთარის წარმოდგენა/გამოყენებას ადგილი არ ჰქონდა.

**29.** შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. ჯ-ა საქართველოს წინააღმდეგ, N7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).* მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის იმ არგუმენტებზე, რომლებსაც საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, პალატამ ზემოთ უკვე იმსჯელა და დამატებითი არგუმენტების შეფასება მიზანშეუწონელია სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნებიდან გამომდინარე.

**30.** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

31. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

33. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო საკითხს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა დაეკისროთ აპელანტებს, რაც მათ მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის პროპორციულად და უნდა დარჩეს სახელმწიფო ხაზინაში.

**სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ნინო კიღურაძისა და გიორგი სანიკიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება;

3. აპელანტების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N6) მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი.

წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე ლაშა თავართქილაძე

მოსამართლეები გოჩა ჯეირანაშვილი

ოთარ სიჭინავა

ასლი დედანთან სწორია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა

01 02 2023

# სარჩევი

**შესავალი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

**კარი პირველი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
ქართული ისტორიოგრაფია გუშინ, დღეს, ხვალ . . . . . . . . . . . . . 11

**თავი პირველი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
ქართული ისტორიოგრაფიის ერთი საინტერესო
მონაკვეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11

**თავი მეორე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 42

საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები . . . . . . . . . . . . . . . . 42

**თავი მესამე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 78
ევროპული დონე შენარჩუნდა, მაგრამ
ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და
არა ხვალინდელი დღე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 78

**კარი მეორე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 173
„ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“, მაშინ „რა საჭიროა
გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“ . . . . . . . . . . . . . . . . . 173

**თავი პირველი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 173
კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას ალტერნატივა
არ გააჩნია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 173

**თავი მეორე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 198
თანამედროვე ქართულ ისტოროგრაფიაში არსებულ
ვითარებას ასე ვერ დავალაგებთ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 198

**დასკვნა** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 273

**დანართი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 304

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 55
stamba.damani@gmail.com
სტამბა დამანი / Print House Damani